სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

მათე ხვედელიძე

სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის წარმოშობილი საერთაშორისო საინვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და დავის გადაწყვეტის საშუალებები

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC(უაკ)346.543.1
ხ-492

მათე ხვედელიძე

სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის წარმოშობილი საერთაშორისო საინვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და დავის გადაწყვეტის საშუალებები

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

Mate Khvedelidze

THE APPLICABLE LAW AND DISPUTE RESOLUTION MECHANISMS IN INTERNATIONAL INVESTMENT DISPUTES ARISING BETWEEN A STATE AND A FOREIGN INVESTOR

Prince David Institute for Law of Sulkhan-Saba Orbeliani University
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2025

© მათე ხვედელიძე, 2025
© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2025
© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2025

ISBN 978-9941-8-7642-4

წინათქმა

წინამდებარე კვლევა ჩემ მიერ 2024 წლის 6 ნოემბერს დაცული დისერტაციის მოდიფიცირებული ვერსიაა. მონოგრაფია ძირითადად ეფუძნება შედარებითსამართლებრივ ანალიზს. კვლევის მიზნებისთვის, ასევე, გამოყენებულია აღწერილობითი, ანალიტიკური და ისტორიული სამეცნიერო კვლევითი მეთოდები. კვლევის მიზნების მისაღწევად, ნაშრომში ეტაპობრივად და თანმიმდევრულად გამოკვლეულია როგორც საქართველოს შიდა კანონმდებლობა და სხვა ქვეყნებთან დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები, ასევე აქტუალური საარბიტრაჟო პრაქტიკა, მათ შორის, საქართველოსთან დაკავშირებული დასრულებული და მიმდინარე დავები. აღსანიშნავია, რომ კვლევა წარმოებულია ICSID-ის უახლესი, 2022 წლის საარბიტრაჟო, მედიაციის და კონსილაციის წესების მიღების შემდეგ. ნაშრომი ეფუძნება ამ სფეროში არსებულ უახლეს ლიტერატურას და საარბიტრაჟო პრაქტიკას, რომელთა დიდი ნაწილი დამუშავდა ჰამბურგში, მაქს პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში.

ნაშრომის შექმნის პროცესში დიდი დახმარება გამიწია სამეცნიერო ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი ცერცვაძემ. მასთან ინტენსიური კომუნიკაციითა და პროფესიული რჩევებით, ნაშრომმა მიიღო ის სახე, რომელიც შეიძლება საინტერესო გახდეს სტუდენტებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის და ზოგადად, საინვესტიციო სამართლით დაინტერესებული პირებისათვის. ამის გამო, მსურს, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო მის მიმართ.

ასევე, მსურს მადლიერება გამოვხატო რეცენზენტების, ბატონი ზვიად გაბისონიასა და ბატონი გიორგი სვანაძის მიმართ. მათი რეკომენდაციები და წინადადებები მნიშვნელოვნად დამეხმარა ნაშრომის მონოგრაფიად გარდაქმნისა და მისთვის საბოლოო სახის მიცემის პროცესში.

გამორჩეულად მინდა აღვნიშნო ჩემი ოჯახის, განსაკუთრებით, ჩემი მეუღლის გვერდში დგომა და დახმარება. მათი დახმარების გარეშე კვლევის დასრულება და მით უმეტეს, აწ უკვე წიგნად გამოცემა წარმოუდგენელი იქნებოდა. ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ ამ ნაშრომს სწორედ მათ ვუძღვნი.

მათე ხვედელიძე

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მკვლევარი

თბილისი, 2025 წლის თებერვალი

შემოკლებანი

იხ. – იხილეთ

შეად. – შეადარეთ

სსსკ – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

NAFTA – North American Free Trade Agreement (ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ)

USMCA – The U.S.-Mexico-Canada Agreement (ხელშეკრულება აშშ-ს, მექსიკას და კანადას შორის)

VCLT – Vienna Convention on the Law of Treaties (ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ)

CETA – EU-Canada Comprehensive Economic and Trade Agreement (კანადისა და ევროკავშირის ყოვლისმომცველი ეკონომიკური და სავაჭრო შეთანხმება)

ECT – Energy Charter Treaty (ენერგეტიკის შესახებ ქარტია)

ICSID კონვენცია – ვაშინგტონის საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრის კონვენცია

BIT – Bilateral Investment Treaty (ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება)

ICJ – International Court of Justice (მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო)

ECJ – European Court of Justice (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო)

CJEU- Court of Justice of the European Union (მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო)

OECD – ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

DCFTA – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება

AAA – American Arbitration Association (ამერიკის არბიტრთა ასოციაცია)

ICC – International Chamber of Commerce (საერთაშორისო სამრეწველო პალატა)

ICCA – International Counsel for Commercial Arbitration (კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო)

LCIA – London Court of International Arbitration (ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო)

Ad hoc arbitration – დროებითი არბიტრაჟი

NGO – Non-governmental organization (არასამთავრობო ორგანიზაცია)

UNCITRAL – United Nations Commission On International Trade Law (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია)

PCA – Permanent Court of Arbitration (არბიტრაჟის მუდმივმოქმედი სასამართლო)

Intra EU BITs – Intra-EU bilateral investment treaties (ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებები)

Extra EU BITs – Extra EU bilateral investment treaties (ევროკავშირის წევრ ქვეყანასა და მესამე ქვეყანას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებები)

სარჩევი

შესავალი 1

1. დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების წინაპირობები 8

1.1. უცხოური ინვესტიციის არსებობა 8

1.1.1. უცხოური ინვესტიციის განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტები 8

1.1.2. უცხოური ინვესტიციის განსაზღვრება ქართულ სამართალსა და საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებებში 15

1.1.2.1. შიდა კანონმდებლობა 15

1.1.2.2. ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები 18

1.1.3. ინვესტიციის სახეები 22

1.2. დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებაზე უფლებამოსილი ინვესტორები 26

1.2.1. კერძო და საჯარო ინვესტორები 26

1.2.2. შერეული საწარმოები 29

1.2.3. არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) 30

1.2.4. წინა საინვესტიციო პროცედურებთან დაკავშირებული საარბიტრაჟო სარჩელები 31

1.2.5. მინორიტარი აქციონერი და მეწილეები, როგორც საარბიტრაჟო მოსარჩელეები 33

1.2.6. არაპირდაპირი აქციონერები და მეწილეები, როგორც საარბიტრაჟო მოსარჩელეები 35

1.3. უცხოელ ინვესტორად ყოფნა, როგორც დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე წვდომის წინაპირობა 37

1.3.1. ინვესტორთა ეროვნულობის განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტები 37

1.3.1.1. ფიზიკური პირების შემთხვევაში 37

1.3.1.2. იურიდიული პირების შემთხვევაში 42

1.3.1.2.1. რეგისტრაციის ადგილი 42

1.3.1.2.2. სათავო ოფისის ადგილსამყოფელი 44

1.3.1.2.3. კონტროლის კრიტერიუმი 45

1.3.1.2.4. რეალური ეკონომიკური აქტივობის კრიტერიუმი 47

1.3.2. კუთვნილების განსაზღვრა ერთობლივი საქმიანობის (Partnership) დროს 47

1.3.3. ინვესტორის ეროვნულობის განსაზღვრის ქართული მოდელი 48

2. უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის საშუალებით 55

2.1. უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის თანამედროვე საარბიტრაჟო ცენტრების წარმოშობა 55

2.2. ICSID კონვენციის შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დავის გადაწყვეტა 57

2.2.1. ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ თანხმობის გამოხატვის მეთოდები დავის ICSID საარბიტრაჟო ცენტრის ტრიბუნალისთვის გადაცემასთან დაკავშირებით 59
2.2.1.1. საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების გზით 62
2.2.1.2. საინვესტიციო კონტრაქტის გზით 63
2.2.1.3. სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის საფუძველზე 64
2.2.1.4. დავის დაწყების შემდეგ 66
2.2.2. ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალის ექსკლუზიურობა 67
2.2.3. საარბიტრაჟო სარჩელის ინიციირება და ტრიბუნალის დაკომპლექტება 68
2.2.4. საარბიტრაჟო განხილვის ენა და ადგილი 71
2.2.5. დავის განხილვის პროცედურა 72
2.2.6. გადაწყვეტილების მიღება 76
2.2.7. დავის განხილვის დამატებითი შესაძლებლობა ICSID კონვენციის შესაბამისად (Additional Facility) 78
2.3. ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტა სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში 80
2.3.1. საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC) 82
2.3.2. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (LCIA) 84
2.3.3. სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი (SCC) 85
2.3.4. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო (PCA) 86
2.3.5. დროებითი AD HOC არბიტრაჟით დავის გადაწყვეტა და UNCITRAL-ის წესები 87
2.4. კონფიდენციალურობის პრინციპის მოქმედების ფარგლები 89
2.5. სახელმწიფოს შეგებებული სარჩელი 91

3. უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა მედიაციისა და კონსილაციის საშუალებით 100
3.1. მედიაციასა და კონსილაციაზე დათქმები ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში 100
3.2. დავის გადაწყვეტა კონსილაციისა და მედიაციის საშუალებით ICSID კონვენციის შესაბამისად 103
3.2.1. კონსილაცია 103
3.2.2. მედიაცია 106
3.3. მედიაციისა და კონსილაციის წესები დავის გადაწყვეტის სხვა ცენტრებში 108

4. ევროკავშირში არსებული რეგულირება დავის გადაწყვეტის საშუალებებისა და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრასთან დაკავშირებით 111
4.1. ლისაბონის შეთანხმების შედეგები და კავშირი საქართველოსთან 112
4.2. შიდა საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებით (Intra EU ILAs) 113
4.3. მესამე ქვეყნებთან არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებით (Extra EU ILAs) 115
4.4. კომპეტენციის განაწილება ევროკავშირსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის 116
4.5. უცხოელ ინვესტორთან დავის შემთხვევაში ევროკავშირის არბიტრაჟუნარიანობა და პასუხისმგებლობის ფარგლები 120

5. დავის გადაწყვეტის საშუალებები მხარეთა შეთანხმების არარსებობისას 122

5.1. პირდაპირი მოლაპარაკებები მთავრობასთან 122

5.2. ადგილობრივი სასამართლოები 123

5.3. დიპლომატიური დაცვა 124

6. საერთაშორისო სანვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესი 127

6.1. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესი 127

6.1.1. შეთანხმება გამოსაყენებელ სამართალზე 127

6.1.2. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა შეთანხმების არარსებობისას 129

6.1.2.1. ვაშინგტონის კონვენციის შესაბამისად 130

6.1.2.2. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში 133

6.2. გამოსაყენებელი მატერიალური და საპროცესო სამართალი 136

6.2.1. გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი 137

6.2.1.1. ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმება 137

6.2.1.2. საინვესტიციო კონტრაქტი 141

6.2.1.3. ადგილობრივი კანონმდებლობა 144

6.2.1.4. სხვა ქვეყნის კანონმდებლობა 147

6.2.1.5. საერთაშორისო საჯარო სამართალი და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები 148

6.3. გამოსაყენებელი საპროცესო სამართალი 152

7. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმისა და სტაბილურობის კლაუზულის დათქმების გავლენა დავის გადაწყვეტის საშუალებების და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაზე 154

7.1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმის გავლენა გამოსაყენებელი სამართლისა და დავის გადაწყვეტის მექანიზმების განსაზღვრაზე 154

7.1.1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და გამოსაყენებელი სამართალი 154

7.1.2. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და დავის გადაწყვეტის მექანიზმები 158

7.2. სტაბილურობის კლაუზულის შესახებ დათქმა და გამოსაყენებელი სამართალი 161

8. საინვესტიციო დავასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების და მორიგებების ცნობა-აღსრულების, განმარტების, გადასინჯვის და გაუქმების პროცედურები 167

8.1. ICSID არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება 167

8.2. სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება 171

8.3. ICSID ცენტრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტების, გადასინჯვისა და გაუქმების შესაძლებლობა 174
8.3.1. განმარტება 174
8.3.2. გადასინჯვა 176
8.3.3. გაუქმება 176
8.4. სხვა საარბიტრაჟო ცენტრების გადაწყვეტილების განმარტების, გადასინჯვისა და გაუქმების შესაძლებლობა 181
8.5. არბიტრაჟის დროებითი ღონისძიებების ცნობა-აღსრულება 184
8.6. მედიაციისა და კონსილაციის გზით მიღწეული მორიგებების აღსრულება 191

დასკვნა 195

ბიბლიოგრაფია 205

შესავალი

უცხოური ინვესტიციები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფისკალური რისკების ანალიზის[1] მიხედვით, უცხოელ ინვესტორთა მიერ 11 მსხვილ საარბიტრაჟო დავაში მოთხოვნილი მთლიანი კომპენსაცია 3.3 მილიარდ დოლარს აღწევს, რაც მიმდინარე გაცვლითი კურსის შესაბამისად, დაახლოებით 8.91 მილიარდი ლარია. ინვესტორების მიერ მოთხოვნილი ეს თანხა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 12 პროცენტს უტოლდება. საქართველოს მონაწილეობით წარმოებული დავების სტატისტიკა და მოთხოვნილი თანხების ოდენობა ცხადად წარმოაჩენს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის მექანიზმებისა და გამოსაყენებელი სამართლის კვლევის მნიშვნელობას.

უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ნებისმიერი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს. სახელმწიფოები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი უცხოური კაპიტალის მოზიდვას და ამ გზით ეკონომიკის დივერსიფიცირებასა და განვითარებას. მიუხედავად საინვესტიციო სამართლებრივი საკითხების ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, ქართული იურიდიული მეცნიერება ამ მხრივ საკმაოდ მწირია. დღემდე არაა სათანადოდ გამოკვლეული არაერთი პრობლემური და მნიშვნელოვანი საკითხი. საკვლევი თემის ფარგლებში, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია ამ სიცარიელის შევსება.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია უფლებამოსილი ინვესტორების მიერ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებაზე. ეროვნული კანონმდებლობის, საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებებისა და საარბიტრაჟო პრაქტიკის საფუძველზე, გაანალიზებული და შეფასებულია დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების წინაპირობები. ამ მიზნით, დეტალურადაა განხილული ისეთი უცხოელი ინვესტორები, როგორიცაა კერძო და საჯარო ინვესტორები, შერეული საწარმოები, არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO), წინა საინვესტიციო პროცედურებთან დაკავშირებული საარბიტრაჟო სარჩელები, მინორიტარი აქციონერი და მეწილეები, როგორც საარბიტრაჟო მოსარ-

[1] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ, სახელმწიფო საწარმოთა აგრეგირებული ანგარიში, ნოემბერი, 2023, 76-77.

ჩელეები, არაპირდაპირი აქციონერები და მეწილეები, როგორც საარბიტრაჟო მოსარჩელეები და სახელმწიფოს შეგებებული სარჩელი. შედარებულია საქართველოს შიდა კანონმდებლობა, საქართველოს მონაწილეობით დადებული საინვესტიციო შეთანხმებები და საარბიტრაჟო პრაქტიკა, რის შედეგადაც გამოვლენილია გარკვეული ურთიერთწინააღმდეგობები და შემუშავებულია გადაწყვეტის გზები.

ნაშრომში დეტალურადაა გამოკვლეული ICSID ცენტრში[2] და სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის, არბიტრთა დანიშვნის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რაც იშვიათობას წარმოადგენს ქართულ იურიდიულ სივრცეში. ნაშრომს დამატებით აქტუალობას სძენს ის ფაქტი, რომ კვლევა წარმოებულია ICSID-ის უახლესი 2022 წლის საარბიტრაჟო წესების[3] მიღების შემდეგ.

არბიტრაჟთან ერთად, საინვესტიციო დავებში კონსილაციისაა და მედიაციის მზარდი როლის გათვალისწინებით, გაანალიზებულია მედიაციისა და კონსილაციის გზით საინვესტიციო დავის გადაწყვეტის წინაპირობები, განხილვაზე თანხმობის გამოხატვის ფორმები, მიღწეული მორიგების აღსრულების პროცედურები და მექანიზმები. მედიაციისა და კონსილაციის კონტექსტში, კვლევა მოიცავს ICSID-ის 2022 წლის მედიაციის პროცედურებს და კონსილაციის პროცედურებს. ასევე, განხილულია სხვა ცენტრებში არსებული რეგულირებები მედიაციასა და კონსილაციასთან დაკავშირებით. საინვესტიციო დავებში სახელმწიფოსთან მიღწეული სამედიაციო მორიგებების აღსრულების კუთხით, გამოკვლეულია როგორც სინგაპურის 2018 წლის კონვენციის,[4] ისე 2008 წელს მიღებული ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივის რეგულირებები.

საქართველოსთან კავშირში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული საინვესტიციო სამართლის კვლევა და ლისაბონის 2009 წლის შეთანხმების[5] შემდეგ ევროკავშირში არსებული რეგულირება დავის გადაწყვეტის საშუალებების და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ეს კვლევა

[2] სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ ვაშინგტონის 1965 წლის 18 მარტის კონვენციის შესაბამისად დაფუძნებული საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი (ICSID).

[3] ICSID ცენტრის 2022 წლის საარბიტრაჟო წესები,<https://icsid.worldbank.org/procedures/arbitration/convention/overview/2022 >[30.11.2023]

[4] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“, 20.12.2018.

[5] The Treaty of Lisbon, Document 12007L/TXT,<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A12007L%2FTXT >[30.11.2023]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ აანალიზებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს განმარტებებს, ევროკომისიის რეკომენდაციებს და იმ ახალ რეალობას, რაც ევროკავშირში და მის პარტნიორ ქვეყნებში 2020 წლის 29 მაისის შეთანხმებით[6] ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების გაუქმებას მოჰყვა. ამის გათვალისწინებით, ამ კვლევას აქტუალობა ექნება, როგორც ევროკავშირის გაწევრიანების გზაზე საქართველოს ყოფნისას, ასევე ევროკავშირში გაწევრების შემდეგაც. უდავოდ, ნაშრომის სიახლედ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ დასახელებული 2020 წლის 29 მაისის შეთანხმების შემდეგ ეს კვლევა არის ერთადერთი სიღრმისეული კვლევა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ასოცირების შესახებ შეთანხმების,[7] როგორც გამოსაყენებელი სამართლის კვლევა, საქართველოსა და უცხოელ ინვესტორებს შორის პოტენციური საარბიტრაჟო დავებში. ამ კუთხით, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის დადებული საინვესტიციო შეთანხმებებისა და და ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტის კოლიზიის საკითხები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ასოცირების შეთანხმებაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმების შინაარსს და მოქმედების ფარგლებს.

ნაშრომში გამოკვლეულია საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში არსებული ისეთი პრობლემური და აქტუალურ საკითხები, როგორიცაა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმისა და სტაბილურობის კლაუზულის დათქმების გავლენა დავის გადაწყვეტის საშუალებებსა და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაზე. დეტალურადაა გაანალიზებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მოქმედების ფარგლები, მათ შორის, გავლენა დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებისა და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაზე. გარდა ამისა, განხილულია სტაბილურობის კლაუზულის შემთხვევები ქართულ კანონმდებლობაში და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შინაარსი საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან დადებულ საინვესტიციო შეთანხმებებში.

ნაშრომში წარმოდგენილია ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, ICSID-ის დამატებითი წესების (Additional Facility) საფუძველზე მიღებული გადაწყვე-

[6] Übereinkommen zur Beendigung bilateraler Investitionsschutzverträge zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Union SN/4656/2019/INIT,<https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/?uri=CELEX%3A22020A0529%2801%29 > [30.11.2023]

[7] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014.

ტილების, სხვა საარბიტრაჟო ცენტრებისა და ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების პროცედურები, დამაბრკოლებელი გარემოებები, უარის თქმის საფუძვლები და აღსრულების ფარგლები. ასევე, განხილულია არბიტრაჟის დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულების პრობლემები და სპეციფიკა.

გარდა ამისა, ნაშრომში მოცემულია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ნაკლებად გამოკვლეული, CSID ცენტრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და სხვა დავის განმხილველი ცენტრების საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების განმარტების, გადასინჯვისა და გაუქმების მექანიზმები, პროცედურები და წინაპირობები. ამ მიზნით, განხილულია როგორც უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებული საარბიტრაჟო დავები, ასევე მნიშვნელოვანი პრეცედენტები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს თანამედროვე საინვესტიციო საარბიტრაჟო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

ნაშრომი ძირითადად ეფუძნება შედარებითსამართლებრივ ანალიზს. კვლევის მიზნებისთვის, ასევე, გამოყენებულია აღწერილობითი, ანალიტიკური და ისტორიული სამეცნიერო კვლევითი მეთოდებიც. კვლევის მიზნების მისაღწევად, ნაშრომში ეტაპობრივად და თანმიმდევრულად არის გამოკვლეული როგორც საქართველოს შიდა კანონმდებლობა და სხვა ქვეყნებთან დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები, ასევე აქტუალური საარბიტრაჟო პრაქტიკა, მათ შორის, საქართველოსთან დაკავშირებული დასრულებული და მიმდინარე დავები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ICSID ცენტრის საარბიტრაჟო პრაქტიკას. ასევე, გამოკვლეული იქნება სხვა ძირითადი დავის გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრების ტენდენციები და მიდგომები.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ამ სფეროში არსებულ უახლეს ლიტერატურას, რომლის დიდი ნაწილი დამუშავებულ იქნა მაქს პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში განხორციელებული კვლევის ფარგლებში. გარდა უახლესი ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი ლიტერატურისა, ნაშრომში გაანალიზებულია რამდენიმე ათეული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მათ შორის საქართველოს მონაწილეობით განხილული დავები. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი ერთი მხრივ, ეფუძნება საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის უახლეს ლიტერატურას, ხოლო მეორე მხრივ, ეყრდნობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. ამის გათვალისწინებით, ნაშრომი ერთდროულად არის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სინთეზის შედეგი.

ნაშრომი შედგება ერთმანეთთან ლოგიკურად და შინაარსობრივად დაკავშირებული რვა თავისგან. ნაშრომის პირველ თავში დეტალურადაა გამოკვლეული ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების წინაპირობები. ამ თავში გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციის განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები. უცხოური ინვესტიციის განსაზღვრასთან ერთად, განხილულია დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებაზე უფლებამოსილი ინვესტორები და ინვესტორთა ეროვნულის განსაზღვრის კრიტერიუმები. გარდა ამისა, ასევე საუბარია სახელმწიფოს შეგებებული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობაზე, მის წინაპირობებსა და მნიშვნელობაზე.

ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულია უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობა არბიტრაჟის საშუალებით. დეტალურადაა განხილული როგორც ICSID კონვენციის შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალებში დავების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, ასევე დავის გადაწყვეტის სპეციფიკა სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში და ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალებში, მათ შორის UNCITRAL-ის წესებით. ასევე, გამოკვლეულია საარბიტრაჟო პროცესის მიმართ კონფიდენციალურობის პრინციპის მოქმედების ფარგლები.

მედიაციისა და კონსილაციის საშუალებით უცხოელ ინვესტორს და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა არის მესამე თავის ძირითადი თემა. გაანალიზებულია მედიაციაზე და კონსილაციაზე დათქმები ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში. განხილულია ICSID კონსილაციის და მედიაციის წესებით დავის განხილვის თავისებურებანი, ასევე მედიაციისა და კონსილაციის წესებით დავის გადაწყვეტის პროცედურები სხვა ცენტრებში.

ნაშრომის მეოთხე თავი ეთმობა უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის საშუალებების და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრასთან დაკავშირებით ევროკავშირში არსებულ რეგულირებას. ევროკომისიის რეკომენდაციებისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებების საფუძველზე, გაანალიზებულია ლისაბონის შეთანხმება, შედეგები და კავშირი საქართველოსთან. მათ შორის, გამოკვლეულია ევროკავშირს წევრ ქვეყნებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებისა და მესამე ქვეყნებთან დადებული საინვესტიციო შეთანხმებების მოქმე-

დების ფარგლები. გარდა ამისა, განხილულია კომპეტენციის განაწილების წესი ევროკავშირსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის და უცხოელ ინვესტორთან დავის შემთხვევაში ევროკავშირის არბიტრაჟუნარიანობა და პასუხისმგებლობის ფარგლები.

დისერტაციის მეხუთე თავში მოცემულია დავის განხილვისა და გადაწყვეტის საშუალებები ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საერთაშორისო მექანიზმებზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში. გაანალიზებულია ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა სასამართლოებში დავის წარმოების რისკები, ასევე მიმოხილულია მთავრობასთან პირდაპირი მოლაპარაკებების შესაძლებლობა და წინაპირობები. მეხუთე თავში ასევე საუბარია ინვესტორის მშობლიური სახელმწიფოსგან დიპლომატიური დაცვის მექანიზმების გამოყენების თავისებურებებზე, ფარგლებზე და შესაძლო შედეგებზე.

ნაშრომის მეექვსე თავში მოცემულია დეტალური მსჯელობა საერთაშორისო საინვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელ მატერიალურ და საპროცესო სამართალზე, ასევე გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესზე. ამ მიზნით, დეტალურადაა გაანალიზებული როგორც ICSID კონვენცია, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები, ინვესტორებთან არსებული ცალკეული საინვესტიციო კონტრაქტები და ასოცირების შესახებ შეთანხმება. გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის ნაწილში, საფუძვლიანადაა გამოკვლეული საერთაშორისო საჯარო სამართლის, სხვა მესამე ქვეყნის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების გამოყენების შესაძლებლობა და ფარგლები. ანალიზის შედეგად, გამოკვეთილია ის პრობლემური საკითხები, რომლებიც საარბიტრაჟო პრაქტიკას ახასიათებს.

ნაშრომის მეშვიდე თავი მიძღვნილი აქვს საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ისეთ პრობლემურ და აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმისა და სტაბილურობის კლაუზულის დათქმების გავლენა დავის გადაწყვეტის საშუალებებსა და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაზე. ასევე, განხილულია სტაბილურობის კლაუზულის შემთხვევები ქართულ კანონმდებლობაში და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შინაარსი საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან დადებულ საინვესტიციო შეთანხმებებში.

ნაშრომის მერვე თავს მჭიდრო კავშირი აქვს წინა თავებთან. ამ თავში განხილულია საინვესტიციო დავასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და მორიგებების ცნობა-აღსრულების, განმარტების, გადასინჯვის და გაუქმების პროცედურები. გაანალიზებულია საქართველოსთან დაკავშირებული კონკრე-

ტული საინვესტიციო დავები. დეტალურადაა გამოკვლეული ICSID არბიტრაჟის გადაწყვეტილების, სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ad hoc საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების პროცედურები. ასევე, განხილულია მედიაციისა და კონსილაციის გზით მიღწეული მორიგებების აღსრულების მექანიზმები. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ეთმობა ICSID ცენტრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და სხვა საარბიტრაჟო ცენტრების საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების განმარტების, გადასინჯვისა და გაუქმების შესაძლებლობის კვლევას.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა, სადაც შეჯამებულია კვლევის კონკრეტული შედეგები და მიგნებები, რომლებიც საკვლევი თემის სხვადასხვა ნაწილში გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა. ნაშრომში გამოკვლეული პრობლემური საკითხების გადაჭრის გზების, რეკომენდაციებისა და მიღებული დასკვნების შეჯამებით მიღწეულია ის მიზნები, რომლებიც წინამდებარე დისერტაციის შესავალ ნაწილშია მოცემული.

1. დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების წინაპირობები

1.1. უცხოური ინვესტიციის არსებობა

1.1.1. უცხოური ინვესტიციის განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტები

ინვესტიციის ცნების განსაზღვრას მნიშვნელოვანი როლი აქვს საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში. საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებებით[8] დადგენილი დაცვის გარანტიები ეხება მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებს.[9] შესაბამისად, ICSID და სხვა დავის განმხილველ ცენტრებში ინვესტორების მიმართვის უფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნება დაკავშირებული შესაძლო დარღვევა უცხოურ ინვესტიციებთან.[10]

უცხოური ინვესტიციის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით საინვესტიციო სამართალში არ არსებობს საერთო კონსენსუსი.[11] მეტიც, როგორც წესი, უმეტესი ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები თავს არიდებენ ინვესტიციის ცნების ამომწურავად განსაზღვრას.[12] ეს ფაქტი საინტერესოა მით უფრო, რომ დღეის მდგომარეობით, 3000-ზე მეტი ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმება არსებობს და ამის მიუხედავადაც კი, რთულია, ინვესტიციის ცნების ერთიან სტანდარტებზე და მიდგომებზე საუბარი.[13]

ინვესტიციის განსაზღვრება პირველად გვხდება გერმანიასა და პაკისტანს შორის 1959 წელს დადებულ პირველ ორმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო

---

8 უმჯობესია, თუ სახელმწიფოთა შორის არსებულ ისეთ ორმხრივ და მრვალამხრივ შეთანხმებებს, რომლებიც არეგულირებენ უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოვიხსნებიეთ, როგოც „საინვესტიციო შეთანხმებებს“, რადგან საქართველოს მიერ დადებული ასეთი საერთაშორისო აქტები მოხსენიებულია შეთანხმებად.

9 Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 333.

10 Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 497.

11 Spangenberg, J.E., Der Investitionsbegriff und die Zuständikeit ratione personae, Peter Lang GmbH, 2014, 5.

12 Metje, T,M, Der Investitionsschutz im internationalen Anlagebau, Mohr Siebeck Tübingen, 2008, 78.

13 Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 497.

შეთანხმებაში.[14] მართალია, 1948 წლის ჰავანის კონვენციაც[15] შეიცავდა დათქმებს უცხოური ინვესტიციების წახალისების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, თუმცა მასში არ იყო ნახსენები ინვესტიციის ცნება.[16] 1959 წლის პაკისტანისა და გერმანიის საინვესტიციო შეთანხმების 8(1) მუხლის თანახმად, ინვესტიციის ცნება მოიცავდა მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ინვესტიციის განხორციელების მიზნით, სხვადასხვა ფორმით შეტანილ კაპიტალს, როგორებიცაა უცხოური ვალუტა, სანივთო უფლებები, საქონელი, პატენტები და ასევე ტექნიკური ცოდნა. ამასთან, ინვესტიციის ცნებაში მოიაზრებოდა განხორციელებული ინვესტიციიდან მიღებული სარგებელიც. ასევე დადგენილი იყო, რომ რომ ნებისმიერი გაერთიანება, კომპანია ან მსგავსი სახის აქტივები, რომლებიც ზემოაღნიშნული აქტივების უტილიზაციის საფუძველზე წარმოიშვა, შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ინვესტიციად.[17] იმის გამო, რომ პაკისტანის და გერმანიის 1959 წლის საინვესტიციო შეთანხმება არ იცნობდა სახელმწიფოს და ინვესტორს შორის შესაძლო დავის გადაწყვეტის მექანიზმს, ცნების განსაზღვრის მნიშვნელობა ერთობ ლიმიტირებული იყო.[18]

ზოგადად, საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ინვესტიციის ცნება საერთოდ არ არსებობდა და ასეთ აქტივებს მოიხსენიებდნენ, როგორც უცხოელის საკუთრებას.[19] დღეის მდგომარეობით, ინვესტიციის ცნების ზოგადი განსაზღვრის მეთოდის შესაბამისად, მიჩნეულია, რომ ინვესტიცია მოიცავს ყველა სახის აქტივებს.[20] ინვესტიციის ცნების ზოგადი განსაზღვრის მაგალითია ენერგეტიკის ქარტია[21] (Energy Charter Treaty), რომლის 1(6) მუხლით დადგენილია, რომ ინვესტიცია არის ყველა სახის აქტივი, რომელიც საკუთრებაში ან მფლობელობაშია პირდაპირ ან არაპირდაპირ და მოიცავს: ა) მატერია-

[14] Treaty for the Promotion and Protection of Investments (with Protocol and exchange of notes), Bonn, 25/11/1959,<https://treaties.un.org/Pages/showDetails.aspx?objid=08000-00280132bef >[30.11.2023]

[15] ჰავანის 1949 წლის პროექტი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის (ITO) შექმნის შესახებ, <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/havana_e.pdf >[30.11.2023].

[16] Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 497.

[17] იქვე, 500.

[18] იქვე, 497.

[19] ცერცვაძე გ, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, 88.

[20] Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 500.

[21] Energy Charter Treaty, Lisbon, 1994, <https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ECTC-en.pdf >[30.11.2023]

ლური და არამატერიალურ ქონებას, მოძრავ და უძრავ ნივთებს, უფლებებს ლიზინგიდან, იპოთეკიდან, გირაოდან და თავდებობიდან; ბ) კომპანიას ან ბიზნეს საწარმოს, აქციებს და წილებს, ან/და წილობრივი მონაწილეობის სხვა ფორმებს კომპანიაში ან ბიზნეს საწარმოში, კომპანიის ან ბიზნესის საწარმოს ობლიგაციები და სხვა ვალდებულებები; გ) მოთხოვნები ფულად თანხაზე და მოთხოვნები ვალდებულების შესრულების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლებსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება და ასოცირებულია ინვესტიციასთან. დ) ინტელექტუალური საკუთრება; ე) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგება; ვ) ხელშეკრულებით, კანონით ან ნებისმიერი ლიცენზიის საფუძველზე მინიჭებული ნებისმიერი უფლება და კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვები, რომელთა შესაბამისადაც, შესაძლებელია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ენერგეტიკის სექტორში.[22] როგორც ვხედავთ, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და იძლევა ფართო განმარტების საშუალებას.

ლიტერატურაში მითითებულია, რომ საინვესტიციო შეთანხმებები, რომლებიც დაიდო 1990-იან წლებამდე ინვესტიციის ცნებას განსაზღვრავდნენ შედარებით შეზღუდულად. ეს მიდგომა იყო გარკვეულწილად ასახული ასევე საერთაშორისო სავაჭრო პალატის (International Chamber of Commerce) 1972 წლის გაიდლაინებშიც, სადაც განმარტებული იყო, რომ გაიდლაინი მიმართულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც სურთ განახორციელონ ბიზნესი და ინვესტიცია ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, კაპიტალის მოზიდვით მიმღებ (მასპინძელ) ქვეყანაში და მენეჯმენტის როლის ქონით, მკაფიო პირადი ინტერესის ქონით/პირადი ჩართულობით ბიზნეს საწარმოში.[23]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) თანახმად, საინვესტიციო შეთანხმებების მოდელით, გაფართოვდა ინვესტიციის ცნების არეალი.[24] ინვესტიციაში იგულისხმებოდა ნებისმიერი აქტივები და რესურსები, რომელთა ინვესტირებაც ხდება მოგების მიღების მიზნით.[25] ინვესტიციის ცნების განსაზღვრის ყველაზე ზოგადი მეთოდებია მოცემული ბრუნეის, სინგაპურს, ტაილანდს, ფილიპინებს და მალაიზიას შორის 1987 წელს გაფორმებულ ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ მრავალმხრივ

[22] Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 500-501.

[23] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 335.

[24] იქვე, 335.

[25] Görs, B., Internationales Investitionsrecht, Verlag Recht und Wirtschaft GmbH 2003, 193.

შეთანხმებებში (ASEAN), სადაც მითითებულია, რომ ინვესტიცია არის ყველა სახის აქტივები.[26] ინვესტიციის ცნების დადგენის ზოგადი მიდგომა არის ასევე არჩეული გერმანიის მიერ 2008 წელს შემუშავებულ მოდელურ შეთანხმებაშიც (German Model BIT).[27]

განსხვავებით ენერგეტიკის ქარტიისგან და დასახელებული აქტებისგან, ზოგიერთი ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება ითვალისწინებს ინვესტიციის ე.წ. „ჩაკეტილ" და ამომწურავ ჩამონათვალს. ასეთად მიიჩნეოდა ჩრდილო ამერიკის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების (NAFTA-ს) 1131-ე მუხლი, სადაც მოცემულია ამომწურავი ჩამონათვალი, თუ რა მიიჩნევა ინვესტიციად. ამასთან, დაკონკრეტებულია, თუ რა არ ჩაითვლება ინვესტიციად.[28]

გაცილებით ინოვაციური იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და სინგაპურის 2003 წლის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, სადაც მოცემულია ინვესტიციის ფართო ცნება. ცნება მოიცავს ნებისმიერ ქონებრივ აქტივს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ინვესტორის საკუთრებაში ან მფლობელობაში ან კონტროლდება ინვესტორის მიერ და რომელსაც აქვს ინვესტიციის ხასიათი.[29] ფაქტობრივად, ამ ცნებაში მოიაზრება ყველა სახის აქტივი, რომელიც არ არის აკრძალული. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფართო ცნება უფრო მეტად არის მორგებული ინვესტორის ინტერესებს და მას საშუალებას აძლევს, დაეყრდნოს ინვესტიციის დაცვით ნორმებს.

ICSID კონვენციაში არაა მოცემული ინვესტიციის ცნება, მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციად მიჩნევას აქვს ICSID არბიტრაჟისთვის ratione materiae-ს იურისდიქციული მნიშვნელობა. შესაბამისად, თუ დადგინდება, რომ საქმე ეხება უცხოურ ინვესტიციას, ინვესტორს შეეძლება მიმართოს არბიტრაჟს და მოითხოვოს ინვესტიციის შეზღუდვის გამო კომპენსაციის დაკისრება.[30] კონვენციის

[26] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 335.

[27] Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 500-501.

[28] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 336.

[29] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 335.

[30] Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 497.

25-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ცენტრის იურისდიქცია ვრცელდება ინვესტიციიდან პირდაპირ მომდინარე ნებისმიერ სამართლებრივ დავაზე, რომელიც წარმოიშობა ხელშემკვრელ სახელმწიფოს და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეს შორის და ამ დავის ცენტრისთვის გადაცემაზე მხარეები წერილობით არიან შეთანხმებულები.[31] ამდენად, კონვენცია დავის წარმოშობის შესაძლებლობას უკავშირებს მხოლოდ ინვესტიციის არსებობას, თუმცა არაფერს ამბობს თავად ინვესტიციის განსაზღვრებაზე. ICSID-ის შექმნისას დიდი დისკუსია მიმდინარეობდა ინვესტიციის ცნებასთან დაკავშირებით, თუმცა კონვენციაში ინვესტიციის ცნების საკითხი ღიად დარჩა.[32] საბოლოოდ, ინვესტიციის ცნების განსაზღვრა მიეკუთვნება ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენციას და მათ შეუძლიათ განსაზღვრონ ცნება ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში, რასაც შემდეგ საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაეყრდნობა.[33]

რაც შეეხება უშუალოდ პრაქტიკას, ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არაერთ საქმეში განმარტა ინვესტიციის ცნება. ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, სადაც ინვესტიციის ცნებაა მოცემული არის Fedax v Venezuela.[34] ინვესტიციის კრიტერიუმები ტრიბუნალმა დაადგინა Salini v Morocco[35] საქმეზეც 2001 წელს. Salini v Morocco-ს საქმეზე დადგინდა, რომ ინვესტიცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1) განხორციელებულ პროექტს უნდა ჰქონდეს გარკვეული ხანგრძლივობა 2) ინვესტორმა უნდა გასწიოს რისკები; 3) ინვესტორმა უნდა განახორციელოს მნიშვნელოვანი ვალდებულება; 4) პროექტს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა ინვესტიცის მიმღები (ბენეფიციარი) სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებისთვის; 5) პროექტის მიზანი უნდა იყოს მოგების და შემოსავლების მუდმივი მიღება. შემდგომში ამ კრიტერიუმებმა ე.წ. სალინის ტესტის სახელწოდება მიიღო.[36] ეს განმარტებები არ იქნა ერთმნიშვნელოვნად გაზიარებული პრაქტიკაში. პირველი „გადახვევა" ამ განმარტებისგან მოხდა საქმეზე Biwater Gauf v Tanzania, სადაც საქმე შეეხებოდა ინვესტორმა

[31] Griebel J., Internationales Investitionsrecht, Verlag C.H.Beck oHG 2008, 123.

[32] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 65.

[33] იქვე, 65.

[34] იქვე, 65.

[35] Salini Costruttori S.p.A. and Italstrade S.p.A. v. Kingdom of Morocco [I], ICSID Case No. ARB/00/4, Decision on Jurisdiction, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0738.pdf >[30.11.2023]

[36] Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 506-507.

განახორციელა 1 (ერთი) მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია და დამატებით მიავლინა პერსონალი და მიაწოდა Know–how. მოპასუხე აპელირებდა, რომ არ არსებობდა უცხოური ინვესტიცია, რადგან პროექტი არ იყო შედეგობრივად მოგებიანი. ტრიბუნალმა არ გაიზიარა ეს პოზიცია და დაადგინა ინვესტიციის არსებობა.[37] პროექტის მოგებიანობის აუცილებლობა არ იქნა გაზიარებული არც Malasian Historical Salvors v Malaysia საქმეზე.[38]

ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ასევე განიხილა საქმე kardassopoulos v georgia, რომელიც შეეხებოდა „ენერგეტიკის ქარტიიდან" და საქართველოს და საბერძნეთს შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებიდან[39] წარმოშობილ დავას. ტრიბუნალმა განმარტა, რომ ინვესტორის არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული წილები წარმოადგენდა ინვესტიციას. გარდა ამისა, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით, საარბიტრაჟო მოსარჩელის განხორციელებული ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო ნავთობისა და გაზის რესურსების მოძიებისა და ათვისების მიზნით, უნდა მიჩნეულიყო ინვესტიციად ICSID კონვენციიდან გამომდინარე. ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება დადებული იყო 25 წლის ვადით, კონცესია მოქმედებდა 30 წლის ვადით. გარდა ხანგრძლივობასთან დაკავშირებული კრიტერიუმისა, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ინვესტორის მიერ განხორციელებული ბიზნეს პროექტი მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის და უდავო იყო ინვესტიციის არსებობა.[40]

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინვესტიციის ცნებაში ასევე მოიაზრება ინტელექტუალური საკუთრების უფლებები[41], საჯარო სამართლებრივი კონცესიები[42]

---

[37] Dolzer R., Schreuer,C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press 2012, 65.

[38] იქვე, 67.

[39] შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ", 09.11.1994.

[40] Ioannis kardassopoulos and Ron Fuchs against The Republic of Georgia, ICSID Case Nos. ARB/05/18 and ARB/07/15, <https://www.italaw.com/cases/464> [30.11.2023]

[41] უმეტესობა ორმხრივი და მრავალმრივი საინვესტიციო შეთანხმებებისა და სავაჭრო ხელშეკრულებებისა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს მიიჩნევს ინვესტიციად. იხ., Shan W., Property Rights, Expropriation and Compensation, The Legal Protection of Foreign Investment A comparative Study, edited by Wenhua Shan, Oxford and Portland, Oregon, 2012, 49.

[42] Metje, T,M, Der Investitionsschutz im internationalen Anlagebau, Mohr Siebeck Tübingen, 2008, 78.

და ე.წ. BOT (Build – Operate – Transfer პროექტები). BOT-Projekten არის სხვადასხვა დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირების ფორმა, სადაც კერძო საწარმოები იღებენ ნებართვებს და უფლებებს, ე.წ. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში, განახორციელონ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ პროექტებში საჯარო ხელისუფლების მხარე არის დავალების მიმცემი, ხოლო კერძო საწარმო დავალების შემსრულებელი, რომელიც ახორციელებს პროექტს.[43] საგულისხმოა, რომ თანამშრომლობის მსგავს ფორმატს ითვალისწინებს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის 21-ე მუხლი ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების ძირითად პირობებს.[44]

სხვა ცალკეულ შემთხვევებში, მითითებულია, რომ ინვესტიცია შეიძლება იყოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებების ღირებულებას წარმოადგენს ის სიკეთე, რომელსაც ინვესტორი მიიღებს აღსრულების შედეგად.[45] ეს მიდგომა არ არის ერთიანი. მაგალითისთვის, საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება პირდაპირ შეიცავს დათქმას, რომ შეთანხმების მიზნებისათვის, არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან სხვა ბრძანება ან სასამართლო გადაწყვეტილება, გამოტანილი ინვესტიციასთან დაკავშირებით, არ განიხილება ინვესტიციად.[46]

ამგვარად, შესაძლებელია ითქვას, რომ არ არსებობს ინვესტიციის ერთიანი დეფინიცია. ცნების განსაზღვრა დამოკიდებულია მეტწილად მხარეებზე და მათ შეუძლიათ შესაბამისი კრიტერიუმების დადგენა საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებაში ან ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დადებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში (კონტრაქტში). იმის მიხედვით, თუ რა ჩანაწერი იქნება მხარეთა შორის არსებულ საინვესტიციო ხელშეკრულებებში, ინვესტიციის ცნებასთან დაკავშირებით, დავის განმხილველი ტრიბუნალების განმარტებები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალები მხოლოდ ისეთ დავებზე დაიდგენენ იურისდიქციას, თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავა უცხოურ ინვესტიციებს ეხება.

---

43 იქვე,11.

44 საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ", 04.05.2018.

45 Spangenberg, J.E., Der Investitionsbegriff und die Zuständikeit ratione personae, Peter Lang GmbH, 2014, 19.

46 საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ" შეთანხმების პირველი მუხლი.

1.1.2. უცხოური ინვესტიციის განსაზღვრება ქართულ სამართალსა და საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებებში

უცხოელ ინვესტორსა და საქართველოს შორის წარმოშობილ დავაში ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, თუ როგორ განისაზღვრება ინვესტიცია საქართველოს შიდა კანონმდებლობით ან საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებებით. ხშირია შემთხვევა, როდესაც საქართველოს მონაწილეობით, ერთ-ერთ სახელმწიფოსთან დადებული საინვესტიციო შეთანხმებაში განსაზღვრული ინვესტიციის ცნება არსებითად განსხვავდება არათუ შიდა კანონმდებლობაში მოცემულ ინვესტიციის ცნებასთან, არამედ საქართველოსა და სხვა მეორე სახელმწიფოს შორის დადებული სხვა საინვესტიციო შეთანხმებაში მოცემულ მოწესრიგებისგანაც. შესაბამისად, ამ საკითხის კვლევა აუცილებელია არბიტრაჟისა, თუ დავის გადაწყვეტის სხვა ინსტიტუციების მიერ იურისდიქციის სწორად დადგენისთვის.

1.1.2.1. შიდა კანონმდებლობა

საქართველოში ინვესტიციის ცნება განისაზღვრება „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით,[47] რომლის პირველი მუხლის თანახმად, ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. შესაბამისად, გარკვეული აქტივის ინვესტიციად მიჩნევისთვის, კანონი ადგენს რამდენიმე აუცილებელ კრიტერიუმს. ესენია: 1) მოგების მიზნით. ანუ, ინვესტირება მიზნად უნდა ისახავდეს მოგების მიღებას. 2) ინვესტიცია უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე. 3) ინვესტიციის განხორციელება უნდა ხდებოდეს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით. ამასთან, განმარტებულია, რომ ინვესტიციად მიიჩნევა როგორც უფლებები, ასევე ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობები. შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციის ცნების დასადგენად საქართველო ე.წ. ზოგად მიდგომას ირჩევს და არ ადგენს იმ აქტივობების ამომწურავ ჩამონათვალს, თუ რა მიიჩნევა ინვესტიციად. რაც შეეხება ფასეულობებს და უფლებებს, პირველი მუხლის მეორე პუნქტი ადგენს, რომ ინვესტიციის მიზნებისათვის, ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ასევე უძრავი და მოძრავი ქონება,

[47] „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონი, 11.12.1996.

მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა. გარდა ამისა, ინვესტიცია შეიძლება იყოს მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კონცესია), პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ", გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა. ამასთან, ინვესტიცია შეიძლება სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, თუ კანონმდებლობით არ არის აკრძალული. ინვესტიცია, მიუხედავად იმისა, თუ რა სახისაა იგი, წარმოადგენს საკუთრების უფლების ობიექტს.[48]

ინვესტიციის ცნების განსაზღვრას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. როგორც არაერთხელ აღინიშნა, უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებული დაცვითი ნორმები ვრცელდება მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება უცხოურ ინვესტიციას. ცნების განსაზღვრისთვის არაპირდაპირი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო აკრძალვებსაც და იმ სფეროების განსაზღვრას, სადაც ინვესტირება დაუშვებელია. საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ კანონის მე-9 მუხლით დადგენილია სფეროები, სადაც აკრძალულია ინვესტიციის განხორციელება. მაგალითისთვის, ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში; უცხო ქვეყნიდან ბირთვული და სახიფათო ნარჩენების აღდგენისა და განთავსების მიზნით შემოტანაში. ასევე, ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში.[49] ბუნებრივია, ამ სფეროში მიმართული აქტივობა არ ჩაითვლება ინვესტიციად, რადგანაც საქართველო კრძალავს დასახელებულ სფეროებში ინვესტირებას.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონი არ არის ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც ინვესტირებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციებისთვის დამატებითი ხელშემწყობ ღონისძიებებს ადგენს „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონი,[50] რომლის მე-9 მუხლში მითითებულია, რომ ინვესტორს, რომელიც გეგმავს, განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით

[48] გაბისონია ზ., საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2002, 13.<https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Nov/dissertations/gabisonia_sainvesticio_disertacia.pdf > [30.11.2023]

[49] "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

[50] „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონი, 30.06.2006.

მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უფლება აქვს, საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვოს თავის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციების სტატუსის მისაღებად მოცემულია ორი კრიტერიუმი. ინვესტიციის ოდენობა უნდა აღემატებოდეს 8 მილიონ ლარს ან ამ ინვესტიციის გახნხორციელების შემთხვევაში უნდა მიიღწეოდეს გარკვეული სტრატეგიული მიზნები. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებულ ინვესტიციას, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 2 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით დადებით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით.[51]

სპეციფიკურია ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დადებული საინვესტიციო კონტრაქტის ბუნება. ზოგადად, აპრობირებული პრაქტიკაა, რომ საინვესტიციო კონტრაქტების პირობები უნდა იყოს კონფიდენციალური, მაშინ როდესაც, განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მქონე ინვესტორთან არსებული კონტრაქტის პირობები საჯაროა.[52] განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭებისას საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ინვესტიციის პირობები. მხარეთა შეთანხმებით საინვესტიციო გეგმასა და ხელშეკრულებაში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები, ხოლო ხელშეკრულების პირობები კი საჯაროა.[53]

განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მოქმედებს განსაზღვრული ვადით.[54] „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლში ჩამოთვლილია წინაპირობები, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი უქმდება. გაუქმების საფუძველია, თუ

[51] „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

[52] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, თბილისი, 2020, 48.

[53] „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი.

[54] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, თბილისი, 2020, 48.

ინვესტორმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის გაუქმება არ იწვევს უკვე გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიებისა და ნებართვების) გაუქმებას.

როგორც აღინიშნა, ქართული კანონმდებლობა იცნობს როგორც ინვესტიციის, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციის ცნებებს. განსაკუთრებული სტატუსის მქონე ინვესტიციები ორი მნიშვნელოვანი მახასიათებლით გამოირჩევიან. პირველი ისაა, რომ განსაკუთრებული ინვესტიციის მქონე სტატუსისას ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დადებული საინვესტიციო კონტრაქტის პირობები არის საჯარო. ამასთან, ინვესტიციის მოცულობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ შესაძლოა ასეთ ინვესტორებს დაუწესოს გარკვეული შეღავათები, რაც მითითებული იქნება საინვესტიციო კონტრაქტში.

1.1.2.2. ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები

ინვესტიციის განსაზღვრის მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები. ინვესტიციის ცნება განსაზღვრულია თითქმის ყველა შეთანხმებაში. აუცილებელია იმაზე ხაზგასმა, რომ ხშირ შემთხვევაში, საინვესტიციო შეთანხმებებში მოცემული ინვესტიციის ცნება მნიშვნელოვნად განსხვავდება „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონში მოცემული ცნებისგან და ცალკეულ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კიდეც. ამასთან, ურთიერთგანსხვავებულია საქართველოს მიერ დადებულ საინვესტიციო შეთანხმებებში უცხოური ინვესტიციის ცნების განსაზღვრის კრიტერიუმები.

2021 წლის 29 იანვარს, ხელი მოეწერა საქართველოსა და იაპონიას შორის „ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმებას“,[55] რომლის პირველი მუხლის (a) ქვეპუნქტში მოცემულია ინვესტიციის საკმაოდ საინტერესო განმარტება, რომლის მიხედვითაც, გარდა იმისა, რომ ტერმინი „ინვესტიცია“ ნიშნავს ყველა სახის აქტივს, ინვესტიცია უნდა განხორციელდეს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, ინვესტიციას უნდა ჰქონდეს ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა კაპიტალის ან სხვა რესურსების დაბანდება, სარგებლის ან მოგების მოლოდინი ან რისკის ვარაუდი.

[55] საქართველოსა და იაპონიას შორის „ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმება“, 23.07.2021.

შინაარსის გათვალისწინებით, საინტერესოა საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საემიროებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება,[56] რომლის პირველი მუხლის თანახმად, ტერმინი „ინვესტიცია“ ნიშნავს ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორის მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მხარის სახელმწიფოში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, პირდაპირ და არაპირდაპირ საკუთრებაში არსებულ და ინვესტირებულ ყველა სახის ქონებას, რომელიც მოიცავს მოძრავ და უძრავ ქონებას, ასევე, ნებისმიერ სხვა ქონებრივ უფლებას, როგორიცაა: გირაო, იპოთეკა, უზუფრუქტი და მსგავსი უფლებები. ანუ, ხელშეკრულება ინვესტიციად მიიჩნევს სანივთო უფლებებსაც. ინვესტიციადაა ასევე მიჩნეული როგორც აქციები, წილები, ვალდებულებები და კომპანიაში მონაწილეობის სხვა ფორმები ასევე სხვადასხვა სახის ვალდებულებები, ობლიგაციები, სესხები და ვალის სხვა ფორმები; ამავე მუხლით, დადგენილია, რომ ინვესტიციას განეკუთვნება ფულადი თანხები და მოთხოვნები და სხვა ნებისმიერი აქტივი, რასაც ეკონომიკური ღირებულება გააჩნია. ასევე, ინტელექტუალური და სამეწარმეო საკუთრების უფლებები, როგორებიცაა: საავტორო უფლებები, სავაჭრო ნიშნები, პატენტები, ტექნიკური პროცესები, ნოუ-ჰაუ და გუდვილი, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციასთან. ცალკე არის დათქმა, რომ უცხოური ინვესტიცია არის ასევე კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული ისეთი უფლებები როგორიცაა: კონცესიები, ლიცენზიები, უფლებამოსილებები ან ნებართვები. მიუხედავად ფართო ჩამონათვალის არსებობისა, ეს სია არ არის ჩაკეტილი და ინვესტიცია შეიძლება იყოს სხვა ნებისმიერი ქონებრივი აქტივიც. ამასთან, შეთანხმების მიზნებისთვის, ქონება ინვესტიციად განიხილება, თუ მას გააჩნია ინვესტიციისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმები, მათ შორის, ისეთი კრიტერიუმების ჩათვლით, როგორიცაა კაპიტალის ან სხვა რესურსების დაბანდება, შემოსავლის ან მოგების მიღების მოლოდინი და შესაძლო რისკი.[57]

საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკას შორის არსებული შეთანხმების[58] პირველი მუხლის შესაბამისად, ტერმინი „ინვესტიცია“ ნიშნავს

[56] საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება“, 17.07.2017.

[57] საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების პირველი მუხლი.

[58] შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ“, 24.11.2006.

ნებისმიერი სახის ქონებასა და უფლებას, დაბანდებულს და მოპოვებულს ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორის მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, მისი კანონმდებლობის შესაბამისად. აქ გამოყოფილია რამდენიმე კრიტერიუმი და ინვესტიციის უცხოურად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ინვესტირება მოხდეს მეორე მხარის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის პირის მიერ. ამასთან, ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ამავე ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერი იურიდიული პირის მიერ დაბანდებული ინვესტიციები, რომლებსაც ფაქტობრივად ფლობენ და პირდაპირი და არაპირდაპირი გზით აკონტროლებენ მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები, მიიჩნევა ამ უკანასკნელი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ დაბანდებულ ინვესტიციებად, იმ პირობით, რომ ინვესტიციები დაბანდებულია პირველი ხელშემკვრელი მხარის კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად.[59] ხაზგასასმელია, რომ საქართველოს და ფინეთს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, არაა საკმარისი იურიდიული პირის მხოლოდ ფორმალური რეგისტრაცია ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე. მოთხოვნილია, რომ ეს იურიდიული პირი უნდა კონტროლდებოდეს მეორე მხარის პირების მიერ.

საქართველოს მიერ ერთ-ერთი პირველი საინვესტიციო შეთანხმება არის საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმება.[60] შეთანხმების პირველი კარის პირველი პუნქტის თანახმად, ტერმინი „ინვესტიცია“ მოიცავს: ყველა სახის ქონებრივ ფასეულობას, რომელსაც ერთ-ერთი მონაწილე მხარის ინვესტორი დააბანდებს მეორე მონაწილე მხარის კანონებისა და წესების გათვალისწინებით ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე და რომელიც მოიცავს: ა) მოძრავ და უძრავ ქონებას, აგრეთვე, სხვა ქონებრივ უფლებებს; ბ) კომპანიებში წილობრივი, სააქციო და სხვა სახით მონაწილეობის უფლებებს; გ) მოთხოვნის უფლებას თანხაზე ან სხვა რომელიმე ქმედებაზე, რასაც გააჩნია ეკონომიკური ღირებულება; დ) საავტორო უფლებებს, საწარმოო საკუთრებას, ნოუ-ჰაუს და ტექნოლოგიურ პროცესებს; ე) კანონით გაცემულ კონცესიებს, მათ შორის ბუნებრივი რესურსების მოკვლევასა და დამუშავებას. ამავე მუხლში არის დათქმა, რომ ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ეს შეთანხმება საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ შეეხება ინვესტიციებს, რომლებიც განხორ-

[59] საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

[60] საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმება“, 03.06.1993.

ციელებულია მისი ძალაში შესვლამდე ან შემდეგ ერთ-ერთი მონაწილე მხარის ინვესტორების მიერ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის კანონებისა და წესების გათვალისწინებით.[61]

ინვესტიციის ცნების განსაზღვრის კუთხით, ძალიან საინტერესოა საქართველოს და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებული შეთანხმება, რომელიც ინვესტიციის ნაცვლად იყენებს ტერმინს „კაპიტალდაბანდებას". კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, ცნება „კაპიტალდაბანდებანი" მოიცავს ყველა სახის ქონებრივ აქტივს. ამასთან, კაპიტალდაბანდებად, ანუ ინვესტიციად არის მიჩნეული უფლება იმ მომსახურებაზე, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება გააჩნია.[62]

გერმანიასთან არსებული დასახელებული ხელშეკრულება გარკვეულწილად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ". კანონის პირველი მუხლი მოითხოვს, რომ ინვესტიცია უნდა განხორციელდეს მოგების მიღების მიზნით. მაშინ როდესაც, გერმანიასთან არსებული ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ტერმინი საზოგადოება (ინვესტორი) არის ყოველი იურიდიული პირი, ისევე როგორც ყოველი კომერციული ან სხვა სახის საზოგადოება ან გაერთიანება იურიდიული პირის უფლებებით ან მის გარეშე, რომლებიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მათი საქმიანობა მიმართული მოგების მიღებისაკენ და საქართველოს რესპუბლიკისათვის ყოველ ეკონომიკურ სუბიექტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მისი საქმიანობა მიმართული მოგების მიღებისაკენ.[63] როგორც ვხედავთ, ინვესტირება შეიძლება მოხდეს იმ პირის მიერაც, რომელსაც მოგების ინტერესი საერთოდ არ აქვს და არც ამ ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა მოგების მისაღებად განკუთვნილი. ბუნებრივია, თუ განმარტების საკითხი დადგა დღის წესრიგში, უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებას, „ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად.

[61] საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ" შეთანხმების მე-11 კარი.

[62] საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის „კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ" ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

[63] საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის „კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ" ხელშეკრულების პირველი მუხლის მეხუთე პუნქტი.

ამდენად, ერთმანეთისგან განსხვავდება შიდა კანონმდებლობა და საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები. ეს განსხვავებები იწვევს იმას, რომ ინვესტორს და საქართველოს სახელმწიფოს შორის დავის შემთხვევაში, განმხილველი ტრიბუნალები ინვესტიციას არსებობას და შესაბამისად, თავიანთ კომპეტენციასაც განსაზღვრავენ ინდივიდუალურად, თითოეული საინვესტიციო შეთანხმებიდან გამომდინარე. თავისთავად ის ფაქტი, რომ შიდა კანონმდებლობაში მოცემული ინვესტიციის ცნება ცალკეულ შემთხვევებში განსხვავდება საინვესტიციო შეთანხმების მოცემული განმარტებებისგან, ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს ერთიანი სტრატეგია და მიდგომა და საქართველოს დადებულ შეთანხმებებში პირობები განსაზღვრულია მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ, რომელიც არის როგორც წესი, კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყანა.

1.1.3. ინვესტიციის სახეები

ინვესტიციის სახეების განსაზღვრა მნიშვნელოვანია დავის განმხილველი ორგანოს მიერ იურისდიქციის დადგენისათვის, რათა შესაძლებელი იყოს იმის განსაზღვრა კონკრეტულ შემთხვევაში, საინვესტიციო შეთანხმების, კონტრაქტის, თუ სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე, დადგინდეს, არის თუ არა საერთოდ ინვესტიცია მოცემული კონკრეტული ეკონომიკური აქტივობა. ინვესტიციები ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, როგორც ფორმის, ასევე განხროციელების გზების მეშვეობითაც.

ლიტერატურაში ხშირად ერთმანეთისგან განასხვავებენ პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს (Foreign direct Investment) და პორტფელურ (არაპირდაპირი ინვესტიცია) ინვესტიციებს.[64] ამ განსხვავებას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და ინვესტიციის ერთ ან მეორე სახედ მიჩნევა იწვევს ურთიერთგანსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს.

ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) განსაზღვრების თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის ინვესტიციის ისეთი კატეგორია, როდესაც ინვესტორის კაპიტალის გადატანა ხდება ერთი ქვეყნიდან (ინვესტორის ქვეყნიდან) სხვა ქვეყანაში (ინვესტიციის ბენეფიციარი სახელმწიფო) არსებულ მეწარმე სუბიექტში და ეს ინვესტირება მიზნად ისახავს ხანგრძლივ ურთიერთობის ჩამოყალიბებას და მოგების მიღებას.[65]

---

[64] Spangenberg, J.E., Der Investitionsbegriff und die Zuständikeit ratione personae, Peter Lang GmbH, 2014, 9.

[65] იქვე, 8.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად მიიჩნევა ინვესტიცია, თუ ინვესტირების შემდეგ ინვესტორის წილი სხვა ქვეყანაში არსებულ საწარმოში აღემატება 10 %-ს.[66] უცხოური ინვესტიციები არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თანამედროვე ეკონომიკურ მოდელში.[67] პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელება ინვესტიციის მიმღებ სახელმწიფოში ხდება ახალი საწარმოს დაფუძნების გზით, ასევე უკვე არსებული კომპანიების შერწყმით ან გაყოფით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ინვესტორმა მიიღოს საწარმოს სრული ან ნაწილობრივი კონტროლი.[68] პრაქტიკაში, როგორც წესი, ინვესტორებს აქვთ ინვესტირებულ საწარმოებში კვალიფიციური უმრავლესობა ან შვილობილ საწარმოებში საკმარისი გავლენის შესაძლებლობა.[69] კონტროლის ელემენტი მიჩნეულია, როგორც მნიშვნელოვანი კრიტერიუმი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის.[70]

უცხოური პორტფელური ინვესტიციები არის ისეთი ინვესტიცია, რომელიც ხორციელდება სხვა ქვეყანაში არსებულ საწარმოში და ინვესტირების შემდეგ ინვესტორის საკუთრებაში არსებული ხმის უფლების მქონე აქციები და წილები არის 10%-ზე ნაკლები.[71] ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ პორტოფელური ინვესტიცია შესაძლოა იყოს 10 %-ზე მეტი, თუმცა აუცილებლად უნდა იყოს 25 %-ზე ნაკლები.[72] ამასთან, მიჩნეულია, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და პორტფელურ ინვესტიციებს შორის განსხვავება არის არა იმდენად განხორციელების ფორმაში, არამედ მოცულობაში.[73] პორტფელური ინვესტიციები ბენეფიციარ სახელმწიფოში ხორციელდება კაპიტალის ბაზრის საშუალებით.[74] ესენი შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდები ან აქციების წილები, ისე რომ ინვეს-

66 Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press 2015, 38-39.

67 იქვე, 39.

68 Spangenberg, J.E., Der Investitionsbegriff und die Zuständikeit ratione personae, Peter Lang GmbH, 2014, 8.

69 იქვე, 8.

70 Schokkaert, J., Heckscher, Y., International Investment Protection, Comparative Law Analysis of Bilateral and Multilateral inerstate Conventions, Doctrinal Texts and Arbitral Jurispudence concerning Foreign Investments, Bruylant Bruxelles, 2009, 8.

71 Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press 2015, 39.

72 Spangenberg, J.E., Der Investitionsbegriff und die Zuständikeit ratione personae, Peter Lang GmbH, 2014, 9.

73 Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press 2015, 39.

74 Spangenberg, J.E., Der Investitionsbegriff und die Zuständikeit ratione personae, Peter Lang GmbH, 2014, 9.

ტორს არ აქვს არსებითი ხმის უფლების მქონე პაკეტი საწარმოში.[75] ასეთ ინვესტორებს არ აქვთ ინტერესი საწარმოს მართვასთან ან/და სხვა მენეჯერული გადაწყვეტილებების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც მათ ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად შეიძლება ჰქონდეთ. პორტფელური ინვესტორები გამოირჩევიან იმით, რომ მართალია, ისინი ფლობენ წილებს საწარმოში, თუმცა არ მონაწილეობენ მართვაში.[76]

ერთმანეთისგან განასხვავებენ ასევე საჯარო და კერძო ინვესტიციებს. საჯარო ინვესტიციები ხორციელდება სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, როგორც წესი სესხებისა და კრედიტების ფორმით და მიზნად ისახავს მიმღები სახელმწიფოს ეკონომიკურ დახმარებას. ამ ინვესტიციების პირდაპირი მიზანი არის დახმარება და არა მოგების მიღება. კერძო ინვესტიცია არის ყველა დანარჩენი ინვესტიცია, რომელიც ხორციელდება კერძო პირების ან კერძო საწარმოების მეშვეობით და მიზნად ისახავს განხორციელებული ინვესტიციის მეშვეობით მოგების მიღებას.[77] შედეგობრივი განსხვავება მდგომარეობს იმაშიც, რომ როდესაც ინვესტიცია ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში და ორივე მხარეს სახეზეა საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტი, დავის შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო საჯარო სამართალში დადგენილი წესები.[78]

ინვესტიციის განხორციელების ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს საერთაშორისო სესხი. უმეტესად, მსგავსი სესხების გაცემა, ხდება ურთიერთდაკავშირებულ სუბიექტებს შორის. ამ ინვესტიციის განხორციელების მიზნით კორპორაციებმა შესაძლოა დააფუძნონ შვილობილი და აფილირებულ კომპანიები.[79]

პრაქტიკაში, ინვესტიციების მოზიდვა ხდება ასევე საერთაშორისო ობლიგაციების მეშვეობით. მთავრობები და კერძო კომპანიები კაპიტალის გაზრდის მიზნით უშვებენ ობლიგაციებს, ბანკნოტებს ასევე სხვა ფასიან ქაღალდებს და რომლებიც კაპიტალის ბაზარზე ივაჭრება ინვესტორებს შორის. მიიჩნევა, რომ საბანკო სექტორის და სხვა კერძო ინვესტორების მიერ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში დაბანდება არის მაქსიმალურად უსაფრთხო და ლიკვიდური. ასეთი ფასიანი ქაღალდები არის უმეტესად დენომინირებული დოლარში, ევროში, იენში და სხვა კონვერტირებად ვალუტებში.[80] ობლიგაციების და ბონდების მეშ-

[75] იქვე, 9.

[76] იქვე, 9.

[77] იქვე, 11.

[78] იქვე, 11.

[79] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 40.

[80] იქვე, 40.

ვეობით კაპიტალის მოზიდვა არის საკმაოდ აპრობირებული მეთოდი საინვესტიციო ურთიერთობებში. ამის მაგალითია, ამერიკის 2012 წლის მოდელური BIT, რომელიც შეიცავდა დათქმას იმის შესახებ, რომ ინვესტიციად მიიჩნევა ასევე ბონდები, სხვა საკრედიტო ინსტრუმენტები და სესხები.[81]

ინვესტიციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მომწოდებლების (Supplier's) და სხვების კრედიტები.[82] კომპანიების მიერ სხვა ქვეყანაში ხშირად ხდება საქონლის გაყიდვა კრედიტის საფუძველზე. ხშირ შემთხვევაში ეს კრედიტები უზრუნველყოფილი არის შესაბამისი ფინანსური დაწესებულების ან სამთავრობო ინსტიტუტების მიერ. ასეთი კრედიტი საშუალებას აძლევს მყიდველს, მიიღოს მისთვის საჭირო პროდუქტი და საფასური გადაიხადოს გარკვეული დროის შემდეგ, მომწოდებელთან არსებული ხელშეკრულების შესაბამისად. მსგავს სიტუაციებში, (განსხვავებით სესხისგან, ობლიგაციებისგან ან სხვა კომპანიის შესყიდვისგან) არ ხდება ფინანსების მიერ „საზღვრის კვეთა", თუმცა ასეთი კრედიტი ინვესტიციად მიიჩნევა, რადგან მომწოდებელმა თავისი კაპიტალი ჩადო საქონელში, რომელიც მყიდველს მიაწოდა და ელოდება, რომ მყიდველის მიერ, ხელშეკრულების შესაბამისად, მას აუნაზღაურდება საქონლის ნასყიდობის საფასური და ასევე კრედიტთან დაკავშირებული შეთანხმებული პროცენტი.[83]

ინვესტიციად მიიჩნევა ასევე ე.წ. Joint Venture, სადაც უცხოელი პარტნიორების წილი არის მინიმუმ 50%.[84] უცხოურ ინვესტიციებს წარმოადგენს ე.წ. სადილერო კონტრაქტებიც, სადაც მხარეებს წარმოადგენს დილერი უცხოელი ინვესტორი და ბენეფიციარ სახელმწიფოში არსებული დილერი. ასეთი ხელშეკრულებების შესაბამისად, ადგილობრივი დილერი ხშირად იღებს მატერიალურ საშუალებებს საბოლოო პროდუქტის დასამზადებლად.[85]

ინვესტიციად არის აღიარებული ისეთი ხელშეკრულებები, როგორიცაა სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის დადებული კონცესიის ხელშეკრულებები, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, სამშენებლო ხელშეკრულებები, მიწის ნასყიდობის ხელშეკრულებები და სხვა

---

81 Bischoff A. J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 497.

82 Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 41.

83 იქვე, 41.

84 Schokkaert, J., Heckscher, Y., International Investment Protection, Comparative Law Analysis of Bilateral and Multilateral inerstate Conventions, Doctrinal Texts and Arbitral Jurispudence concerning Foreign Investments, Bruylant Bruxelles, 2009, 11.

85 იქვე, 12.

მსგავსი ხელშეკრულებები. საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში ინვესტიციის ფორმები და ტრანსაქციების ოდენობა სწრაფად იზრდება. არ არსებობს ინვესტიციის ფორმების ამომწურავი ჩამონათვალი და ეჭვგარეშეა, რომ მომავალში ასეთი ფორმების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.[86]

ამდენად, უცხოელი ინვესტორი ყოველთვის იქნება უფლებამოსილი, მიმართოს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებს იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმით განახორციელა მან ინვესტიცია მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მთავარია, კონკრეტული ეკონომიკური აქტივობა აღიარებული იყოს უცხოურ ინვესტიციად.

1.2. დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებაზე უფლებამოსილი ინვესტორები

სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორებს შორის დავის განხილვისას, იურისდიქციის დადგენის მიზნით, აუცილებელია, განისაზღვროს, თუ ვინ არის დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებაზე უფლებამოსილი ინვესტორები. საინვესტიციო საქმიანობისა და ზოგადად საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების განვითარების შედეგად, ისტორიულად, წლების განმავლობაში, თანდათან ჩამოყალიბდა ინვესტორთა რამდენიმე სახე, რომლებიც შესაძლებელია ოთხ კატეგორიად დაიყოს: ა) კერძო ინვესტორები; ბ) სახელმწიფო ინვესტორები; გ) საერთაშორისო ორგანიზაციები; დ) სხვადასხვა შერეული საწარმოები.[87] აღიარებულია, რომ ინვესტორები ასევე არიან ცალკეული სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები და სახელმწიფოთა სუვერენული სიმდიდრის ფონდები. ცალკეულ გარემოებებში, შეიძლება საუბარი იმაზეც, რომ არასამეწარმეო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეკონომიკური პროექტები არის ინვესტიცია.

1.2.1. კერძო და საჯარო ინვესტორები

ინვესტორები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური პირები, ასევე იურიდიული პირებიც.[88] მიუხედავად ფიზიკური პირების ინვესტორად ყოფნად უფლებისა და შესაძლებლობისა, კერძო ინვესტორებს შორის, როგორც წესი, უფრო

[86] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 41.

[87] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, თბილისი, 2020, 54.

[88] Dolzer r., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 44.

მნიშვნელოვანი და გავრცელებული პირები არიან კორპორაციები და ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც არიან იურიდიული პირები.[89]

ინვესტორთა დიდ კატეგორიას წარმოადგენს სახელმწიფოს დაფუძნებული საწარმოები ან ის საწარმოები, რომელთა კონტროლი ხდება სახელმწიფოს მიერ.[90] საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი შექმნილია იმ მიზნით, რომ წაახალისოს და დაიცვას უცხოელი კერძო ინვესტორების აქტივობები. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ დაცვა ასევე გავრცელდეს მთავრობის კონტროლირებად საწარმოებზე, თუ მათი აქტივობა არის უფრო მეტად კომერციული ხასიათის, ვიდრე სამთავრობო ფუნქციების მატარებელი.[91] სახელმწიფოები აფუძნებენ კომპანიებს და მათი საშუალებით ცდილობენ ინვესტირებას. ეს ტენდენცია ბოლო პერიოდში ძალიან აქტუალური გახდა. მიზანი, რის გამოც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოში ინვესტირება შეიძლება განპირობებული იყოს პოლიტიკური და ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

სახელმწიფო ინვესტორების გავრცელებული სახეა სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები და სუვერენული სიმდიდრის ფონდები.[92] სახელმწიფო სუვერენული სიმდიდრის ფონდები ფართოდ არის დანერგილი მსოფლიო პრაქტიკაში და ერთ-ერთ ასეთ უდიდეს ფონდს წარმოადგენს ნორვეგიის სუვერენული სიმდიდრის ფონდი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ფლობს აქციებს და წილებს 9000-ზე მეტ კომპანიაში და ამ მხრივ, ერთ-ერთ უდიდეს ინვესტორს წარმოადგენს.[93] სავარაუდოა, რომ მომდევნო წლებში სახელმწიფოების კუთვნილი საწარმოების ან სახელმწიფოს მხარდაჭერილი საინვესტიციო აქტივობები კიდევ უფრო გაიზრდება.[94] ტენდენციის გაძლიერების ბევრი წინაპირობა არსებობს, რაც მოიცავს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ელემენტებსაც. მაგალითად, 2004 წლიდან ჩინეთის მიერ აფრიკის კონტინენტზე საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვანმა გააქტიურებამ წარმოშვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა მასშტაბის და რა სახის გეოპოლიტიკური გავლენა ექნება ამ ფაქტს.[95]

---

89 Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 32.

90 იქვე, 33.

91 Dolzer r., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 44.

92 Konrad S., Protection of Investments by States, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 545-546.

93 <https://www.nbim.no/en/the-fund/about-the-fund/> [30.11.2023]

94 Konrad S., Protection of Investments by States, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 546.

95 Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 33.

მიუხედავად სახელმწიფო ინვესტორების აქტიურობის მზარდი ტენდენციისა, სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების მიერ ICSID არბიტრაჟში სარჩელით მიმართვის შემთხვევები სულ რამდენიმეა. ამასთან, არ არის ცნობილი ისეთი გადაწყვეტილების შესახებ, სადაც საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა უარი უთხრეს ინვესტორს საჩივრის განხილვაზე მხოლოდ იმის გამო, რომ ის იყო სახელმწიფო ინვესტორი. მეტიც, საქმეზე Kaliningrad Region v Lithuania ტრიბუნალმა მიიღო საჩივარი განსახილველად და ჩათვალა, რომ რუსეთსა და ლიეტუვას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებიდან გამომდინარე, კალინინგრადის რეგიონული მთავრობა შესაძლოა ყოფილიყო ინვესტორი. მხარეთა შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების 1(1) მუხლის თანახმად, რუსი ინვესტორი ნიშნავდა ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებული იყო რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, და ინვესტირებას ახორციელებდა ლიეტუვის ტერიტორიაზე.[96]

არაერთი საინვესტიციო შეთანხმება იცავს სახელმწიფო ინვესტორებს. ამის კარგი მაგალითია ამერიკის 2004 წლის მოდელური საინვესტიციო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ინვესტორად მიიჩნევა ასევე საწარმოები, რომლებიც დაფუძნებულია ან კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. მსგავსად არის ინვესტორის ცნება განმარტებული იაპონიასა და ვიეტნამს შორის და უნგრეთს და ქუვეითს შორის არსებულ BIT-ებშიც.[97]

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სხვა სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებული საინვესტიციო ორგანოს მიერ ინვესტირების მაგალითად მოყვანილია 2005 წლიდან განხორციელებული ინვესტიციები, რომლებიც არაბული სახელმწიფო საინვესტიციო ორგანოების მიერ განხორციელდა და დღესაც ერთერთ მნიშვნელოვან უცხოურ ინვესტიციად მიიჩნევა საქართველოში.[98]

გარდა ზემოთ დასახელებულისა, ინვესტორების მნიშვნელოვანი კატეგორია არის საერთაშორისო ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომლებიც დაფუძნებულია სახელმწიფოთა მიერ. ამ ორგანიზაციებს აქვთ საერთაშორისო საჯაროსამართლებრივი სტატუსი. ყველაზე ცნობილი ასეთი ორგანიზაციებია: მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ამერიკის ქვეყნების განვითარების ბანკი, ასევე სხვადასხვა რეგიონული განვითარების ბანკები. დასახე-

[96] Konrad S., Protection of Investments by States, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 548-549.

[97] იქვე, 547-548.

[98] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, თბილისი, 2020, 55.

ლებული საერთაშორისო ინსტიტუტები ინვესტირებას ახორციელებენ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ სხვადასხვა რეგიონში ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური განვითარების მიზნით, ეს ინსტიტუტები ყოველწლიურად ახდენენ მილიარდობით დოლარის ინვესტიციას და ამასთან ერთად, ისინი იღებენ გარკვეულ მოგებასაც მათივე ინვესტირებული თანხებიდან.[99] არსებობს ასევე შემთხვევები, როდესაც მსგავსი ფინანსური ინსტიტუტები ინვესტირებას ახორციელებენ კერძო საწარმოებშიც. მაგალითად, 2023 წელს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) თურქულ რითეილ კომპანია DeFacto-ში განახორციელა ინვესტიცია და შეიძინა მინორიტარული წილი 59 მილიონ აშშ დოლარად.[100]

1.2.2. შერეული საწარმოები

ინვესტორთა მნიშვნელოვანი კატეგორია არის ე.წ. შერეული საწარმოები. შერეული საწარმოს მაგალითებია სხვადასხვა ტიპის ინვესტორთა გაერთიანებები, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ ინვესტიციას სხვადასხვა სფეროში. მაგალითისთვის, ეს საქმიანობები შეიძლება იყოს ავიახაზების ოპერირება ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა წარმოება.[101] ინვესტორთა ასეთ გაერთიანებები ხშირად იღებენ მონაწილეობას ცალკეულ დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მაგალითად, როგორიცაა ელექტროენერგიის გამომუშავება და გადაცემის სისტემები, ასევე სატელეკომუნიკაციო ქსელები. ინვესტიციის განხორციელების პროცესში შეიძლება ერთდროულად იყვნენ სახელმწიფო საწარმოები, სხვადასხვა კერძო კომპანიები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა გაერთიანებებიც ერთიან ინვესტორად მოქმედებს. ასეთ შერეულ საწარმოებში ხშირად მონაწილეობენ ხოლმე ისეთი ორგანიზაციები როგორიცაა მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები.[102]

ქართულ რეალობაში შერეულ საწარმოებად შეიძლება მიჩნეული იქნეს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კონსორციუმი, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირთა გაერთიანებას ან/და კერძო სამართლის

[99] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 34.

[100] <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/53938.html> [30.11.2023]

[101] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, თბილისი, 2020, 56.

[102] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 35.

იურიდიულ პირთა და ფიზიკურ პირთა გაერთიანებას ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების საფუძველზე.[103] შერეული საწარმოების შემთხვევაში, მიჩნეულია, რომ როგორც თავად ეს ამხანაგობა, კონსორციუმი, ასევე თავად ცალკეული ინვესტორებიც არიან უფლებამოსილები, მიმართონ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებს.[104]

1.2.3. არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO)

სამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ არასამეწარმეო ორგანიზაციებიც კი შეიძლება მიჩნეულ იქნენ როგორც ინვესტორები, თუ მათი საქმიანობის და აქტივობების ბუნებიდან ეს გამომდინარეობს[105]. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს (NGOs), მათაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახელმწიფოში ქონებრივი აქტივები, როგორიცაა ჰოსპიტლები, სკოლები, მედია-საშუალებები და გაზეთები. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას ამ აქტივების სამართლებრივი დაცვის საკითხი. ამ ფონზე, უცხოურ ლიტერატურაში გამოთქმულია კრიტიკა, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივების დაცვას არასაკმარისი ყურადღება ექცევა საინვესტიციო შეთანხმებებში.[106]

ცალკეული BIT-ები იძლევა იმის საშუალებას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მოექცნენ ინვესტორის განმარტებაში. გერმანიასა და ბულგარეთის საინვესტიციო შეთანხმება შეიცავდა ინვესტორის ცნების ფართო განმარტებას და ინვესტორად მოიაზრებდა ყველა იურიდიულ პირს, როგორც კომერციულ ორგანიზაციებს, ასევე სხვა გაერთიანებებს და არასამეწარმეო სუბიექტებს. ანალოგიური განმარტება არის მოცემული გერმანიასა და ეგვიპტეს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაში, სადაც ნათქვამია, რომ ინვესტორი შეიძლება იყოს იურიდიული პირები, კომპანიების და კორპორაციების ჩათვლით, ბიზნესასოციაციები და სხვა ორგანიზაციები, რომელთა პირდაპირი მიზანი შეიძლება არ იყოს მოგების მიღება.[107] თუმცა, სხვა ცალკეული BIT-ები, როგორიცაა ირანსა და თურქეთს შორის დადებული საინვესტიციო შეთანხმება, არაფერს ამბობენ ამ საკითხის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა არასამთავრობო ორგანიზაციების ინვესტორად მიჩნევასთან

[103] „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

[104] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2020, 91.

[105] Dolzer R.,Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 44.

[106] იქვე, 555-556.

[107] იქვე, 558.

დაკავშირებით. იმისთვის, რომ მათ ისარგებლონ საინვესტიციო სამართლით დადგენილი დაცვითი ნორმებით, შესაძლოა მოთხოვნილი იქნეს, რომ მათი საქმიანობა უნდა მოიცავდეს რეალურ ეკონომიკურ აქტივობასაც.[108]

1.2.4. წინა საინვესტიციო პროცედურებთან დაკავშირებული საარბიტრაჟო სარჩელები

ერთ-ერთი სადავო საკითხი საინვესტიციო სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში არის წინა საინვესტიციო პროცედურებთან დაკავშირებული საქმეების საარბიტრაჟო განხილვის შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი საქმე, რომლის განხილვაც ICSID ტრიბუნალს მოუწია იყო Mihaly Internationl Corporation v Sri Lanka. 1993 წელს, Mihaly Internationl Corporation-მა დადო მემორანდუმების სერია შრი-ლანკის მთავრობასთან იმ იმედით, რომ იგი მიიღებდა ხელშეკრულებას 300 მეგავატის ელექტრო სადგურის აშენებასთან დაკავშირებით. ეს მემორანდუმები შეიცავდნენ დათქმებს მხარეთა სურვილის შესახებ, განხორციელებულიყო პროექტი, თუმცა არ ითვალისწინებდა მთავრობის ვალდებულებას, დაედო ხელშეკრულება ინვესტორთან და აეღო ვალდებულება პროექტის კონკრეტულად ამ ინვესტორის მიერ შესრულებასთან დაკავშირებით. მემორანდუმებში კონკრეტულად იყო მითითებული, რომ ეს დოკუმენტები არ წარმოშობდა მხარეთა ვალდებულებებს. მას შემდეგ, რაც შრი-ლანკის მთავრობამ გადაიფიქრა პროექტის განხორციელება და უარი განაცხადა Mihaly-სთან ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ინვესტორმა გადაწყვიტა, მიემართა ICSID ტრიბუნალისთვის. Mihaly უთითებდა, რომ მის მიმართ დაირღვა თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის სტანდარტი, რის გამოც ინვესტორმა დაკარგა მოგების მიღების შესაძლებლობა.[109]

ზემოთ დასახელებული ინვესტორის საარბიტრაჟო სარჩელი ეყრდნობოდა შრი-ლანკასა და აშშ-ს შორის 1991 წელს დადებულ საინვესტიციო შეთანხმებას. ტრიბუნალმა 2002 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით, დაადგინა, რომ არ არსებობდა ცენტრის იურისდიქცია. წარმოდგენილი სარჩელი ვერ აკმაყოფილებდა კონვენციის 25-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და პრობლემა იყო როგორც ratione materiae-სთან, ასევე ratione personae-სთან დაკავშირებით. ტრიბუნალმა განაცხადა, რომ მოსარჩელე ვერ ჩაითვლებოდა ინვესტორად, რადგან არ ყოფილა ინვესტირება განხორციელებული, ხოლო წინა საინვესტიციო დანახარჯები არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო ინვესტიციად. განსხვავებული აზრი

[108] იქვე, 558-559.

[109] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 197.

დააფიქსირა ინვესტორის დანიშნულმა ბრიტანელმა არბიტრმა.[110] ტრიბუნალმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მემორანდუმების არასავლდებულო ხასიათზე. ამასთან, ლიტერატურაში მითითებულია, რომ ინვესტორმა ტრიბუნალს არ წარუდგინა რაიმე არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ შრი-ლანკასა და აშშ-ს შორის არსებული BIT-ის შესაბამისად, წინასაინვესტიციო ხარჯები შესაძლოა ყოფილიყო ინვესტიცია, მაშინ როდესაც, ეს საინვესტიციო შეთანხმება ითვალისწინებდა ინვესტიციის ძალიან ფართო ცნებას და სულაც არ იყო აუცილებელი, რომ ინვესტიცია განხორციელებულიყო აუცილებლად ხელშეკრულების დადების შემდეგ. ინვესტორმა ძირითადი დასაბუთება ააგო თანასწორი და სამართლიანი მოპყრობის სტანდარტის დარღვევაზე.[111]

PSEG v Turkey საქმეზე, ICSID ტრიბუნალმა დაადგინა ცენტრის იურისდიქცია. ინვესტორისთვის ICSID ტრიბუნალისთვის მიმართვის საფუძველი გახდა თურქეთის მთავრობის მიერ კონცესიის ხელშეკრულების გაწყვეტა, თუმცა ინვესტორს არ ჰქონდა დაწყებული რაიმე სამშენებლო პროცესი. საარბიტრაჟო მოპასუხე აცხადებდა, რომ არ არსებობდა ცენტრის იურისდიქცია და პრეცედენტად უთითებდა Mihaly Internationl Corporation v Sri Lanka-ს საქმეს. ტრიბუნალმა არ გაითვალისწინა თურქეთის პოზიცია და განმარტა, რომ განსხვავებით დასახელებული საქმისგან, განსახილველ დავაში არსებობდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, წინასაინვესტიციო ეტაპი იყო გავლილი და არსებული ხელშეკრულება იყო ნამდვილი, სამართლებრივი ძალის მქონე. რეალურად, თურქეთის მთავრობას უკვე აღებული ჰქონდა ინვესტორის წინაშე ვალდებულებები, მაშინ როდესაც, შრი-ლანკა პირდაპირ უთითებდა მემორანდუმებში, რომ ეს დოკუმენტები არ წარმოადგენდა სამართლებრივად მავალდებულებელ აქტებს.[112] ამ საქმეზე, როგორც ექსპერტებმა, მოსაზრებები წარადგინეს პროფესორმა რუდოლფ დოლცერმა და დეივიდ რივკინმა, თუმცა ამ მოსაზრებების გამოქვეყნება არ მომხდარა.[113]

არ არსებობს ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აუცილებელი შეიძლება იყოს ICSID ტრიბუნალის იურისდიქციის გაფართოება Pre-Investment Expenditure-სთან დაკავშირებული სარჩელების განსახილველად

[110] Mihaly International Corporation v. Democratic Socialist Republic of Sri Lanka (ICSID Case No. ARB/00/2), <https://www.italaw.com/cases/702> [30.11.2023]

[111] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 197-198.

[112] იქვე, 198-199.

[113] PSEG Global, Inc., The North American Coal Corporation, and Konya Ingin Electrik Üretim ve Ticaret Limited Sirketi v. Republic of Turkey, ICSID Case No. ARB/02/5, <https://www.italaw.com/cases/880> [30.11.2023]

მიღებით. გამოთქმულია, ვარაუდი, რომ ასეთი საქმეების განხილვის დაშვებამ, შესაძლოა, წაახალისოს ინვესტორების დაუსაბუთებელი სარჩელების მომზადება იმ იმედით, ხარჯების და სამომავლო გადაწყვეტილების არაგანჭვრეტადობის გამო, ბენეფიციარი სახელმწიფოები დაითანხმონ შეთანხმებებზე.[114]

1.2.5. მინორიტარი აქციონერი და მეწილეები, როგორც საარბიტრაჟო მოსარჩელეები

მინორიტარი მეწილეების და აქციონერების დაცვა საერთაშორისო დავის გადაწყვეტის მექანიზმებით არის კონტრავერსიალური თემა დღესაც.[115] უცხოური ინვესტიციების საკმაოდ დიდი ნაწილი ხორციელდება უკვე არსებულ ადგილობრივ კომპანიებში და უნდა განისაზღვროს, როგორ მოხდება ამ ინვესტიციების დაცვა საერთაშორისო მექანიზმებით, მაშინ როდესაც, კომპანია, სადაც ინვესტიცია განხორციელდა, არაა უცხოელი ინვესტორი. ასეთ შემთხვევაში, წარმოიშობა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქვს მინორიტარ პარტნიორს უფლება, პირდაპირი წვდომა ჰქონდეს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე.[116]

იმისათვის, რომ გარანტირებული იყო მეწილეების უფლებების დაცვა, სახელმწიფოები საინვესტიციო შეთანხმებებში აკეთებენ ისეთ ზოგად დათქმებს, როგორიცაა „ინვესტიცია არის ნებისმიერი ქონებრივი აქტივი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება მეორე მხარის ინვესტორის მიერ“ ან/და „აქციები საფონდო ბირჟებზე ან რაიმე ინტერესი კომპანიაში ან ქონებრივ სიკეთეში”, შეიძლება იყოს ინვესტიცია. ასეთი დათქმები ფარავენ ე.წ. „პორტფელურ“ ინვესტიციებსაც (10 %-ზე ნაკლები წილის ფლობა). ასეთი მონაწილეობა ადგილობრივ კომპანიებში ითვლება ინვესტიციად, თავად საინვესტიციო შეთანხმების მიხედვით. ამგვარად, თუ ასეთი წილის მესაკუთრეს შეეძლება მიმართოს დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს, თუ ბენეფიციარი სახელმწიფოს ქმედებამ ზიანი გამოიწვია.[117]

Barcelona Traction-ის საქმე ნათლად აჩვენებს, რომ დღემდე რთულია მეწილეების დაცვა საინვესტიციო დავის დროს. ამ საქმეში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) არ მიიღო ბელგიის სარჩელი განსახილვე-

[114] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 200.

[115] Bottini, G., Indirect Claims under the ICSID Convention, University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 29:3, 2008, 563.

[116] Bottini, G., Indirect Claims under the ICSID Convention, Classics in Inernational Investment Law, edited by August Reinish, volume II, Edward Elgar Publishing Limited, 2014, 153-154.

[117] იქვე, 161.

ლად იმ დასაბუთებით, რომ დაზარებული კომპანია იყო კანადური კომპანია და ამის გათვალისწინებით, სარჩელის უფლებაც მხოლოდ კანადას ჰქონდა. სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ კომპანიის მეწილეების უმეტესობა ბელგიელი იყო. ამ საქმის ნეგატიური შედეგების თავიდან ასარიდებლად, საინვესტიციო შეთანხმებებში მხარეები პირდაპირ ითვალისწინებენ, რომ მიმართვის უფლება აქვს ასევე მეწილეებსაც.[118]

ICSID კონვენციის 25-ე მუხლი ითხოვს, რომ ცენტრის იურისდიქციისათვის, აუცილებელია, დავა არსებობდეს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ინვესტორს და ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის და ეს დავა პირდაპირ გამომდინარეობდეს ინვესტიციიდან. პრობლემა ხშირად ჩნდება, როდესაც ინვესტირება ხორციელდება ადგილობრივ კომპანიაში, ხოლო ამ კომპანიის მეწილეები არიან მეორე ქვეყნის პირები. რეალურად, ადგილობრივი კომპანია ვერ აკმაყოფილებს უცხოელი პირის კრიტერიუმებს, ხოლო მეწილეების უფლებაზე, იდავოს საერთაშორისო მექანიზმების საშუალებით, ცალკეულ შემთხვევებში პრობლემას აწყდება ბენეფიციარი სახელმწიფოების მრიდან.[119]

CMS v Argentina-ს საქმეში მოსარჩელეს ჰქონდა 29.42 % წილი TGN-ში, რომელიც იყო არგენტინული კომპანია და ჰქონდა კონცესია გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით. CMS აცხადებდა, რომ არგენტინამ დაარღვია აშშ-ს და არგენტინას შორის არსებული BIT. არგენტინამ უარყო სარჩელი და მიუთითა, რომ მოსარჩელე საერთოდ არ იყო ინვესტორი და მას არ შეიძლება ჰქონოდა უფლება, მიემართა ტრიბუნალისთვის. არგენტინის პოზიციით, კონცესია ჰქონდა მხოლოდ TGN-ს და CMS იყო მხოლოდ მინორიტარი აქციონერი ამ კომპანიაში. იურისდიქციის დადგენისას ტრიბუნალი დაეყრდნო აშშ-ს და არგენტინას შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებას, სადაც მითითებული იყო, რომ ინვესტიციას წარმოადგენდა ასევე წილები კომპანიაში. ტრიბუნალმა არ გაიზიარა არგენტინის პოზიცია, რომელიც აცხადებდა, რომ წილების ფლობასთან დაკავშირებული ჩანაწერი ეხებოდა მხოლოდ ეფექტურ კონტროლს, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იყო თავისთავად ამ წილების რაოდენობასთან. ტრიბუნალმა უარყო ასეთი ვიწრო განმარტება და დაადგინა, რომ პარტნიორებს აქვთ უფლება, მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციიდან მომდინარე დავებზე მიმართონ ICSID ტრიბუნალს.[120]

---

[118] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 202.

[119] Bottini, G., Indirect Claims under the ICSID Convention, Classics in Inernational Investment Law, edited by August Reinish, volume II, Edward Elgar Publishing Limited 2014, 158-159.

[120] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political

CMS v Argentina-ს საქმისგან განსხვავებით, ტრიბუნალმა არ დაადგინა საკუთარი იურისდიქცია EL Paso v Argentina[121] და Impregilo v Argentina[122] საქმეებზე. ტრიბუნალებმა მიუთითეს, რომ CMS v Argentina-ს საქმეში იურისდიქციის საფუძველი იყო ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება და მოსარჩელე იყო უცხოური კომპანია, რის გამოც არსებული BIT-ი კომპანიის პარტნიორს აძლევდა არბიტრაჟისთვის მიმართვის უფლებას. ბოლო ორ საქმეში კი, საარბიტრაჟო მოსარჩელეები იყვნენ ადგილობრივი კომპანიები, სადაც წილი ჰქონდათ უცხოელებს. ადგილობრივი კომპანია ვერ ექცევა უცხოელი ინვესტორის დეფინიციაში. ტრიბუნალის მითითებით, CMS v Argentina-ს საქმეში იურისდიქციის დადგენისთვის აუცილებელი იყო არა უფლებების შესაძლო დარღვევა ან კონცესიის მოსარჩელეზე გაცემა ან არ გაცემა, არამედ მოსარჩელის კუთვნილება საინვესტიციო შეთანხმების მეორე მხარისადმი, რაც მას უცხოელი ინვესტორის სტატუსს ანიჭებდა.[123]

1.2.6. არაპირდაპირი აქციონერები და მეწილეები, როგორც საარბიტრაჟო მოსარჩელეები

სხვადასხვა ეკონომიკური მიზეზის გამო, უცხოელი ინვესტორები ინვესტირებას ახორციელებენ არაპირდაპირ, სხვადასხვა შვილობილი კომპანიების მეშვეობით. Siemens v Argentina-ს საქმეზე საარბიტრაჟო სარჩელი აღძრა არაპირდაპირმა მეწილემ. საქმის გარემოებები იყო შემდეგი. არგენტინის ხელისუფლებამ შეწყვიტა საინვესტიციო კონტრაქტი Siemens IT Servisces SA (SITS)-სთან. ეს უკანასკნელი იყო გერმანიაში დაფუძნებული კომპანიის Siemens Nixdorf Informationssysteme AG (SNI)-ს მიერ არგენტინაში დარეგისტრირებული კომპანია. თავის მხრივ, Siemens Nixdorf Informationssysteme AG (SNI)-ს წილები სრულად ეკუთვნოდა კომპანია Siemens-ს. არგენტინა აცხადებდა, რომ რადგანაც SITS-ში წილებს ფლობდა პირდაპირ არა Siemens, არამედ SNI, არ ჰქონდა Siemens უფლება მიემართა საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის. ტრიბუნალმა არ გაიზიარა არგენტინის პოზიცია, დაეყრდნო გერმანიასა და არგენტინას შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებას და განაცხადა, რომ საინვესტიციო შე-

Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 329.

[121] El Paso Energy International Company v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/15, <https://www.italaw.com/cases/382> [30.11.2023]

[122] Impregilo S.p.A. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/07/17, <https://www.italaw.com/cases/554> [30.11.2023]

[123] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 331.

თანხმება არ ახდენდა პირდაპირი და არაპირდაპირი აქციონერების დიფერენცირებას და ინვესტიციის ცნება მოიცავდა ყველა ქონებრივ სიკეთეს წილების, უფლებების ან კომპანიაში სხვა სახით მონაწილეობის ფორმებს.[124]

ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს არაპირდაპირი მეწილეებთან დაკავშირებული ინვესტიციები არ არის დიდი ოდენობის და მაღალი ეკონომიკური მნიშვნელობის. სწორედ Siemens v Argentina საქმეზე არგენტინისთვის დაკისრებულმა თანხებმა შეადგინა 435 მილიონ დოლარზე მეტი.[125]

უფლება არაპირდაპირი აქციონერისა, მიმართოს დავის განმხილველ არბიტრაჟს, დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ეს უფლება დადგენილი თავად იმ შეთანხმებით, რომელი შეთანხმებითაც არბიტრაჟს გადაეცა დავის განხილვის უფლებამოსილება. საქმეზე Standart Chartered Bank v Tanzania, ტრიბუნალს უნდა განემარტა, მოიცავდა თუ არა ბრიტანეთსა და ტანზანიას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება არბიტრაჟის იურისდიქციას არაპირდაპირ მეწილეებზე. მოსარჩელე იყო Standart Chartered Bank, ბრიტანული კომპანია, რომლის შვილობილმა კომპანია Standart Chartered Bank (Hong Kong)-მა სესხი გასცა ტანზანიურ კომპანიაზე, რათა აშენებულიყო ელექტრო სადგური. საინვესტიციო ხელშეკრულების თანახმად, ICSID მექანიზმი ვრცელდებოდა მხარის ინვესტორებზე. მოსარჩელე აცხადებდა, რომ რადგან იგი ფლობდა წილებს Standart Chartered Bank (Hong Kong)-ში, იგი იყო ინვესტორი და შესაბამისად ბრიტანული კომპანიაც, რასაც არ იზიარებდა საარბიტრაჟო მოპასუხე. გარდა ინვესტორის ცნებისა, ტრიბუნალმა ყურადღება მიაქცია ინვესტიციის განმარტებას ბრიტანეთსა და ტანზანიას შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაში, რომლითაც დადგენილი იყო, რომ ინვესტიცია უნდა განხორციელებულიყო უშუალოდ ინვესტორის მიერ ან მას უნდა ჰქონოდა პირდაპირი კონტროლი ინვესტირებულ კაპიტალზე. იმის გამო, რომ მოსარჩელემ ვერ აჩვენა ტრიბუნალს ასეთი კონტრიბუცია ან კონტროლი გაცემულ სესხზე, დადგინდა, რომ მოსარჩელე არ იყო ინვესტორი და ტრიბუნალს არ ჰქონდა იურისდიქცია, განეხილა ეს დავა.[126]

შესაძლებელია, კომპანიის პარტნიორებმა, როგორც ინვესტორებმა, მიმართონ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებს. ICSID ცენტრიც უშვებს შესაძლებლობას, რომ განხილულ იქნეს ასეთი დავები. CMS v Argentina

[124] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 204-205.

[125] Siemens A.G. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/02/8, <https://www.italaw.com/cases/1026> [30.11.2023]

[126] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 206.

საქმის შემდეგ, ჩამოყალიბდა ტრენდი, რომ ცენტრისთვის მიმართვის უფლება აქვთ, როგორც მინორიტარ, ასევე მაჟორიტარ პარტნიორებს. პარტნიორები და მშობელი კომპანიები (არაპირდაპირი პარტნიორები) აკმაყოფილებენ rationae personae-ს კრიტერიუმს, კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად.[127] როგორც აღინიშნა, გადამწყვეტი ფაქტორი არის ის, თუ რამდენად გაითვალისწინეს მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას ასეთი პირების უფლება, საინვესტიციო დავის შემთხვევაში მიმართონ ცენტრს, როგორც უცხოელმა ინვესტორებმა.

1.3. უცხოელ ინვესტორად ყოფნა, როგორც დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე წვდომის წინაპირობა

იმისათვის, რომ ინვესტორმა მიიღოს წვდომა დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე და მოექცეს ICSID კონვენციით ან სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებებით დადგენილ რეგულირებაში, აუცილებელია, რომ ეს ინვესტორი აკმაყოფილებდეს უცხოელი ინვესტორად ყოფნის წინაპირობებს. სხვა შემთხვევაში, ბენეფიციარ სახელმწიფოსთან დავის არსებობისას, ინვესტორს მოუწევს მხოლოდ დავის გადაწყვეტის შიდა მექანიზმებით და ეროვნული სასამართლოებით დაკმაყოფილება.

1.3.1. ინვესტორთა ეროვნულობის განსაზღვრის საერთაშორისო სტანდარტები

1.3.1.1. ფიზიკური პირების შემთხვევაში

საერთაშორისო ინვესტორს წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კაპიტალის ან სხვა აქტივის ექსპორტს ერთი სახელმწიფოდან მეორეში და ამ ტრანზაქციას აქვს ინვესტიციის ხასიათი.[128] ზოგადად, ფიზიკური პირის მოქალაქეობის განსაზღვრა ხდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომლის მოქალაქეცაა ეს პირი. მოქალაქეობის დადგენის მყარ მტკიცებულებას წარმოადგენს ცნობა კონკრეტული მოქალაქეობის შესახებ.[129]

[127] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 332.

[128] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 42.

[129] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press 2012, 45.

როგორც წესი, თავად ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები განსაზღვრავენ ინვესტორის ნაციონალობის (ეროვნულობის), მისი ერთ-ერთი მხარისათვის კუთვნილების დადგენის კრიტერიუმებს. ამ კრიტერიუმების წინასწარ დადგენას აქვს აშკარა და პირდაპირი მიზანი. საინვესტიციო სამართლის დაცვითი ნორმებით, უპირველესად, დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებით, ისარგებლებს მხოლოდ ის ინვესტორი, რომელიც არის მეორე ქვეყნის ინვესტორი. რაც შეეხება ადგილობრივ ინვესტორებს, მათ საქმიანობაზე ვრცელდება მხოლოდ მათივე ქვეყნის მიერ დადგენილი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტის შიდა მექანიზმები.[130]

თუ საქმე ეხება ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალს, ინვესტორის დეფინიციები, რომლებიც მოცემულია ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში, ყოველთვის წაკითხული უნდა იქნეს ICSID კონვენციასთან ერთად, რადგანაც საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ კონვენციის შესაბამისად ხდება ინვესტორის ეროვნულობის განსაზღვრა.[131] ფიზიკური პირების შემთხვევაში, ICSID კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად, სხვა ხელშემკვრელი ქვეყნის მოქალაქე არის ის პირი, რომელსაც არ აქვს მოპასუხე სახელმწიფოს მოქალაქეობა ამ სახელმწიფოს მიერ ICSID ცენტრის იურისდიიქციაზე თანხმობის განცხადების დღისთვის ან/და ინვესტორის მიერ საარბიტრაჟო განაცხადის ან კონსილაციის განაცხადის შესახებ განცხადების რეგისტრაციის დღისთვის. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ინვესტორს ზემოთდასახელებულ რომელიმე დღეს არ ჰქონდეს დავის მონაწილე მოპასუხე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობაც.[132] შესაბამისად, კონვენცია გამორიცხავს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების მიმართვის შესაძლებლობას.

ICSID კონვენცია თავად არ განსაზღვრავს მოქალაქეობის კრიტერიუმებს. რეალურად, კონვენციის ავტორების მიზანიც სწორედ ის იყო, რომ კონვენციის წევრი სახელმწიფოებისათვის მიენიჭებინათ მაქსიმალური მოქნილობა და თავისუფლება, თავად დაედგინათ მოქალაქეობის კრიტერიუმები და ამ გზით მეტ ინვესტორს ჰქონოდა წვდომა კონვენციით დადგენილ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე.[133]

---

[130] Schlemmer, E, C., Investment, Investor, Shareholders, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 71.

[131] იქვე, 70-71.

[132] იქვე, 70-71.

[133] Reed L,f., Davis J,E., Who is a Protected Investor, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 617.

საინვესტიციო სამართალში ფიზიკური პირის ნაციონალობის (ეროვნულობა) დასადგენად სპეციფიკური წესები არსებობს, როდესაც საქმე ეხება ორი ან მეტი სახელმწიფოს მქონე მოქალაქეებს. ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობა არსებობს, როდესაც ინვესტორს აქვს ერთი მოქალაქეობა და ამავდროულად, სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მას აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც. მოქალაქეობის მიღება შეიძლება მოხდეს ნატურალიზაციის გზითაც.[134]

იმ შემთხვევაში, როდესაც ინვესტორს აქვს ორი ან მეტი ქვეყნის მოქალაქეობა, მოქმედებს დომინანტური, ეფექტური მოქალაქეობის განსაზღვრის მეთოდი. ამ ცნების გამოყენების ერთ-ერთი მთავარი პრეცედენტია Nottebohm-ის საქმე. Frederic Nottebohm იყო გერმანელი ფიზიკური პირი, რომელიც 1905 წლიდან იმყოფებოდა და მუშაობდა გვატემალაში და ლიხტენშტაინის მოქალაქეობა მიიღო 1939 წელს. განსახილველ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის სასამართლოს (International Court of Justice) მიერ 1955 წელს დადგინდა, რომ Nottebohm-ს არ ჰქონდა ნამდვილი და ეფექტური კავშირი ლიხტენშტაინთან.[135]

Husein Nuaman Soufraki v The United Arab Emirates-ს საქმეზე ICCSID საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ დაადგინა ცენტრის იურისდიქცია, რადგანაც მოსარჩელე ვერ აკმაყოფილებდა კონვენციის 25 (2) მუხლის მოთხოვნებს. ინვესტორი უთითებდა, რომ მას ჰქონდა კანადის და იტალიის ორმაგი მოქალაქეობა. ინვესტორს სურდა, საარბიტრაჟო სარჩელი დაეფუძნებინა იტალიასა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებაზე. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ინვესტორმა დაკარგა იტალიის მოქალაქეობა მაშინვე, როგორც კი მან მიიღო კანადის მოქალაქეობა და განსაზღვრა თავისი საცხოვრებელი ადგილი საზღვარგარეთ. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიუთითა, რომ ინვესტორის სარჩელი ვერ აკმაყოფილებდა მოქალაქეობის კრიტერიუმს. ერთ-ერთი არგუმენტი ისიც იყო, რომ ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაშიც კი, ტრიბუნალი ყურადღებას მიაქცევდა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეობა იყო დომინანტური და ეფექტური.[136]

---

[134] Schokkaert, J., Heckscher, Y., International Investment Protection, Comparative Law Analysis of Bilateral and Multilateral inerstate Conventions, Doctrinal Texts and Arbitral Jurispudence concerning Foreign Investments, Bruylant Bruxelles, 2009, 223-224.

[135] Reed L,f., Davis J,E., Who is a Protected Investor, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 625.

[136] Schlemmer, E, C., Investment, Investor, Shareholders, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 71.

Olguin v Paraguay-ს[137] საქმეში საარბიტრაჟო მოსარჩელე ეყრდნობოდა პარაგვაისა და პერუს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებას. მოპასუხე პარაგვაი უთითებდა, რომ ინვესტორს პერუს მოქალაქეობის პარალელურად ჰქონდა აშშ-ს მოქალაქეობაც და ის ამერიკაში აღზრდილი იყო. მართალია, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ინვესტორს მართლაც ჰქონდა ორმაგი მოქალაქეობა, თუმცა ტრიბუნალის მითითებით, ორივე მოქალაქეობა იყო ეფექტური, რის გამოც ინვესტორისთვის პერუს მოქალაქეობის ქონა საკმარისი იყო, რათა მიემართა ტრიბუნალისთვის.[138]

ცალკე აღებული ეთნიკური, კულტურული ან ენობრივი კავშირი არაა საკმარისი ფაქტორები პირის რომელიმე სახელმწიფოსადმი კუთვნილების დასადგენად. Fakes v Turkey-ს[139] საქმეზე ტრიბუნალმა არ გაიზიარა თურქეთის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ინვესტორს ჰქონდა იორდანიის და ნიდერლანდების ორმაგი მოქალაქეობა და მასზე არ ვრცელდებოდა თურქეთსა და ნიდერლანდებს შორის არსებული BIT-ით დადგენილი ნორმები. ტრიბუნალის პოზიციით, თურქეთის მითითება ნიდერლანდების მოქალაქეობის ეფექტურობის ნაკლზე იმ დასაბუთებით, რომ „genuine link"-ის[140] წესებით, ინვესტორი დაკავშირებული იყო უფრო მეტად იორდანიასთან, არ იყო საკმარისი არგუმენტი.

ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით, ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ დადგენილია, რომ კონვენციის შესაბამისად, ინვესტორი ვერ მიმართავს ICSID ცენტრს, თუ ინვესტორს აქვს ბენეფიციარი სახელმწიფოს მოქალაქეობა (ერთ-ერთი მოქალაქეობა). სწორედ ასეთი განმარტება გააკეთა ტრიბუნალმა საქმეზე Champion Trading v Egypt, სადაც საარბიტრაჟო მოსარჩელე იყო ერთდროულად აშშ-ს და ეგვიპტის მოქალაქე. ტრიბუნალმა არ გაიზიარა ეგვიპტის მოქალაქეობის ეფექტურობის ნაკლის შესახებ არგუმენტები და მიუთითა, რომ კონვენციის დებულებები ცხადად ადგენს, რომ ცენტრის იურისდიქცია არ გავრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ინვესტორი არის ინვესტიციის ბენეფიციარი სახელმწიფოს მოქალაქეც.[141]

---

137 Eudoro Armando Olguín v. Republic of Paraguay, ICSID Case No. ARB/98/5

138 Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press 2012, 46.

139 Saba Fakes v. Republic of Turkey, ICSID Case No. ARB/07/20, <https://www.italaw.com/cases/429> [30.11.2023]

140 საერთაშორისო საჯარო სამართალში „genuine link" ნიშნავს კავშირს სახელმწიფოსთან, კულტურული, ენობრივი, სოციალური და სხვა მსგავსი ნიშნების შესაბამისად. <https://www.cambridge.org/core/journals/american-journal-of-international-law/article/abs/genuine-link-doctrine-and-flags-of-convenience/CB0A537F85CBC8716A03BD55F3998FBC> [30.11.2023].

141 Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 46-47.

საინტერესოა, ICSID-ის დამატებითი წესებით (Additional Facility) განხილული საქმეების ანალიზიც. NAFTA-ს ტრიბუნალმა საქმეზე Feldamn v Mexico, რომელიც გამომდინარეობდა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებიდან, დაადგინა, რომ აშშ-ს მოქალაქეობის მქონე ინვესტორის სარჩელთან დაკავშირებით არსებობდა ტრიბუნალის კომპეტენცია, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მექსიკაში ინვესტორს გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ტრიბუნალის მითითებით, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს და ინდივიდს შორის კავშირის დასადგენად, მოქალაქეობა არის უპირატესი კრიტერიუმი, ვიდრე საცხოვრებელი ადგილი ან სხვა გეოგრაფიული მახასიათებლები.[142]

ინვესტორის მოქალაქეობასთან დაკავშირებით, ტრიბუნალმა განიხილა ასევე ერთ-ერთი საქმე, სადაც საარბიტრაჟო მოსარჩელე იყო ბიძინა ივანიშვილი, ხოლო მოპასუხე საქართველო. ინვესტორი არგუმენტებს აფუძნებდა საქართველოს და საფრანგეთს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაზე. საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის მომენტისთვის ბიძინა ივანიშვილი არ ყოფილა საქართველოს მოქალაქე. საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მოსარჩელემ თავად იშუამდგომლა ICSID არბიტრაჟში საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით. რეალურად, საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ, აღმოჩნდა ისე, რომ ინვესტორი დავას აწარმოებდა იმ ქვეყნის მიმართ, რომლის მოქალაქეც თავად იყო.[143]

ინვესტორის მოქალაქეობის დადგენასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს მთავარ კითხვას, თუ დროის რა მომენტში უნდა ჰქონდეს ინვესტორს შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეობა, რათა იგი უფლებამოსილი იყოს მიმართოს ICSID არბიტრაჟს. კონვენციის 25-ე მუხლი ადგენს, რომ ინვესტორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეობა იმ დღეს, როდესაც შეთანხმება მოხდა ICSID ტრიბუნალის იურისდიქციაზე ან იმ დღეს, როდესაც საარბიტრაჟო სარჩელი დარეგისტრირდა ICSID ცენტრში. კონვენცია მოთხოვნა არაა, ინვესტორმა მუდმივად შეინარჩუნოს ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეობა არბიტრაჟზე შეთანხმებიდან საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენამდე პერიოდში.[144] მთავარია, აღნიშნულთაგან რომელიმე დღეს ინვესტორს არ ჰქონდეს ჰქონდეს დავის მონაწილე ბენეფიციარი სახელმწიფოს მოქალაქეობაც.

---

[142] იქვე, 47.

[143] Bidzina Ivanishvili v. Georgia, ICSID Case No. ARB/12/27, <https://www.italaw.com/cases/1511> [30.11.2023]

[144] Reed L,f., Davis J,E., Who is a Protected Investor, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 625.

1.3.1.2. იურიდიული პირების შემთხვევაში

ფიზიკურ პირებთან ერთად საინვესტიციო ხელშეკრულებები იცავენ ასევ იურიდიულ პირებსაც, როგორც ინვესტორებს.[145] არ არსებობს რაიმე უნივერსალური ნორმატიული რეგულირება, რომელიც უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ზუსტი დეფინირების საშუალებას მოგვცემდა.[146] იურიდიული პირების რომელიმე სახელმწიფოსადმი მიკუთვნება არის გაცილებით პრობლემური და კომპლექსური, ვიდრე ეს არის ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით. პრობლემას იწვევს უმთავრესად ის გარემოება, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებში არათუ იურიდიული პირების დეფინიციები განსხვავდება, არამედ განსხვავდება მათი ფორმებიც. საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია იურიდიული პირების კუთვნილების რამდენიმე ფართოდ გავრცელებული და გამოყენებადი კრიტერიუმი. ესენია: საქმიანობის ადგილი, რეგისტრაციის ადგილი, ასევე მაკონტროლებელი პირების ადგილსამყოფელი.[147]

1.3.1.2.1. რეგისტრაციის ადგილი

იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილი აღიარებულია, როგორც ყველაზე გავრცელებული მეთოდი ამ კომპანიის რომელიმე სახელმწიფოსადმი კუთვნილების დასადგენად. მაგალითისთვის, ნიდერლანდებს და ინდოეთს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაში მითითებულია, რომ ნიდერლანდების კომპანია ნიშნავს ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კომპანიას.[148] რეგისტრაციასთან ერთად, საქმიანობის ადგილი, როგორც განსაზღვრის კრიტერიუმი არის დადგენილი ესპანეთსა და ალბანეთს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაშიც.[149] რეგისტრაციის ადგილის თეორიის მიხედვით, კონკრეტულ ქვეყანაში რეგისტრაციის ფაქტი მიჩნეულ უნდა იქნეს საკმარის კრიტერიუმად და სხვა ქვეყნებში აღიარებული უნდა იყოს ამ იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა.[150]

---

[145] Perkams M., Protection for Legal Persons, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 638.

[146] გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, თბილისი, 2016, 138.

[147] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 47.

[148] Perkams M., Protection for Legal Persons, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 641.

[149] იქვე, 641.

[150] გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, თბილისი, 2016, 140.

რეგისტრაციის ადგილი, როგორც ერთადერთი კრიტერიუმი, ხშირად ხდება პრობლემა საარბიტრაჟო განხილვებისას. კერძოდ, საინვესტიციო დაცვის გარანტიების მიღების მიზნით, ინვესტორები ფორმალურად არეგისტრირებენ კომპანიას სხვა რომელიმე სახელმწიფოში, ისე რომ ინვესტორს სხვა რაიმე კავშირი, გარდა რეგისტრაციისა ფაქტისა, ამ სახელმწიფოსთან არ აქვს.[151] მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს რამდენიმე გადაწყვეტილება.

საქმეზე Saluka v Czech Republic, საარბიტრაჟო მოსარჩელე იყო ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი. მოპასუხე აცხადებდა, რომ კომპანიას მართავდა და აკონტროლებდა იაპონელი მესაკუთრეები, რის გამოც ეს იურიდიული პირი არ უნდა ჩათვლილიყო ნიდერლანდების კომპანიად. ტრიბუნალმა განაცხადა, რომ ზოგადად, შესაძლებელია, იურიდიული პირის კუთვნილება დადგინდეს მისი მაკონტროლებელი პირების ეროვნულობის მიხედვით, თუმცა, რადგანაც ჩეხეთსა და ნიდერლანდებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების თანახმად, კომპანიის კუთვნილების დასადგენად, საკმარისი იყო მხოლოდ ამ კომპანიის რეგისტრაცია, ერთ-ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად. განმხილველმა ტრიბუნალმა არ გაიზიარა ჩეხეთის პოზიცია და და საარბიტრაჟო მოსარჩელე Saluka მიჩნეულ იქნა, როგორც ნიდერლანდების კომპანია და მასზე გავრცელდა ნიდერლანდებსა და ჩეხეთს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება.[152]

Tokios Tokeles v Ukraine-ს პრეცედენტულ საქმეზე, საარბიტრაჟო მოსარჩელე იყო ლიეტუვის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, თუმცა წილების 99% იყო უკრაინის მოქალაქეების საკუთრებაში. უკრაინა აპელირებდა, რომ რეალურად ეს კომპანია იყო უკრაინული კომპანია, რადგანაც წილებს განკარგავდნენ უკრაინელები, ხოლო რეგისტრაცია მხოლოდ ფორმალურად განხორციელდა ლიეტუვაში, რათა ინვესტორს მიეღო საინვესტიციო შეთანხმებებით განსაზღვრული დაცვის გარანტიები. მიუხედავად წილების უკრაინის მოქალაქეების კუთვნილების ფაქტისა, ტრიბუნალის უმრავლესობამ მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელე იყო ლიეტუვის კომპანია. ტრიბუნალი დაეყრდნო უკრაინასა და ლიეტუვას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების პირდაპირ ჩანაწერს, სადაც მითითებული იყო, რომ ლიეტუვის მხარისთვის, ლიეტუვური კომპანია ნიშნავდა ლიეტუვის ტე-

[151] Perkams M., Protection for Legal Persons, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 641.

[152] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 48.

რიტორიაზე, ლიეტუვის კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებულ კომპანიას.[153]

Rompetrol N.V. v Romania საქმეშიც ტრიბუნალი მხოლოდ რეგისტრაციის კრიტერიუმს დაეყრდნო და მიუთითა რუმინეთს და ნიდერლანდებს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაზე, სადაც კუთვნილების დადგენის ერთადერთ კრიტერიუმად მიჩნეული იყო რეგისტრაციის ფაქტი. საინტერესოა, რომ თავად ტრიბუნალის განმარტებით, საარბიტრაჟო მოსარჩელე ფაქტობრივად კონტროლდებოდა და კომპანიის წილები ეკუთვნოდა რუმინეთის მოქალაქეებს, თუმცა საარბიტრაჟო მოსარჩელე მაინც მიჩნეულ იქნა, როგორც ნიდერლანდების კომპანია. მსგავსად Tokios Tokeles v Ukraine-ს საქმისა, ტრიბუნალის არგუმენტაცია აქაც ის იყო, რომ თავად რუმინეთმა და ნიდერლანდებმა, როგორც ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოებმა, დაადგინეს იურიდიული პირის კუთვნილების განსაზღვრის დასახელებული კრიტერიუმი.[154]

მიუხედავად არბიტრთა ურთიერთგანსხვავებული პოზიციებისა, რეგისტრაციის ადგილი მაინც რჩება კომპანიის რომელიმე სახელმწიფოსადმი კუთვნილების განსაზღვრის ყველაზე გავრცელებულ კრიტერიუმად. იმისათვის, რათა ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა თავიდან აირიდონ ცალკეულ ინვესტორთა მხრიდან კომპანიის ფორმალურად რეგისტრაციის ფაქტები, გამოსავალს წარმოადგენს რეგისტრაციის ადგილთან ერთად სხვა დამატებითი კრიტერიუმ(ებ)ის დაწესება. ერთ-ერთი ასეთი შეიძლება იყოს საქმიანობის ადგილი ან სათავო ოფისის ადგილსამყოფელი.

1.3.1.2.2. სათავო ოფისის ადგილსამყოფელი

შემდეგი კრიტერიუმი, რომლითაც შეიძლება მოხდეს იურიდიული პირის სახელმწიფოსადმი კუთვნილების დადგენა, არის კომპანიის ადგილსამყოფელი (Seat Theory). მსგავსად რეგისტრაციისა, ეს კრიტერიუმიც შეიძლება იყოს როგორც ერთადერთი განმსაზღვრელი, ასევე შეიძლება იყოს სხვა ნიშნებთან ერთად დასახელებული.[155]

საინვესტიციო სამართლის პრაქტიკაში, კომპანიის ადგილსამყოფლის საშუალებით კუთვნილების განსაზღვრის თვალსაჩინო მაგალითად მიჩნეულია

[153] Schlemmer, E, C., Investment, Investor, Shareholders, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 79-80.

[154] Perkams M., Protection for Legal Persons, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 642-643.

[155] იქვე, 644.

გერმანიასა და ინდოეთს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება, სადაც აღნიშნულია, რომ გერმანელი ინვესტორი არის ის კომპანია, რომელსაც ადგილსამყოფელი აქვს გერმანიაში.[156] ანალოგიური დათქმა არსებობს არგენტინასა და გერმანიას შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაში, სადაც მოცემულია, რომ ინვესტორად მიიჩნევა ის იურიდიული პირი, რომელსაც ადგილსამყოფელი აქვს ერთ-ერთი ხელმომწერი ქვეყნის ტერიტორიაზე.[157]

საინტერესოა, ასევე იტალიასა და ნიკარაგუას შორის 2004 წელს დადებული BIT-ის რეგულირებაც, სადაც აღნიშნულია, რომ ხელმომწერი მხარის იურიდიული პირი არის კომპანია, რომელსაც აქვს სათავო ოფისი მეორე სახელმწიფოში, იმისგან დამოუკიდებლად, არის ეს ფონდი, კორპორაცია, ასოციაცია თუ საჯარო ინსტიტუტი და აქვს თუ არა ამ ორგანიზაციებს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა.[158]

პრაქტიკაში გვხდება ასევე შემთხვევები, სადაც ინვესტორად ყოფნისთვის ორგანიზაციის მოგებაზე ორიენტირების მიზნის არარსებობა მეორეხარისხოვანია. მაგალითისთვის, ჩინეთსა და გერმანიას შორის 2005 წელს დადებულ საინვესტიციო შეთანხმებაში მოცემულია, რომ გერმანიის ფედერაციული რეს-პუბლიკისთვის ტერმინი იურიდიული პირი ნიშნავს ნებისმიერი სახის იურიდიულ პირს, კომერციულ და სხვა სხვა სახის კომპანიებს, ასევე ასოციაციებს, რომელთაც აქვს ადგილსამყოფელი გერმანიაში, იმისგან დამოუკიდებლად, ეს პირები არიან თუ არა მოგებაზე ორიენტირებულები.[159]

1.3.1.2.3. კონტროლის კრიტერიუმი

რეგისტრაციის და ადგილსამყოფლის კრიტერიუმების გვერდით, ცალკეულ შემთხვევებში, გავრცელებულია რეალური კონტროლის კრიტერიუმიც. კონტროლის თეორიის შესაბამისად, კომპანიის რომელიმე სახელმწიფოსადმი კუთვნილება დამოკიდებულია იმ აქტზე, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან ის პირები, რომლებიც აკონტროლებენ ინვესტორ კომპანიას.[160]

Yaung Chi Oo Trading Pte. Ltd. v. Government of the Union of Myanmar საქმეზე, 2003 წელს, ASEAN საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოიკვლია საარბიტ-

[156] იქვე, 644.

[157] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press 2012, 49.

[158] Schokkaert, J., Heckscher, Y., International Investment Protection, Comparative Law Analysis of Bilateral and Multilateral inerstate Conventions, Doctrinal Texts and Arbitral Jurispudence concerning Foreign Investments, Bruylant Bruxelles, 2009, 246.

[159] იქვე, 246.

[160] იქვე, 248.

რაჟო მოსარჩელე, რომელიც დაფუძნებული იყო სინგაპურში, თუ რამდენად იყო რეალურად კონტროლირებადი სინგაპურიდან. ეს ვალდებულება გამომდინარეობდა თავად ASEAN-ის 1987 წლის ხელშეკრულებიდან, რომლის I(2) მუხლში მოცემული იყო, რომ ინვესტორს წარმოადგენს ხელმომწერი ქვეყნის კომპანია, ბიზნეს ასოციაცია, რომელიც რეგისტრირებული არის ერთ-ერთი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად და მისი მაკონტროლებელი მენეჯმენტი ასევე არის ამავე სახელმწიფოში.[161]

კონტროლის ელემენტის შესაძლებლობის არსებობას ითვალისწინებს ICSID კონვენციაც, თუმცა თუ მხარეებს სურთ, რომ ინვესტორთა კუთვნილების დადგენისას გათვალისწინებული იქნეს კონტროლის კრიტერიუმიც, მათ ამის შესახებ წინასწარ უნდა მიუთითონ საინვესტიციო ხელშეკრულებებში. კერძოდ, კონვენციის 25-ე მუხლში მოცემულია, რომ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, ამ კონვენციის მიზნებისათვის, იურიდიული პირი, უცხო ქვეყნის პირების კონტროლის გამო, უნდა მიიჩნეოდეს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს კუთვნილ პირად.[162]

ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე TSA Spectrum de Argentina SA v Argentina, დაადგინა, რომ ნიდერლანდებს და არგენტინას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების შინაარსი არ იძლეოდა ტრიბუნალის იურისდიქციის დადგენის საფუძველს. არგუმენტი, რომელსაც არბიტრაჟი დაეყრდნო, იყო ის, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელე დაფუძნებული იყო არგენტინაში, არ კონტროლდებოდა რეალურად ნიდერლანდებში რეგისტრირებული ჰოლდინგის მიერ და მის საბოლოო მესაკუთრეს წარმოადგენდა გერმანელ-არგენტინელი ბიზნესმენი.[163] ამის საპირისპიროდ, საქმეზე Aguas del Tunari SA V Bolivia, ტრიბუნალმა მიუთითა, რომ არსებობდა არბიტრაჟის იურისდიქციის დადგენის საფუძველი ბოლივიას და ნიდერლანდებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების გათვალისწინებით. ამ საქმეში, საკამათო იყო განმარტება, რომლის მიხედვითაც, კონტროლი შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ხარისხის და ბოლივიაში დაფუძნებული კომპანია, რომელსაც არაპირდაპირ, როგორც მაჟორიტარი პარტნიორი, მართავდა ორი ნიდერლანდური კომპანია, იყო საკმარისი

[161] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 49.

[162] Schlemmer, E, C., Investment, Investor, Shareholders, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 75.

[163] Perkams M., Protection for Legal Persons, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 648-649.

კრიტერიუმი „კონტროლის“ დასადგენად. თუმცა, ის ფაქტი, რომ თავად ეს ნიდერლანდური კომპანია იმყოფებოდა ამერიკელი და იტალიელი ინვესტორების კონტროლის ქვეშ, არ აღმოჩნდა გადამწყვეტი. [164]

1.3.1.2.4. რეალური ეკონომიკური აქტივობის კრიტერიუმი

სხვა კრიტერიუმებთან ერთად, სახელმწიფოთა შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებში ხანდახან გვხდება რეალური ეკონომიკური აქტივობის კრიტერიუმიც, როგორც იურიდიული პირის სახელმწიფოსადმი მიკუთვნების განმსაზღვრელი. როგორც წესი, ეს კრიტერიუმი არის ხოლმე დამატებითი კრიტერიუმი რეგისტრაციის ან ადგილსამყოფლის კრიტერიუმების გვერდით.[165] პრაქტიკაში, რეალური ეკონომიკური აქტივობის მეთოდი მოცემულია შვეიცარიასა და ხორვატიას შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაში, რომლის 1(1)(b) მუხლით, განსაზღვრულია, რომ ინვესტორი უნდა იყოს ერთ-ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში რეგისტრირებული კომპანია, რომელსაც ამავე დროს აქვს ამ სახელმწიფოში რეალური ეკონომიკური აქტივობა.[166] ის, თუ კონკრეტულად რა მიიჩნევა რეალურ ეკონომიკურ აქტივობად, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

1.3.2. კუთვნილების განსაზღვრა ერთობლივი საქმიანობის (Partnership) დროს

ხშირია შემთხვევები, როდესაც უცხოელი ინვესტორი ერთობლივ საქმიანობას ეწევა ინვესტიციის ბენეფიციარ სახელმწიფოსთან ან/და სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სუბიექტებთან ერთად. ამის მიზანია, რესურსების გაერთიანება და ოპტიმიზაცია, რათა საინვესტიციო პროექტი რენტაბელური იყოს. ასეთი საქმიანობის დროს, თუ მოხდება ინვესტორის უფლებების ხელყოფა, ბენეფიციარი სახელმწიფოს მიმართ დავის წამოწყების უფლება აქვთ, როგორც თავად ამხანაგობას, ასევე ამ ამხანაგობაში მონაწილე უცხოელ ინვესტორებს.[167] ერთობლივი საქმიანობისას, მთავარია, რომ ინვესტორი აკმაყოფილებდეს ნაციონალობის (ეროვნულობის) კრიტერიუმებს. ასეთი ამხანაგობა, როგორც დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოსარჩელე, მხოლოდ მა-

[164] იქვე, 648.

[165] Perkams M., Protection for Legal Persons, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 648.

[166] იქვე, 649.

[167] Rubins N. N., Kinsella S., International Investment Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oxford, Oceana Publications Inc., 2005, 139.

შინაა უფლებამოსილი გამოიყენოს უცხოელი ინვესტორისთვის მინიჭებული უფლებები და დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმები, თუ ამ ამხანაგობის ყველა წევრი არის მეორე სახელმწიფოს სუბიექტი და არა ბენეფიციარი სახელმწიფოს სუბიექტი. თუ ამხანაგობის წევრები არიან ბენეფიციარი სახელმწიფოს სუბიექტებიც, ასეთ შემთხვევაში დავის წამოწყებაზე უფლებამოსილი არის არა ამხანაგობა, არამედ მხოლოდ ცალკეული უცხოელი ინვესტორები. ამის საფუძველი არის ის, რომ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმები მოქმედებს მხოლოდ უცხოელი ინვესტორებისთვის, ხოლო ადგილობრივი სუბიექტები დარღვეულ უფლებებს იცავენ შიდა სასამართლოების მეშვეობით. [168]

1.3.3. ინვესტორის ეროვნულობის განსაზღვრის ქართული მოდელი

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის[169] მე-2 მუხლის თანახმად, ინვესტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში. უცხოელ ინვესტორად ითვლება: ა) უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე; ბ) მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე; გ) საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ. დ) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ. იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, საქართველო ირჩევს ეროვნულის განსაზღვრის მეთოდს რეგისტრაციის მიხედვით, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფიზიკური პირები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები, მიიჩნევიან უცხოელ ინვესტორებად, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ.[170]

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“[171] საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის

[168] იქვე, 139-140.

[169] აღნიშნულ კანონზე საუბრისას, წარმომავლობის ნიშნით ინვესტორთა მიმართ დისკრიმინაცია დაუშვებლად მიიჩნია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. სასამართლოს განცხადებით, დაუშვებელია ეროვნული საწარმოებისა და უცხოელი ინვესტორების აშკარად, მკვეთრად განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/136.

[170] „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

[171] „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი, 29.04.1998.

ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. კანონი ამბობს, რომ ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც. ამ რეგულირების შესაბამისად, საქართველო აღიარებს „ადგილსამყოფლის თეორიას".[172] საგულისხმოა, რომ საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ საქართელოს კანონის მე-2 მუხლი იურიდიული პირის ეროვნულობის დასადგენად საკმარის კრიტერიუმად მიიჩნევს მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტს. ამგვარად, ეს რეგულაციები არ არიან შესაბამისობაში ერთმანეთთან.

გარდა შიდა კანონმდებლობისა, მნიშვნელოვანი განსხვავებებია საქართველოს მიერ დადებული საინვესტიციო შეთანხმებების განმარტებებშიც. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმების[173] პირველი კარის მე-2 პუნქტის თანახმად, ტერმინი „ინვესტორი" მოიცავს ფიზიკურ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთ-ერთი მხარის მოქალაქეობა. ასევე, ეკონომიკურ ერთეულს, რომლებიც შექმნილნი არიან ჩინეთის ან საქართველოს კანონების შესაბამისად და განლაგებულნი არიან ჩინეთის ან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ ეს შეთანხმება მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტს არ მიიჩნევს საკმარისად და რეგისტრაციასთან ერთად აუცილებელია, ამ იურიდიულ პირებს საქმიანობის ადგილი ჰქონდეთ ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული შეთანხმების[174] პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ტერმინი „ინვესტორი" ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც გააჩნია ერთ-ერთი ხელმომწერი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეობა, ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. იურიდიული პირის შემთხვევაში, ინვესტორი ნიშნავს ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია თითოეული მონაწილე მხარის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ახორციელებენ ინვესტიციებს მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე. ხაზგასასმელია, რომ იურიდიულ პირებთან მიმართებით ეროვნულობა განისაზღვრება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში, მოქალაქეობა კარგავს მნიშვნელობას, თუ ამ პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის მეორე ქვეყანაში.

---

[172] გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა,თბილისი, 2016, 142.

[173] საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმება", 03.06.1993.

[174] შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ", 08.03.1996.

საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ ხელშეკრულების[175] პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოქალქე ნიშნავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის: გერმანელს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში დაფიქსირებული გაგებით. მოქალაქე საქართველოს რესპუბლიკისთვის წარმოადგენს იმ პირებს, რომელთაც ეს სტატუსი საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით მიენიჭათ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტი საინტერესო და მნიშვნელოვანია მისი შინაარსი გამო. იგი არ ახსნებს „იურიდიულ პირს" და მის ნაცვლად იყენებს სიტყვა „საზოგადოებას". გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის „საზოგადოება" გულისხმობს ყოველ იურიდიულ პირს, ისევე როგორც ყოველ კომერციულ ან სხვა სახის საზოგადოებასა ან გაერთიანებას იურიდიული პირის უფლებებით ან მის გარეშე, რომელნიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მათი საქმიანობა მიმართული მოგების მიღებისაკენ. რაც შეეხება საქართველოს, „საზოგადოება" მოიცავს" ყოველ ეკონომიკურ სუბიექტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მისი საქმიანობა მიმართული მოგების მიღებისაკენ.[176] ფაქტობრივად, საქართველო და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა, ერთმანეთის არაკომერციულ იურიდიულ პირებს აღიარებენ ინვესტორებად. მეტიც, ამ ჩანაწერის მიხედვით ინვესტორად მიიჩნევიან არასამთავრობო ორგანიზაციები და ნებისმიერი სახის გაერთიანებები, რომელთა განხორციელებულ ინვესტირებასაც არ აქვს მოგების მიზანი. მთავარია, რომ ინვესტირებულ კაპიტალს ჰქონდეს ეკონომიკური ღირებულება.

სპეციფიკურია ინვესტორის განმარტება საქართველოსა და ქუვეითს შორის არსებულ შეთანხმებაში.[177] შეთანხმების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ ტერმინი „ინვესტორი" ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებით წარმოადგენს ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს ამ ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობა ან მუდმივად ცხოვრობს მის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იურიდიული პირის შემთხვევაში, ინვესტორის ცნება მოიცავს

[175] საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის „კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ ხელშეკრულება", 27.08.1998.

[176] საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის „კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ ხელშეკრულების" პირველი მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

[177] საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება", 13.10.2009.

ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია ან რეგისტრირებულია ამ ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორიცაა დაწესებულებები, საწარმოს განვითარების ფონდები, სააგენტოები, ფონდები და სხვა ორგანიზაციები და ორგანოები, და კომპანიები.[178] ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებზე და ყველა ასეთი სტრუქტურული ერთეული, თუ იგი მეორე მხარის ტერიტორიაზე ახორციელებს ინვესტირებას, მიიჩნევა ინვესტორად.

ქუვეითთან არსებულ შეთანხმებაში ცალკე არის მოცემული კომპანიის დეფინიცია, სადაც მითითებულია, რომ „კომპანია" ნიშნავს ნებისმიერ იურიდიულ პირს, მიუხედავად იმისა ფულადი შემოსავლის მიღების მიზნითაა ის შექმნილი თუ არა, კერძო პირი ფლობს ან აკონტროლებს მას თუ სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად ან რომელსაც ფლობენ ან აკონტროლებენ ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები. ქუვეითის შემთხვევაში, კომპანიის ცნების ქვეშ ექცევა კორპორაცია, კონცერნი, ამხანაგობა, ერთი პირის საწარმო, ფილიალი, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია ან სხვა მსგავსი ორგანიზაციას. ხოლო, საქართველოს შემთხვევაში, კომპანიის ცნებაში იგულისხმება ერთი პირის საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი ან სხვა მსგავსი ორგანიზაცია.[179] შესაბამისად, იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრის კრიტერიუმად მოცემულია ორი ალტერნატივა: რეგისტრაციის ადგილი ან იმ პირების კუთვნილება, რომლებიც ამ იურიდიულ პირს აკონტროლებენ. ერთ-ერთი კრიტერიუმის არსებობა საკმარისია ინვესტორის რომელიმე სახელმწიფოსადმი კუთვნილების დასადგენად.

მნიშვნელოვანი ასევე ისიც, რომ საქართველოს და ქუვეითს შორის შეთანხმებაში პირდაპირაა დაფიქსირებული სახელმწიფოს ინვესტორად ყოფნად შესაძლებლობა. ინვესტორს შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ ხელშემკვრელი მხარე, რაც ნიშნავს იმას, რომ ინვესტორი შესაძლოა იყოს როგორც საქართველო, ასევე ქუვეითი.[180] აქ საუბარია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საწარმოებზე, არამედ უშუალოდ სახელმწიფოზე.

---

[178] საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების" პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

[179] საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ" შეთანხმების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

[180] საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ" შეთანხმების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის (C) ქვეპუნქტი.

მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებებიდან მნიშვნელოვანია საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმება.[181] შეთანხმების პირველი მუხლით განსაზღვრულია, რომ ინვესტორები ნიშნავს „მოქალაქეებს", ე.ი. ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კანონმდებლობის თანახმად ითვლება, შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მოქალაქედ. ასევე განმარტებულია, რომ ინვესტორი კომპანია არის იურიდიულ პირი, რომელიც დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის, ბელგიის სამეფოს, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კანონმდებლობის თანახმად და რეგისტრაციაშია გატარებული, შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის, ბელგიის სამეფოს და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს ტერიტორიაზე.[182] ეს სამმხრივი შეთანხმება იურიდიული პირის კუთვნილების საკმარის კრიტერიუმად მიიჩნევს მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტს.

საქართველოსა და ფინეთს შორის შეთანხმების[183] პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ტერმინი „ინვესტორი" ნიშნავს თითოეული ხელშემკვრელი მხარისათვის იმ სუბიექტს, რომელიც მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ახორციელებს ინვესტიციას მეორე ხელშემკვრელი მხარის კანონების, ნორმატიული აქტებისა და მოცემული შეთანხმების დებულებების შესაბამისად. ფიზიკური პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეობა და მუდმივად ცხოვრობს შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, იურიდიული პირი არის კომპანია, კორპორაცია, ფირმა, კომერციული კომპანია, ბიზნესასოციაცია, ინსტიტუტი ან ორგანიზაცია, რომელსაც ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გააჩნია მთავარი ოფისი, არის რეგისტრირებული ან დაფუძნებული, და მოქმედებს ამ ხელშემკვრელი მხარის იურისდიქციის შესაბამისად და ასევე მიუხედავად იმისა ითვლება თუ არა მისი პასუხისმგებლობა შეზღუდულად.[184] გარდა იურიდიული პირის ასე ფართოდ განმარტებისა, ეს შე-

[181] შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის „ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ", 23.06.1993.

[182] საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის „ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ" შეთანხმების პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

[183] შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ", 24.11.2006.

[184] საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ" შეთანხმების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

თანხმება სპეციფიკურია იმ კუთხით, რომ პირის ერთ-ერთი სახელმწიფოს კუთვნილებისათვის მოთხოვნილია ერთდროულად ორი კრიტერიუმის არსებობა. იურიდიული პირი უნდა იყოს როგორც რეგისტრირებული ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე და ასევე მას უნდა ჰქონდეს ამავე სახელმწიფოში სათავო ოფისის ადგილსამყოფელი.

ინვესტორი ფიზიკური და იურიდიული პირების რომელიმე მხარისადმი კუთვნილების მნიშვნელოვან განმარტებებს შეიცავს ასოცირების შესახებ შეთანხმება. ასოცირების შეთანხმების[185] 77-ე მუხლის „ც“ პუნქტი ადგენს, რომ „მხარის ფიზიკური პირი“ გულისხმობს ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქეს, მათი შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე.[186] იურიდიულ პირებთან მიმართებით, მათი კონკრეტული სახელმწიფოსადმი კუთვნილების დასადგენად, მთავარ კრიტერიუმებად მიჩნეულია იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილი, სათავო ოფისის ადგილსამყოფელი, ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი და იურიდიული პირის მაკონტროლებელ პირთა წარმოშობის ადგილი.[187]

ასოცირების შესახებ შეთანხმების 77-ე მუხლის „ე“ პუნქტით დადგენილია იურიდიული პირის მხარისადმი კუთვნილების კრიტერიუმები. „მხარის იურიდიული პირი“ გულისხმობს ევროკავშირის წევრი ქვეყნის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია იურიდიული მისამართი, ცენტრალური მართვის ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ან საქართველოს ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ ამ იურიდიულ პირს გააჩნია მხოლოდ იურიდიული მისამართი ან ცენტრალური ადმინისტრაცია იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ან საქართველოს ტერიტორიაზე, ის არ განიხილება როგორც ევროკავშირის ან საქართველოს იურიდიული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მის საქმიანობას აქვს რეალური და უწყვეტი კავშირი ევროკავშირის ან საქართველოს ეკონომიკასთან.[188] შესაბამი-

[185] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014.

[186] ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4(60)18, 72.

[187] იქვე, 72.

[188] ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4(60)18, 72.

სად, მხოლოდ რეგისტრაციის ან სათავო ოფისის ადგილსამყოფლის არსებობა არაა საკმარისი იურიდიული პირის კუთვნილების განსასაზღვრად.

ის ფაქტი, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება შეიცავს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ დებულებებს[189] და იურიდიული პირის რომელიმე სახელმწიფოს კუთვნილებისთვის არაა საკმარისი ამ სახელმწიფოში მხოლოდ რეგისტრაცია ან სათავო ოფისის არსებობა, წარმოშობს მნიშვნელოვან პრაქტიკულ პრობლემებს. საქმე იმაშია, რომ საქართველოს საინვესტიციო შეთანხმებები აქვს ევროკავშირის წევრ უმეტეს ქვეყნებთან და ამ შეთანხმებებში ურთერთგანსხვავებულადაა მოცემული მხარის კუთვნილი იურიდიული პირების კუთვნილების კრიტერიუმები. რეალურად, ასოცირების შეთანხმებაში არსებული ეს განმარტება ეწინააღმდეგება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და საქართველოს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებს, სადაც კუთვნილებისთვის მხოლოდ რეგისტრაცია ან სათავო ოფისის არსებობაა საკმარისი. მაგალითისთვის, ასეთი დოკუმენტია საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმება, რომლის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იურიდიული პირის რომელიმე მხარისადმი კუთვნილების კრიტერიუმი არის რეგისტრაცია ან დაფუძნება. მსგავს შემთხვევებში, დავის განმხილველმა ტრიბუნალებს ექნებათ გადასაწყვეტი, თუ რომელი სამართლებრივი აქტების საფუძველზე უნდა გადაწყდეს ინვესტორის სახელმწიფოსადმი კუთვნილების საკითხი.

[189] დეტ. იხილ., ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4(60)18, 66-85.

2. უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის საშუალებით

2.1. უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის თანამედროვე საარბიტრაჟო ცენტრების წარმოშობა

თანამედროვე საერთაშორისო არბიტრაჟის ჩანასახები გაჩნდა გვიანდელ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში და წარმოშობა განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ, განსაკუთრებით ევროპაში და აუცილებელი გახდა დავის გადაწყვეტის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც აღსრულებადი იქნებოდა საერთაშორისო მასშტაბით.[190] საერთაშორისო არბიტრაჟის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მე-20 საუკუნის 40-50-იანი წლებიდან მოყოლებული და გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება. თუმცა, კონცეფცია იმისა, რომ დავა გადაწყვიტოს მესამე ნეიტრალურმა პირმა არის გაცილებით ძველი და ანტიკურ პერიოდამდე წარმოიშვა. მიღებულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟის პირველი ფორმები არსებობამდე იქამდე, ვიდრე წარმოიშობოდა სამართლის დადგენილი ნორმები და ორგანიზებული სასამართლოები.[191]

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე დიდი მოთხოვნა გაჩნდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. განვითარებული ქვეყნები ეძებდნენ ისეთ ბაზრებს თავიანთი მოქალაქეებისა და კომპანიებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფდნენ როგორც კაპიტალის, ასევე ინტელექტუალური საკუთრების და სხვა ქონებრივი სიკეთეების დაცვას და ამასთან შესთავაზებდნენ ინვესტორებს დაცვის შესაბამის მექანიზმებს. უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით, 1950-იანი წლების დასაწყისიდან, რიგმა ქვეყნებმა დაიწყეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე ფიქრი და ადგილობრივი სასამართლოების ნაცვლად, ინვესტორებს სთავაზობდნენ არბიტრაჟებს. ამ ყველაფერმა სათავე დაუდო ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების წარმოშობას.[192]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სურვილმა, მომხდარიყო სხვა ქვეყნებში კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის

---

[190] Greenberg S., Kee C., Weeramantry J. R., International Comercial Arbitration, an Asia-Pacific Perspective, Cambridge University Press, 2011, 6.

[191] იქვე, 3.

[192] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press 2019, 46-47.

უზრუნველყოფა და დაცვა, განაპირობა მრავალმხრივი ხელშეკრულებების არსებობის მიზანშეწონილობა. პირველი ასეთი მცდელობა იყო 1948 წლის ჰავანის კონვენცია,[193] რომლის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა (ITO). ჰავანის კონვენციის ინიციატორი და მთავარი მხარდამჭერი იყო ამერიკის შეერთებული შტატები. კონვენციის პროექტი წარმოდგენილი იქნა ჯერ კიდევ 1946 წელს და ის მოიცავდა, როგორც დაცვის გარანტიებს, ასევე დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებს. მთავარი მიზეზი, რის გამოც კონვენციის პროექტი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა განვითარებადი ქვეყნების მხრიდან, იყო დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების დანერგვა უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. საბოლოოდ, აშშ-მ დაკარგა ინტერესი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის (ITO) შექმნის მიმართ და ამის შემდეგ სხვა ქვეყნებმაც შეწყვიტეს პროექტის მხარდაჭერა.[194]

ჰავანის კონვენციის პროექტის ჩავარდნის შემდეგ, საერთაშორისო უნიფიცირებული აქტის შექმნის მეორე მცდელობა იყო კერძო ინიციატივა (ABS-SHAWCROSS DRAFT CONVENTION),[195] რომლის მიზანს წარმოადგენდა უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით საერთაშორისო კონვენციის შექმნა, რომელშიაც გათვალისწინებული იქნებოდა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საერთაშორისო მექანიზმები, უპირატესად არბიტრაჟი. Hartley Shawcross-ის ეს პროექტიც ჩავარდა განვითარებადი ქვეყნების მთავრობების დიდი წინააღმდეგობის გამო.[196] მსგავსად ჰავანის კონვენციისა, საკმარისი მხარდაჭერის არარსებობა გამოიწვია დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე ძირითადი ფოკუსის გაკეთებამ. Hartley Shawcross-ის პროექტის სამუშაო დრაფტს დაეყრდნო ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაც (OECD), თუმცა იმ განსხვავებით, რომ OECD-ის პროექტში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და განვითარებადი ქვეყნების ინტერესები უფრო მეტად იქნა გათვალისწინებული. მიუხედავად განვითარებად ქვეყნებზე ორიენტირებული ცვლილებებისა, ეს პროექტიც დარჩა საკმარისი მხარდაჭერის გარეშე.[197]

[193] ჰავანის 1948 წლის კონვენციის პროექტი იხ. <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/havana_e.pdf> [30.11.2023]

[194] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 50.

[195] Hartley Shawcross-ის კონვენციის პროექტი იხ. <https://www.international-arbitration-/ttorney.com/wp-content/uploads/137-volume-5.pdf> [30.11.2023]

[196] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 50.

[197] იქვე, 50-51.

საბოლოოდ, მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ პროექტში გათვალისწინებული იქნა ყველა ის წინააღმდეგობა, რამაც წინა პროექტების წარუმატებლობა გამოიწვია. ახალ პროექტის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა, როდესაც მსოფლიო ბანკის მაშინდელმა პრეზიდენტმა, 1961 წელს, განუცხადა მმართველ ბორდს, რომ იგი მუშაობდა კონვენციის პროექტზე, რომელიც დანერგავდა საერთაშორისო საინვესტიციო დავების არბიტრაჟის და კონსილაციის გზით გადაწყვეტის მექანიზმებს. კონვენციის ტექსტზე მუშაობა გრძელდებოდა სამი წელი. საბოლოოდ, 1964 წელს, ხელმოწერისა და რატიფიკაციისათვის ICSID კონვენციის ტექსტი წარედგინა მსოფლიო ბანკის წევრი ქვეყნების მთავრობებს.[198] ICSID კონვენციაზე ხელმოწერა განხორციელდა 1965 წლის მარტში, ხოლო ძალაში შევიდა 1966 წლის 14 სექტემბერს.[199]

2.2. ICSID კონვენციის შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დავის გადაწყვეტა

სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ ვაშინგტონის 1965 კონვენციის[200] ძალაში შესვლის შემდეგ ჩამოყალიბდა ICSID ცენტრი, რომელშიაც დღეის მდგომარეობით, მსოფლიოში არსებული საინვესტიციო დავების დაახლოებით 65 % განიხილება.[201] ICSID კონვენციის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა 1990-იანი წლებიდან, რაც უშუალოდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური სისტემის რღვევით და ამ ქვეყნების თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. პირველი ორი ათწლეული გამოირჩეოდა გარკვეული სიფრთხილით. კერძოდ, 1966-1993 წლებში მხოლოდ 27 საინვესტიციო დავა იქნა განხილული ცენტრის მიერ. ამის საპირისპიროდ, 1993 წლიდან 2006 წლამდე, 80-ზე მეტი საარბიტრაჟო სარჩელი წარედგინა ICSID ცენტრს. დავების რაოდენობის ზრდა პირდაპირ კავშირშია საინვესტიციო ხელშეკრულებების პოპულარობის ზრდასთან. ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის

198 ICSID კონვენციის შემუშავების ისტორია იხ, ცერცვაძე გ, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, 62-64.

199 Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 51-52.

200 Convention on the Settlement of Investment Disputes Between States and Nationals of Other States, Washington, 18 March, 1965. <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/ICSID_Convention_EN.pdf> [30.11.2023]

201 Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 52.

შემთხვევაში ICSID ცენტრის წესების გამოყენების შესახებ დათქმას შეიცავს 900-ზე მეტი ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება.[202] 2023 წლის ივნისისათვის კონვენციას ჰყავდა 165 ხელმომწერი ქვეყანა, საიდანაც რატიფიცირებული ჰქონდა 158 ქვეყანას.[203]

კონვენცია ითვალისწინებს დავის გადაწყვეტის სამ მეთოდს. ესენია: კონსილაციის პროცესი, საარბიტრაჟო პროცედურები და სხვა დამატებითი პროცედურები.[204]

თავად კონვენცია არ განსაზღვრავს უცხოელი ინვესტორების უფლებებს, განხორციელებული ინვესტიციის დაცვის სტანდარტებს და გარანტიებს. უცხოური ინვესტიციების დაცვაში კონვენციის როლი გამოიყენება იმ კუთხით, რომ იგი ადგენს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის უნივერსალურ მექანიზმებს. ინვესტორების უფლებები და კაპიტალის დაცვის გარანტიები განსაზღვრულია ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში, რომლებიც მითითებას აკეთებენ დავის შემთხვევაში ცენტრის იურისდიქციაზე.[205]

ICSID კონვენციის მიერ ინვესტორებისთვის დადგენილია მნიშვნელოვან ბენეფიტები და უპირატესობები, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით:[206]

- კონვენციით გარანტირებულია უცხოელი ინვესტორების პირდაპირი და უშუალო წვდომა დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე, თუ დავა წარმოიშობა მასა და ინვესტიციის ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის;
- კონვენციით გათვალისწინებული დავის გადაწყვეტის მექანიზმი იძლევა საშუალებას, რომ ინვესტორმა ბენეფიციარი სახელმწიფოს მიმართ დავა დაიწყოს ადგილობრივი სასამართლოებისგან დამოუკიდებლად;
- ინვესტორი აღარ არის დამოკიდებული მშობლიური ქვეყნის დიპლომატიურ დაცვაზე და მას თავადვე შეუძლია უფლებების დაცვა ICSID ცენტრისადმი მიმართვით;

[202] Titje, C., International Investment Protection and Arbitration, Berliner Wissenschafts-Verlag GMBH, 2008, 22-23.

[203] <https://icsid.worldbank.org/about/member-states/database-of-member-states> [30.11.2023]

[204] Titje, C., International Investment Protection and Arbitration, Berliner Wissenschafts-Verlag GMBH, 2008, 23.

[205] Marcert L., Streitschlichtungsklauseln in Investionsschutzabkommen, herausgegen von Marc Bungeberg, Stephan Hobe, August Reinish, Andreas Ziegler, Nomos Verlagsgeselschaft, Baden-Baden, 2010, 39.

[206] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 701.

- ინვესტორებისათვის ძალზე ხელსაყრელია ICSID ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების სიმარტივე, რაც მათ აძლევს გარანტიას, რომ დავის წარმატების დასრულების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულება მოხდება სწრაფად და ეფექტურად და სახელმწიფო არ შეეცდება გადაწყვეტილების აღსრულების თავიდან არიდებას.

შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული უპირატესობები განაპირობებს სწორედ ინვესტორებს შორის ცენტრის ასეთ პოპულარობას უცხოელ ინვესტორებს შორის.[207]

ICSID ცენტრს აქვს ადმინისტრაციული საბჭო და სამდივნო. ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე არის მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი. ადმინისტრაციულ საბჭოში არის თითოეული იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ერთი წარმომადგენელი, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ კონვენცია. ადმინისტრაციული საბჭოს ფუნქცია არის სამდივნოს ზედამხედველობა და ყველა მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა. [208]

ICSID კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, აუცილებელია, რომ არბიტრთა სიებში არსებულ პირებს გააჩნდეთ კომპეტენცია სავაჭრო, საფინანსო და სამართლის სფეროებში. ასევე, ისინი უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი მორალური თვისებებით და რეპუტაციით, რათა არსებობდეს ნდობა და მოლოდინი, რომ ისინი შეძლებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას.[209]

2.2.1. ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ თანხმობის გამოხატვის მეთოდები დავის ICSID საარბიტრაჟო ცენტრის ტრიბუნალისთვის გადაცემასთან დაკავშირებით

თანამედროვე საინვესტიციო სამართლის ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება უცხოელ ინვესტორს და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების არსებობა.[210] იმისათვის, რომ ინვესტორს ჰქონდეს კონვენციის დებულებათა შესაბამისად, საინვესტიციო დავების კონსილიაციასა და არბიტრაჟში განხილვის უფლება, აუცილებელია,

[207] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 701.

[208] Titje, C., International Investment Protection and Arbitration, Berliner Wissenschafts-Verlag GMBH, 2008, 22.

[209] იქვე, 22.

[210] Shan W., Property Rights, Expropriation and Compensation, The Legal Protection of Foreign Investment A comparative Study, edited by Wenhua Shan, Oxford and Portland, Oregon, 2012, 59.

წინასწარი ან შემდგომი თანხმობა არსებობდეს ICSID ცენტრის იურისდიქციასთან დაკავშირებით.[211]

ICSID ცენტრზე თანხმობა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას დავის განხილვისათვის და ასევე აუცილებელია, რომ დავა უკავშირდებოდეს უცხოურ ინვესტიციას. ამასთან, ინვესტიციასთან დაკავშირებული ყველა დავა არ შეიძლება შედიოდეს ცენტრის იურისდიქციაში. აუცილებელია, რომ ინვესტორი, რომელიც წარადგენს საარბიტრაჟო სარჩელს, იყოს მეორე სახელმწიფოს კუთვნილი პირი და არა იმ ქვეყნის, სადაც მან ინვესტიცია განახორციელა. ამის გათვალისწინებით, ცენტრისთვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ უცხოელ ინვესტორს.[212] ICSID ცენტრის იურისდიქციის არსებობისათვის აუცილებელია ერთდროულად შესრულდეს „ratione personae"-ს და "ratione materiae"-ს კრიტერიუმები. შესაბამისად, როდესაც ბენეფიციარი სახელმწიფო გამოხატავს თანხმობას, რომ დავის შემთხვევაში კომპეტენცია მიენიჭოს ცენტრს, ყველა საარბიტრაჟო პანელი ვალდებულია, შეამოწმოს, რომ დავა წარმოშობილია უცხოური ინვესტიციასთან დაკავშირებით და ორივე სახელმწიფო, როგორც ინვესტორის მშობლიური, ასევე ბენეფიციარი არიან კონვენციის წევრი ქვეყნები.[213]

სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დავაში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ბენეფიციარი სახელმწიფოს თანხმობა საერთაშორისო არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით. ეს თანხმობა შედგება ორი ელემენტისგან. პირველი, თუ რა კატეგორიის დავები უნდა გადაწყდეს შეთანხმებული ფორმით, და მეორე, დავის გადაწყვეტის რომელ ფორმაზე ხდება შეთანხმება. შესაბამისად, ტრიბუნალები ვალდებულები არიან, გამოიკვლიონ ორივე კრიტერიუმის არსებობა და ისე დაიდგინონ კომპეტენცია.[214]

ICSID ცენტრის იურისდიქციასთან დაკავშირებით გამოხატული თანხმობა არის გამოუხმობადი და მისი შემდგომში გაუქმება არ ხდება. ეს პრინციპი მოცემულია კონვენციის პრეამბულაში და წარმოადგენს კონვენციის მოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს. გამოუხმობადობა ნიშნავს იმას, რომ იურ-

[211] Edson E., Banifatemi Y.,,Jurisdiction of the Centre, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 102.

[212] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 367.

[213] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 700.

[214] Vandelvelde J. K., Bilateral Investment Treaties, History, Policy, and Interpretation, Oxford University Press 2010, 433.

სიდიქციის გაუქმებას სჭირდება ორივე მხარის შეთანხმება.[215] ცენტრის იურისდიქციის გაუქმება ხდება მხოლოდ არაორდინალურ შემთხვევებში.

სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დავაზე ცენტრის იურისდიქციის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს კონვენციის წევრი სახელმწიფოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ICSID კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება და მასზე ვრცელდება საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უფლებამოსილია დატოვოს საერთაშორისო კონვენცია. ვენესუელას, ბოლივიის და ეკვადორის მიერ კონვენციიდან გასვლამ წარმოშვა მნიშვნელოვანი პრობლემები ცენტრის იურისდიქციასთან დაკავშირებით იმ საქმეებზე, სადაც საარბიტრაჟო მოპასუხეები ეს ქვეყნები უნდა ყოფილიყვნენ.[216]

ორმხრივი ან მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების შეწყვეტაც შესაძლოა გახდეს თანხმობის გაუქმების საფუძველი. თუმცა, საინვესტიციო შეთანხმებების დიდი ნაწილი ითვალისწინებს დათქმებს, რომ შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები არ გავრცელდეს შეწყვეტამდე წარმოშობილ დავებზე და ამასთან, თანხმობის გაუქმება მოხდეს საინვესტიციო შეთანხმების შეწყვეტიდან გარკვეული დროის შემდეგ.[217] შესაბამისად, ამ ვადაში მიმართვის შემთხვევაში, ICSID დაიდგენს კომპეტენციას. საინვესტიციო შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში, ინვესტორის უფლებების დაცვისათვის, მნიშვნელოვანი ბერკეტია გათვალისწინებული საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ 2009 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებაში, რომლის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, იმ ინვესტიციებთან მიმართებით, რომლებიც განხორციელდა წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ძალაში შესვლამდე, ამ შეთანხმების დებულებები ძალაში დარჩება შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თარიღიდან ოცი (20) წლის განმავლობაში. ბუნებრივია, ეს უპირველესად ეხება დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე ინვესტორების წვდომის უფლების შენარჩუნებას საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაშიც კი.

თანხმობა შეიძლება ასევე გაუქმდეს იმ შემთხვევაშიც, თუ გაუქმდა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საინვესტიციო კონტრაქტი და თანხმობა ICSID ცენტრის კომპეტენციის შესახებ მოცემული იყო ამ კონტრაქტში.

[215] Edson E., Banifatemi Y., Jurisdiction of the Centre, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA 2019,147.

[216] იქვე, 148.

[217] იქვე, 148.

ამასთან, აღიარებულია, რომ სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო კონტრაქტის უკანონო შეწყვეტა არ წარმოშობს თანხმობის გაუქმებასთან დაკავშირებულ შესაბამის სამართლებრივ შედეგებს.[218]

არაერთი საინვესტიციო შეთანხმება შეიცავს დათქმებს ე.წ. „FORK IN THE ROAD" წესის არსებობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ინვესტორის შესაძლებლობას, აირჩიოს ან ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა სამართლებრივის სისტემები და იქ აწარმოოს დავა ან მიმართონ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებს. ამ წესის განსაკუთრებულობა ისაა, რომ ინვესტორს არჩევა შეუძლია მხოლოდ ერთხელ. თუ ინვესტორი გადაწყვეტს, აირჩიოს ერთი საშუალება, იგი კარგავს მეორე საშუალებაზე წვდომას. მაგალითისთვის, თუ ინვესტორი აირჩევს შიდა ეროვნულ სასამართლოებს, იგი დაკარგავს უფლებას, მიმართოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალს.[219]

ICSID ცენტრის იურისდიქციაზე თანხმობა შეიძლება გაცხადდეს სხვადასხვა ფორმით და საშუალებებით, სხვადასხვა დროს. აუცილებელია, განხილული იქნეს ეს შემთხვევები.

2.2.1.1. საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების გზით

ზოგადად, სახელმწიფოთა შორის ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების არსებობას არ აქვს დიდი ისტორია. პირველი BIT, რომელიც შეიცავდა დათქმას ICSID ცენტრისთვის დავის გადაცემის შესახებ გაფორმდა ნიდერლანდებს და ინდონეზიას შორის 1968 წელს, კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის შემდეგ.[220]

თანამედროვე საინვესტიციო შეთანხმებების უმეტესობა შეიცავენ პირდაპირ დათქმებს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის ICSID ცენტრისთვის ყველა შემთხვევაში გადაცემის გადაცემის შესახებ. მაგალითისთვის, აშშ-ს და შრი-ლანკას შორის 1991 წელს დადებული საინვესტიციო შეთანხმების მე-8 მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მხარის ინვესტორის მიერ წამოწყებული ნებისმიერი დავა, რომელიც დაკავშირებულია მეორე მხარის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციასთან, ყველა შემთხვევაში განსახილველად უნდა გადაეცეს ICSID ცენტრს, საარბიტრაჟო ან კონსილაციის პროცედურების გზით დავის გადაწყვეტისთვის. [221]

[218] იქვე, 147.

[219] International Investment Arbitration in a nutschel, edited by Ferrari Franco, Brian King, West Academic Publishing, USA, 2020, 190.

[220] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 422.

[221] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 315.

საინვესტიციო შეთანხმებებში ასევე გავრცელებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ICSID ცენტრისთის მიმართვა ხდება არა ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ ინვესტორის მოთხოვნის შემთხვევაში. ასეთი ხელშეკრულებებში ხშირად გვხდება სიტყვათშეთანხმება – „შესაძლოა გადაეცეს", რაც ნიშნავს იმას, რომ ინვესტორს შეუძლია გამოიყენოს ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა ეროვნული სასამართლოები ან მიმართოს ICSID ცენტრს. ასეთი დათქმები გახდა დავის საგანი ცალკეულ შემთხვევებში. ICSID ტრიბუნალმა განიხილა საქმე Millcom and Sentel v Senegal, სადაც სადავო იყო ნიდერლანდებს და სენეგალს შორის არსებული საინვესტიციო ხელშეკრულების კონკრეტული დათქმა – „შესაძლოა გადაეცეს". მოპასუხე სენეგალის პოზიციით, ინვესტორს ჯერ უნდა ამოეწურა შიდა სასამართლოების ყველა ინსტანცია და მხოლოდ შემდეგ უნდა მიემართა საარბიტრაჟო ცენტრისთვის, თუ ამის აუცილებლობა ისევ იქნებოდა. ICSID ტრიბუნალი არ დაეთანხმა ამ მსჯელობას და მიუთითა, რომ მსგავსი დათქმის პირობებში, არ არსებობდა ორსაფეხურიანი სავალდებულო სისტემა და ინვესტორი უფლებამოსილი იყო ნებისმიერ დროს მიემართა პირდაპირ ICSID ცენტრისთვის, შიდა სასამართლოებისთვის სავალდებულო მიმართვის პროცედურების გარეშე.[222]

2.2.1.2. საინვესტიციო კონტრაქტის გზით

ყველა საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება არ იძლევა ICSID ცენტრზე წვდომის საშუალებას და არც ყველა ქვეყანას აქვს დადებული ერთმანეთთან მსგავსი შეთანხმებები. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოები ცდილობენ ინვესტორებთან ინდივიდუალური კონტრაქტის გაფორმებას. განსხვავებით ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებებისგან, სადაც მხარეები საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან, ინვესტირებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს უშუალოდ ინვესტორს და სახელმწიფოს შორის. სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით შეიძლება მოწესრიგდეს როგორც ინვესტირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, ასევე დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმები და სახელმწიფომ თანხმობა განაცხადოს დავის ICSID ცენტრისთვის გადაცემაზე. პრაქტიკაში, ეს წარმოადგენს ინვესტორებისა წახალისებისა და მოზიდვის გზას, რათა განხორციელდეს ინვესტიცია სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ დარგებში და ამის სანაცვლოდ ინვესტორმა მიიღოს მასზე მორგებული პირობები და წვდომა დავის გადაწყვე-

[222] იქვე, 315-317.

ტის საერთაშორისო მექანიზმებზე.[223] თუმცა, როგორც წესი, სახელმწიფოები ასეთ თანხმობაზე მიდიან, როდესაც ინვესტორი მინიმუმ საშუალო ზომის საწარმოა ან ინვესტიციის ოდენობა არის სოლიდური ბენეფიციარი ქვეყნის ეკონომიკისთვის.[224]

არ არსებობს რაიმე შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფოს აუკრძალავდა ინვესტორთან ინდივიდუალური ხელშეკრულებების დადებას, მაშინაც კი, როდესაც ინვესტორის მშობლიურ სახელმწიფოსთან ბენეფიციარ სახელმწიფოს აქვს ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება და ამ შეთანხმებით ისედაც აქვს ინვესტორს წვდომა ICSID ცენტრზე. სახელმწიფოთა შორის მსგავსი ხელშეკრულებების პირობებშიც კი ინვესტორმა შეიძლება მიიღოს უკეთესი პირობები ინდივიდუალურ მოლაპარაკებებში.

2.2.1.3. სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის საფუძველზე

რამდენიმე სახელმწიფო ცდილობდა, ინვესტორებისთვის მეტი გარანტიების მიცემის გზით მოეზიდათ უცხოური კაპიტალი. 1980-იანი წლების შემდეგ, ვიდრე მოხდებოდა საინვესტიციო ხელშეკრულებების ფართოდ გავრცელება, ცალკეულმა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა მიმართეს ინოვაციურ მეთოდს და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და წახალისების მიზნით, უცხოელი ინვესტორების დაცვის სტანდარტები და უპირველესად დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმები ასახეს შიდა კანონმდებლობაში. ასეთი მიდგომის ყველაზე ცნობილი მაგალითი იყო ალბანეთის 1993 წლის კანონი უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით, სადაც პირდაპირ მითითებულია, რომ ალბანეთი გამოხატავდა წინასწარ თანხმობას, მიენიჭებინა ICSID ცენტრისთვის იურისდიქცია იმ შემთხვევისათვის, თუ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავა წარმოიშობოდა.[225] ალბანეთის გარდა, უცხოელ ინვესტორთან დავის შემთხვევებში, შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, ICSID ცენტრის იურისდიქციაზე წინასწარი თანხმობა ასევე გაცხადებული ჰქონდა სამხრეთ სუდანს.[226] შიდა კანონმდებლობაში მსგავსი ჩანაწერების არსებობის შემთხვე-

[223] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 321.

[224] Waibel M., Investment Arbitration: Jurisdiction and Admissibility, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1225.

[225] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 321.

[226] Waibel M., Investment Arbitration: Jurisdiction and Admissibility,, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1225.

ვაში სწორედ ეს საკანონმდებლო აქტები წარმოადგენენ საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის კომპეტენციის დადგენის წინაპირობას.[227]

მიუხედავად შიდა კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობა არ არის ყოველთვის ცხადი და აშკარა დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების შეთავაზებასთან დაკავშირებით. ეგვიპტის შიდა კანონმდებლობაში არსებული ასეთი ჩანაწერის ბუნდოვანება გახდა ერთ-ერთი დავის დაწყების საფუძველი. ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ე.წ. Pyramids საქმეზე არ მიიჩნია მართებულად ეგვიპტის პოზიცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ტრიბუნალისთვის შიდა კანონმდებლობაში არსებულ ჩანაწერს არ და ვერ ექნებოდა მნიშვნელობა და ასეთი ჩანაწერი საჭიროებდა ცალკე დამატებითი შეთანხმების იმპლემენტაციას. კონვენციის 25-ე მუხლის საფუძველზე ტრიბუნალმა განმარტა, რომ საინვესტიციო დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმები არის იერარქიულად უფრო მაღალი დონის და გამოირიცხება ყველა სხვა დავის გადაწყვეტის საშუალება, თუ თანხმობა არსებობს ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დავის განხილვასთან დაკავშირებით.[228]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ასეთ ჩანაწერებს ახასიათებთ, არის ის, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთი შიდა კანონმდებლობა შეცვალონ ან გააუქმონ ნებისმიერ დროს, ისე რომ ამის შესახებ არ შეუთანხმდეს მეორე სახელმწიფოს ან სხვა პირს და არც აცნობოს ამის შესახებ წინასწარ. ასეთ დროს, გადასაწყვეტი რჩება საკითხი, შიდა კანონმდებლობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შემდგომი ცვლილება აუქმებს თუ არა უკვე გამოხატულ თანხმობას დავის საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებისთვის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით, თუ ცვლილების დროს ინვესტორს და სახელმწიფოს შორის დავა წარმოშობილია ან შემდგომში წარმოიშობა. სამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს მიერ გამოხატული თანხმობა ICSID ცენტრისთვის იურისდიქციის გადაცემასთან დაკავშირებით არის გამოუხმობადი და ვეღარ შეიცვლება შიდა კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების ან სხვა გზების გამოყენებით. ასეთი განმარტება თანხვედრაშია ICSID კონვენციის მიზნებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უშუალოდ მსგავსი საკითხი ჯერ არ ყოფილა განხილული და ამასთან დაკავშირებით არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო პრაქტიკა.[229]

[227] იქვე, 1225.

[228] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 328.

[229] იქვე, 330.

გარდა სანდოობასთან და სტაბილურობასთან დაკავშირებული ბუნდოვანებებისა, უნდა ითქვას, რომ ბოლო ორ ათწლეულში მნიშვნელოვნად შემცირდა შიდა კანონმდებლობის საფუძველზე ICSID ცენტრის იურისდიქციის დადგენის შემთხვევები, რაც გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების პოპულარობა.[230]

2.2.1.4. დავის დაწყების შემდეგ

როგორც აღინიშნა, გარდა ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებებისა, ICSID ცენტრზე დათანხმება ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ შესაძლოა მოხდეს უშუალოდ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დადებული საინვესტიციო კონტრაქტით და ასევე ამ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით.[231] გარდა ამისა, ინვესტიციის ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ თანხმობა ICSID ცენტრზე ან სხვა ტრიბუნალებზე შეიძლება გამოიხატოს არა დავის დაწყებამდე, არამედ მას შემდეგ, რაც ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავა წარმოიშობა.[232]

ბუნებრივია, არ არსებობს რაიმე გარანტია ან გონივრული მოლოდინი იმისა, რომ დავის დაწყების შემდეგ სახელმწიფო განაცხადებს თანხმობას ICSID ცენტრის იურისდიქციაზე. შესაბამისად, ინვესტორის პერსპექტივიდან, დავის წარმოშობის შემდგომ ბენეფიციარი სახელმწიფო საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებისთვის იურისდიქციას გადაცემის ალბათობა ძალიან დაბალია. ამის გათვალისწინებით, დავის წარმოშობის შემდგომ საერთაშორისო მექანიზმებზე შეთანხმება არის არა რაიმე გარანტია ან ვალდებულება, არამედ მხოლოდ მხარეთა უფლება.[233] პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიუხედავად დავის წარმოშობის შემდეგ ICSID ცენტრის იურისდიქციაზე შეთანხმების შესაძლებლობის არსებობისა, მხარეები უპირატესობას მეტწილად მაინც წინასწარ შეთანხმებას ანიჭებენ.[234]

მიუხედავად დავის შემდეგ გაცემული თანხმობების შედარებით იშვიათობისა, პრაქტიკაში მოიძებმება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თავად ინვე-

[230] Waibel M., Investment Arbitration: Jurisdiction and Admissibility,, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1226.

[231] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 52.

[232] იქვე, 52.

[233] იქვე, 52.

[234] Waibel M., Investment Arbitration: Jurisdiction and Admissibility,, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1224-1225.

სტორი დაეთანხმა დავის შემდეგ ICSID ცენტრის იურისდიქციას. ამის კარგი მაგალითია Burlington v Ecuador საქმე, სადაც დადგინდა არბიტრაჟის იურისდიქცია ეკვადორის შეგებებულ სარჩელზე და მხარეთა თანხმობა იურისდიქციის შესახებ შედგა დავის დაწყების შემდეგ.[235]

2.2.2. ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალის ექსკლუზიურობა

არბიტრაჟს აქვს ძალიან დიდი როლი საერთაშორისო კომერციულ დავებში ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის განხილვისა და გადაწყვეტისას.[236] მართალია, ICSID არბიტრაჟი არ არის კლასიკური მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ტრიბუნალი, თუმცა მხარეებს სთავაზობს დავის გადაწყვეტის და ტრიბუნალის ფორმირების წესებს.[237]

ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალს ახასიათებს ექსკლუზიურობა. კერძოდ, ICSID კონვენციის შესაბამისად, არბიტრაჟზე მხარეთა თანხმობა გულისხმობს სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებათა გამორიცხვას, მათ შორის სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალების და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებების გამორიცხვასაც. ICSID არბიტრაჟზე თანხმობის შემთხვევაში მხოლოდ კონვენციის შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალია უფლებამოსილი განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ICSID ტრიბუნალის ეს უპირატესობა და ექსკლუზიურობა ვრცელდება როგორც შიდა სასამართლოებზე, ასევე დავის გადაწყვეტის სხვა საერთაშორისო მექანიზმებზეც.[238]

ექსკლუზიურობასთან დაკავშირებით, პრეცედენტული საქმე იყო Attorney-General v Mobil Oil NZL ltd, სადაც ახალი ზელანდიის სასამართლოებმა მიუთითეს ცენტრის იურისდიქციის უპირატესობაზე. ამ საქმეში ახალი ზელანდიის მთავრობამ წამოიწყო დავის პარალელური პროცედურები შიდა სასამართლოში ინვესტორის წინააღმდეგ. საბოლოოდ, ახალი ზელანდიის უზენაესმა სასამართლომ აღიარა ICSID ცენტრის ექსკლუზიურობა და შეაჩერა საქმის განხილვა იმ დრომდე, ვიდრე ICSID ტრიბუნალი არ დაიდგენდა

---

235 Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 181.

236 Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, p 411-412.

237 Happ R., ICSID Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München, 2013, 925.

238 Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 700.

კომპეტენციას.[239] ასევე, ICSID ტრიბუნალმა საქმეზე Maritime International Nominees Establishment v. Republic of Guinea, კატეგორიულად მიუთითა ცენტრის ექსკლუზიურ კომპეტენციაზე შიდა ნაციონალური სასამართლოებთან მიმართებით.[240] იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს სურს, რომ გარკვეულწილად შეარბილოს ICSID ცენტრის ექსკლუზიურობა, კონვენციის შესაბამისად, არბიტრაჟზე თანხმობის წინაპირობად, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს ადგილობრივი ადმინისტრაციული ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა. ყველა სხვა შემთხვევაში, ICSID ტრიბუნალის იურისდიქციას აქვს უპირატესი ძალა ყველა დანარჩენი დავის გადაწყვეტის საშუალებებთან და მექანიზმებთან მიმართებით.

2.2.3. საარბიტრაჟო სარჩელის ინიციირება და ტრიბუნალის დაკომპლექტება

მართალია, საინვესტიციო შეთანხმებებისა და კონტრაქტების დიდი ნაწილი შეიცავს დათქმებს ICSID ცენტრის შესახებ, თუმცა ზოგიერთი მათგანი ცდილობს, რომ გარკვეული წინაპირობები დააწესოს დავის დაწყებისთვის. მაგალითისთვის, მრავალი საინვესტიციო შეთანხმება ითვალისწინებს დათქმებს იმის შესახებ, რომ ინვესტორს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების უფლება წარმოეშობა მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ დავის დაწყებიდან. ასეთ დროს, პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული ვადა არის 6 (ექვსი) თვე, რის შემდეგაც ინვესტორს ეძლევა უფლება, მიმართოს არბიტრაჟს. ამ ვადაში მხარეები ცდილობენ დავის სხვა გზებით მოგვარებას, რათა თავიდან იქნეს არიდებული ინვესტორის მიერ დავის წამოწყება.[241] მიუხედავად ასეთის ვადის დაწესებისა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში, ინვესტორს მაინც შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს დასახელებული ვადის ამოწურვამდეც, თუ აშკარაა, რომ ამ მოლაპარაკებებს შედეგი არ ექნება ან ინვესტორს ადგება მნიშვნელოვანი ზიანი.[242]

როგორც წესი, თანამედროვე საარბიტრაჟო განხილვის დაწყების პროცედურები ორსაფეხურიანია. პირველ ეტაპზე ინვესტორი წერილობით აცნობებს ბენეფიციარ სახელმწიფოს დავის დაწყების შესახებ და მიაწოდებს სადავო საკითხების ჩამონათვალს. თუ შეთანხმება ვერ შედგა, ინვესტორი დაიწყებს სა-

[239] იქვე, 701-702.

[240] იქვე, 701-702.

[241] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 117.

[242] იქვე, 118.

არბიტრაჟო პროცედურებს, მიმართავს შეთანხმებულ საარბიტრაჟო ცენტრს, რის შემდეგაც იწყება არბიტრების შერჩევის პროცედურა.[243]

კონვენციის შესაბამისად, საარბიტრაჟო პროცესის ინიციირებისათვის, კონვენციის წევრი სახელმწიფოს ინვესტორმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ICSID ცენტრის გენერალურ მდივანს. წარდგენილ უნდა მიეთითოს მხარეების შესახებ ინფორმაცია და მათი დასახელებები. ასევე, სადავო საკითხების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, აუცილებელია, რომ წარდგენილ იქნას თანხმობის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს ICSID ცენტრის იურისდიქციას, ICSID კონვენციის პროცედურული წესების შესაბამისად.[244] თუ საარბიტრაჟო სარჩელი ინიციირებულია იურიდიული პირის მიერ, უნდა იქნეს თანდართული ამ იურიდიული პირის შესაბამისი შიდა ორგანოს თანხმობაც დავის დაწყების შესახებ.[245]

დავასთან დაკავშირებით ცენტრის იურისდიქციის არსებობა არის უმნიშვნელოვანესი. საარბიტრაჟო პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით განაცხადს გენერალური მდივანი მხოლოდ მაშინ დაარეგისტრირებს, თუ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, დადგინდება, რომ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით არსებობს ცენტრის კომპეტენციაზე შეთანხმება და დავის საგანი არსებითად არ სცდება ცენტრის იურისდიქციას. გენერალური მდივანი მხარეებს დაუყოვნებლივ აცნობებს წარდგენილი განაცხადის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.[246]

იურისდიქციასთან ერთად მნიშვნელოვანია არბიტრთა რაოდენობის განსაზღვრაც. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა დაკომპლექტდეს მხარეთა შეთანხმების შედეგად დანიშნული მხოლოდ კენტი რაოდენობის არბიტრებისგან. არბიტრთა კენტი რაოდენობა არის პირდაპირი მოთხოვნა. დავის განხილვა შეიძლება მოხდეს ერთი არბიტრის მიერაც. გენერალური მდივანი აქტიურად არის ჩართული არბიტრთა შერჩევის პროცედურაში. თუ ერთ-ერთი მხარე შეარჩევს არბიტრს, მდივანი ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ამ არბიტრს და არბიტრისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში აცნობებს მხარეებს.[247]

თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრების რაოდენობაზე და მათი დანიშვნის წესზე, ასეთ შემთხვევაში ტრიბუნალი შედგება სამი არბიტრისგან, რო-

[243] იქვე, 120.

[244] Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1314-1315.

[245] იქვე, 1315.

[246] იქვე, 1314.

[247] იქვე, 1322.

მელთაგან თითოეული მხარე დანიშნავს თითო არბიტრს, ხოლო მესამე არბიტრი ინიშნება მხარეთა შეთანხმებით და მასვე მიენიჭება ტრიბუნალის თავმჯდომარის უფლებამოსილება.[248] ICSID კონვენციის 39-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ არბიტრთა უმრავლესობა არ უნდა იყოს იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც არის დავის მონაწილე ან/და რომლის მოქალაქეც არის დავის მხარე. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ არბიტრების დანიშვნა მოხდა თავად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.[249]

მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი დაარეგისტრირებს საარბიტრაჟო სარჩელს, დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალი უნდა დაკომპლექტდეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში. თუ საარბიტრაჟო სარჩელის რეგისტრაციის შესახებ გენერალური მდივნის მიერ მხარეთათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან 90 დღის ვადაში ან მხარეთა მიერ განსაზღვრულ სხვა ნებისმიერ ვადაში, ტრიბუნალის დაკომპლექტება ვერ მოხერხდა, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის პრეზიდენტი ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე და რამდენადაც ეს შესაძლებელია, ორივე მხარისაგან მიღებული რჩევების გათვალისწინებით, დანიშნავს იმ არბიტრებს, რომლებიც ჯერ არ არიან დანიშნულნი. პრეზიდენტი არბიტრებს ნიშნავს საარბიტრაჟო პანელის წევრებიდან, გენერალური მდივნის რეკომენდაციით, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში.[250]

ICSID კონვენცია მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, რომ შეთანხმებით ისეთი არბიტრებიც კი დანიშნონ, რომლებიც არ არიან არბიტრთა სიაში. ამასთან, არბიტრი აუცილებლად უნდა იყოს სიის წევრი, თუ მისი დანიშვნა ხდება ბანკის პრეზიდენტის მიერ, მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში.[251] როგორც მხარეთა, ასევე ბანკის პრეზიდენტის მიერ შერჩეული არბიტრები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი რეპუტაციით და პროფესიონალიზმით. მხარეთა დანიშნული არბიტრი, თუ იგი არ არის არბიტრთა სიაში, უნდა გამოირჩეოდეს მაღალი მორალური თვისებებით, ჰქონდეს კომპეტენცია სამართლის, სავაჭრო, სამეწარმეო ან საფინანსო სფეროებში. კვალიფიკაცია და მაღალი რეპუტაცია აუცილებელია, რათა არსებობდეს ნდობა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი

[248] იქვე, 1322-1323.

[249] Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1321-1324.

[250] იქვე, 1321-1322.

[251] Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1321-1323.

შეძლებენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არბიტრის კომპეტენცია სამართლის სფეროში.[252]

არბიტრებმა განხილვაზე თანხმობის გაცხადების შემდეგ წერილობით უნდა განაცხადონ ინტერესთა კონფლიქტის ან სხვა რაიმე ისეთი გარემოების არარსებობის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათი გადაწყვეტილების მიღებაზე. ეს ვალდებულება არსებობს მაშინაც კი, თუ შესაბამისი გარემოებები დავის დაწყების დროს არ არსებობდა და წარმოიშვა შემდეგში.[253] ინტერესთა კონფლიქტის არგაცხადება შეიძლება შემდეგში გახდეს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.[254]

2.2.4. საარბიტრაჟო განხილვის ენა და ადგილი

მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც შესაძლოა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს მხარეთათვის, არის დავის განხილვის ენა და ადგილი, რადგანაც მათი შერჩევა დაკავშირებულია გარკვეულ რესურსების და ხარჯების დამატებით გაღებასთან.

დავის განხილვის ადგილის შერჩევისას მხარეები სარგებლობენ ფართო ავტონომიით. აპრობირებული პრაქტიკაა, რომ საარბიტრაჟო განხილვები მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის სათავო ოფისში, ვაშინგტონში, თუმცა მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ საარბიტრაჟო განხილვის სხვა ნებისმიერი ადგილი. ასეთი ადგილი შეიძლება იყოს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო ან სხვა ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის შენობა. მხარეები ასევე უფლებამოსილნი არიან, შეთანხმდნენ ნებისმიერ სხვა განხილვის ადგილზე. ამასთან, განხილვის ადგილი თანხმდება საარბიტრაჟო ტრიბუნალთან, რომელიც თავის მხრივ, კონსულტაციას მართავს გენერალურ მდივანთან. [255]

სხვა მუდმივმოქმედი ან ad hoc არბიტრაჟებისგან განსხვავებით, რომელთა მიმართაც ყოველთვის მოქმედებს lex arbitri-ს წესები და ტრიბუნალები ექვემდებარებიან განხილვის ადგილის სასამართლოების ზედამხედველობას, შიდა სამართლის ნორმები არ ვრცელდება ICSID ცენტრის არბიტრაჟის პროცედურულ წესებზე.[256] ICSID ცენტრის ასეთი ავტონომიურობა გარანტირებულია კონვენციით ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ.

---

[252] იქვე, 1321-1324.

[253] იქვე, 1321-1324.

[254] დეტ. იხ. მე-8 თავის მე-3 ქვეთავი.

[255] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 83.

[256] იქვე, 83.

ICSID პროცედურული წესების თანახმად, ინგლისური, ესპანური და ფრანგული წარმოადგენენ ოფიციალური ენებს. ტრიბუნალის თანხმობით, მხარეებს შეუძლიათ ასევე დაადგინონ განხილვის სხვა ენა. გარდა ამისა, მხარეებს შეუძლია აირჩიონ ორი ენა განხილვისთვის და თუ მათ შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, თითოეული მხარე ირჩევს ერთ-ერთ ოფიციალურ ენას და მხარეთა შერჩეულ ორივე ოფიციალურ ენას გამოიყენებს ტრიბუნალი განხილვის დროს.[257] ერთდროულად ორი ენის გამოყენების უფლება შენარჩუნდა ახალი 2022 წლის წესებითაც.[258]

2.2.5. დავის განხილვის პროცედურა

ზოგადი წესის თანახმად, პირველ ეტაპზე, ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარედგინება საარბიტრაჟო სარჩელი (განცხადება) და საარბიტრაჟო მოპასუხის პოზიცია. საარბიტრაჟო სარჩელში (განაცხადი) ინვესტორი უთითებს შესაბამის სამართლებრივ ნორმებს და ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც ის ამყარებს საკუთარ მოთხოვნებს და პოზიციას. მსგავსად, მოსარჩელისა, სახელმწიფოც ამზადებს საპასუხო წერილობით პოზიციას, სადაც მოყვანილია სამართლებრივი და ფაქტობრივი მსჯელობა და და უარყოფილია ინვესტორის არგუმენტები. როგორც წესი, საარბიტრაჟო ტრიბანელების უმეტესობა ითხოვს, რომ მხარემ ტრიბუნალის იურისდიქცია სადავოდ გახადოს არაუგვიანეს მოპასუხის მიერ წერილობითი პოზიციის წარმოდგენისა.[259]

ტრიბუნალის იურისდიქციის სადავოობისას, თავად ტრიბუნალი წყვეტს საკუთარი კომპეტენციის საკითხს. ტრიბუნალის მიერ საკუთარი კომპეტენციის დადგენის წესს ლიტერატურაში კომპეტენციის კომპეტენციას უწოდებენ.[260] კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, თუ სადავოა არბიტრაჟის კომპტენცია, ტრიბუნალს შეუძლია ეს საკითხი გადაწყვიტოს წინასწარ ან იმსჯელოს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში და კომპეტენციის საკითხი დაადგინოს არსებითად განსახილველ საკითხებთან ერთად.[261] ამის გათვალისწინებით, ისიც შესაძლებელია, რომ ტრიბუნალმა განიხილოს საქმე, მოისმინოს მხარეთა პოზი-

[257] იქვე, 83.

[258] ICSID Arbitration 2022 Rules, Rule 7 (1).

[259] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 405.

[260] Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1344.

[261] იქვე, 1348.

ციები, გამოიკვლიოს მტკიცებულებები და ბოლოს გადაწყვიტოს, რომ ICSID ცენტრს არ აქვს იურისდიქცია.

ICSID პროცედურული წესების შესაბამისად, განმხილველი ტრიბუნალი ვალდებულია, არჩევიდან 60 დღის ვადაში ან მხარეთა შეთანხმებით დადგენილ სხვა გონივრულ ვადაში გამართოს პირველი სხდომა. როგორც წესი, პირველ სხდომაზე წყდება პროცედურული საკითხები, მათ შორის ზეპირი განხილვისას გამომსვლელთა რიგითობა. თუ მხარეები შეთანხმდებიან, განხილვა შეიძლება მოხდეს დისტანციურადაც, ტექნიკური საშუალების გამოყენებით.[262] საგულისხმოა, რომ ეს ვადები არ შეცვლილა 2022 წლის საარბიტრაჟო წესებითაც.

კონვენციის 43-ე მუხლი ტრიბუნალს აღჭურავს უფლებით, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეებს დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა. ამასთან, ტრიბუნალი უფლებამოსილია, თავად მოინახულოს შემთხვევის ადგილი და ადგილზე განახორციელოს შესაბამისი მოკვლევა.[263] ამასთან, ტრიბუნალის დისკრეცია, მოსთხოვოს მხარეებს მტკიცებულებების წარმოდგენა, არ არის აბსოლუტური. თავად მხარეებმა შეიძლება დაადგინონ მტკიცებულებათა წარმოდგენის განსხვავებული წესები, პროცედურები, ვადები და შეზღუდონ ან გაზარდონ ტრიბუნალის მსგავსი უფლებამოსილება.[264]

ICSID ტრიბუნალმა საქმეზე AGIP v Congo, გაითვალისწინა საარბიტრაჟო მოსარჩელის პოზიცია და მოპასუხეს მისცა რეკომენდაცია, წარმოედგინა სრული სია მტკიცებულებებისა. ინვესტორი ამ გზით ცდილობდა იმ მტკიცებულებების მოპოვებას, რომელიც ინახებოდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ. კონგოს რესპუბლიკა არ დაეთანხმა ამ რეკომენდაციის შესრულებას.[265] მეორე საქმეზე (Vacuum Salt v Ghana), მოსარჩელე ინვესტორი ითხოვდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დროებითი ღონისძიების გამოყენებას, რათა მას ჰქონოდა კორპორაციულ ჩანაწერებზე წვდომა. ეს ჩანაწერები იყო იმ საწარმოში, რომლის ექსპროპრიაც უკვე მოხდა. ამ საქმეში, მოპასუხე სახელმწიფო საკუ-

[262] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 134.

[263] Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1362-1363.

[264] იქვე, 1362-1363.

[265] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 141.

თარი ნებით დაეთანხმა ინვესტორს, ჰქონოდა შეუფერხებელი წვდომა კორპორაციულ ჩანაწერებზე.[266]

კიდევ უფრო პრობლემურია ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები ინახება არა რომელიმე მხარესთან, არამედ მესამე პირებთან, მათ შორის სხვა სახელმწიფოში. გამომდინარე იქიდან, რომ არბიტრაჟი არის მხარეთა თანხმობაზე დამოკიდებული ინსტიტუტი, ეს შეთანხმება ვრცელდება უშუალოდ მხოლოდ მხარეებზე და არსებობს სერიოზული ბარიერები მესამე პირებზე ვალდებულებების გავრცელების კუთხით. უმეტეს შემთხვევაში, საქმეს ართულებს ისიც, რომ მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს სხვა ადგილზე და საქმის განხილვის ადგილი იყოს სხვაგან, რომელზეც სხვა სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება. ასეთ დროს, შეზღუდული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, ტრიბუნალები ეცნობიან მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებების გამოთხოვაზე, ამოწმებენ ამ მტკიცებულების საქმესთან შემხებლობას და შეიძლება მიმართონ ამ პირებს მტკიცებულებების წარმოდგენასთან დაკავშირებით.[267] თუმცა, რაიმე მყარი სამართლებრივი ბერკეტი იმისა, რომ ასეთი მტკიცებულებები ყველა შემთხვევაში იქნეს წარმოდგენილი, არ არსებობს.

მსგავსად, დავის გადაწყვეტის ტრადიციული საშუალებებისა, ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალებშიც გვხდება მკიცებულებათა გავრცელებული სახეები, როგორიცაა მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტიზის დასკვნები, ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებები. ICSID ცენტრის 2022 წლის საარბიტრაჟო წესების 38-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეამოწმონ მოწმეები საქმის განხილვამდე, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის და ტრიბუნალის კონტროლის ქვეშ. თითოეულ მხარეს შეუძლია კითხვა დაუსვას მოწმეებს. როგორც წესი, მოწმეები წერილობითი ფორმით აძლევენ ჩვენებას. თუ ტრიბუნალი საჭიროდ ჩათვლის, შესაძლებელია ასეთი მოწმის გამოძახება ზეპირ განხილვაზეც.[268]

საარბიტრაჟო განხილვისას, ინვესტორი და სახელმწიფო უფლებამოსილები არიან, წერილობით მტკიცებულებებთან ერთად, წარადგინონ ზეპირი ახსნა-განმარტებებიც. ზეპირის განხილვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია საქმის სპეციფიკაზე, ასევე განხილვის სტილზე. ზოგიერთი არბიტრი ამჯობინებს, რომ ჯერ მიიღოს წერილობითი პოზიციები და შემდეგ მოისმინოს ზეპირი არგუმენტები. საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან არიდების მიზ-

[266] იქვე, 141-142.

[267] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 163.

[268] ICSID 2022 Arbitration Rules, Rule 38.

ნით, არბიტრები თანხმდებიან, რომ ზეპირი არგუმენტებისა და მოწმეთა დაკითხვისთვის მხარეებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული დრო.[269]გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ შეთავაზებული წესისგან განსხვავებულ ზეპირი განხილვის პირობებზე.

მართალია, შეთანხმება ICSID არბიტრაჟზე არის მბოჭავი ხასიათის ორივე მხარისთვის, თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც მოპასუხე ბენეფიციარი სახელმწიფოები თავს არიდებენ საარბიტრაჟო განხილვის პროცედურებში მონაწილეობას. აღიარებული პრინციპია, რომ განხილვაში მონაწილეობაზე მხარის უარის თქმამ არ უნდა შეაჩეროს დავის საარბიტრაჟო განხილვა. შესაბამისად, ტრიბუნალმა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშეც.[270] პრინციპში, ეს შესაძლებლობა აღიარებულია 2022 წლის საარბიტრაჟო წესების 49-ე მუხლითაც.

განხილვისას მნიშვნელოვანია წესია ისიც, რომ კონვენციის 45-ე მუხლის თანახმად, რომელიმე მხარის გამოუცხადებლობა ან მის მიერ პოზიციის წარუდგენლობა არ მიიჩნევა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი პოზიციის დადასტურებად.[271] არბიტრაჟი ყველა შემთხვევაში იკვლევს საქმეში არსებულ მტკიცებულებს და გარემოებებს. თუ აღმოჩნდება, რომ მხარე უარს აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილეობაში ან არ წარადგენს საკუთარ პოზიციას, ეს არ ართმევს მეორე მხარეს უფლებას, საარბიტრაჟო ტრიბუნალისგან მოითხოვოს სადავო საკითხების განხილვა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, აღიარებულია, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე, ტრიბუნალმა უნდა შეატყობინოს და დამატებითი ვადა მისცეს გამოუცხადებელ მხარეს ან იმ მხარეს, რომელმაც უარი განაცხადა პოზიციის წარმოდგენაზე.[272] თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის წინასწარვე აშკარაა, რომ მეორე მხარე არ გეგმავს გამოცხადებას ან საკუთარი პოზიციის წარდგენას, ტრიბუნალს შეუძლია აღარ განსაზღვროს დამატებითი ვადა, განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.[273]

---

[269] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press 2020, 408-409.

[270] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 126.

[271] Hanessian G., Default, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 1198.

[272] იქვე, 1198.

[273] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 127.

2.2.6. გადაწყვეტილების მიღება

საქმის განხილვის დასრულების შემდეგ ტრიბუნალი იღებს გადაწყვეტილებას. წინასწარ რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა ვადაში მოხდება ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღება, რადგან ეს დამოკიდებულია ბევრ გარემოებაზე, მათ შორის განხილვის პროცედურებსა და ხანგრძლივობაზე. მაშინაც კი, როდესაც თავად მხარეები განსაზღვრავენ ტრიბუნალებისთვის ლიმიტირებულ დროს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ყოფილა შემთხვევები, როდესაც თავად არბიტრები სთხოვენ მხარეებს დამატებით დროს. ვადების გაჭიანურება პირდაპირაა დაკავშირებული როგორც საქმის სირთულესთან, ასევე არბიტრების დატვირთულობასთან.[274]

2022 წელს განახლდა ICSID-ის საარბიტრაჟო წესები, რამაც გარკვეული კორექტივები შეიტანა გადაწყვეტილების მიღების პროცედურაში. ცვლილებებამდე მოქმედებდა 2006 წელს მიღებული წესები. ახალი წესების პირველი მუხლის თანახმად, ეს წესები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ საარბიტრაჟო დავაში, რომლის მხარეებიც არიან ინვესტორი და სახელმწიფო და რომელიც მიმდინარეობს ICSID კონვენციის 44 ე მუხლის შესაბამისად.[275] კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი საარბიტრაჟო პროცესი ტარდება მხარეების მიერ არბიტრაჟზე შეთანხმების დღეს მოქმედი საარბიტრაჟო წესების მიხედვით, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან. ამასთან, ტრიბუნალი თავად წყვეტს ნებისმიერ პროცედურულ საკითხს, რომელიც არ არის მოწესრიგებული კონვენციით, საარბიტრაჟო წესებით ან მხარეთა მიერ განსაზღვრული სხვა წესებით.

ახალმა წესებმა კვლავ სცადა გადაწყვეტილების მიღების დროის შემჭიდროება. ICSID-ის 2022 წლის საარბიტრაჟო წესების 58 (1) მუხლის თანახმად, ტრიბუნალმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დაუყოვნებლივ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ICSID-ის 2006 წლის წესების 46-ე მუხლში დადგენილი იყო, რომ გადაწყვეტილება უნდა მომზადდეს არაუგვიანეს 120 დღისა განხილვების დასრულების შემდეგ. ეს ვადა შეიძლება გაგრძელებულიყო ტრიბუნალის მიერ დამატებით მხოლოდ 60 დღით, თუ დასახელებულ 120 დღეში ვერ მოხდებოდა გადაწყვეტილების მომზადება.[276] საგულისხმოა, რომ ეს ვადა ახალი წესებით გაიზარდა 240 დღემდე, მაშინ როდესაც წინა რეგულირებით მაქსიმალური ვადა 180 დღეს ვერ გადასცდებოდა.[277]

[274] იქვე, 179-180.

[275] ICSID 2022 Arbitration Rules, Rule 1.

[276] <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/Arbitration_Rules.pdf> [30.11.2023]

[277] ICSID 2022 Arbitration Rules, Rule 1.

გადაწყვეტილების მიღებამდე არბიტრები აჯამებენ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, პოზიციებს და წერილობით ახსნა-განმარტებებს. ზოგადად, გადაწყვეტილების პირველადი დრაფტი მზადდება ტრიბუნალის თავმჯდომარის მიერ, რომელსაც იგი მიაწვდის სხვა არბიტრებს კომენტარებისა და შენიშვნებისთვის. გადაწყვეტილების საბოლოო სახის მიღების შემდეგ, არბიტრი, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობა თანაარბიტრების გადაწყვეტილებას, წერს განსხვავებულ აზრს. განსხვავებულ აზრს არ აქვს იურიდიული ძალა, თუმცა მას შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს სხვა საქმეთა განხილვისას.[278]

გადაწყვეტილებას ტრიბუნალი იღებს ხმათა უმრავლესობით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მზადდება წერილობითი ფორმით და მას ხელს უნდა აწერდნენ ის არბიტრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას. ტრიბუნალის ნებისმიერი წევრს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს უმრავლესობის მიღებულ გადაწყვეტილებას და გადაწყვეტილებას დაურთოს განსხვავებული მოსაზრება.[279] საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს ტრიბუნალის წინაშე დასმულ ყველა საკითხს. ტრიბუნალმა უნდა მიუთითოს საფუძვლები, თუ რას ეყრდნობა ეს გადაწყვეტილება. საქმეზე Tulip v Turkey, ტრიბუნალმა (ad hoc) მიუთითა, რომ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების დასაბუთება არის კონვენციის 48(3) მუხლით და და პროცედურული წესებით დადგენილი ვალდებულება.[280]

ფორმალური მხრივ, გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს მხარეები, არბიტრები, განხილვის ადგილი, განხილვის დრო, ტრიბუნალის მიღებული გადაწყვეტილება და ასევე აღნიშვნა იმის შესახებ, თუ არსებობს განსხვავებული აზრი.[281] ეს რეკვიზიტები სავალდებულო სახით შენარჩუნდა ახალი წესების 59-ე მუხლითაც. გადაწყვეტილების სავალდებულო ელემენტების არსებობა შეიძლება გახდეს ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი კონვენციით დადგენილი წესით.[282]

ახალი საარბიტრაჟო წესების 59-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სავალდებულო რეკვიზიტებს, მათ შორის მხარეთა და მათ

[278] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 223.

[279] Happ R., ICSID Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München, 2013, 987-988.

[280] Scherer M., Morris D., The Award, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 1243.

[281] Happ R., ICSID Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München 2013, 987-988.

[282] Scherer M., Morris D., The Award, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA 2019, 1247.

წარმომადგენელთა დასახელებას, მათ მოთხოვნებს, განხილვისა დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას. ტრიბუნალი ვალდებულია, მიღებულ გადაწყვეტილებაში უპასუხოს ყველა სადავო საკითხს და მოთხოვნას. ეს ვალდებულება პირდაპირ გამომდინარეობს კონვენციის 48 (3) მუხლიდან.[283] ICSID კონვენციის 49.2 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში, თუ ერთ-ერთი მხარე ამას მოითხოვს, ტრიბუნალი უფლებამოსილია, მეორე მხარისთვის შეტყობინების შემდეგ, გადაწყვიტოს ის საკითხები, რომელიც გადაუჭრელი დატოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილების მიმღები ტრიბუნალი ასევე ვალდებულია, შეასწოროს არითმეტიკული და სხვა სახის ტექნიკური შეცდომები. ასეთი შესწორება ან გადაუჭრელ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილი და მხარეებს ეცნობება იმავე ფორმით, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეცნობათ.[284] ასეთი გადაწყვეტილების მიმართ, კონვენციით დადგენილი, ტრიბუნალის გადაწყვეტილების გადასინჯვის ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების მიღების დღიდან.[285]

ICSID-ის 2022 წლის საარბიტაჟო წესების მე-60 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც ხმის მიმცემი ყველა არბიტრი ხელს მოაწერს გადაწყვეტილებას, გენერალური მდივანი დაუყოვნებლივ უგზავნის გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლებს ყველა მხარეს და ICSID ცენტრის არქივს. არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებასთან ერთად იგზავნება ცალკეული არბიტრების განსხვავებულ აზრებიც. ამასთან, გენერალური მდივნისთვის მიმართვის გზით მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ გადაწყვეტილების დამატებითი დამოწმებული ასლები ნებისმიერ დროს.[286]

2.2.7. დავის განხილვის დამატებითი შესაძლებლობა ICSID კონვენციის შესაბამისად (Additional Facility)

ICSID ცენტრისთვის მიმართვა წარმოადგენს ერთგვარ პრივილეგიას და ამისთვის დადგენილია სავალდებულო წინაპირობები. იმისათვის, რომ ინვესტორს ჰქონდეს წვდომა დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმზე და ICSID კონვენციის შესაბამისად, დავა გადაწყდეს არბიტრაჟის ან კონსილაციის

[283] Scherer M., Morris D., The Award, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA 2019, 1241.

[284] Happ R., ICSID Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München, 2013, 990-991.

[285] იქვე, 990-991.

[286] ICSID 2022 Arbitration Rules, Rule 60.

მეშვეობით, მხოლოდ ICSID-ის იურისდიქციაზე შეთანხმება არ არის საკმარისი. აუცილებელია, რომ როგორც მოპასუხე სახელმწიფო, ასევე ის სახელმწიფო, რომლის ნაციონალიცაა ინვესტორი, იყვნენ კონვენციის წევრი ქვეყნები.[287]

ცალკეული ქვეყნების ინვესტორებისთვის ICSID ცენტრისათვის მიმართვის უზრუნველსაყოფად, კონვენციას დაემატა ცალკეული ცვლილებები და განისაზღვრა დავის განხილვის დამატებითი შესაძლებლობა (Additional Facility). 1978 წლის ცვლილებები იძლევა შესაძლებლობას, რომ დავა გადაწყდეს ICSID არბიტრაჟის ან კონსილაციის მეშვეობით, როდესაც ერთ-ერთი მხარე (სახელმწიფო) მაინც არის კონვენციის წევრი ან მოდავე ინვესტორი არის წევრი სახელმწიფოს „ნაციონალი".[288] დასახელებული ცვლილებების აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ICSID-ის კონევნციის იურისდიქციის გარეთ არსებული დავების გადაწყვეტა. იმის გათვალისწინებით, რომ Additional Facility-ით განხილული დავა არ არის კონვენციის შესაბამისად განხილული დავა, ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ აღსრულდება კონვენციის შესაბამისად. როგორც აღინიშნა, ICSID-ის კონვენციის იურისდიქციისთვის, აუცილებელია, რომ მოპასუხე სახელმწიფოც და მოსარჩელე ინვესტორის სახელმწიფოც იყვნენ კონვენციის წევრები.[289]

1978 წლის ცვლილებებს (Additional Facility) ჰქონდა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა NAFTA-ს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რადგან ამ ხელშეკრულების მხარეებიდან მხოლოდ აშშ იყო ICSID კონვენციის წევრი, ხოლო კანადა და მექსიკა არ შეერთებულან კონვენციას. ამის გათვალისწინებით, რადგანაც აშშ არის კონვენციის წევრი, ICSID Additional Facility-ის მიერ არბიტრაჟით განხილვა ხელმისაწვდომი იყო კანადელი ან ამერიკელი ინვესტორებისთვის, თუ ისინი დავას დაიწყებდნენ აშშ-ს მიმართ ან ამერიკელი ინვესტორებისთვის ამ ორი ქვეყნის წინააღმდეგ წამოწყებულ დავებში. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მექსიკელი ან კანადელი ინვესტორები დაიწყებდნენ დავას კანადის ან მექსიკის მიმართ, ასე შემთხვევაში, ვერც ICSID Additional Facility-ის წესები იქნებოდა გამოყენებული, რადგან არცერთი ეს ქვეყანა კონვენციის წევრი არაა.[290] დღეის მდგომარეობით, NAFTA-ს ხელშეკრულება ჩაანაცვლა იმავე ქვეყნების

[287] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 704.

[288] იქვე, 704.

[289] Vandelvelde J. K., Bilateral Investment Treaties, History, Policy, and Interpretation, Oxford University Press, 2010, 435.

[290] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 705.

მიერ დადებულმა USMCA-ს ხელშეკრულებამ, რომელიც მოქმედებს 2020 წლის პირველი ივლისიდან.[291] 1978 წელს მიღებული Additional Facility-ს წესები საქართველოსთანაც შეიძლება იყოს შემხებლობაში, რადგან საქართველოსაც აქვს ან შეიძლება მომავალში ჰქონდეს იმ ქვეყნებთან ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები, რომლებიც არ იქნებიან ICSID კონვენციის წევრები.

მიუხედავად ცალკეული ინვესტორებისათვის ICSID ცენტრისთვის მიმართვის გამარტივებისა, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ე.წ. Additional Facility-ის წესებით ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ICSID კონვენციის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას.[292] შედეგობრივი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ICSID კონვენციის შესაბამისად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულდება ისე, როგორც წევრი ქვეყნის საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო Additional Facility-ის წესებით მიღებული გადაწყვეტილება აღსრულდება საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის ზოგადად დადგენილი წესების თანახმად, ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციის დებულებების გათვალისწინებით.[293]

2023 წლის პირველი იანვრისათვის ნიუ იორკის კონვენციის წევრი იყო 172 სახელმწიფო, რომლებიც აღიარებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების გამარტივებულ მიდგომას.[294] ამასთან, კონვენცია ეხება მხოლოდ საერთაშორისო არბიტრაჟს და არ ფარავს შიდა საარბიტრაჟო ტრიბუნალებში მიღებულ გადაწყვეტილებებს.[295]

2.3. ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტა სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში

მართალია, ICSID ცენტრი ყველაზე პოპულარულია, თუმცა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის არაერთი სხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი არსებობს. როგორც წესი, საარბიტრაჟო ცენტრებში არბირტრთა არჩევის პროცედურა არის მსგავსი. მხარეები ირჩევენ თითო არბიტრს. ამის შემდეგ, მხარეთა არჩეული არბიტრები დანიშნავენ მესამე არ-

[291] The U.S.-Mexico-Canada Agreement (USMCA), <https://www.trade.gov/north-american-free-trade-agreement-nafta> [30.11.2023]

[292] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 706.

[293] International Investment Arbitration in a nutschel, edited by Ferrari Franco, Brian King, West Academic Publishing, USA, 2020, 547.

[294] <https://www.newyorkconvention.org/countries >[30.11.2023]

[295] International Investment Arbitration in a nutschel, edited by Ferrari Franco, Brian King, West Academic Publishing, USA, 2020, 547.

ბიტრს, რომელიც იქნება ამ საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე.[296] იმის გათვალისწინებით, რომ სხვა საარბიტრაჟო ცენტრებზე არ ვრცელდება ICSID კონვენცია, არბიტრაჟზე თანხმობის ფორმები, განხილვის წესები, არბიტრების დანიშვნა და სხვა პროცედურული საკითხები გადაწყდება თავად ცენტრების დადგენილი წესებით, მხარეთა შეთანხმებითა და განხილვის ადგილის ქვეყნის კანონმდებლობით.

საინვესტიციო შეთანხმებების დიდი ნაწილი, როგორც წესი, მხოლოდ ერთ ასეთ ცენტრზე აკეთებს მითითებას (მაგ: ICSID ცენტრი), მაშინ როდესაც ცალკეული ხელშეკრულებები ტოვებენ ინვესტორებისთვის შესაძლებლობას, არჩეული იქნეს რამდენიმე დავის გადაწყვეტის ცენტრიდან ერთ-ერთი. მაგალითისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ აქვს რაიმე სპეციალური შემზღუდავი დათქმა, ენერგეტიკის ქარტია (ECT) იძლევა შესაძლებლობას, რომ პოტენციური დავა განხილულ იქნეს ბენეფიციარი ქვეყნების ადგილობრივ სასამართლოებში, ICSID დავის გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრში, სტოკჰოლმის კომერციული საარბიტრაჟო პალატაში (SCC), მხარეთა მიერ უკვე შეთანხმებული დავის გადაწყვეტის პროცედურების შესაბამისად, ან ad hoc არბიტრაჟში UNCITRAL წესების შესაბამისად.[297]

ცალკეული BIT-ებში გვხდება ასევე დავის გადაწყვეტის მექანიზმები, რომლებიც ადგენს არა ICSID ცენტრის იურისდიქციას, არამედ სხვა საარბიტრაჟო ცენტრების. მაგალითისთვის, ნიდერლანდებისა და ჩეხეთს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება შეიცავდა დათქმას, რომ ერთ-ერთი მხარის ინვესტორის მიერ მეორე სახელმწიფოსთან დაწყებული დავა გადაწყდებოდა ad hoc არბიტრაჟის მიერ UNCITRAL-ის წესების შესაბამისად.[298]

შედეგობრივად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება და უპირატესობა, რაც ICSID ტრიბუნალებს გამოარჩევს სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალებისგან არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართება ბენეფიციარი სახელმწიფოს სასამართლოების გადაწყვეტილებებთან. ICSID ცენტრის შემთხვევაში, ყველა ხელმომწერი მხარე აღიარებს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება განიხილება, როგორც ეროვნული სასამართლოს უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებას არ სჭირდება დამატებით ცნობა-აღსრულების პრო-

[296] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 128.

[297] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 429.

[298] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 315.

ცედურები შიდა სასამართლოებში.[299] ამისგან განსხვავებით, როგორც წესი, სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის შესაბამისად, რა დროსაც, საკმაოდ მაღალია რისკი იმისა, რომ კონვენციით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა სასამართლოებმა უარი თქვან ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.[300]

2.3.1. საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC)

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (ICA) დაფუძნდა 1923 წელს, 5 წლის შემდეგ საერთაშორისო სავაჭრო პალატის დაფუძნებიდან.[301] საარბიტრაჟო სასამართლო არის ICC შემადგენელი ნაწილი, რომელიც 1919 წელს დაარსდა და სათავო ოფისი აქვს პარიზში. პალატის მიზანია, ხელი შეუწყოს და განავითაროს საერთაშორისო ვაჭრობა. ICC-ს საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს საერთაშორისო ხასიათის ბიზნეს დავებს.[302]

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (ICA) და სამდივნოს სათავო ოფისი არის პარიზში, ხოლო სხვა ოფისები ნიუ-იორკში და ჰონგ კონგშიც, მას არ აქვს რაიმე კავშირი რომელიმე ქვეყანასთან. ICC არბიტრაჟში დავა შეიძლება იქნეს განხილული ნებისმიერი ეროვნების არბიტრის მიერ, მხარეთა შეთანხმებულ ნებისმიერ ენაზე და საარბიტრაჟო პროცედურები შეიძლება გაიმართოს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან.[303] საარბიტრაჟო სასამართლო შედგება 40 განსხვავებული ქვეყნისგან და განმხილველ პირებს აქვთ დიდი გამოცდილება საერთაშორისო ბიზნეს სამართალში და დავების გადაწყვეტაში. [304]

მიუხედავად სახელისა, თავად ICC საარბიტრაჟო სასამართლო არ განიხილავს საქმეებს და არ იღებს გადაწყვეტილებებს. იგი მხარეებს სთავაზობს მხოლოდ ტექნიკურ უზრუნველყოფას და არბიტრთა სიებს. ICC საარბიტრაჟო სასამართლომ შეიძლება თავად დანიშნოს არბიტრები, თუ მხარეები ვერ ახე-

[299] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 700.

[300] იქვე, 700.

[301] Aschauer C., Reiner A., ICC Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München, 2013, 27.

[302] Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 141.

[303] იქვე, 141.

[304] იქვე, 142.

რხებენ კანდიდატურებზე შეთანხმებას.[305] ICC საარბიტრაჟო სასამართლომ შეიძლება შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად მოხდა ტრიბუნალის ფორმირება ICC წესების შესაბამისად.[306]

ICA-ს საარბიტრაჟო სასამართლოს შეიძლება მიმართონ ერთდროულად რამდენიმე საარბიტრაჟო მოსარჩელემ ერთი ან რამდენიმე საარბიტრაჟო მოპასუხის მიმართ. ასევე, შესაძლებელია დავის განხილვაში მესამე პირების მონაწილეობაც.[307]

მას შემდეგ, რაც მომზადდება არბიტრების მიერ გადაწყვეტილების დრაფტი, იგი ეგზავნება ICA-ს საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელიც ამოწმებს გადაწყვეტილების ფორმალურ კრიტერიუმებს, რწმუნდება, რომ გადაწყვეტილება ფარავს ყველა არსებით სადავო საკითხს და ხომ არ შეიცავს რაიმე მათემატიკურ უზუსტობებს. თუმცა, საბოლოოდ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი არის არა ICC საარბიტრაჟო სასამართლო, არამედ გადაწყვეტილების მიმღები საარბიტრაჟო ტრიბუნალი.[308]

საერთაშორისო სავაჭრო პალატაში (ICC) საარბიტრაჟო დავის გამოცდილება აქვს საქართველოსაც, რომელმაც უკრაინული კომპანია Altcom Road Construction-ის მიმართ დაიწყო დავა სავაჭრო პალატის 2017 წლის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. დავის საგანს წარმოადგენდა უკრაინული კომპანიის მიერ საგზაო მონაკვეთებზე ინფრასტრუქტურულ სამუშაოების არ განხორციელება.[309] საქართველოს მონაწილეობით საერთაშორისო სავაჭრო პალატაში განხილული მეორე საქმე შეეხებოდა იტალიურ კომპანია Todini Construzioni-ს, სადაც ასევე დავის საგანი იყო საგზაო-ინფრასტრუქტურული სამუშაოების არშესრულება.[310]

---

[305] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press 2012, 242.

[306] Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 142.

[307] Aschauer C., Reiner A., ICC Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München, 2013, 35.

[308] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 242.

[309] The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia v. Altcom Road Construction, LLC, ICC Case No. 24638/MHM/HBH, <https://jusmundi.com/en/document/decision/en-the-roads-department-of-the-ministry-of-regional-development-and-infrastructure-of-georgia-v-altcom-road-construction-llc-award-sunday-1st-may-2022> [30.11.2023]

[310] The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia v. Todini Construzioni Generali SpA, ICC Case No. 24851/MHM/HBH, <https://jusmundi.com/en/document/other/en-the-roads-department-of-the-ministry-of-region-

2.3.2. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (LCIA)

ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო არსებობს 1986 წლიდან და იგი არის 1892 წელს დაფუძნებული ლონდონის საარბიტრაჟო პალატის სამართალმემკვიდრე. საარბიტრაჟო სასამართლო იხილავს საერთაშორისო კომერციული ტრანზაქციებიდან წარმოშობილ დავებს, ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საინვესტიციო დავების ჩათვლით. მხარეებს ასევე შეუძლიათ, სურვილის შემთხვევაში აირჩიონ დავის განხილვა UNCITRAL-ის წესების შესაბამისად.[311] ამასთან, თავად LCIA-საც აქვს საკუთარი საარბიტრაჟო წესები,რომელიც მიღებულია 2020 წელს. მანამდე მოქმედებდა 2014 წლის საარბიტრაჟო წესები.[312]

LCIA-ს არ აქვს მართლმსაჯულების ფუნქცია და იგი არ იღებს განსახილველ დავებზე გადაწყვეტილებებს. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის უმაღლესი ორგანო LCIA-ს წესების შესაბამისად, რომლის ფუნქციებშიც შედის შერჩევა და დანიშვნა არბიტრების და არბიტრების მოწვევა და ხარჯების კონტროლი.[313] არბიტრების დანიშვნა და საარბიტრაჟო პროცესებთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირება მიიჩნევა LCIA-ს მთავარ ფუნქციად.[314]

LCIA-ს, როგორც ინსტიტუციას, არ აქვს უფლება დაადგინოს, არის თუ არა შეთანხმება არბიტრაჟზე ნამდვილი შეთანხმება ან/და რამდენად სწორად მოხდა საქმეების გაერთიანება ერთ წარმოებაში. გარდა ამისა, სასამართლო არაა უფლებამოსილი, შეამოწმოს მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსი და ხარისხი. იგი ასევე არაა უფლებამოსილი, დაადგინოს, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა საარბიტრაჟო პროცედურების დაწყებაზე LCIA-ს წესებს. ამასთან, იგი უფლებამოსილია, რეგულარულად თვალი ადევნოს მიმდინარე საარბიტრაჟო საქმეების პროგრესი.[315] ამ ყველაფრის უფლებამოსილება გააჩნია

al-development-and-infrastructure-of-georgia-v-todini-construzioni-generali-spa-press-release-from-the-roads-department-of-the-ministry-of-regional-development-and-infrastructure-of-georgia-wednesday-19th-february-2020> [30.11.2023]

311 Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 242.

312 <https://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/lcia-arbitration-rules-2020.aspx> [30.11.2023]

313 Konrad S., Hunter RA., LCIA Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München, 2013, 419.

314 Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 143.

315 Konrad S., Hunter RA., LCIA Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München 2013, 419.

კონკრეტული საქმის განმხილველ საარბიტრაჟო ტრიბუნალებს, რომელიც იქ-მნება მხარეთა შეთანხმებისა და LCIA-ს საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.[316]

LCIA-ს საარბიტრაჟო სასამართლოში განიხილებოდა საქართველოსა და კომპანია Polestar Compania Maritima S.A.-ს შორის არსებული საარბიტრაჟო დავა, რომელზეც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1998 წლის 24 აგვისტოს. ამ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხების მორიგებით დასრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს განკარგულებით, ნება და-ერთო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ეწარმოებინა მოლაპარაკება კომპანია Polestar Compania Maritima S.A.-სთან.[317]

2.3.3. სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი (SCC)

სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტი დაფუძნდა 1917 წელს და ის არის სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის ერთ-ერთი დეპარტამენტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი სტრუქტურულად არ არის დამოუკიდებელი სუბიექტი, მხოლოდ საა-რბიტრაჟო სასამართლოს აქვს უფლება, მოიწვიოს და დანიშნოს არბიტრები, განსაზღვროს ხარჯები, განხილვის ადგილი და სხვა პროცედურები, SCC-ის საა-რბიტრაჟო წესების შესაბამისად.[318]

სტოკჰოლმის არბიტრაჟმა, 1970-იან წლებში, როგორც ნეიტრალურმა მხა-რემ, შეიძინა დიდი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირს და დასავლეთის ქვეყნებს შორის წარმოშობილი კომერციული დავების განხილვაში. ბოლო წლებში განსა-კუთრებით გაიზარდა სხვადასხვა ქვეყნების მიერ დავის განხილვის ორგანოდ სტოკჰოლმის არბიტრაჟის მითითების შემთხვევები. იგი არის ასევე ერთ-ერთი შესაძლო არჩევანი ენერგეტიკის ქარტიიდან (ECT) წარმოშობილი დავების გა-ნსახილველად. ითვლება, რომ სტოკჰოლმის არბიტრაჟი არის ერთ-ერთი მნიშ-ვნელოვანი ინსტიტუცია საინვესტიციო დავების განხილვისთვის ICSID ცენტრ-თან და PCA-თან ერთად.[319] მიიჩნევა, რომ სტოკჰოლმის არბიტრაჟი არის ასევე ერთ-ერთი ნეიტრალური დავის გადაწყვეტის ორგანო დასავლეთის ქვეყნებს და ჩინეთს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტისთვის.[320]

---

316 <https://www.lcia.org/LCIA/organisation.aspx> [30.11.203]

317 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს განკარგულება №1387.

318 Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press 2019, 79-80.

319 იქვე, 80.

320 Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 144.

სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტს აქვს საკუთარი საარბიტრაჟო წესები, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის პირველ იანვარს. მანამდე მოქმედებდა 2017 წელს მიღებული საარბიტრაჟო წესები.[321] შეიძლება ითქვას, რომ განხილული საქმეების რაოდენობის და ავტორიტეტის გათვალისწინებით, სტოკჰოლმის არბიტრაჟი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია ICSID ცენტრისა.

სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტში განიხილებოდა საქართველოსთან დაკავშირებული გახმაურებული დავა, სადაც საარბიტრაჟო მოსარჩელე იყო ზაზა ოქუაშვილი, ხოლო მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველო. დავა ეფუძნებოდა საქართველოსა და ბრიტანეთს შორის 1995 წლის 15 თებერვალს დადებული საინვესტიციო შეთანხმების საფუძველზე ინვესტორისთვის მინიჭებული უფლებების შესაძლო დარღვევას.[322]

2.3.4. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო (PCA)

მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო არის დაფუძნებული 1899 წელს, ჰააგის კონვენციის შესაბამისად.[323] PCA არ არის ტრადიციული გაგებით საარბიტრაჟო სასამართლო. იგი მხოლოდ ადმინისტრირებას უწევს საარბიტრაჟო განხილვებს და კონსილაციის პროცესებს. დავები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე კერძო პირების მონაწილეობით. ეს დავები შეიძლება მიემართებოდეს როგორც საერთაშორისო კერძო სამართალს, ასევე საერთაშორისო საჯარო სამართალს.[324]

PCA იძლევა საშუალებას, განხილვა მოხდეს UNCITRAL-ის წესებითაც. არბიტრაჟის გარდა, მხარეებმა შეიძლება დავა გადაწყვიტონ მედიაციისა და კოსნილაციის, ასევე დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული ფორმების გზითაც.[325]

მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოში (PCA) შედგა Frontera-სთან დაკავშირებული გახმაურებული დავა (Georgian Oil and Gas v. Frontera). Frontera ითხოვდა საქართველოსთვის რამდენიმე მილიარდი დოლარის დაკისრებას. ამ საქმეში, ტრიბუნალი ასევე განიხილავდა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის საარბიტრაჟო სარჩელსაც.[326]

---

321 <https://sccarbitrationinstitute.se/en/resource-library/rules-and-policies/scc-rules> [30.11.2023]

322 Zaza Okuashvili v. Georgia, SCC Case No. EA 2019/038, <https://www.italaw.com/cases/9965> [30.11.2023]

323 Reinish A., Malintoppi L., Methods of dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 709.

324 Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press 2012, 242.

325 <https://pca-cpa.org/en/services/ >[30.11.2023]

326 (1) JSC Georgian Oil and Gas Corporation (2) LEPL State Agency of Oil and Gas v. (1) Frontera Resources Georgia Corporation (2) Frontera Resources US LLC, PCA Case No.

2.3.5. დროებითი AD HOC არბიტრაჟით დავის გადაწყვეტა და UNCITRAL-ის წესები

ბუნებრივია, გარდა ICSID ცენტრის, სტოკჰოლმის, ლონდონის, მუდმივ-მოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს (PCA) საარბიტრაჟო ინსტიტუტებისა, არსებობს სხვა არაერთი საარბიტრაჟო ცენტრი, სადაც განიხილება ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავები. მათ შორის გამოსარჩევია ბრუნეის, სინგაპურს, ტაილანდს, ფილიპინებს და მალაიზიას შორის 1987 წელს გაფორმებულ ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ მრავალმხრივ ხელშეკრულების (ASEAN)[327] საფუძველზე შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალი და მექსიკას, კანადასა და აშშ-ს შორის 2020 წლის USMCA-ს[328] ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალები.

ცალკეულ შემთხვევებში, მხარეებმა შეიძლება აირჩიონ დავის გადაწყვეტის ისეთი ფორმა და წესები, რომლებიც არ მიეკუთვნება არცერთ არსებულ დავის გადაწყვეტის ცენტრს. მხარეებმა შესაძლოა თავად შექმნან დავის გადაწყვეტის პროცედურები ან პროცედურების გარკვეული ნაწილი, მაგალითად, როგორიცაა არბიტრის დანიშვნის წესები, „ისესხონ" არსებული საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესებიდან.[329] მე-19 და მე-20 საუკუნეში, არაერთი საქმე იქნა განხილული ad hoc არბიტრაჟების მიერ. ეს არბიტრაჟები არ მოქმედებდნენ რომელიმე ორგანიზაციის მიერ დადგენილი და მუდმივმოქმედი წესების შესაბამისად. ხელშემკვრელი მთავრობები თავად განსაზღვრავდნენ გადაწყვეტის წესებს შეთანხმებით და ადგენდნენ ნეიტრალური არბიტრების არჩევის წესებსაც.[330]

მიუხედავად იმისა, რომ ad hoc არბიტრაჟს აქვს გარკვეული უპირატესობები, რაც დაკავშირებულია მოქნილობასთან, რათა მხარეებმა თავად შექმნან კონკრეტულ დავაზე მორგებული განხილვის წესები, ასეთი არბიტრაჟები აწყდებიან მნიშვნელოვან პრობლემებსაც. კერძოდ, დავის გადაწყვეტის ყველა წესი და პროცედურა უნდა შეთანხმდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებების შედეგად, რაც დროსთან ერთად მოითხოვს მატერიალურ რესურსებსაც. იმ შემთხვევაში,

2018-02, <https://jusmundi.com/en/document/decision/en-georgian-oil-and-gas-corporation-and-the-state-agency-of-oil-and-gas-of-georgia-v-frontera-resources-georgia-corporation-and-frontera-resources-us-llc-final-award-friday-17th-april-2020> [30.11.2023]

327 <https://aiirm.org/dispute-resolution/> [30.11.2023]

328 <https://ustr.gov/trade-agreements/free-trade-agreements/united-states-mexico-canada-agreement/agreement-between> [30.11.2023]

329 Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 146.

330 Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 38.

თუ მხარეები წინასწარ არ დაადგენენ დავის გადაწყვეტის სრულყოფილ წესებს, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ მოულოდნელი პრობლემების წინაშე, რა დროსაც შესაძლოა მეორე მხარემ სხვაგვარად გაიგოს არსებული პირობები და გართულდეს, როგორც გადაწყვეტილების მიღება, ისე შემდგომი აღსრულება.[331]

ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები ad hoc არბიტრაჟით დავის განხილვისას თანხმდებიან UNCITRAL-ის წესებით დავის გადაწყვეტაზე. მაგალითისთვის, საქართველოსა და იტალიას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების მე-9 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ დავის მოგვარება ვერ მოხერხდება მეგობრული გზით, დავის მოგვარების შესახებ წერილობითი შეტყობინების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, ინვესტორს შეუძლია თავისი არჩევანის მიხედვით, წარუდგინოს დავა განსახილველად „ad hoc"-ის საარბიტრაჟო სასამართლოს, საერთაშორისო სავაჭრო კანონის შესახებ გაერთიანებული ერების კომისიის (UNCITRAL) საარბიტრაჟო წესის შესაბამისად. მასპინძელი მოპასუხე მხარე იღებს ვალდებულებას, მიიღოს ნახსენები საარბიტრაჟო სასამართლო.[332]

UNCITRAL-ის წესები მიღებულ იქნა 1976 წელს. წესები ფართოდ გავრცელდა და გამოიყენება საერთაშორისო კომერციული და საინვესტიციო დავების არბიტრაჟის გზით გადაწყვეტისას.[333] ეს წესები ასევე გამოყენებულ იქნა ირან-ამერიკის დავებშიც 1981 წელს, სადაც ერთდროულად განიხილებოდა აშშ-ს ინვესტორების სარჩელები ირანის მიმართ, ირანის ინვესტორების სარჩელები აშშ-ს მიმართ და ამ ორივე ქვეყნის სარჩელები ერთმანეთის მიმართ.[334]

UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესები განახლდა 2010 წელს. თუმცა, 1976 წლის წესები ისევ არის მოქმედი მანამდე დადებული იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელ ხელშეკრულებებშიც დავის განხილვის ფორმად ეს წესებია მითითებული. 1985 წელს UNCITRAL-მა მიიღო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონი. მოდელური კანონი განსაკუთრებით პოპურალური გახდა აზიის ქვეყნებში. 2011 წლისთვის, ამ კანონზე იყო დაფუძნებული მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნის შიდა საარბიტრაჟო კანონმდებლობა.[335]

---

[331] Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 146.

[332] შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ", 15.05.1997, მე-9 მუხლის, მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[333] Greenberg S., Kee C., Weeramantry J. R., International Comercial Arbitration, an Asia –Pacific Perspective, Cambridge University Press, 2011, 14.

[334] Delaney J., Magray Barstow D., Procedural Transparency, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 735.

[335] Greenberg S., Kee C., Weeramantry J. R., International Comercial Arbitration, an Asia –Pacific Perspective, Cambridge University Press, 2011, 15-16.

2.4. კონფიდენციალურობის პრინციპის მოქმედების ფარგლები

კონფიდენციალურობა არის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი თვისება ICSID ცენტრში მოდავე მხარეებისათვის. ანალოგიური მიდგომა აქვთ სხვა საარბიტრაჟო ცენტრებსაც. პარალელურად, საინვესტიციო დავებში, ყოველთვის მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი. სულ უფრო იზრდება სამოქალაქო საზოგადოების და სხვა ჯგუფების მოთხოვნა ტრანსფარენტულობის მეტი ხარისხის შესახებ. გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად ხშირად ითხოვენ განხილვაში ე.წ. სასამართლოს მეგობრის (amicus curiae) ჩართვასაც.[336]

აღიარებულია, რომ ICSID ცენტრი არ არის უფლებამოსილი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოაქვეყნოს მხარეთა თანხმობის გარეშე.[337] ეს დათქმა არის მოცემული კონვენციის 48-ე მუხლის მე-5 პუნქტში. მხარეთა თანხმობის საჭიროება ეხება გადაწყვეტილების სრულ ტექსტს.[338] ამასთან, 2006 წლის შემდეგ, ცენტრი აქვეყნებდა ნაწყვეტებს სამართლებრივ დასაბუთებასთან დაკავშირებით. ცვლილებები განხორციელდა გამჭვირვალეობის უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.[339] ICSID აქტიურად ცდილობს, დაითანხმოს მხარეები გადაწყვეტილების გამოქვეყნებაზე. ხშირად თანხმობის მიღების პროცედურები თვეებიც გრძელდება. თუ მხარეებმა მისცეს თანხმობა, გადაწყვეტილება ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და უცხოური ინვესტიციების სამართლის ჟურნალში.[340]

2022 წლის ახალი საარბიტრაჟო წესების 62-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ICSID ცენტრი სრულად გამოაქვეყნებს გადაწყვეტილებას და სხვა დაკავშირებულ დადგენილებებს. ამასთან, მხარეთა თანხმობით შესაძლოა გამოქვეყნდეს როგორც სრული ტექსტი, ასევე ერთობლივად დარედაქტირებული ტექსტიც. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წერილობით არ დააფიქ-

[336] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 96

[337] Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1350

[338] Scherer M., Morris D., The Award, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA 2019, 1255

[339] Happ R., ICSID Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München 2013, 988-989

[340] Scherer M., Morris D., The Award, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA 2019, 1255

სირებენ უარს გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 60 დღის ვადაში, მიიჩნევა, რომ მათ თანხმობა განაცხადეს გამოქვეყნებაზე. ხოლო, თუ მხარეები უარს აცხადებენ გამოქვეყნებაზე, ცენტრი გამოაქვეყნებს მხოლოდ ნაწყვეტებს სამართლებრივ დასაბუთებასთან დაკავშირებით.[341]

საქართველოსთან დაკავშირებული KazTransGas v. Georgia-ს საქმე არის ერთ-ერთი კარგი მაგალითი გადაწყვეტილების კონფიდენციალურად დარჩენისა. ამ საქმეს განიხილავდა PCA-ს საარბიტრაჟო ტრიბუნალი UNCITRAL-ის 1976 წლის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. დავის განხილვისას ტრბუნალი ეყრდნობოდა ყაზახეთსა საქართველოს შორის არსებულ 1996 წლის 17 სექტემბრის საინვესტიციო შეთანხმებას[342] და ენერგეტიკის ქარტიას. ინვესტორი საქართველოსთვის ითხოვდა 180 მილიონი ამერიკული დოლარის დაკისრებას, თუმცა 2018 წლის 13 სექტემბერს, მხარეთა შორის შედგა მორიგება, რომლის მიხედვითაც, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრა 40 მილიონი ამერიკული დოლარით. შეთანხმების ტექსტი და სხვა ძირითადი დეტალები კონფიდენციალური იყო.[343]

ICSID ცენტრის გარდა, გამჭვირვალეობა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება პრობლემურია სხვა საარბიტრაჟო ცენტრებშიც. მაგალითისთვის, სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტში, ზაზა ოქუაშვილის და საქართველოს საქმეზე, არ მომხდარა საგანგებო არბიტრის მიერ მიღებული 2019 წლის 2 აპრილის დროებითი დადგენილების გამოქვეყნება, რომლითაც საქართველოს აეკრძალა კანონიერ ძალაში შესული ქართული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.[344]

2016 წელს, ორწლიანი საჯარო განხილვების შემდეგ, ICSID-მა შეცვალა განხილვის წესები და შექმნა მეტი შესაძლებლობა, მესამე პირებმა და მიიღონ მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში და ზოგადად, განხილვა იყოს საჯარო.[345] ამის გათვალისიწინებით, ტრიბუნალს შეუძლია, გენერალურ მდივანთან კონსულტაციის შემდეგ, ზეპირი განხილვები მოხდეს საჯაროდ. კერძოდ, თუ მხარეები ამის წინააღმდეგი არ არიან, ICSID წესების 65-ე მუხლის თანახ-

[341] ICSID 20220Arbitration Rules, Rule 62.

[342] <https://jusmundi.com/en/document/treaty/ka-georgia-kazakhstan-bit-1996-georgia-kazakhstan-bit-1996-tuesday-17th-september-1996> [30.11.2023]

[343] KazTransGas JSC v. Georgia, PCA Case No. 2017-22, <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/821/kaztransgas-v-georgia> [30.11.2023]

[344] Zaza Okuashvili v. Georgia SCC Case No. V 2019/058, <https://www.italaw.com/cases/9965> [30.11.2023]

[345] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 96-97.

მად, მხარეების, მათი წარმომადგენლების, ექსპერტების და მოწმეების გარდა, ტრიბუნალმა განხილვაზე შეიძლება დაუშვას სხვა პირებიც, თუ რომელიმე მხარე ამის წინააღმდეგი არაა. ამასთან, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფად, ტრიბუნალმა შეიძლება დაადგინოს სხვა დამატებითი სპეციალური პროცედურებიც.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ICSID ცენტრში, ასევე სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში გარკვეული მცდელობები არსებობს ტრანსფარენტულობის მეტი ხარისხის მისაღწევად, კონფიდენციალურობის პრინციპი კვლავ ურღვევია. მხარეებს შეუძლიათ სრული დოკუმენტაცია გახადონ კონფიდენციალური ან მოხდეს მხოლოდ ცალკეული ნაწილების გასაჯაროება. რაც შეეხება სასამართლო მეგობრის ჩართვას, როგორც წესი, ეს პროცესი არაა დამოკიდებული მხარეთა თანხმობაზე, თუმცა ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი დოკუმენტები შეიძლება მაინც კონფიდენციალური დარჩეს, ამცირებს amicus curiae-ს მონაწილეობის მნიშვნელობას.[346]

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ დავებში გამჭვირვალეობის ნაკლებობის აღმოფხვრის მნიშვნელოვან მცდელობად უნდა შეფასდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2014 წლის კონვენცია ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ საინვესტიციო დავებში გამჭვირვალეობის შესახებ. ეს კონვენცია ძალაში შევიდა 2017 წლის 18 ოქტომბერს. 2023 წლის 19 ნოემბრისთვის, კონვენცია რატიფიცირებულია მხოლოდ ცხრა ქვეყნის მიერ.[347]

2.5. სახელმწიფოს შეგებებული სარჩელი

ბოლო დროს, საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავებში მოიმატა სახელმწიფოს მიერ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრის შემთხვევებმა, თუმცა ეს მაინც იშვიათობას წარმოადგენს და საარბიტრაჟო ტრიბუნალები გარკვეულწილად ცდილობენ, არ მიიღონ განსახილველად მსგავსი სარჩელები.[348] აღიარებულია, რომ შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლების არსებობა ხელს უწყობს მხარეთა უფლებრივი თანასწორობის მიღწევას, თუმცა არსებობს მთელი რიგი სამართლებრივი და პროცედურული პრობლემებისა, რომლებიც ართულებენ ინვესტორის და სახელმწი-

[346] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 97.

[347] United Nations Convention on Transparency in Treaty-based Investor-State Arbitration (New York, 2014), <https://uncitral.un.org/en/texts/arbitration/conventions/transparency/status> [30.11.2023]

[348] Kryvoi, Y., Counterclaims in Investor-State Arbitration, Minnesota Journal of International Law, 2012, 218.

ფოს სარჩელების ერთობლივად განხილვას.[349] უპირველესად, მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მეორე მხარის წინასწარი თანხმობის არარსებობა შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლებაზე.[350] პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში, რომლებიც საარბიტრაჟო ტრიბუნალების იურისდიქციის დამდგენი ძირითადი მექანიზმია, ინვესტორები არ წარმოადგენენ მხარეებს.[351]

დავის გადაწყვეტის შეთანხმებული ცენტრებში შეგებებული სარჩელის ბუნებიდან გამომდინარე, მისი აღძვრა ხდება არბიტრაჟის მიერ ინვესტორის წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების შემდეგ. სახელმწიფოს შეგებებულ სარჩელს აქვს შესაბამისი მოთხოვნა ინვესტორის მიმართ და ასევე მოცემულია ამ მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. შეგებებული სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს საარბიტრაჟო სარჩელისთვის დადგენილ წინაპირობებს და კრიტერიუმებს.[352] სახელმწიფოს შეგებებული სარჩელი არსებითად განსხვავდება ინვესტორის საარბიტრაჟო სარჩელზე სახელმწიფოს წარდგენილი პასუხისგან.[353] ინვესტორის მიერ ინიციირებულ საარბიტრჟო დავებში სახელმწიფომ შეიძლება თავი დაიცვას მრავალი საშუალებით. სახელმწიფოს შეუძლია მიუთითოს ინვესტიციის არარსებობაზე და ამით არბიტრაჟის იურისდიქციის ნაკლზე და ასევე განაცხადოს, რომ მოსარჩელე არ არის ინვესტორი და არ აქვს უფლება ისარგებლოს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებით. ამას გარდა, სახელმწიფომ შეიძლება მიუთითოს ინვესტორის მიერ პირობების დარღვევაზე, რაც შეიძლება გამხდარიყო სახელმწიფოს მხრიდან საპასუხო მოქმედების განხორციელების წინაპირობა.[354]

---

[349] იქვე, 220.

[350] Musayev, K., Counterclaims in treaty-based investment arbitration. An analysis of two main requirements for their admission, Master thesis, Candidate number: 9006, University of Oslo, 2017, 7.

[351] Vohryzek-Griest A., State Counterclaims in Investor-State Disputes: A History of 30 Years of Failure International Law: Revista Colombiana de Derecho Internacional, núm. 15, julio-diciembre, 2009, 91.

[352] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 180.

[353] Musayev, K., Counterclaims in treaty-based investment arbitration. An analysis of two main requirements for their admission, Master thesis, Candidate number: 9006, University of Oslo, 2017, 4.

[354] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 179. იხ. ასევე, ხვედელიძე მ., უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის განხილვა და გადაწყვეტა ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციის (ICSID) შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწდეული 2022 (ორენოვანი გამოცემა), 2022, 55.

იმის გათვალისწინებით, რომ შეგებებული სარჩელი ფაქტობრივად წარმოადგენს დამოუკიდებელ სარჩელს, დასაშვებობის განხილვისას, მნიშვნელოვანია, დავის განმხილველი ორგანოს მიერ შემოწმებული იქნეს შეგებებული სარჩელის აღძვრის წინაპირობები იგივე ფორმით და პროცედურით, როგორც ეს მოხდა ინვესტორის მიერ წარდგენილი პირვანდელი სარჩელის შემთხვევაში, რაც მოიცავს დავის არბიტრაჟისთვის გადაცემასთან დაკავშირებული თანხმობის არსებობის შემოწმებასაც.[355] ამასთან, სახელმწიფოს შეგებებული სარჩელის დასაშვებობის აუცილებელი პირობაა, რომ დავა დაკავშირებული იყოს ინვესტიციასთან და პირდაპირ გამომდინარეობდეს დავის საგნიდან.[356]

მიუხედავად ზრდის ტენდენციისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარი სახელმწიფოს შეგებებული სარჩელები ინვესტორების მიმართ არის მაინც საკმაოდ იშვიათი. ასეთი სარჩელების არბიტრაჟის მიერ განხილვა დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, არიან თუ არა მხარეები შეთანხმებულები ასეთი საქმეების არბიტრაჟის მიერ განხილვაზე და შეთანხმებული პროცედურები მოიცავს თუ არა შეგებებული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობასაც.[357] ამასთან, ICSID ცენტრის აღმასრულებელი საბჭოს მიერ გაცემული მითითებების თანახმად, მხარეთა თანხმობა ცენტრის იურისდიქციის შესახებ, არაა აუცილებელი, რომ ერთი და იმავე დოკუმენტში არსებობდეს ან/და აუცილებლად წინასწარ იყოს გაცემული. შესაძლებელია, მხარეები დავის წარმოშობის შემდეგაც შეთანხმდნენ ცენტრის იურისდიქციაზე.[358] ამის მაგალითია Burlingot v Ecuador საქმე, სადაც დადგინდა არბიტრაჟის იურისდიქცია და მხარეთა თანხმობა იურისდიქციის შესახებ შედგა დავის დაწყების შემდეგ.[359]

არგუმენტების უმეტესობა, რომელიც მხარს უჭერს ICSID ცენტრის იურისდიქციის გავრცელებას სახელმწიფოს შეგებებულ სარჩელებზე, უთითე-

[355] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 153.

[356] Vohryzek-Griest A., State Counterclaims in Investor-State Disputes: A History of 30 Years of Failure International Law: Revista Colombiana de Derecho Internacional, núm. 15, julio-diciembre, 2009, 91.

[357] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 154.

[358] Vohryzek-Griest A., State Counterclaims in Investor-State Disputes: A History of 30 Years of Failure International Law: Revista Colombiana de Derecho Internacional, núm. 15, julio-diciembre, 2009, 91.

[359] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 181.

ბენ კონვენციის 46-ე მუხლზე. ICSID კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, თუ მხარეთა შორის სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს, ტრიბუნალი მხარის მოთხოვნით განსაზღვრავს ძირითად დავის საგანთან ნებისმიერ დაკავშირებულ, შემხვედრ ან დამატებით მოთხოვნას, რომლებიც დავის საგნიდან პირდაპირ გამომდინარეობს, იმ დათქმით, რომ ისინი ექცევიან მხარეთა თანხმობის ფარგლებში და ცენტრის იურისდიქციაში. ბუნებრივია, 46-ე მუხლის ასეთი ფართო განმარტება არ არის ერთმნიშვნელოვნად გაზიარებული. მაგალითისთვის, კონვენციის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი აარონ ბროხესი მიიჩნევდა, რომ 46-ე მუხლის შინაარსი არ უნდა განმარტებულიყო ფართოდ და არ უნდა გაგებულიყო ისე, თითქოს კონვენცია დამატებით ზრდის თავის კომპეტენციის ფარგლებს. ბროხესის მოსაზრებით, კონვენციის ტექსტის შემუშავებისას, მთავარი ამოსავალი წერტილი იყო მხარეთა შეთანხმება და 46-ე მუხლის შინაარსში მოიაზრებოდა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.[360]

უმეტესობა შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელებისა აღძრულია IUSCT,[361] ICSID და UNCITRAL-ის წესების შესაბამისად.[362] სწორედ IUSCT იყო პირველი საარბიტრაჟო ტრიბუნალი, სადაც მოხდა შეგებებული სარჩელის განხილვა Iran v U.S.-ის ცნობილ დავებზე. ამ საქმეებმა დიდი გავლენა იქონია თანამედროვე საარბიტრაჟო სამართლის ჩამოყალიბებაში.[363]

როგორც აღინიშნა, ზოგადად, ICSID კონვენცია და ICSID საარბიტრაჟო წესები უზრუნველყოფენ სახელმწიფოს შეგებებული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობის არსებობას, თუმცა უნდა არსებობდეს კონვენციით დადგენილი თანხმობა იურისდიქციის შესახებ. Roussalis v. Romania-ს საქმეზე ICSID ტრიბუნალმა არ მიიღო რუმინეთის შეგებებული სარჩელი და მიუთითა საქმეში არსებულ რუმინეთსა და საბერძნეთს შორის არსებულ BIT-ზე, სადაც დავის გადაწყვეტის პროცედურის ნაწილში საუბარი იყო მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებებზე ინვესტორის მიმართ.[364] ამ საქმეში განსხვავებული აზრი დაა-

[360] Godbole A., Kalnina E.,, arbitration, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk, Northsmton, MA USA, 2019, 415.

[361] იხ., ირანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წარმოშობილი დავების შესახებ დამატებითი ინფორმაცია <https://iusct.com/about/> [30.11.2023]

[362] Kryvoi, Y., Counterclaims in Investor-State Arbitration, Minnesota Journal of International Law, 2012, 222.

[363] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 180.

[364] Kryvoi, Y., Counterclaims in Investor-State Arbitration, Minnesota Journal of International Law, 2012, 228.

ფიქსირა რუმინეთის დანიშნულმა არბიტრმა პროფესორმა მიხაილ რაისმანმა, რომელმაც განაცახადა, რომ როდესაც სახელმწიფოები თანხმდებიან ერთმანეთის ინვესტორებისთვის ICSID ტრიბუნალის იურისდიქციაზე, შეგებებული სარჩელის უფლებასთან დაკავშირებით, უნდა ვიმსჯელოთ არა მხოლოდ BIT-ში მოცემული რეგულაციით, არამედ კონვენციის 46-ე მუხლითაც. რაისმანის პოზიციით, კონვენციის ცენტრის იურისდიქციის არსებობისას, კონვენციის 46-ე მუხლი იძლეოდა შესაძლებლობას, ტრიბუნალს დაედგინა კომპეტენცია შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით.[365] ამის საპირისპიროდ, მიხაილ რაისმანის მოსაზრება გაიზიარა ტრიბუნალმა საქმეზე Goetz v Burundi და დაადგინა ბურუნდის შეგებებულ სარჩელზე ტრიბუნალის იურისდიქცია.[366] შეგებებულ სარჩელზე ICSID ცენტრის იურისდიქცია ასევე დადგინდა Hamester v. Ghana-ს საქმეშიც. უცნაური ისაა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და განას შორის 1995 წლის 24 თებერვლის BIT-შიც იყო დაახლოებით ისეთი ფორმულირება, როგორც Roussalis v. Romania-ს საქმეზე, საბერძნეთსა და რუმინეთს შორის არსებულ ხელშეკრულებაში, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ტრიბუნალს იურისდიქციის დადგენისას. მართალია, ტრიბუნალმა მიუთითა, რომ შეგებებული სარჩელის მიზნებისათვის, BIT-ის შესაბამისად, ინვესტორი არ წარმოადგენდა მხარეს და პირდაპირი ფორმით არ არსებობდა თანხმობა იურისდიქციასთან დაკავშირებით, თუმცა ტრიბუნალმა ფართოდ განმარტა დავის გადაწყვეტის პროცედურების მარეგულირებელი ნორმები და მიუთითა, რომ სახელმწიფო შესაძლოა ყოფილიყო დაზარებული მხარე, რომელსაც წარმოეშობოდა შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლება.[367]

მნიშვნელოვანი რეგულირება არის მოცემული ICSID-ის ახალ 2022 წლის საარბიტრაჟო წესებში.[368] კერძოდ, წესების 48-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, მხარეს შეუძლია წარადგინოს დამატებითი სარჩელი ან შეგებებული სარჩელი ისე, რომ იგი პირდაპირ გამომდინარეობდეს უცხოური ინვესტიციიდან და ექცეოდეს ICSID ცენტრის იურისდიქციაში, მხარეთა მიერ გაცემული თანხმობის შესაბამისად. ამასთან, დამატებითი სარჩელი უნდა წარედგინოს არაუგვიანეს პირველ სარჩელზე მოპასუხის პოზიციის წარმოდგენამდე, ხოლო შეგებებული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს არა-

[365] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 180.

[366] იქვე, 187.

[367] Kryvoi, Y., Counterclaims in Investor-State Arbitration, Minnesota Journal of International Law, 2012, 229.

[368] <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/Arbitration_Rules.pdf >[30.11.2023]

უგვიანეს პირვანდელი მოსარჩელის მიერ მოპასუხის პოზიციაზე წერილობითი შედავების (Counter-memorial) გაკეთებამდე. ტრიბუნალი უფლებამოსილია, განსაზღვროს კონკრეტული დრო ასეთი სარჩელების წარმოსადგენად.

Saluka v Czech Republic საქმეში[369] ჩეხეთმა აღძრა არაერთი შეგებებული სარჩელი, სადაც აპელირებდა ინვესტორის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის და კონკურენციის წესების დარღვევაზე. UNCITRAL-ის წესებით განმხილველმა PCA ტრიბუნალმა განაცხადა, რომ ჩეხეთს და ნიდერლანდებს შორის არსებულ საინვესტიციო ხელშეკრულების მე-8 მუხლი არბიტრაჟის კომპეტენციას ადგენდა ყველა დავასთან მიმართებით. ტრიბუნალმა განმარტა დასახელებული მუხლი და განაცხადა, რომ მართალია, მუხლის შინაარსი ფარავდა ასევე შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლებასაც, თუმცა იმისათვის, რომ არსებობდეს ტრიბუნალის იურისდიქცია, შეგებებული სარჩელის ავტორი უნდა იყოს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე და მეორე მხარის ინვესტორს უნდა გამოეხატა თანხმობა არბიტრაჟის იურისდიქციაზე.[370] ტრიბუნალმა ასევე განაცხადა, რომ შეთანხმება არსებობდა მოსარჩელე ინვესტორის მშობელ კომპანია Nomura-ს და დამოუკიდებელ სტრუქტურას შორის, რომელიც არ იყოს ჩეხეთის ხელისუფლების ნაწილი და არ იყო შეთანხმების მხარე. ტრიბუნალმა ასევე განაცხადა, რომ შეგებებულ სარჩელს არ ჰქონდა პირდაპირი და აშკარა კავშირი ინვესტორის პირვანდელ სარჩელთან.[371]

Saluka v Czech Republic საქმეში საინტერესოა მხარეთა არგუმენტებიც. ჩეხეთის პოზიციით, ნიდერლანდების და ჩეხეთის საინვესტიციო ხელშეკრულების მე-8 მუხლში მოცემული იყო სიტყვათშეთანხმება „ყველა დავა", რაც მოიცავდა იურისდიქციას როგორც ინვესტორის სარჩელზე, ასევე სახელმწიფოს შეგებებულ სარჩელზე. ინვესტორი Saluka აპელირებდა ratione materiae-ს არარსებობაზე შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით.[372] ამ საქმეში Saluka ეყრდნობოდა UNCITRAL-ის წესების 19.3 მუხლს, რომლის შესაბამისადაც, შეგებებული სარჩელის აღძვრა სახელმწიფოს მიერ დასაშვები იყო, თუ ამის შესა-

[369] Saluka Investments BV v. The Czech Republic, PCA Case No. 2001-04, <https://www.italaw.com/cases/961> [30.11.2023]

[370] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 183.

[371] Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1337.

[372] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 155-156.

ხებ შეთანხმება არსებობდა საინვესტიციო ხელშეკრულებაში და შეგებებული სარჩელის საფუძველს არ წარმოადგენდა საინვესტიციო შეთანხმება. Saluka-ს მეორე არგუმენტი იყო ჩეხეთის შეგებებული სარჩელის კავშირის არარსებობა ინვესტორის პირვანდელ სარჩელთან.[373]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც დავის განმხილველ ტრიბუნალებს აქვთ გადასაწყვეტი არის ის, ვრცელდება თუ არა ტრიბუნალის იურისდიქციაზე შეთანხმება ასევე აფილირებულ მხარეებზეც, როგორიცაა მშობელი კომპანია.[374] ICSID ცენტრში განხილული იქნა საქმე Klöckner v Cameroon, სადაც წარდგენილი იყო კამერუნის შეგებებული სარჩელი ინვესტორისა და ამ ინვესტორის ადგილობრივი წარმომადგენლობის მიმართ.[375] Klöckner იყო გერმანული კომპანია, რომელმაც კამერუნთან ერთად დააარსა ადგილობრივი კომპანია.[376] ტრიბუნალის განმარტებით, მართალია უშუალოდ შეთანხმებას ხელი მოეწერა ადგილობრივ წარმომადგენლობა SOCAME-თან, თუმცა კამერუნი უფლებამოსილი იყო აღეძრა შეგებებული სარჩელი, რადგან არსებობდა მჭიდრო და განუყოფელი კავშირი ამ ორ სუბიექტს შორის და არსებობდა მჭიდრო კავშირი ინვესტორის პირვანდელ სარჩელს და შეგებებულ სარჩელს შორის.[377]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე იყო ასევე AMTO v. Ukraine, რომელიც წარმოიშვა ენერგეტიკის ქარტიის (ECT) საფუძველზე და განიხილებოდა სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (SCC) წესებით. აღსანიშნავია, რომ ქარტია არ შეიცავს რაიმე მითითებას სახელმწიფოს შეგებებული სარჩელის უფლების შესახებ და ორიენტირებულია მხოლოდ სახელმწიფოთა ვალდებულებზე ინვესტორთა მიმართ. უკრაინა ცდილობდა დაერწმუნებინა ტრიბუნალი, რომ არსებობდა ტრიბუნალის იურისდიქცია შეგე-

[373] ხვედელიძე მ., უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის განხილვა და გადაწყვეტა ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციის (ICSID) შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწდეული 2022 (ორენოვანი გამოცემა), 2022, 57.

[374] Kryvoi, Y., Counterclaims in Investor-State Arbitration, Minnesota Journal of International Law, 2012, 230.

[375] Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1337.

[376] Vohryzek-Griest A., State Counterclaims in Investor-State Disputes: A History of 30 Years of Failure International Law: Revista Colombiana de Derecho Internacional, núm. 15, julio-diciembre, 2009, 97.

[377] Kryvoi, Y., Counterclaims in Investor-State Arbitration, Minnesota Journal of International Law, 2012, 232.

ბებულ სარჩელზე SCC საარბიტრაჟო წესების მე-10 მუხლზე მითითებით და ითხოვდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას ქვეყნის რეპუტაციის შელახვისთვის. ტრიბუნალმა არ გაიზიარა ეს პოზიცია და განმარტა, რომ შეგებებული სარჩელი არ აკმაყოფილებდა SCC საარბიტრაჟო წესების მე-10 მუხლის მოთხოვნებს.[378]

შესაძლებელია ისიც, რომ ერთდროულად დაკმაყოფილდეს (თუნდაც ნაწილობრივ) როგორც ინვესტორის, ასევე სახელმწიფოს შეგებებული სარჩელები. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც გამომდინარეობდა ეკვადორსა და აშშ-ს შორის არსებული 1993 წლის 27 აგვისტოს საინვესტიციო ხელშეკრულებიდან, ინვესტორმა Burlinton-მა წარადგინა საარბიტრაჟო სარჩელი ეკვადორის წინააღმდეგ, პარალელურად, ეკვადორმა წარადგინა შეგებებული სარჩელი იმ დასაბუთებით, რომ ინვესტორმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა გარემოს. აღსანიშნავია, რომ ინვესტორმა გამოხატა თანხმობა შეგებებული სარჩელის იურისდიქციასთან დაკავშირებით დავის დაწყების შემდეგ და ეს საკითხი სადავო აღარ იყო. საბოლოოდ, ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, Burlinton დაეკისრა დაახლოებით 41 მილიონი დოლარის გადახდა ეკვადორის სასარგებლოდ, ხოლო ეკვადორს დაეკისრა 379.8 მილიონი დოლარის გადახდა ინვესტორის სასარგებლოდ.[379]

მთავარი პრობლემა, რომელსაც სახელმწიფოს შეგებებული სარჩელები საარბიტრაჟო განხილვისას აწყდებიან, არის ის, რომ უმეტეს შემთხვევაში, ინვესტორის უფლება მიმართოს არბიტრაჟს, გამომდინარეობს სახელმწიფოსა და მეორე სახელმწიფოს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებებიდან. ამ შეთანხმების მხარეები კი არიან სახელმწიფოები და არა ინვესტორი. ამის გათვალისწინებით, BIT-ებზე მითითებით შეგებებული სარჩელის უფლების დასაბუთება საკმაოდ რთულია.[380] გარდა ამისა, როგორც საარბიტრაჟო პრაქტიკა აჩვენებს, შეგებებული სარჩელები უნდა აკმაყოფილებდნენ როგორც ratione materia-ს, ასევე ratione personae-ს კრიტერიუმებს. ამასთან, აუცილებელია, რომ შეგებებული სარჩელი მჭიდრო კავშირში იყოს ინვესტიციასთან და დავის საგანთან, რომელთან დაკავშირებითაც განიხილება ინვესტორის პირვანდელი სარჩელი.[381] უმეტესად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის წესები უთითებენ, რომ აუ-

[378] იქვე, 228.

[379] Burlington v. EcuadorBurlington Resources, Inc. v. Republic of Ecuador, ICSID Case No. ARB/08/5, <https://www.italaw.com/cases/181> [30.11.2023]

[380] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 180.

[381] იქვე, 180.

ცილებელია, არსებობდეს ახლო კავშირი ინვესტორის პირვანდელ სარჩელს და სახელმწიფოს შეგებებულ სარჩელს შორის.[382] ურთიერთგანსხვავებული და გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი საარბიტრაჟო პრაქტიკის გათვალისწინებით, იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს არიდებული სამომავლო დავა შეგებებული სარჩელების იურისდიქციასთან დაკავშირებით, გამოსავალს წარმოადგენს საინვესტიციო შეთანხმებების ან დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალების იურისდიქციების დამდგენ სხვა შეთანხმებებში შესაბამისი დათქმების იმგვარი ფორმულირება, რომელიც ფართო ინტერპრეტაციების საშუალებას არ მისცემს ტრიბუნალებს. რადგანაც ხელშეკრულებების ტექსტს ადგენენ მხარეები, მათ თავადვე შეუძლიათ დაადგინონ გამომრიცხავი დათქმები ან პირდაპირი თანხმობები.[383]

[382] Kryvoi, Y., Counterclaims in Investor-State Arbitration, Minnesota Journal of International Law, 2012, 220.

[383] Godbole A., Kalnina E.,, arbitration, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 424.

3. უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა მედიაციისა და კონსილაციის საშუალებით

3.1. მედიაციასა და კონსილაციაზე დათქმები ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებში

დავების გადაწყვეტა სასამართლოს და არბიტრაჟის მეშვეობით არის ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალებები. თუმცა, ინვესტიციებთან დაკავშირებული ყველა დავა როდი წყდება ამ ორი საშუალების გამოყენებით. როგორც ინვესტორები, ასევე სახელმწიფოები დიდ დაინტერესებას იჩენენ დავის გადაწყვეტის სხვა ისეთი ალტერნატიული ფორმების მიმართ, როგორიცაა მედიაცია და კონსილაცია.[384] ADR-ის ყველა ფორმა, მოლაპარაკებების, კონსილაციის, მედიაციის და არბიტრაჟის ჩათვლით, განსხვავებით ნაციონალური სასამართლოებისგან, არის კონფიდენციალური.[385]

ზოგიერთი საინვესტიციო შეთანხმება, გარდა კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების გასამართად განსაზღვრული დროის პერიოდისა, პირდაპირ ითვალისწინებს დათქმას, რომ არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის დაწყებამდე ინვესტორმა უნდა მიმართოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმას. ეს არის ფორმალური წინაპირობა დავის დასაწყებად. უმეტესი ხელშეკრულებებისა ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას, თავად აირჩიოს, თუ დავის გადაწყვეტის რა ფორმას მიმართავს, იქნება ეს არბიტრაჟი თუ სხვა ალტერნატიული ფორმები.[386]

ბოლოს დროს, საინვესტიციო დავებში, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმების მნიშვნელობა იზრდება იმის გამო, რომ არბიტრაჟის ხარჯები არის საკმაოდ დიდი ოდენობის და რაც მთავარია, დავის პერიოდში მხარეებს ფაქტობრივად გაყინული აქვთ თანამშრომლობა, რაც ორივე მხარეს აზარალებს.[387]

კონსილაცია და მედიაცია მოლაპარაკებების ეტაპისგან განსხვავდებიან იმით, რომ მოლაპარაკებების პროცესში არ მონაწილეობს მესამე პირი და მხარეები პირისპირ საუბრით ცდილობენ შეთანხმების მიღწევას. არბიტრაჟისგან განსხვავებით კი, კონსილაცია არ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას.[388]

---

[384] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 425.

[385] იქვე, 436.

[386] იქვე, 425.

[387] Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 36.

[388] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political

საინვესტიციო დავებში მედიაციის და კონსილაციის ცნება არ არის ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული. ორივე მათგანი არის დავის გადაწყვეტის საშუალება მესამე ნეიტრალური პირის მონაწილეობით. ხანდახან ეს ტერმინები გამოიყენება სინონიმური მნიშვნელობებითაც.[389] ორივე ტერმინი არის ფართოდ გავრცელებული და გამოხატავს დავის ნებაყოფლობით გადაწყვეტის მექანიზმს, სადაც მხარეები არ არიან შებოჭილები სავალდებულო პროცედურებით.[390] თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ დავის გადაწყვეტის ცენტრებში ამ ტერმინებს არ ექნებათ განსხვავებული მნიშვნელობა.

ზოგიერთი ავტორის მითითებით, განმასხვავებელი ნიშანი ამ ორ ინსტიტუტს შორის არის ის, რომ კონსილაციის პროცესები, როგორც წესი, ნაკლებ ინვაზიურია, ვიდრე მედიაციის პროცესი. კონსილატორის როლი შედარებით ნაკლებად აქტიურია და შემოიფარგლება მხოლოდ მხარეების ხელშეწყობით, რათა მათ შეძლონ შეთანხმებისკენ ორიენტირებული მოლაპარაკებების წარმართვა. ამის საპირისპიროდ, სხვანი აცხადებენ, რომ მედიაცია არის ნაკლებ აქტიური პროცესი. მაშინ როდესაც, კონსილაციის დროს, კონსილატორი მხარეებს სთავაზობს დავის გადაწყვეტის ალტერნატივებს და გზებს, მედიატორი კი მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება.[391] ბევრი იურისტი მიიჩნევს რომ კონსილაციის ცნება უფრო ფართოა ვიდრე მედიაციის ცნება. კონსილაციის წარმოშობა უკავშირდება ევროპას და იგი გარკვეულწილად განსხვავდება აშშ-ში აღმოცენებული მედიაციის კონცეფციისგან.[392]

კონსილაცია/მედიაციის პროცედურებს აქვს რამდენიმე უპირატესობა დავის გადაწყვეტის სხვა ტრადიციულ ფორმებთან მიმართებით. ის, რომ კონსილაციის პროცესი არაფორმალურ გარემოში მიმდინარეობს, მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს. ასევე, მხარეებს შეუძლიათ დავა შეთანხმებით დაასრულონ გაცილებით მოკლე დროში, ვიდრე არბიტრაჟს ან სხვა ორგანოს დასჭირდებოდა დრო გადაწყვეტილების მისაღებად.[393]

Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 427.

389 იქვე, 426-427.

390 იქვე, 427.

391 Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 427.

392 Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 39.

393 Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 432.

ხანდახან, შეთანხმებები საარბიტრაჟო დათქმის პარალელურად ითვალისწინებენ დავის მედიაცია/კონსილაციის გზით გადაწყვეტის შესაძლებელობას. ხშირად, ხელშეკრულებები კონსილაციის ნაცვლად იყენებენ ტერმინს „მეგობრული გადაწყვეტა". იმ BIT-ების რაოდენობა, სადაც დიდი აქცენტი კეთდება მედიაცია/კონსილაციის გზით დავების გადაწყვეტაზე, არის მზარდი.[394]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს დავის „მეგობრული" გზით დავების გადაწყვეტას, არის ენერგეტიკის ქარტია (ECT). ქარტია პირდაპირ არ იყენებს სიტყვას მედიაციას ან კონსილაციას, თუმცა 26-ე მუხლში მითითებულია, რომ დავა, თუ შესაძლებელია, უნდა გადაწყდეს მეგობრულად. მეტიც, საარბიტრაჟო ან შიდა სასამართლოში დავის დაწყებამდე შეიძლება გათვალისწინებული იქნას სამთვიანი პერიოდი, მოლაპარაკებების დაწყებისა დავის შეთანხმებით დასრულებისათვის.[395]

მიუხედავად მედიაციის თუ კონსილაციის მზარდი პოპულარობისა, ჯერ კიდევ არის საუბარი იმაზე, რომ მხარეებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია დავის გადაწყვეტის ამ ფორმებზე და უფრო ტრადიციული დავის გადაწყვეტის საშუალებები, როგორიცაა არბიტრაჟი ან სასამართლო, არის უფრო ხშირად გამოყენებადი. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ამ პროცედურების შემდგომი წარმატებისთვის.[396]

მედიაციის, კონსილაციის და არბიტრაჟის მეშვეობით კომერციული დავების გადაწყვეტაზე და თითოეული პროცედურის უპირატესობაზე საუბრისას, ერთ-ერთმა გამოცდილმა და ავტორიტეტულმა არბიტრმა, მიხაილ რაისმანმა, განაცხადა, რომ მსოფლიო პრაქტიკის გათვალისიწინებით, მედიაციამ და კონსილაციამ დაადასტურებს თავიანთი ეფექტურობა დავების განხილვისას.[397] თუმცა, ამ ფორმებს, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში, მეორე მხარეს არის სახელმწიფოთა მთავრობები, არ შეუძლია სრულად ჩაანაცვლოს საარბიტრაჟო განხილვის მნიშვნელობა და აუცილებლობა. რაისმანი დაესესხა უინსტონ ჩერჩილის ცნობილ გამონათქვამს დემოკრატიასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ არბიტრაჟი ნამდვილად არ არის საუკეთესო ფორმა საერთაშორისო კომერციული დავების გადასაწყვეტად, თუმცა ურო ეფექტური მექანიზმი ჯერ კაცობრიობას არ შეუქმნია.[398]

---

394 იქვე, 461.

395 იქვე, 463.

396 იქვე, 471.

397 Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 45.

398 იქვე, 45.

3.2. დავის გადაწყვეტა კონსილაციისა და მედიაციის საშუალებით ICSID კონვენციის შესაბამისად

3.2.1. კონსილაცია

უნდა აღინიშნოს, რომ ICSID კონვენციის 25-ე მუხლი მოითხოვს თანხმობას ცენტრის იურისდიქციაზე და ერთმანეთისგან არაა გამიჯნული კონსილაციის პროცედურები და არბიტრაჟის მიერ დავის გადაწყვეტა. იმის გათვალისწინებით, რომ კონსილაცია და არბიტრაჟი გადაწყვეტის შედეგების და პროცედურების მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, აუცილებელია, განმასხვავებელ ნიშნებზე მითითება.[399] მთავარი განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ კონსილაციის პროცესში მესამე პირი ცდილობს მოდავე მხარეების შეთანხმებამდე მიყვანას, მაშინ როდესაც არბიტრაჟი თავად იღებს გადაწყვეტილებას სადავო საკითხებთან დაკავშირებით.[400]

მიუხედავად იმისა, რომ კონსილაციის და არბიტრაჟის წესები ერთდროულად შევიდა ძალაში, ბოლო 50 წლის სტატისტიკა აჩვენებს, რომ კონისლაციის პროცედურები გამოიყენება შედარებით იშვიათად. 2018 წლისთვის, კონსილაციის პროცედურებზე მხოლოდ 11 განაცხადი იქნა შეტანილი, მაშინ როდესაც იმავე პერიოდისათვის, უკვე 650 საარბიტრაჟო სარჩელი იქნა წარდგენილი ICSID კონვენციის შესაბამისად.[401]

კონსილაციის პროცედურების ნაკლებ პოპულარობა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ კონვენციის შემქმნელები, პირიქით, მიიჩნევდნენ, რომ კონსილაცია იქნებოდა ბევრად მნიშვნელოვანი პროცედურა, ვიდრე საარბიტრაჟო განხილვები. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, კონსილაციის წარმატებაზე დიდი იმედებს ამყარებდა თავად გენერალური მდივანი აარონ ბროხესიც.[402]

პირველი განცხადება კონსილაციის შესახებ რეგისტრირებული იქნა 1982 წელს. კონსილაციის მხარეები იყვნენ მადაგასკარის რესპუბლიკა და გერმანული კომპანია Seditex. საქმე დასრულდა შეთანხმებით, კონსილაციის კომისიის შეკრებამდე.[403] მხარეებს არ განუცხადებიათ თანხმობა შეთანხმების პი-

[399] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 702.

[400] Crevon A., Legum B., Consilation, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 256.

[401] Crevon A., Legum B., Consilation, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA 2019, 257.

[402] იქვე, 257.

[403] იქვე, 259.

რობების საჯაროობაზე.[404] 1994 წელს Seditex-მა მეორეთაც მიმართა კონსილაციის პროცედურების დაწყების შესახებ მადაგასკარის წინააღმდეგ. ეს პროცესი შეთანხმებით დასრულდა 1996 წელს და არც ამჯერად განუცხადებიათ მხარეებს თანხმობა საჯაროობაზე. გარდა ამისა, ცენტრში არის კიდევ ორი კონსილაციის პროცესი. ესენია: Karagianis v Albania[405] და Hess Equatorial v Republic of Equtorial guianea.[406] აქედან, პირველი საქმის განაცხადი დარეგისტრირდა 2012 წელს, ხოლო მეორე 2016 წელს.[407]

ის ფაქტი, რომ ცენტრში შესული 11 განაცხადიდან, 9 იყო დაკავშირებული აფრიკის კონტინენტზე არსებულ სახელმწიფოებთან, აიხსნება იმით, რომ ამ სახელმწიფოების მიდგომა ითვალისწინებს არბიტრაჟისთვის მიმართვამდე კონსილაციის პროცესის სავალდებულოობას.[408]

ICSID კონვენცია საშუალებას აძლევს მხარეებს, თავად აირჩიონ თუ რომელი პროცედურაა მისაღები დავის გადასაწყვეტად. შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავის ინიციატორი მხარე გადაწყვეტს არბიტრაჟის ან კონსილაციის პროცედურების გამოყენებას. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, როდესაც კონსილაცია არაა შეთანხმებული, როგორც სავალდებულო მექანიზმი, მხარეები უპირატესობას არბიტრაჟს ანიჭებენ.[409]

კონსილაციის დაწყების უფლება აქვს არა მხოლოდ ინვესტორს, არამედ კონვენციის წევრ სახელმწიფოსაც. ნებისმიერმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ ან ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნებისმიერმა ინვესტორმა, თუ სურს კონსილაციის პროცესების დაწყება, წერილობითი განაცხადი უნდა წარუდგინოს მიმართოს გენერალურ მდივანს. მდივანი განაცხადის ასლს უგზავნის მეორე მხარეს. მიუხედავად სახელმწიფოს უფლებისა, თავადაც დაიწყოს კონსილაციის პროცედურები, ასეთი განაცხადი ამ დრომდე გაკეთებული აქვს მხოლოდ

[404] SEDITEX Engineering Beratungsgesellschaft für die Textilindustrie m.b.H. v. Democratic Republic of Madagascar, ICSID Case No. Conco/82/1, <http://icsiddev.prod.acquia-sites.com/cases/case-database/case-detail?CaseNo=CONC/82/1> [30.11.2023]

[405] Xenofon Karagiannis v. Republic of Albania (ICSID Case No. CONC/16/1), <https://icsid.worldbank.org/cases/pending> [30.11.2023]

[406] Hess Equatorial Guinea, Inc. and Tullow Equatorial Guinea Limited v. Republic of Equatorial Guinea (ICSID Case No. CONC(AF)/12/1), <https://icsid.worldbank.org/cases/pending> [30.11.2023]

[407] Crevon A., Legum B., Consilation, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 260.

[408] იქვე, 260.

[409] Crevon A., Legum B., Consilation, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 259.

ეკვადორულ გვინეას, რომელმაც თავად მოითხოვა ინვესტორთან არსებული დავის კონსილაციით გადაწყვეტა.[410]

კონსილაციის პროცედურების დაწყების შესახებ განაცხადის გაკეთების წესი არის ისეთივე, როგორც არბიტრაჟის შემთხვევაში. გენერალური მდივნის მიერ ხდება განაცხადის რეგისტრირება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განაცხადში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მდივანი დაადგენს, რომ ამ დავაზე ცალსახად არ არსებობს ცენტრის იურისდიქცია. ამასთან, მხარეებს ეცნობება განაცხადის რეგისტრაციის, ასევე რეგისტრაციაზე უარის შესახებ.[411] კონსილაციის შესახებ განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სადავო საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მხარეთა ვინაობას და მათ თანხმობას კონსილაციაზე, კონსილაციისა და საარბიტრაჟო წარმოების დაწყების პროცედურული წესების შესაბამისად.[412]

ცენტრის იურისდიქციასთან დაკავშირებით შეთანხმება შეიძლება არსებობდეს როგორც საინვესტიციო შეთანხმებებში, ასევე საინვესტიციო კონტრაქტში. რეალურად, კონსილაციასთან დაკავშირებით, ცენტრის იურისდიქციაზე შეთანხმება ხდება არბიტრაჟისთვის დადგენილი წესების მსგავსად.[413] ICSID ტრიბუნალმა საქმეზე SSP v Egypt, სადაც ცენტრის იურისდიქცია გამომდინარეობდა ეგვიპტის შიდა კანონმდებლობიდან და მითითება იყო ზოგადად ცენტრის იურისდიქციაზე, კონსილაციისა და არბიტრაჟის პირდაპირი მითითების გარეშე, ტრიბუნალმა განაცხადა, რომ კონვენცია არ მოითხოვს მეტ კონკრეტიკას და ზოგადად, საკმარისია ცენტრის იურისდიქციაზე თანხმობის არსებობა.[414]

კონსილაციის სხვა ფორმების მსგავსად, ICSID კონსილაციაც ხასიათდება მაღალი მოქნილობით და ინფორმაციულობით, სადაც მხარეები, მესამე ნეიტრალური პირის დახმარებით აცნობენ ერთმანეთს მოთხოვნებს და ცდილობენ შეთანხმებამდე მისვლას.[415] კონსილატორის დანიშვნა შეიძლება მოხდეს ცენტრის სიაში არსებული პირებიდან, ასევე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სხვა პირზეც.[416]

ICSID კონვენცია არ ითვალისწინებს რაიმე დადგენილ ვადას კონსილაციის კომისიის შესაქმნელად. 29-ე მუხლში მითითებულია, რომ კომისია შეიკრიბება

[410] იქვე, 257-258.

[411] იქვე, 259.

[412] იქვე, 259.

[413] იქვე, 258.

[414] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 702.

[415] იქვე, 703.

[416] Crevon A., Legum B., Consilation, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 261.

განაცხადის რეგისტრაციის შემდეგ, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება. კონსილატორი შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე რამდენიმე პირი. რაოდენობა არ არის შეზღუდული. კონვენციის ტექსტის ავტორი აარონ ბროხესი მიიჩნევდა, რომ ამგვარი ჩანაწერი უზრუნველყოფდა მხარეთა მეტ თავისუფლებას, შეთანხმებულიყვნენ მათთვის მისაღებ კონსილატორებზე.[417]

მიჩნეულია, რომ კონსილაცია არის შედარებით იაფი, ვიდრე არბიტრაჟი. კონსილაცია არის მეტად ეფექტური საშუალება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ინვესტორი და სახელმწიფო მიზნად ისახავენ თანამშრომლობის შემდგომ გაგრძელებას. ბოლო პერიოდში, თავად ცენტრი ურჩევს მხარეებს კონსილაციის გამოყენებას, თუ დავა ეხება გრძელვადიან პროექტებს, მათ შორის ნავთობია და გაზის სფეროში განხორციელებულ ინვესტირებასთან დაკავშირებით, რომელიც როგორც წესი, გრძელვადიანი ურთიერთობით ხასიათდება.[418]

კონსილაციის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელია, მხარეებს ნამდვილად სურდეთ დავის შეთანხმებით დასრულება. ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს კონსილაციის პროცედურები, რაც ამ მექანიზმის „ნაკლოვანებად" შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ეს გამომდინარეობს თავად კონსილაციის ბუნებიდან, რაც მხარეთა მიერ დავის შეთანხმების დასრულების შესაძლებლობას გულისხმობს.[419]

3.2.2. მედიაცია

საარბიტრაჟო წესების განახლებასთან ერთად, 2022 წელს განახლდა ICSID-ის მედიაციის წესები[420] და ICSID კონსილაციის წესები.[421] მართალია, ICSID კონვენცია იყენებს მხოლოდ კონსილაციის ცნებას, თუმცა ცენტრში საქმის განხილვა წარმოებს მედიაციის წესებითაც. ეს იძლევა რამდენიმე მნიშვნელოვან განსხვავებას. ახალი წესების შესაბამისად, გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებები მედიაციასა და კონსილაციას შორის. ფაქტობრივად, ეს ორი პროცესი დამოუკიდებელ განხილვის სახეებს წარმოადგენს.

ერთ-ერთი მთავარი განსხვავება არის ICSID მედიაციის და ICSID კონსილაციის პროცესის მონაწილე სუბიექტები. განსხვავებით კონსილაციისგან, ICSID

[417] იქვე, 261.

[418] Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 703.

[419] იქვე, 703.

[420] ICSID Mediation Rules, <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/ICSID_Mediation_Rules.pdf> [30.11.2023]

[421] ICSID Conciliation Rules, <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/Conciliation_Rules.pdf > [30.11.2023]

მედიაციის პროცესში მოთხოვნილი არაა, რომ მოდავე პირს ჰქონდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ამასთან, მოთხოვნილი არაა, რომ მხარეები იყვნენ ICSID კონვენციის წევრები ან წევრი ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები. ასეთი ზოგადი მიდგომა მოცემულია ICSID მედიაციის წესების 2(1) მუხლში.[422] მთავარია, დავა დაკავშირებული იყოს ინვესტიციასთან და მონაწილე სუბიექტები იყვნენ სახელმწიფო ან რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციები (REIO).[423] შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების ჩართვა ICSID მედიაციის პროცესებში, გარკვეულ კავშირშია ლისაბონის 2009 წლის შეთანხმების შემდეგ საინვესტიციო საკითხებში ევროკავშირის როლის ზრდასთან. ამ გზით, ICSID ცენტრი ცდილობს, შექმნას სამართლებრივი ბაზისი იმ საინვესტიციო დავებისთვის, სადაც მოპასუხე შესაძლოა იყოს ევროკავშირი.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი ICSID მედიაციის წესების მე-6 მუხლის თანახმად, ისაა, რომ მედიაციის პროცესის ინიციირებისთვის არ მოითხოვება მხარეთა წინასწარი წერილობითი თანხმობა, მაშინ როდესაც კონსილაციის პროცესი მოითხოვს წინასწარ წერილობით თანხმობას ცენტრის იურისდიქციაზე. ამ განსხვავებაზე მკაფიოდაა მითითებული ICSID ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოცემულ განმარტებებშიც.[424]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც მედიაციის და კონსილაციის პროცესებს ახასიათებთ, არის ის, რომ კონსილაციის შემთხვევაში ICSID ცენტრის იურისდიქციაზე გაცემული თანხმობა არის გამოუხმობადი, ხოლო მედიაციის შემთხვევაში, მედიაციის პროცესიდან გასვლის შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ნებისმიერ დროს მხარეთა მიერ.[425]

ამასთან, ICSID მედიაციის პროცესი ხასიათდება ნაკლები ფორმალიზმით, ვიდრე ეს კონსილაციის დროსაა. მედიატორი არაა უფლებამოსილი, გამოსცეს რაიმე აქტი ან განკარგულება, მაშინ როდესაც კონსილაციის პროცესში ეს შეიძლება ჩვეულებრივი მოვლენა იყოს.[426]

მიუხედავად კონსილაციის და მედიაციის ტერმინების და პროცესების მნიშვნელოვანი მსგავსებისა, ზემოთ დასახელებული განსხვავებები აყალიბებენ განხილვის განსხვავებულ წესებს და მიდგომებს ICSID ცენტრში. შეიძლება ითქვას, რომ კონსილაციის პროცედურების გვერდით მედიაციის პროცედუ-

[422] ICSID 2022 Mediation Rules, 2(1).

[423] ICSID 2022 Mediation Rules, 2(1).

[424] <https://icsid.worldbank.org/rules-regulations/mediation/key-differences-between-mediation-and-conciliation> [30.11.2023]

[425] ICSID Mediation Rules, 22 (1) (C).

[426] <https://icsid.worldbank.org/rules-regulations/mediation/key-differences-between-mediation-and-conciliation> [30.11.2023]

რების არსებობა არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მიზნად ისახავს ICSID ცენტრის იურისდიქციის გაფართოებას და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას. გარკვეულწილად, ანალოგიური მიდგომა არსებობდა 1978 წლის ცვლილებების (Additional Facility) დროსაც, რომელმაც წარმოშვა შესაძლებლობა, დავა გადაწყვეტილიყო ICSID არბიტრაჟის ან კონსილაციის მეშვეობით, მაშინაც კი, თუ ერთ-ერთი მხარე (სახელმწიფო) მაინც იყო კონვენციის წევრი ან მოდავე ინვესტორი წარმოადგენდა წევრი სახელმწიფოს „ნაციონალს."

3.3. მედიაციისა და კონსილაციის წესები დავის გადაწყვეტის სხვა ცენტრებში

ბუნებრივია, დავის გადაწყვეტის ნებისმიერი ცენტრი უფლებამოსილია, დაადგინოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საკუთარი პროცედურა. შესაბამისად, ICSID ცენტრის გარდა, არსებობს სხვა არაერთი კონსილაციის და მედიაციის დადგენილი წესები. ერთ-ერთი ასეთი არის საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC). პალატის პრაქტიკა აჩვენებს, რომ კონსილაციის მიმართ მიდგომა განსხვავებულია. პალატა დაარსების დღიდან, 1923 წლიდან, სთავაზობს მხარეებს კონსილაციის პროცედურებს. მეორე მსოფლიო ომამდე არსებული საქმეების 80% წყდებოდა კონსილაციით. თუმცა, ბოლო ათწლეულებში შემცირდა მიმართვიანობა. 2004 წელს, პალატის გენერალური მდივანი ერიკ შვარცი აცხადებდა, რომ 1988 წლიდან მხოლოდ 60-მდე განაცხადი იყო კონსილაციაზე, მაშინ როდესაც არბიტრაჟის მიერ განხილულმა საქმეებმა შეადგინა 2000-ზე მეტი.[427]

საგულისხმოა, რომ ICC-ს წესები სხვადასხვა დროს მოიხსენიებოდა როგორც მედიაციის, ასევე კონსილაციის სახელწოდებით. 2001 წლის ივლისში, ICC-იმ მიიღო ADR წესები და ჩაანაცვლა ამ წესებით ICC-ის კონსილაციის წესები. ADR წესები ორიენტირებული იყო მხოლოდ ბიზნეს დავებზე. 2014 წელს პალატამ მიიღო მედიაციის ახალი წესები და ჩანაცვლდა ამ წესებით 2001 წლის ADR წესები. ბოლო ცვლილებებში გათვალისწინებული იქნა განვლილი პრაქტიკა. ცვლილებების მიზანი იყო მედიაციის პროცესის კიდევ უფრო მხარდაჭერა და დავების კატეგორიის გაფართოება. მედიაციის პროცედურები არ არის გათვალისწინებული პირდაპირ საინვესტიციო დავებისთვის, თუმცა იგი მოიცავს ასეთ დავებსაც.[428] ICC მედიაციის დაწყება ხდება შესაბამისი განა-

[427] Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 39.

[428] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 447.

ცხადის გაკეთებით, სადაც მოკლედ ეთითება დავის საგანი, თუ შესაძლებელია განსაზღვრა, დავის ღირებულება. განცხადება უნდა იყოს რაც შეიძლება ლაკონიური. ამ განცხადების მიზანია, მედიატორს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს საკმარისი ინფორმაცია მხარეთა პირველი შეხვედრისთვის.[429]

ICC მედიაციის დროს, როგორც კერძო, ისე ჩვეულებრივი შეხვედრებისას, მედიატორი ორიენტირებულია, შექმნას კონსტრუქციული გარემო მოლაპარაკებებისთვის. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მედიატორი ეცნობა ფაქტობრივ გარემოებებს, გამოკვეთს მხარეთა ინტერესებს და მათ მიზნებს, თუ რას სურს თითოეულ მხარეს ამ მოლაპარაკებების შედეგად. მხარეები აცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს მედიატორის წინაშე ან მედიატორის მეშვეობით. მედიატორი ცდილობს, ასევე გააკეთოს ალტერნატიული შეთავაზებები. თუ შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა, მხარეთა შეხვედრა შეიძლება გამოყენებული იქნეს სამედიაციო მორიგების ტექსტის შესადგენად, სადაც წერილობით დაფიქსირდება შეთანხმების პირობები.[430]

ინვესტიციებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია UNCITRAL-ის კონსილაციის წესები. 1973 წლის ივნისში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ (UNCITRAL) მიიღო გადაწყვეტილება, ჩაერთო თავის პროგრამაში კონსილაციის პროცედურები საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტისათვის. კონსილაციის წესები დაფუძნებულია იმ მოცემულობაზე, რომ საარბიტრაჟო განხილვა მეტწილად დაპირისპირებულ ხასიათს ატარებს, კონსილაცია კი უბიძგებს მხარეებს შეთანხმების მიღწევისკენ. ამგვარად, კონსილატორი აღჭურვილია მხოლოდ იმ უფლებით, რომ შესთავაზოს მხარეებს დავის გადაწყვეტის გზები. კონსილატორის შეთავაზებები შეიძლება უარყოფილი იქნას, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიერ ან მხარეებმა მოლაპარაკება განაგრძონ შეთავაზების მოდიფიცირებულ ვარიანტზე. ამასთან, კონსილაციის პროცედურა შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ.[431]

UNCITRAL-ის კონსილაციის წესები, სხვა მსგავსი სისტემების ანალოგიურად, არის მარტივი და ლაკონიური. იგი შედგება მხოლოდ და მხოლოდ 20 მუხლისგან, სადაც მოცემულია კონფიდენციალურობის ვალდებულებები, კონისლატორის დანიშვნის წესები და კონსილატორის როლი.[432] ლაკონიუ-

[429] იქვე, 447.

[430] იქვე, 449.

[431] Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor Robert C Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015, 42.

[432] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk,

რობა და სიმარტივე არის დამატებითი ბენეფიტები ამ წესების. კონსილაციის ინიციირება ხდება მხარეთა წერილობითი განცხადების საფუძველზე, სადაც მიეთითება დავის საგანი, თუმცა არა ყველა დეტალის მითითებით. ასევე მიეთითება ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება ძალიან მოკლედ. კონსილაციის პროცესი დაიწყება, თუ მეორე მხარე 30 დღის ვადაში განაცხადებს დადებით პასუხს. ამასთან, არ არის სავალდებულო რომ თანხმობის პასუხი აუცილებლად წერილობითი ფორმით იყოს. კონსილატორები ინიშნება ორივე მხარის ჩართულობით.[433]

მედიაციის პროცესში ასევე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის[434] მიერ შექმნილი, ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავისას გამოსაყენებელი მედიაციის 2012 წლის წესები,[435] რომელიც უკვე გამოიყენება ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ დავებში. პირველი საქმე, რომელიც ამ წესებით იქნა განხილული იყო ფრანგულ საკონსტრუქტორო კომპანიას და ფილიპინებს შორის დავაში, ფილიპინებს და საფრანგეთს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებიდან გამომდინარე. დავა განხილულ იქნა ICC ცენტრში.[436]

რა თქმა უნდა, გარდა დასახელებული მედიაციის და კონსილაციის წესებისა, არსებობს სხვა არაერთი რეგულაცია, მათ შორის სტოკჰოლმის კომერციული საარბიტრაჟო პალატის (SCC) 2023 წლის მედიაციის წესები[437] და ასე შემდეგ. ყველა შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ როგორც წესი, მხარეები არ არიან შეზღუდული კონკრეტული კონსილაციის ან მედიაციის წესები გამოიყენონ დავის გადაწყვეტის კონკრეტულ ცენტრებში მიმდინარე სხვა საქმეებშიც. როგორც არაერთხელ აღინიშნა, თავად ეს წესები გამოირჩევიან მოქნილობით და მხარეებს აძლევენ უფლებებს, ცალკეული პროცედურები ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ და მოარგონ მათივე ინტერესებს.

---

and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 443.

433 იქვე, 443.

434 International Bar Association არის ადვოკატთა მსოფლიო ასოციაცია, დაფუძნებული 1947 წელს. დღეის მდგომარეობით ასოციაციაში გაწევრებულია 80 000-მდე ადვოკატი მსოფლიოს მასშტაბით, 170 ქვეყნიდან. <https://www.ibanet.org/ ? [30.11.2023]

435 IBA Rules for Investor-State Mediation, <https://www.ibanet.org/MediaHandler?id=C74-CE2C9-7E9E-4BCA-8988-2A4DF573192C> [30.11.2023]

436 Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 457.

437 <https://sccarbitrationinstitute.se/sites/default/files/2022-12/scc_mediation_rules_2023_english.pdf> [30.11.2023]

4. ევროკავშირში არსებული რეგულირება დავის გადაწყვეტის საშუალებებისა და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრასთან დაკავშირებით

ევროკავშირი არის მსოფლიოში ყველაზე მეტად ინვესტირებადი რეგიონი. შესაბამისად, თითოეული რეგულაცია, რომელიც ცვლის უკვე არსებულ დავის გადაწყვეტის მექანიზმებს და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესს, იწვევს დიდ რეზონანსს. ამის გათვალისწინებით, მარტივი გასაგებია, თუ რატომ არის განსაკუთრებული ინტერესი ევროკავშირის ახალი საინვესტიციო პოლიტიკის მიმართ.[438] ისტორიული მნიშვნელობისაა ასევე ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში პირველი საინვესტიციო შეთანხმება დაიდო სწორედ ევროკავშირის წევრ გერმანიას და პაკისტანს შორის 1959 წელს.[439]

ევროკავშირში ახალი საინვესტიციო პოლიტიკა ჩამოყალიბდა ლისაბონის 2009 წლის შეთანხმებით, რომლითაც წევრ სახელმწიფოებს ჩამოერთვათ და ევროკავშირს გადაეცა ექსკლუზიური კომპეტენცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, მხოლოდ ევროკავშირია უფლებამოსილი, აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს საინვესტიციო შეთანხმებები სხვა ქვეყნებთან.[440] ლისაბონის შეთანხმებით დადგენილი ეს ცვლილებები მიზნად ისახავს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და ამ გზით ევროკავშირის კონკურენტუნარიანობის გაზრდას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.[441]

საინვესტიციო სამართალში ევროკავშირის სამართალსუბიექტობამ წარმოშვა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ბედი ეწეოდა წევრი ქვეყნების მიერ უკვე დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებს და ამ შეთანხმებებით დადგენილ ინვესტორების დაცვის სტანდარტებს, მათ შორის დავის განხილვის მექანიზმებს. ამასთან, ევროკავშირის მონაწილეობით

---

438 Griebel J., The New Investment Policy Approach, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 199.

439 Brown, C., Naglis I., Dispute Settlement in Future EU Investment Agreements, EU and Investment Agreements, Edited by Marc Bungenberg, August Reinisch, Christian Tietje, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2013, 18.

440 G, J.P., Akcay Z., European Bilateral Approaches, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 199.

441 Berger A., der blick nach draußen: Verbesserte Durchsetzungsfähigkeit von Marktzugangsrechten in China nach lissabon?, Internationales Investitionsschutz und Europarecht, Nomos Verlagsgesellschaft, herausgegeben von Marc Bungenberg, Jörn Griebel, Seffen Hindelang, Baden-Baden, 2010, 201.

დადებულ საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ევროკავშირის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრაც, ინვესტორებთან წარმოშობილ სამომავლო დავებში. ის ფაქტი, რომ ევროკავშირი შეიძლება იყოს საარბიტრაჟო მოპასუხე, სადავო არაა და ასახულია ევროკავშირის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ ცალკეულ რეგულაციებშიც.[442]

4.1. ლისაბონის შეთანხმების შედეგები და კავშირი საქართველოსთან

ლისაბონის შეთანხმებას და მის შესაძლო შედეგებს აქვს მჭიდრო კავშირი საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციო ურთიერთობებზე. საქართველოში ევროკავშირის მხრიდან ინვესტიციების მოცულობა საკმაოდ დიდია. ამასთან, საქართველოს წევრი ქვეყნების დიდი ნაწილთან აქვს დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები, სადაც გაწერილია ინვესტორთა დაცვის სტანდარტები და დავის გადაწყვეტის მექანიზმები.

კითხვები იმის შესახებ, თუ რა ურთიერთდამოკიდებულება იქნებოდა ევროკავშირის სამართალს და საერთაშორისო საინვესტიციო სამართალს შორის ჯერ კიდევ 2006-2007 წლებიდან არსებობს და დისკუსიები ამ თემაზე დღემდე გრძელდება. ამ საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვანია ბევრი პრაქტიკული პრობლემის გამო. საქმე ეხება როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებების ბედს, ასევე წევრ სახელმწიფოს და არაწევრ ქვეყანას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებების მოქმედების ფარგლებს.[443]

ევროკავშირის ახალი საინვესტიციო პოლიტიკა უდიდეს გავლენას ახდენს არსებულ დავის გადაწყვეტის საშუალებების და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესზე, მათ შორის ევროკავშირის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრაზე. პრობლემის სიმწვავისა და მასშტაბების უკეთ აღქმისთვის, უმჯობესია, თვალი გადავავლოთ სტატისტიკას. ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლისას, მსოფლიოში მოქმედებდა 2700-ზე მეტი ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება, რომელთაგან 1200-ზე მეტი დადებული იყო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და არაწევრ ქვეყნებს შორის.[444] ამასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტე-

[442] უცხოელ ინვესტორთან დავის შემთხვევაში ევროკავშირის პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით დეტალურად იხილეთ მე-IVთავის მე-5 ქვეთავი.

[443] Basener N., Investment Protection in the European Union, herausgegeben von Marc Bungeberg, Stephan Hobe, August Reinish, Andreas. R. Ziegler, Nomos Verlagsgeselschaft, Baden-Baden, 2017, 24.

[444] Brown, C., Naglis I., Dispute Settlement in Future EU Investment Agreements, EU and

სობა იყო ICSID კონვენციისა და ენერგეტიკის ქარტიის წევრი.[445] გარდა ამისა, არსებობდა 200-მდე შიდა საინვესტიციო შეთანხმება, რომელთა ორივე ხელმომწერ მხარეს წევრი ქვეყნები წარმოადგენენ. ამ შეთანხმებებით გარანტირებულია თანასწორი მოპყრობის, ანაზღაურების გარეშე ექსპროპრიაციის აკრძალვის, თავისუფალი ტრანსფერის და სხვა ძირითადი სტანდარტები, ასევე ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის წესები.[446]

საინვესტიციო შეთანხმებები წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მიუხედავად ევროკავშირისთვის ექსკლუზიური უფლებამოსილების გადაცემისა, უკვე არსებული შეთანხმებები წარმოადგენდნენ მოქმედ ხელშეკრულებებს, თუმცა ეს ასე ცხადად არ იკვეთებოდა ევროკავშირის სამართლის მიხედვით.[447]

4.2. შიდა საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებით (Intra EU ILAs)

როგორც აღინიშნა, 2009 წლისთვის, წევრ ქვეყნებს შორის არსებობდა 200-მდე საინვესტიციო შეთანხმება. ამ შეთანხმებების საკმაოდ დიდი ნაწილი არსებობს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ხელშეკრულების ზოგიერთი მხარე არ წარმოადგენდა წევრ ქვეყანას. საუბარია, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებზე და შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაზე.[448]

ევროკომისია ვერ ხედავდა სივრცეს შიდა საინვესტიციო შეთანხმებების არსებობისთვის. კომისიის აზრით, ეს შეთანხმებები ეწინააღმდეგებოდა

Investment Agreements, Edited by Marc Bungenberg, August Reinisch, Christian Tietje, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2013, 18.

445 იქვე, 18.

446 Wiedmann T., INvestitionsschutzabkommen zwischen EU-Staaten als unionsrechtswidriges Relikt? Die anotworten des EuGH in den Urteilen vom 6 2018, Achmea und Segro, Investitionsschutz, Schiedsgerichtsbarkeit und Rechtsstaat in der EU, Herausgegeben von Eva-maria Kieninger; Eckhard Pache; Ulrich Sieber; Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2018, 225.

447 G, J.P., Akcay Z., European Bilateral Approaches, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 199.

448 Wiedmann T., INvestitionsschutzabkommen zwischen EU-Staaten als unionsrechtswidriges Relikt? Die anotworten des EuGH in den Urteilen vom 6 2018, Achmea und Segro, Investitionsschutz, Schiedsgerichtsbarkeit und Rechtsstaat in der EU, Herausgegeben von Eva-maria Kieninger; Eckhard Pache; Ulrich Sieber; Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2018, 225.

ევროკავშირის სამართალს, რადგან მათში მოცემული დებულებები უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით, ნიშნავს ერთი წევრი ქვეყნის ინვესტორის მიერ მეორე წევრ ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს და ამ ინვესტიციებისთვის გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას. ამის საპირისპიროდ კი, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 49-ე და 63-ე მუხლები, კრძალავს რაიმე სახის დისკრიმინაციას პირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს კუთვნილების გამო და გარანტირებულს ხდის კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას. ფაქტობრივად, ევროკომისია არ მიიჩნევს მეორე წევრი ქვეყნის ინვესტორს უცხოელ ინვესტორად, რადგან იგი არის ევროკავშირის წევრი ერთ-ერთი ქვეყნის წარმომადგენელი.[449] შიდა საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებით, ევროკომისია პრობლემას ხედავს ინვესტორს და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ დავის გადაწყვეტის მექანიზმებთან დაკავშირებითაც, რადგან ამ შეთანხმებებით გამოირიცხება ევროკავშირის სასამართლოების უფლებამოსილება (კომპეტენცია) ასეთ დავებზე და კომისიის აზრით, ეს წინააღმდეგობაში მოდის TFEU-ს 267-ე და 344-ე მუხლებთან.[450]

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებით, საქმეზე Slovak Republic v Achmea BV, დადგინდა, რომ როდესაც საქმე ეხება ევროკავშირის წევრი ქვეყნის ინვესტორის დავას მეორე წევრ ქვეყანასთან, ასეთ დროს შიდა საინვესტიციო შეთანხმებების ის ნორმები, რომლებიც ინვესტორს აძლევენ უფლებას, მიმართოს არბიტრაჟს, წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის სამართალთან.[451] შიდა საინვესტიციო შეთანხმებები ფორმალურად აგრძელებდნენ არსებობას, თუმცა ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 2020 წლის 29 მაისის შეთანხმებით,[452] შეწყვეტის ყველა შიდა საინვესტიციო შეთანხმება. ერთ-ერთი არგუმენტი, რაც შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას დაედო საფუძვლად, იყო სწორედ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე Slovak Republic v Achmea BV.[453] ფაქტობრივად, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, შიდასაინვესტიციო შეთანხმებების არსებობამ აზრი დაკარგა.

[449] იქვე, 226-227.

[450] იქვე, 227.

[451] იქვე, 227.

[452] Übereinkommen zur Beendigung bilateraler Investitionsschutzverträge zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Union SN/4656/2019/INIT, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=CELEX:22020A0529(01)&from=DE> [30.11.2023]

[453] Übereinkommen zur Beendigung bilateraler Investitionsschutzverträge zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Union SN/4656/2019/INIT, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=CELEX:22020A0529(01)&from=DE> [30.11.2023]

4.3. მესამე ქვეყნებთან არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებთან დაკავშირებით (Extra EU ILAs)

რაც შეეხება ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მესამე ქვეყნებს (არაწევრი ქვეყანა) შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებს, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციით დადგინდა გარდამავალი დებულებები იმ ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებათა მიმართ, რომლებიც დადებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და მესამე არაწევრ სახელმწიფოს შორის და რომლებიც ძალაში შევიდა ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლამდე.[454] ამ რეგულაციით, ევროკომისიამ დე ფაქტო აღიარა, რომ ეს შეთანხმებები რჩება ძალაში. ამასთან, მეორე მუხლით, დადგენილია ვალდებულება, რომ წევრმა ქვეყნებმა აცნობონ ევროკომისიას მესამე სახელმწიფოებთან არსებული ძალაში მყოფი საინვესტიციო შეთანხმებების შესახებ. თავის მხრივ, უნდა შემოწმდეს ამ შეთანხმებების შესაბამისობა ევროკავშირის სამართალთან.[455]

ის, რომ მესამე არაწევრ ქვეყნებთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებები, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებები, განაგრძობენ არსებობას, ევროკომისიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ევროპარლამენტისთვის და ევროკავშირის საბჭოსთვის 2020 წლის ექვსი აპრილის ანგარიშში. კომისიამ აღნიშნა, რომ ეს შეთანხმებები არსებული ფორმით განაგრძობენ იმ დრომდე არსებობას, ვიდრე არ მოხდება განგრძობითად მათი ჩანაცვლება ევროკავშირთან დადებული საინვესტიციო შეთანხმებებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ საინვესტიციო შეთანხმებების ჩანაცვლებამდე, წევრი ქვეყნები მუშაობენ მესამე ქვეყნებთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებების გადასინჯვის ტექსტებზე და პროცედურებზე, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის სამართალთან. ამის წარმატებულ მაგალითად, მოყვანილია ნიდერლანდები, რომელმაც 2019 წელს შეიმუშავა ახალი ტექსტი ასეთი საინვესტიციო შეთანხმებების შესწორებისთვის და ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.[456]

ის ფაქტი, რომ მიუხედავად ლისაბონის 2009 წლის შეთანხმებისა, ძალაში რჩება მესამე ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან არსებული საინვესტი-

[454] Regulation (EU) No 1219/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012.

[455] Basener N., Investment Protection in the European Union, herausgegeben von Marc Bungeberg, Stephan Hobe, August Reinish, Andreas. R. Ziegler, Nomos Verlagsgeselschaft, Baden-Baden, 2017, 67.

[456] Reports from the Commission to the European Parliament and the Council on the application of Regulation (EU) No 1219/2012 establishing transitional arrangements for bilateral investment agreements between Member States and third countries, <https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2020/april/tradoc_158703.pdf> [30.11.2023]

ციო შეთანხმებები, ნიშნავს იმას, რომ არ შეცვლილა უკვე განსაზღვრული დავის გადაწყვეტის და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის მექანიზმები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართველი, ისე ევროპელი ინვესტორებისთვის. უკვე არსებული დავის გადაწყვეტის მექანიზმების გაუქმების რისკის რეალურობა მარტივად დასტურდება იმითაც, რომ 2020 წლის 29 მაისის შეთანხმებით[457] გაუქმდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებები, შესაბამისად, მასში არსებული დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებიც.

4.4. კომპეტენციის განაწილება ევროკავშირსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის

დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს ევროკავშირის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილებები. როგორც აღინიშნა, ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 207-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირს გადაეცა სრული და ექსკლუზიური კომპეტენცია უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს როგორც საინვესტიციო შეთანხმებების დადებას, ასევე მოლაპარაკებების წარმოებას. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები არის სავაჭრო და სხვა ეკონომიკური ხელშეკრულებების შემადგენელი ნაწილი, რის გამოც ეს ხელშეკრულება სრულად არ ექცევა ევროკავშირის კომპეტენციის სფეროში. ასეთ ხელშეკრულებებს შერეულ ხელშეკრულებებს უწოდებენ. [458]

შერეული ხელშეკრულებების სპეციფიკა ის არის, რომ ხელშეკრულებების დადებას და ძალაში შესვლას ესაჭიროება ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა და ეს წევრი ქვეყნები ევროკავშირთან ერთად გამოდის, როგორც ხელშეკრულების მხარეები. ენერგეტიკის ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წელს, არის უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ ერთ-ერთი მთავარი ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების მხარე ევროკავშირთან ერთად არის წევრი ქვეყნებიც.[459]

[457] Übereinkommen zur Beendigung bilateraler Investitionsschutzverträge zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Union SN/4656/2019/INIT, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=CELEX:22020A0529(01)&from=DE> [30.11.2023]

[458] Hahm M., Die zuständigkeitsverteilung zwischen EU und Mitgliedstaaten beim Abschluss von Freihandeldabkommen nach Gutachten 2/15; Investitionsschutz, Schiedsgerichtsbarkeit und Rechtsstaat in der EU, Herausgegeben von Eva-maria Kieninger; Eckhard Pache; Ulrich Sieber; Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2018, 203.

[459] Basener N., Investment Protection in the European Union, herausgegeben von Marc Bungeberg, Stephan Hobe, August Reinish, Andreas. R. Ziegler,Nomos Verlagsgeselschaft, Baden-Baden, 2017, 68.

რაც შეეხება ახალ ხელშეკრულებებს, შერეული ხელშეკრულებების კარგი მაგალითებია ევროკავშირის და სინგაპურის თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება (EU-Singapure Free Trade Agreement) და ყოვლისმომცველი ეკონომიკური და სავაჭრო ხელშეკრულება კანადას და ევროკავშირს შორის (Comprehensive Economic and Trade Agreement; CETA). ამ ხელშეკრულებებში მხარეები არის როგორც თავად ევროკავშირი, ასევე წევრი ქვეყნები.[460]

შერეულ ხელშეკრულებად უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაც. ასოცირების შესახებ შეთანხმების პრეამბულაში მითითებულია, რომ შეთანხმებით მხარეები მიზნად ისახავენ ერთმანეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის ახალი გარემოს შექმნას. ასოცირების შესახებ შეთანხმებით რეგულირდება საინვესტიციო დაცვის ხელშეკრულებებისთვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: ინვესტიციების დაშვება, ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, თავისუფალი ტრანსფერის უფლება, გამჭვირვალობის ვალდებულება. ამასთან, ეს შეთანხმება არეგულირებს სხვა არაერთ ეკონომიკურ და სხვა საკითხებს, რომლებიც სცდება უცხოური ინვესტიციების შინაარს, რის გამოც იგი არის შერეული ხელშეკრულება და მის მხარეებს წარმოადგენს ერთი მხრივ საქართველო, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირი და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება და მათი წევრი სახელმწიფოები.[461]

კომპეტენციის გამიჯვნის კუთხით, ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა მიიჩნევა ევროკავშირის სამართლით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციად. როგორც აღინიშნა, ექსკლუზიური კომპეტენცია ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, თუმცა ფუნქციონირების (TFEU) შესახებ ხელშეკრულებაში არაა განსაზღვრული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ცნება. ეს კი ართულებს კომპეტენციის გამიჯვნის პრობლემას.[462] ცნების განსაზღვრის სირთულე გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ 2020 წლამდე მოქმედებდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული შიდა საინვესტიციო შეთანხმებები, ხოლო მესამე ქვეყნებთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებები დღემდე აგრძელებენ არ-

[460] იქვე, 69.

[461] დეტ. იხილ., ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4(60)18, 67-69.

[462] Hahm M., Die zuständigkeitsverteilung zwischen EU und Mitgliedstaaten beim Abschluss von Freihandeldabkommen nach Gutachten 2/15; Investitionsschutz, Schiedsgerichtsbarkeit und Rechtsstaat in der EU, Herausgegeben von Eva-maria Kieninger; Eckhard Pache; Ulrich Sieber; Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2018, 212-214.

სებობას. ამ შეთანხმებებში კი უცხოური ინვესტიციების განმარტებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებით მიიღო მნიშვნელოვანი განმარტება და დაადგინა, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირსა და სინგაპურის რესპუბლიკას შორის შედის ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციაში, გარდა ცალკეული ნაწილებისა, რომლებიც ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის საერთო კომპეტენციას მიეკუთვნება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საერთო კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებია, ხელშეკრულების მე-9 თავის A და B სექციები. A სექციაში, უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული რეგულირებები ეხებიან არაპირდაპირი სახის ინვესტიციებს ევროკავშირსა და სინგაპურის რესპუბლიკას შორის. B სექციაში მოცემულია ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის მექანიზმების შესახებ დანაწესები. სასამართლოს განმარტებით, ეს საკითხები ცდებოდა ექსკლუზიური კომპეტენციის ფარგლებს და განეკუთვნებოდა ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის საერთო კომპეტენციას.[463]

ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს მიერ, 2019 წლის 21 მარტს, მიღებული იქნა რეგულაცია, რომელიც ადგენს უცხოური ინვესტიციების შემოწმების და დაშვების ჩარჩო წესებს ევროკავშირში. ამ წესების მეორე მუხლის პირველი პუნქტით, განსაზღვრულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ცნება და იგი ნიშნავს ნებისმიერი სახის ინვესტიციას უცხოელი ინვესტორის მიერ, რომლის მიზანია დააფუძნოს ან შეინარჩუნოს ხანგრძლივი და პირდაპირი კავშირი უცხოელ ინვესტორსა და იმ მეწარმე სუბიექტს შორის, სადაც ინვესტიცია ხორციელდება და ამასთან, ინვესტირებული კაპიტალი ხელმისაწვდომია წევრ სახელმწიფოში ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, იმ ინვესტიციების ჩათვლით, რომელიც საშუალებას იძლევა, ინვესტორმა ეფექტური მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიის მართვაში ან კონტროლში.[464] საგულისხმოა, რომ უცხოური ინვესტიციის ეს განმარტება ფაქტობრივად, სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმ განმარტებაც, რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) გააკეთა სი-

[463] OPINION 2/15 OF THE COURT (Full Court) 16 May 2017; <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=190727&doclang=EN >[30.11.2023]

[464] Regulation (EU) 2019/452 of the European Parliament and of the Council of 19 March 2019 establishing a framework for the screening of foreign direct investments into the Union, <https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX%3A32019R0452&from=EN&fbclid=IwAR1GpilZXdm-ktNg8vxcAaD4n5m81DuehGXSNmPfdy1fLcyMUHvH8I0KKu4> [30.11.2023]

ნგაპურსა და ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას.[465] პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ცნების დასახელებული განმარტებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, ასევე ევროკავშირის და ევროკავშირის საბჭო შეეცადა, განესაზღვრა ცნების ისეთი ზოგადი მოდელი, რომელიც მოიცავდა როგორც წევრ ქვეყნებს შორის, ასევე წევრ ქვეყანასა და მესამე ქვეყნებს შორის დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულ ინვესტიციის ცნებებს და არ მოვიდოდა მათთან წინააღმდეგობაში.

გარდა ამისა, სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ საინვესტიციო შეთანხმებების მომავალი შეიძლება განვითარდეს შერეული ხელშეკრულებების მიმართულებით. ამის მაგალითად მოყვანილია ევროკავშირის მიერ წარმოებული მოლაპარაკებები კანადასთან, აშშ-სთან, სინგაპურთან და ამ ქვეყნებთან არსებული სავაჭრო ეკონომიკური ხელშეკრულებები შეიცავენ ასევე დებულებებს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებითაც[466]. უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხების შერეული ხელშეკრულებების გზით გადაწყვეტა, დისკუსიების მნიშვნელობას კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებით ერთობ აუფერულებს, რადგანაც ამ ხელშეკრულებებში მხარე როგორც ევროკავშირი, ასევე წევრი სახელმწიფოები არიან.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ზემოთდასახელებულ განმარტებასა და ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს მიერ, 2019 წლის 21 მარტს მიღებულ რეგულაციაში მოცემული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ცნების განმარტებები დიდი მნიშვნელობისაა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ამ განმარტებებშიც ბევრი ბუნდოვანებაა. ინვესტორსა და სახელმწიფოს ან ინვესტორსა და ევროკავშირს შორის წარმოშობილ სამომავლო დავებში, დავის განმხილველი ტრიბუნალები აუცილებლად მიიღებენ მხედველობაში ინვესტიციის ასეთ განსაზღვრებას, რადგანაც სწორედ ევროკავშირის სამართალი იქნება გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

---

[465] შეადარეთ, Opinion of the Court (Full Court) of 16 May 2017, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=190727&doclang=EN> [30.11.2023] დასახელებული გადაწყვეტილების დეტალური ანალიზი იხ: Hahm M., Die zuständigkeitsverteilung zwischen EU und Mitgliedstaaten beim Abschluss von Freihandeldabkommen nach Gutachten 2/15; Investitionsschutz, Schiedsgerichtsbarkeit und Rechtsstaat in der EU, Herausgegeben von Eva-maria Kieninger; Eckhard Pache; Ulrich Sieber; Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden 2018, 212-218.

[466] Griebel J., The New EU Invesment Policy Approach, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 313-314.

4.5. უცხოელ ინვესტორთან დავის შემთხვევაში ევროკავშირის არბიტრაჟუნარიანობა და პასუხისმგებლობის ფარგლები

უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით ევროკავშირისთვის ექსკლუზიური კომპეტენციის გადაცემამ წარმოშვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომელ სუბიექტს ეკისრება პასუხისმგებლობა ინვესტორის მიერ აღძრულ სარჩელზე, წევრ სახელმწიფოს თუ ევროკავშირს. სამართლებრივ ლიტერატურაში წარმოდგენილია ოთხი სცენარი, როდესაც დღის წესრიგში დგება ევროკავშირს და წევრ სახელმწიფოს შორის პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი: 1) წევრი ქვეყანა ახდენს ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაციას, რაც იწვევს ინვესტორის უფლებების ხელყოფას. 2) წევრი ქვეყანა არასწორად ახდენს ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტირებას, რასაც შედეგად მოსდევს ინვესტორის უფლებების ხელყოფა. 3) ევროკავშირის კანონმდებლობა აძლევს დისკრეციას წევრ სახელმწიფოს იმპლემენტირებასთან დაკავშირებით და წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ იმპლემენტირება იწვევს ინვესტორის უფლებების ხელყოფას. 4) წევრი ქვეყანა მიიღებს შიდა კანონმდებლობას, რაც ხელყოფს ინვესტორების იმ უფლებებს, რომლებიც დადგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით.[467]

ევროკავშირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგენილია 2014 წლის 23 ივლისის ევროკავშირის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს მიერ შემუშავებული რეგულაციით. ეს რეგულაცია მოქმედებს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება და ან უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული რეგულაციები არის მოცემული ევროკავშირის მონაწილეობით (მხარე) დადებულ ხელშეკრულებებში (მათ შორის ე.წ. შერეულ ხელშეკრულებებში) და ამ ხელშეკრულებების მიხედვით დადგენილია ინვესტორთან წარმოშობილი დავის გადაწყვეტის მექანიზმები.[468] ამ რეგულაციის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტში მითითებულია, რომ ევროკავშირს ეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა, როდესაც ინვესტორისთვის ზიანის მიყენება გამოიწვია ევროკავშირის ან მისი ორგანოს ქმედებამ.[469]

---

[467] Ratz p., International and European Law Problems of Investment Arbitration involving the EU, edited by Rainer Hofmann, Stefan Kadelbach, Rainer Klump, Nomos Verlagsgeselschaft, Baden-Baden 2017,100.

[468] Regulation (EU) No 912/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 establishing a framework for managing financial responsibility linked to investor-to-state dispute settlement tribunals established by international agreements to which the European Union is party., <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014R0912&from=de> [30.11.2023]

[469] Regulation (EU) No 912/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 establishing a framework for managing financial responsibility linked to investor-to-state dispute settlement tribunals established by international agreements to which the

ისეთ შემთხვევაში, როდესაც წევრი სახელმწიფო ახდენს ევროკავშირის კანონმდებლობის არასწორ იმპლემენტაციას, პასუხისმგებლობა ეკისრება წევრ სახელმწიფოს, რადგან შეცდომა ან ხელყოფა არ არის მომდინარე ევროკავშირის ორგანოსგან.[470] მსგავსად დასახელებული შემთხვევისა, ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი ინვესტორის უფლებების ხელყოფაზე, თუ ასეთი ხელყოფა გამოწვეულია წევრი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტირებით და მას იმპლემენტირებისას ჰქონდა დისკრეციის საშუალება, მიეღოთ ან არ მიეღო ეს რეგულაცია. ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ თავად წევრი სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას (ვალდებულების გარეშე) და იგი არის თავად პასუხისმგებელი მისივე ორგანოების ქმედებაზე.[471]

გარდა ამისა, მხოლოდ და მხოლოდ წევრი სახელმწიფო არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, როდესაც წევრი ქვეყნის მიერ მიღებული კანონმდებლობა არაა შესაბამისი ევროკავშირის სამართალთან და მიღებული კანონმდებლობით ზიანი ადგება ინვესტორს. ასეთ დროს, პასუხისმგებლობა არის მხოლოდ შესაბამის წევრ სახელმწიფოზე. [472]

2014 წლის 23 ივლისის რეგულაციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ევროკავშირი შეიძლება იყოს მოპასუხე, თუ ინვესტორის მიმართ მოპყრობა, რამაც გამოიწვია დავა, მომდინარეობს ევროკავშირის, მისი ინსტიტუციებისა და ევროკავშირის სახელით მოქმედი სხვა სტრუქტურული ერთეულების ქმედებების შედეგად.[473]

კონკრეტული დავის შემთხვევაში, მოპასუხეთა განსაზღვრის საკითხი გადაწყდება საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ, დასახელებული რეგულაციითა და იმ საინვესტიციო შეთანხმებებით გათვალისწინებული წესით, რომელი შეთანხმებებითაც საარბიტრაჟო ტრიბუნალს მიენიჭა უფლებამოსილება, გადაეწყვიტა დასახელებული დავა. ამასთან, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრასთან ერთად, თავად ეს ტრიბუნალები გადაწყვეტენ, თუ რა დოზით მიიჩნიონ ევროკავშირის სამართალი დავის გადაწყვეტისთვის რელევანტურ მატერიალურ და პროცესუალურ სამართლად.

European Union is party, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014R0912&from=de> [30.11.2023]

470 Ratz p., International and European Law Problems of Investment Arbitration involving the EU, edited by Rainer Hofmann, Stefan Kadelbach, Rainer Klump, Nomos Verlagsgeselschaft, Baden-Baden, 2017, 112.

471 იქვე, 113.

472 იქვე, 113.

473 Regulation (EU) No 912/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 establishing a framework for managing financial responsibility linked to investor-to-state dispute settlement tribunals established by international agreements to which the European Union is party, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014R0912&from=de> [30.11.2023]

5. დავის გადაწყვეტის საშუალებები მხარეთა შეთანხმების არარსებობისას

საინვესტიციო შეთანხმებების წარმოშობამდე და დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების დანერგვამდე, ინვესტორებს ჰქონდათ სამი საშუალება, დაეცვათ საკუთარი თავი უფლებების ხელყოფისას. ესენია: პირდაპირი მოლაპარაკებები მთავრობასთან, მიმართვა შიდა სასამართლოებში და დიპლომატიური დაცვა მშობლიური სახელმწიფოსგან.[474] შეიძლება ითქვას, რომ ბენეფიციარ სახელმწიფოსთან დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ინვესტორი ახლაც სწორედ ამ გზებით უნდა ეცადოს უფლებების დაცვას.

5.1. პირდაპირი მოლაპარაკებები მთავრობასთან

საინვესტიციო ურთიერთობების პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც დავა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის გადაჭრილა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით. მეტიც, პირდაპირი მოლაპარაკების გამართვის სავალდებულო ეტაპს დავის დაწყებამდე, ითვალისწინებს არაერთი საინვესტიციო შეთანხმებაც. როგორც წესი, ეს ვადა შეადგენს დაახლოებით ექვს თვეს. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი მოლაპარაკებები როგორც წესი კონფიდენციალურია, სტატისტიკაზე და შედეგებზე ზუსტი საუბარი არის შეუძლებელი.[475] სწორედ ექვს თვიან წინასწარ ვადას ითვალისწინებს საქართველოსა და იტალიას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებაც, რომლის შესაბამისადაც, ნებისმიერი დავა, ინვესტიციის თაობაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოსა და მეორე მონაწილე მხარის ინვესტორს შორის, გადაწყვეტილი უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად მეგობრული გზით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დავის მოგვარება ვერ მოხერხდება მეგობრული გზით, დავის მოგვარების შესახებ წერილობითი შეტყობინების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, ინვესტორს წარმოეშობა უფლება, მიმართოს დავის გადაწყვეტის შეთანხმებულ შიდა და საერთაშორისო მექანიზმებს.[476]

ერთ-ერთი ასეთი წარმატებული მაგალითი, როდესაც ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის შედგა შეთანხმება ისე, რომ არ არსებობდა დავის გადა-

---

474 Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press 2015, 396.

475 იქვე, 396.

476 საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის“ შესახებ შეთანხმების მე-9 მუხლი.

წყვეტის საერთაშორისო მექანიზმზე რაიმე შეთანხმება, არის ინდოეთსა და ამერიკულ კომპანია Enron-ს შორის მიღწეული მორიგება. კომპანია Enron ახორციელებდა ინვესტირებას მაჰარაჯას შტატში და ინვესტიციის ოდენობა შეადგენდა ორ მილიარდ დოლარზე მეტს. საბოლოდ, 1993 წელს მოხდა შეთანხმება და შტატმა აიღო ვალდებულება, 20 წლის განმავლობაში შეესყიდა სრულად გამომუშავებული ელექტრო ენერგია. თუმცა, მოგვიანებით, შტატის ახალარჩეულმა მთავრობამ გააუქმა შეთანხმება იმ დასაბუთებით, რომ პირობები არ შედიოდა შტატის საუკეთესო ინტერესებში. ამის შემდეგ დაიწყო ახალი მოლაპარაკებები და მხარეები შეთანხმდნენ შემცირებულ ტარიფებზე და სხვა განახლებულ პირობებზე.[477]

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცალკეული პრეცედენტები უცხოელ ინვესტორსა და მთავრობას შორის შეთანხმებების მიღწევის, ეს მეთოდი არ შეიძლება ჩაითვალოს ინვესტორისთვის მისაღებ მეთოდად დავის გადასაწყვეტისთვის. ზემოთდასახელებული წარმატებული მაგალითიც კი კარგად აჩვენებს, თუ რამდენად არასტაბილური და არაპროგნოზირებადი შეიძლება იყოს ინვესტორის და სახელმწიფოს პირდაპირი მოლაპარაკებები ინვესტორისთვის.

5.2. ადგილობრივი სასამართლოები

საერთაშორისო მექანიზმების არარსებობისას, დავის გადაწყვეტის მეორე მეთოდი შეიძლება იყოს ინვესტორის მიერ ბენეფიციარი სახელმწიფოს ადგილობრივ სასამართლოებში მიმართვა. ცალკეული BIT-ები ალტერნატივის საშუალებადაც სთავაზობენ ინვესტორებს შიდა სასამართლოებისადმი მიმართვას. ინვესტორი კი უფლებამოსილია, თავად აირჩიოს დავის გადაწყვეტის მექანიზმი.[478] ასე მაგალითად, საქართველოს და იტალიას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორთან დავის მოგვარება ვერ მოხერხდება მეგობრული გზით, დავის მოგვარების შესახებ წერილობითი შეტყობინების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, ინვესტორს შეუძლია თავისი არჩევანის მიხედვით, წარუდგინოს დავა განსახილველად ტერიტორიული იურისდიქციის მქონე მონაწილე მხარის სასამართლოს, „ad hoc"-ის საარბიტრაჟო სასამართლოს (UNCITRAL-ის წესებით) ან ICSID ცენტრს.[479]

შიდა სასამართლოებისათვის მიმართვას შესაძლოა ინვესტორებისთვის არასასურველი რისკები ჰქონდეს. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად

[477] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 396-397.

[478] იქვე, 397.

[479] საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ" შეთანხმების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.

დემოკრატიულია ბენეფიციარი ქვეყანა და რამდენად თავისუფალია მოსამართლეები გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც წესი, ადგილობრივ სასამართლოებს არ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია ინვესტიციებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებში.[480] გარდა ამისა, შიდა სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვისას, გამოიყენება ადგილობრივი სამართლის ნორმები, რომლებიც როგორც წესი, არ ითვალისწინებენ ინვესტორის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტებს, რაც დადგენილია საერთაშორისო პრაქტიკით.[481]

რაც შეეხება ადგილობრივ არბიტრაჟებს და მედიაციის ცენტრებს, ბუნებრივია, თუ ცალკეულ საინვესტიციო დავების წარმოშობის შემდეგ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ ინვესტორს შეუთანხმდეს კონკრეტული შიდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციაზე ან ინვესტორთან მედიაციის პროცესი წარიმართოს ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარეებს ამის უფლება ექნებათ. თუმცა, ამ წესით მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები და სამედიაციო მორიგებები ვერ შეასრულებენ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებით დადგენილ გარანტიებს და ვერ მისცემენ ინვესტორს მისი უფლებების უპირობოდ დაცვის განცდას. ამასთან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სახელმწიფო ამ წესით დავის გადაწყვეტაზე ხშირად დათანხმდეს.

5.3. დიპლომატიური დაცვა

ერთ-ერთი მეთოდი არის ინვესტორის მიერ მშობლიური სახელმწიფოს მთავრობისადმი დახმარების თხოვნა, რათა მან უზრუნველყოს დიპლომატიური დაცვა.[482] საერთაშორისო საჯარო სამართალში გამოყოფენ დიპლომატიური დაცვის სხვადასხვა საშუალებებს. მათ შორისაა, დიპლომატიური პროტესტი, მედიაციის მოწვევა, სარკისებრი საპასუხო მოქმედებები, დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა, ეკონომიკური ბერკეტები და სამართლებრივი დავის მექანიზმები.[483]

საერთაშორისო საჯარო სამართლის შესაბამისად, იმისათვის, რომ ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს მიმართ დაიწყოს საერთაშორისო დავა მისი

[480] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 397.

[481] იქვე, 397.

[482] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 432.

[483] Hofmann R., The Protection of Individuals under Public Inernational Lw, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 62.

პირის არასათანადო მოპყრობის საფუძვლით, აუცილებელია ამ პირს ამოწურული ჰქონდეს პოტენციურ მოპასუხე სახელმწიფოს შიდა სამართლებრივი მექანიზმები.[484] შიდა ეფექტური საშუალებების ამოწურვა არის აუცილებელი წინაპირობა. ამ მიდგომას ავითარებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ).[485] ამასთან, იმისათვის, რომ სახელმწიფომ დაიწყოს დავა მეორე სახელმწიფო მიმართ, დავის მექანიზმი უნდა იყოს შეთანხმებული ამ სახელმწიფოთა შორის ad hoc არბიტრაჟის ან რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად.[486]

ინვესტორისთვის მშობლიური სახელმწიფოს დიპლომატიური დაცვის იმედად ყოფნა დაკავშირებულია რამდენიმე გარემოებასთან. ასეთი დაცვის უზრუნველყოფა დამოკიდებულია მხოლოდ მთავრობის სურვილზე და მან შესაძლოა არც გაითვალისწინოს ინვესტორის თხოვნა. რეალურად, ეს არის მთავრობის დისკრეცია. სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური პროცედურების დაწყების შემთხვევაშიც, ინვესტორს არ აქვს რაიმე ბერკეტი დავის შედეგზე. ასეთი დავის დროს, მხარეები არიან სახელმწიფოები და მათ ქმედებებზეა დამოკიდებული საქმის შედეგი, მათ შორის ინვესტორისთვის არასასურველი პირობებით დასრულების შემთხვევაში. ამასთან, ინვესტორი კარგავს ხელახლა მიმართვის უფლებას ამ დავაზე.[487]

ერთ-ერთი შემთხვევა იყო ცნობილი საქმე Barcelona Traction case, სადაც ბელგიამ სარჩელით მიმართ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ესპანეთის წინააღმდეგ იმ დასაბუთებით, რომ დაზარალდნენ ბელგიელი მეწილეები, რომლებსაც წილები ჰქონდათ კანადურ კომპანიაში. ამ კომპანიას უნდა მიეწოდებინა ბარსელონასთვის ელექტრო ენერგია, რა დროსაც ესპანეთის მთავრობის მიერ განხორციელდა ექსპროპრიაცია. სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიას არ ჰქონდა ამ სარჩელის აღძვრის უფლება, რადგან დაზარალებული იურიდიული პირი იყო კანადური კომპანია და შესაბამისად, სარჩელზე უფლებამოსილი იყო მხოლოდ კანადა. ეს გადაწყვეტილება წლების განმავლობაში იყო კრიტიკის საფუძველი.[488]

---

[484] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 432.

[485] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 397

[486] Hofmann R., The Protection of Individuals under Public Inernational Lw, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 62.

[487] Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press, 2015, 398.

[488] იქვე, 398-399.

სახელმწიფოთა მხრიდან აქტიური დიპლომატიური დაცვის ყველაზე მასშტაბური და ცნობილი მაგალითია Iran v U.S.-ის საარბიტრაჟო დავები, რომელთა ოდენობა აღემატება რამდენიმე ასეულს და ზოგიერთი დღესაც მიმდინარეა.[489] უდავოა, ამ საქმეებმა დიდი გავლენა იქონია თანამედროვე საარბიტრაჟო სამართლის ჩამოყალიბებაში.[490]

დიპლომატიური დაცვის მექანიზმების გამოყენებით დავის დაწყება არ არის ხშირი შემთხვევა. ერთ-ერთ საქმეზე (Republic of Guinea v. Democratic Republic of the Congo), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) განმარტა, რომ დიპლომატიური დაცვა არის არაორდინალური შემთხვევა და მისი გამოყენება მშობლიურ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც უფლების დაცვის სხვა ალტერნატიული საშუალება და მეთოდი არ არსებობს.[491]

საგულისხმოა, რომ ცალკეული საინვესტიციო შეთანხმებები პირდაპირ ითვალისწინებენ დათქმებს დიპლომატიური დაცვის აკრძალვების ან მისი შეზღუდული მოქმედების შესახებ. ამის კარგი მაგალითია საქართველოსა და იტალიას შორის არსებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ორივე მონაწილე მხარემ თავი უნდა შეიკავოს დიპლომატიური არხების მეშვეობით საარბიტრაჟო პროცედურასთან ან სასამართლო პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის მოლაპარაკებისაგან იმ დრომდე, სანამ ეს პროცედურები შეთანხმდება და ერთ-ერთი მონაწილე მხარე არ შეასრულებს საარბიტრაჟო სასამართლოს ან ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებას, დადგენილებით გათვალისწინებულ ვადაში ან კიდევ იმ ვადაში, რომელიც შეიძლება განისაზღვროს იმ საერთაშორისო ან ადგილობრივი კანონმდებლობის დებულებების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ამ კონკრეტული შემთხვევისათვის.[492] ეს ჩანაწერი ნათლად გვაჩვენებს, რომ სახელმწიფოები ერიდებიან უშუალო ჩართულობას საინვესტიციო დავებში, მით უფრო, თუ ასეთ დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი შესრულების ვადა არაა გასული ან ეს დავები მიმდინარეა შესაბამის ორგანოებში.

---

489 იხ., ირანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წარმოშობილი დავების შესახებ დამატებითი ინფორმაცია: <https://iusct.com/about/ > [30.11.2023]

490 Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 180.

491 Ahmadou Sadio Diallo (Republic of Guinea v. Democratic Republic of the Congo), <https://www.icj-cij.org/case/103>[30.11.2023]

492 საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

6. საერთაშორისო სანვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესი

6.1. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესი

6.1.1. შეთანხმება გამოსაყენებელ სამართალზე

პირველი კითხვა, რომელიც ჩნდება არბიტრაჟის მიერ დავის განხილვისას, არის ის, თუ რომელი სამართლის მიხედვით უნდა მოხდეს საქმის გადაწყვეტა.[493] აღიარებულია, რომ სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის ურთიერთობაში ყველაზე რთულად შესათანხმებელი საკითხი არის გამოსაყენებელი სამართალი და დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმის არჩევა.[494] იმისგან დამოუკიდებლად, შეიცავს თუ არა საინვესტიციო შეთანხმებები დათქმებს დავის შემთხვევაში არბიტრაჟის გამოყენების შესახებ, გამოსაყენებელი სამართლის არჩევას ყოველთვის შეუძლია განჭვრეტადობის და სტაბილურობის უზრუნველყოფა გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების არსებობის განმავლობაში.[495]

არბიტრაჟისგან განსხვავებით, მედიაციისა და კონსილაციის დროს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის მნიშვნელობა ერთობ მიზერულია, რადგანაც მხარეები ამ გზით ცდილობენ არა დავის განხილვასა და გადაწყვეტას, არამედ კომპრომისების გზით შეთანხმების მიღწევას. სხვა საკითხია, როდესაც მხარეები ასეთი შეთანხმებების ნამდვილობის მიმართ ადგენენ გამოსაყენებელ სამართალს.[496]

გამოსაყენებელი სამართლის არჩევას და დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმზე შეთანხმებას სახელმწიფოები უყურებენ, როგორც საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილის შეზღუდვას, მაშინ როდესაც ინვესტორის მიზანია,

---

[493] Foreign Investment Disputes, Cases, Materiald and Commentary, second edition, edited by R. Doak Bishop, James R. Crawford, W.Michael Reisman, Kluwer Law International BW, The Netherlands, 2014, 437.

[494] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 73-74.

[495] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 59.

[496] მედიაციაზე შეთანხმება ან მიღწეული სამედიაციო მორიგებები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს. შესაბამისად, მათ მიმართ შეიძლება გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმება. დეტალურად იხ. Orejudo Prieto de los Mozos, Patricia, The Law Applicable to International Mediation Contracts, InDret, Vol. 1, 2011, 7-13. <https://indret.com/wp-content/uploads/2011/02/800_en.pdf> [30.11.2023]

დასახელებული მექანიზმებით უზრუნველყოს სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს შექმნა, რომელიც მას დააზღვევს ბენეფიციარი სახელმწიფოსგან მომდინარე პოლიტიკური და სხვა სახის რისკებისგან.[497]

მხარეთა ნების ავტონომია, შეთანხმებით განსაზღვრონ გამოსაყენებელი სამართალი, აღიარებულია თითქმის ყველა საარბიტრაჟო განხილვის ცენტრის წესებით. თუმცა, მხარეებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა შესაძლოა დამოკიდებული იყოს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კანონმდებლობაზე, სადაც შესაძლოა, იზღუდებოდეს მხარეთა უფლება, შეარჩიონ ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელსაც პირდაპირი კავშირი არ ექნება ინვესტიციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ტრანზაქციასთან.[498]

უცხოური ინვესტიციები რეგულირდება როგორც საერთაშორისო, ისე შიდა კანონმდებლობით. საერთაშორისო სამართალი მოიცავს სახელმწიფოთა შორის არსებულ ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებს და ასევე მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებს, როგორიცაა, მაგალითისთვის, ენერგეტიკის ქარტია (ECT) და ჩრდილოეთ ამერიკული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (NAFTA).[499] საგულისხმოა, რომ მხოლოდ ცალკეული საინვესტიციო შეთანხმებებში არსებობს დათქმები გამოსაყენებელი სამართლის შესახებ. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (NAFTA), ნაცვლად იმისა, რომ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა სრულად მიანდოს არბიტრებს, რომლებმაც უნდა იხელმძღვანელონ მოდავე მხარეებს არსებული შეთანხმების შესაბამისად, თავად გამორიცხავს რომელიმე ქვეყნის ნაციონალურ სამართალს და ადგენს, რომ დავის განმხილველი ტრიბუნალი, რომელიც შექმნილია ამ ხელშეკრულების შესაბამისად, დავას განიხილავს თავად ხელშეკრულებაში მოცემული დებულებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.[500]

ნიდერლანდებს და არგენტინას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების 10(7) მუხლში მოცემულია, რომ ტრიბუნალი დავას განიხილავს ერთ-ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად (რაც მოიცავს მის კოლიზიური სამართლის ნო-

[497] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 74.

[498] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 60.

[499] Foreign Investment Disputes, Cases, Materiald and Commentary, second edition, edited by R. Doak Bishop, James R. Crawford, W.Michael Reisman, Kluwer Law International BW, The Netherlands, 2014, 437.

[500] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 290.

რმებსაც), საინვესტიციო შეთანხმების შესაბამისად, სპეციალური შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ინვესტიციასთანაა დაკავშირებული და ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმები შეიძლება იყოს გამოსაყენებელი სამართალი. [501]

განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსა და ჩეხეთს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება,[502] რომელიც განსაზღვრავს გამოსაყენებელი სამართლის თანმიმდევრობას. კერძოდ, შეთანხმების 8.3 მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადაწყვეტილების მიღებისას გამოსაყენებელ სამართალს იყენებს შემდეგი თანმიმდევრობით: საინვესტიციო შეთანხმების დებულებები და ხელშემკვრელ მხარეთა შორის მოქმედი სხვა შესაბამისი შეთანხმებები, შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის მოქმედი კანონმდებლობა, ინვესტიციასთან დაკავშირებული სპეციალური შეთანხმებების დებულებები და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები.

იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევებში, წინასწარ არ არის შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართალი ან ასეთი შეთანხმება არასრული და სადავოა, თავად განმხილველ საარბიტრაჟო ტრიბუნალებს უწევთ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია არაერთი გარემოება და დაბრკოლება, რომელიც პრაქტიკაში იჩენს თავს.

6.1.2. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა შეთანხმების არარსებობისას

მნიშვნელოვნად განსხვავდება ICSID ცენტრისთვის და სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალებისთვის განსაზღვრული წესები, რომელთა მიხედვითაც ხდება გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა მხარეთა შეთანხმების არარსებობას. გარკვეულწილად, ეს განსხვავებები განპირობებულია იმ სპეციფიკით, რაც ერთი მხრივ, ICSID კონვენციას, ხოლო მეორე მხრივ, ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას ახასიათებს.

ICSID კონვენციის 42-ე მუხლი ადგენს ორეტაპიანი შემოწმების ფორმულას. ტრიბუნალმა პირველ რიგში უნდა გაარკვიოს, არსებობს თუ არა შეთანხმება მხარეთა შორის გამოსაყენებელ სამართალზე. შეთანხმების არარსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემთხვევაში უნდა განსაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი.[503] ასეთი შეთანხმების არარსებობისას, კონვენციის 42(1)

[501] იქვე, 290.

[502] საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ“ შეთანხმების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.

[503] Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 351-352.

მუხლის შესაბამისად, ტრიბუნალი ბენეფიციარი სახელმწიფოს კანონმდებლობას (რაც მოიცავს მის კოლიზიური სამართლის ნორმებსაც) და გამოსაყენებელ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, თუმცა არსადაა დაკონკრეტებული საერთაშორისო სამართლის ნორმები და შიდა და საერთაშორისო ნორმებს შორის კოლიზიის საკითხი, რაც არაერთხელ გამხდარა დავის საგანი.

ICSID კონვენციის საპირისპიროდ, უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციაში საერთოდ არაა მოცემული საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვისას გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესები. კონვენციაში გამოსაყენებელ სამართალთან კავშირში მოცემულია მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასთან დაკავშირებული დებულებები და არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელ საპროცესო სამართლის დადგენის წესები. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, კონვენცია არ განსაზღვრავს რაიმე სახელმძღვანელო წესს, თუ როგორ შეიძლება საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინოს გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი.[504]

როდესაც მხარეები არ არიან შეთანხმებულები გამოსაყენებელი სამართლის არჩევაზე და ამის შესახებ დათქმა არ არსებობს არც საინვესტიციო შეთანხმებაში და არც პროცესის მიმდინარეობის დროს ხდება შეთანხმება, თავად კონკრეტული საარბიტრაჟო ტრიბუნალების დავის განხილვის წესები შეიძლება ადგენდეს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესს.

მიუხედავად არბიტრთა ფართო უფლებამოსილებებისა, აღიარებულია, რომ გარკვეულწილად, მათ მხედველობაში უნდა მიიღონ გადაწყვეტილების აღსრულებადობის საკითხიც და ისე განსაზღვრონ გამოსაყენებელი სამართალი. სხვაგვარად, იარსებებს რისკი, რომ ცნობა-აღსრულების ეტაპზე მოპასუხე სახელმწიფო ამ საფუძვლით უარს იტყვის გადაწყვეტილების აღსრულებაზე.[505]

6.1.2.1. ვაშინგტონის კონვენციის შესაბამისად

ICSID კონვენციის 42-ე მუხლი აღიარებს მხარეთა ნების ავტონომიის უფლებას და ავალდებულებს ტრიბუნალს, გამოიყენოს ის სამართლის ნორმები, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან. კონვენცია უპირატესობას ანიჭებს მხარეთა მიერ არჩეულ სამართალს. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს გამოსაყენებელი სამართლის არჩევის უფლება აქვთ დავის დაწყებამდეც. როგორც წესი, მხარეები, უფრო ხშირად დავის წარმოშობამდე თანხმდებიან გამოსაყენებელი

[504] ტაკაშვილი ს., დავის საერთაშორისო საარბიტრაჟო წესით განხილვისას გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის განსაზღვრა მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, თედო ნინიძე 65, თბილისი, 2016, 67.

[505] იქვე, 64-65.

სამართლის შესახებ.[506] ამასთან, აღიარებულია, რომ მხარეებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ გამოსაყენებელ სამართალზე ურთიერთობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის დავის განხილვის დროსაც.[507] მხარეთა უფლება, აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა დავის საგანზე სხვადასხვა გამოსაყენებელი სამართალი.[508]

მიუხედავად კონვენციის დადგენილი უფლებისა, ყველა მხარეს როდი აქვს ცალსახა და ზუსტი დათქმები გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებით. შეთანხმების არარსებობისას, თავად ტრიბუნალები განსაზღვრავენ გამოსაყენებელ სამართალს. კერძოდ, თუ არ არსებობს მხარეთა შეთანხმება, 42.1 მუხლის თანახმად, გამოსაყენებელი სამართალი შეიძლება იყოს სახელმწიფოს სამართალი საერთაშორისო სამართალთან ერთად.[509]

ერთ-ერთი რთული და წინააღმდეგობრივი საკითხი არის ეროვნული კანონმდებლობისა და გამოსაყენებელი საერთაშორისო სამართლის ნორმების ურთიერთმიმართება კონვენციის 42.1 მუხლის შესაბამისად. არ არსებობს პირდაპირი ჩანაწერი, თუ რა მოცულობით ხდება ამ ნორმების გამოყენება და რომელს ენიჭება უპირატესობა წინააღმდეგობის შემთხვევაში.[510] ამის გამო, კონვენციის 42.1 მუხლი ხშირად გამხდარა კრიტიკის და განსხვავებული მოსაზრებების არსებობის საფუძველი. საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებულმა ჩანაწერთან დაკავშირებით, პრაქტიკოსებსა და საინვესტიციო სამართლის მკვლევრებს შორის შეიძლება ითქვას, რომ სამი სკოლა არსებობს. პირველი შეხედულების თანახმად, რომლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი არის პროფესორი მიხაილ რაისმანი, საერთაშორისო სამართლის ნორმები მხოლოდ შეზღუდულად უნდა იქნას გამოყენებული ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც შიდა ნაციონალური სამართალი აშკარა წინააღმდეგობაში და შეუსაბამობაშია საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. მეორე სკოლა ავითარებს მოსაზრებას, რომ მართალია, საერთაშორისო სამართლის გამოყენებას მნიშვნელოვანი დატვირთვა და როლი აქვს, მაგრამ ეს ნორმები

[506] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 289-290.

[507] Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 356.

[508] იქვე, 355.

[509] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 560.

[510] Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 360.

უნდა იქნეს განხილული, როგორც შემავსებელი ნორმები შიდა კანონმდებლობის. რაც შეეხება მესამე მიმართულებას, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ადგილობრივ კანონმდებლობას ერთნაირი მნიშვნელობა და როლი აქვს სახელმწიფოსა ინვესტორს შორის არსებული დავის გადაწყვეტისას.[511]

ICISD კონვენციის 42.1 მუხლის შინაარსის უკეთ გასაგებად, საინტერესოა, ასევე მუხლის ფორმულირებასთან დაკავშირებით თავდაპირველად არსებული ვერსიები. კონვენციის პირველადი ვერსიები იყენებდნენ ფორმულირებას „ნაციონალურ სამართალს ან საერთაშორისო სამართალს". თუმცა, შემდგომ, საერთო კონსენსუსის საფუძველზე, „ან" შეიცვალა და მიეთითა ნაციონალური და საერთაშორისო სამართალი. ეს ტექსტი დარჩა საბოლოო რედაქციაშიც და წარმოიშვა დაუსრულებელი კამათი ნაციონალური სამართლის და გამოსაყენებელი საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართებასთან და გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით.[512]

განსხვავებული მიდგომები 42.1 მუხლთან მიმართებით, ასახულია საარბიტრაჟო პრაქტიკაშიც. Klöckner v Cameroon-ის საქმეზე, ტრიბუნალის მიერ გამოსაყენებელი სამართლის არასწორად განსაზღვრა გახდა კიდეც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გადასინჯვის საფუძველი.[513] ანალოგიური შედეგი დადგა Amco v Indonesia საქმეზეც.[514]Amco v Indonesia საქმეზე ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ინდონეზიის შიდა კანონმდებლობა ინვესტორს სთავაზობდა დაცვის მეტ გარანტიებს, ვიდრე საერთაშორისო სამართლის ნორმები. როგორც Klöckner v Cameroon, ასევე Amco v Indonesia საქმეები გვაჩვენებს, რომ ICSID ტრიბუნალი იყენებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მას შემდეგ, რაც ნაციონალური სამართლის ნორმები იქნება გამოყენებული.[515]

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალები მიჰყვებოდნენ ტენდენციას, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები იყო მხოლოდ შემავსებელი ხასიათის ICSID კონვენციის 42.1 მუხლის შესაბამისად. ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო Duke Energy v Peru, სადაც ტრიბუნალმა მიუთითა, რომ გამო-

[511] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 303-304.

[512] Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 360-361.

[513] Spierman O., Investment Arbitration: Aplicable Law, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1378-1379.

[514] Spierman O., Investment Arbitration: Aplicable Law, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1379.

[515] იქვე, 1380.

საყენებელ სამართალს წარმოადგენდა პერუს კანონმდებლობა.[516] რეალურად, საერთაშორისო სამართლის ნორმების, როგორც მაკორექტირებელი და ზემდგომი სამართლის ნორმების ფუნქციაზე არბიტრებმა საუბარი დაიწყეს საინვესტიციო შეთანხმებებიდან წარმოშობილი დავების (Treaty Cases) განხილვის დროს. უშუალოდ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საინვესტიციო კონტრაქტებიდან წარმოშობილი დავების (Contract Cases) განხილვისას, როგორც წესი, ტრიბუნალები ერიდებოდნენ საერთაშორისო სამართლის ნორმების აქტიურ გამოყენებას.[517]

დღეის მდგომარეობით, ICSID კონვენციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადება არის ნაკლები კრიტიკის საგანი, რადგანაც სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის წარმოშობილი დავების უმეტესობა არის დაფუძნებული საინვესტიციო ხელშეკრულებებზე. ამის საშუალებას იძლევა 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, ტრიბუნალი დავას წყვეტს იმ სამართლის ნორმების მიხედვით, რომლებზეც მხარეები თანხმდებიან. ასეთი შეთანხმების არარსებობისას, ტრიბუნალი იყენებს დავის მხარე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობას (რაც მოიცავს მის კოლიზიური სამართლის ნორმებსაც) და გამოსაყენებელ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.[518] რეალურად, ეს არის მხარეთა არჩევანი, განსაზღვრონ საერთაშორისო სამართალი, როგორც დომინანტური გამოსაყენებელი სამართალი. ტრიბუნალმა საქმეზე El Paso v Argentina, განმარტა, რომ როგორც აშშ-სა და არგენტინას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება, ასევე არგენტინის შიდა კანონმდებლობა უნდა ყოფილიყო გამოსაყენებელი სამართალი. ტრიბუნალის მითითებით, არსებულ BIT-ს, რომელიც ავსებდა საერთაშორისო სამართალს და არგენტინის შიდა სამართალს, ჰქონდათ გარკვეული როლი დავის გადაწყვეტისათვის.[519]

6.1.2.2. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში

რაც შეეხება ICSID კონვენციის გარეთ განსახილველ დავებს, გამოსაყენებელი სამართლის არჩევა შესაძლოა დამოკიდებული იყოს საინვესტიციო შეთანხმებების ცალკეული დებულებების ტრიბუნალის მიერ ინტერპრეტირებაზე.

[516] Parra R. A., ICSID, an Introduction to the Convention an Centre, Oxford University Press, 2020, 77.

[517] იქვე, 77.

[518] Spierman O., Investment Arbitration: Aplicable Law, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1378.

[519] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 561.

UNCITRAL-ის წესების შესაბამისად, სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განხილულ საქმეზე (CME v Czech Republic),[520] მხარეები ვერ შეთანხმდნენ ნიდერლანდებს და ჩეხეთს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების 8(6) მუხლის შინაარსზე, რომელიც ადგენდა გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესებს. კერძოდ, ამ მუხლში მითითებული იყო, რომ დავის განხილვისას ტრიბუნალს მხედველობაში უნდა მიეღო ბენეფიციარი სახელმწიფოს სამართალი (მაგრამ არა ექსკლუზიურად), თავად ეს შეთანხმება და საერთაშორისო სამართლის ნორმები. ჩეხეთი აცხადებდა, რომ ასეთი ფორმულირება უპირატესობას ანიჭებდა ჩეხეთის სამართალს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ყოფილიყო გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმები. ტრიბუნალი არ დაეთანხმა ამ განმარტებას და განაცხადა, რომ საინვესტიციო შეთანხმება არ ადგენდა რაიმე სახის იერარქიას სხვადასხვა გამოსაყენებელ სამართალს შორის.[521]

ცალკეული საინვესტიციო შეთანხმებები ასევე განსაზღვრავენ, თუ რომელ ხელშეკრულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა კოლიზიის შემთხვევაში. NAFTA-ს 104-ე მუხლი ჩამოთვლის გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ცალკეულ კონვენციებს, რომელთა დებულებებსაც, კოლიზიის შემთხვევაში, შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს NAFTA-ს პირობებთან მიმართებით. საქმეზე SD Myers, Inc. v Canada, ტრიბუნალმა იმსჯელა, უნდა გამოეყენებინა თუ არა ბაზელის კონვენცია.[522] ტრიბუნალის დადგენილებით, მართალია, NAFTA-ს დებულებები უთითებდნენ ბაზელის კონვენციის, როგორც სპეციალური ნორმების უპირატესობაზე, თუმცა ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ ეს კონვენცია ვერ იქნებოდა გამოსაყენებელი სამართალი, რადგან თავად ინვესტორი იყო ამერიკული კომპანია და აშშ არ არის ბაზელის კონვენციის წევრი.[523]

Ad hoc არბიტრაჟით დავის განხილვის შემთხვევაშიც, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა დამოკიდებულია კონკრეტულად განმხილველ არბიტრებზე, განხილვის წესებზე და მხარეთა წინასწარ შეთანხმებაზე. ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალმა UNCITRAL-ის წესების შესაბამისად განიხილა საქმე Jan Ostergetel v Slovakia,[524] სადაც ტრიბუნალი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არც

[520] CME Czech Republic B.V. v. The Czech Republic, UNCITRAL, <https://www.italaw.com/cases/281>[30.11.2023]

[521] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 291.

[522] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, 22.03.1989.

[523] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 293.

[524] Jan Oostergetel and Theodora Laurentius v. The Slovak Republic, UNCITRAL, <https://www.italaw.com/cases/1222> [30.11.2023]

ნიდერლანდებს და სლოვაკეთს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება და არც UNCITRAL-ის წესები არ შეიცავდა მითითებას გამოსაყენებელი სამართლის არჩევის წესების შესახებ. ამის შემდეგ, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ გამოსაყენებელი სამართალი არის თავად საინვესტიციო შეთანხმება, ბენეფიციარი სახელმწიფოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები. რაც შეეხება საკითხს, თუ რომელ მათგანს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა, ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ ეს იყო დამოკიდებული ყოველ განსახილველ საკითხზე.[525]

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაზე საუბრობს საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებაც.[526] კერძოდ, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლო თვითონ განსაზღვრავს თავის სამუშაო პროცედურას. ამასთან, საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს ამ შეთანხმების პირობებისა და ორივე მონაწილე მხარის მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით. საგულისხმოა, რომ საუბარია მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე და არა ხელმომწერი ქვეყნების შიდა სამართლის ნორმებზე. საკითხს იმის შესახებ, გამოიყენოს თუ არა შიდა სამართალი ან რა დოზით გამოიყენოს, გადაწყვეტს ამ შეთანხმების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შექმნილი ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალი.

ზოგადი წესის შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რა მეთოდს ირჩევენ არბიტრები გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას, ერთმანეთისგან გამოყოფენ ორ მიდგომას. პირველის შესაბამისად, გამოსაყენებელი სამართალი დგინდება კოლიზიური ნორმების გათვალისწინებით (voie indirecte), ხოლო მეორე შემთხვევაში კი, პირდაპირი მითითება კეთდება რომელიმე სამართალზე, ისე, რომ კოლიზიური ნორმები არ მიიღება მხედველობაში (voie directe).[527] მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას, კოლიზიური ნორმების მითითებაზე საუბრობს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ 1961 წლის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლიც.[528] ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო დავებში ეს მიდ-

[525] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 291.

[526] საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ“ შეთანხმების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

[527] ტაკაშვილი ს., დავის საერთაშორისო საარბიტრაჟო წესით განხილვისას გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის განსაზღვრა მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, თედო ნინიძე 65, თბილისი, 2016, 66.

[528] European Convention on International Commercial Arbitration, Geneva, 21 April, 1961,

გომები ნაკლებად გამოსადეგია, რადგანაც ბენეფიციარი სახელმწიფოს სამართალი ყოველთვის მიიჩნევა ინვესტორის საქმიანობასთან და ინვესტიციასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ სამართლად.

გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტორისთვის მიყენებული ზიანის გამოთვლის და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენის კუთხით. სხვადასხვა სამართლის სისტემები განსხვავებულად არეგულირებენ ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს. აშშ-ში ფართოდაა გავრცელებული ე.წ. Punitive damage-ის სისტემა, რომლის მიხედვითაც, მოპასუხისთვის დაკისრებული თანხები შესაძლოა მნიშვნელოვნად (ხშირად რამდენიმეჯერაც) აჭარბებდეს მიყენებული ზიანის ოდენობას. საპირისპიროდ, დამდგარ ზიანზე უფრო დიდი ოდენობით ანაზღაურების წესები უცხოა კონტინენტური სამართლის სისტემისთვის. ამის გათვალისწინებით, მხარეები, რომლებიც თანხმდებიან აშშ-ს სამართლის ნორმების გამოყენებაზე, ისინი ხშირ შემთხვევაში აკეთებენ დათქმას ე.წ. Punitive damage-ის სისტემის გამორიცხვის შესახებ. გარდა ამისა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ არბიტრები უზრუნველყოფენ ზარალის ზედმიწევნით ზუსტად გამოთვლას, მხარეები წინასწარ თანხმდებიან, რომ მიყენებული ზიანის გამოთვლა მოხდება რომელიმე სამართლის სისტემის მიხედვით და არა ზოგად, საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად.[529]

გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის კუთხითაც.[530] შესაბამისად, დავის შემთხვევაში, თუ რომელი ტრიბუნალი განიხილავს საქმეს და რომელი სამართლის სისტემის შესაბამისად გადაწყდება დავა, უნდა იყოს მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი საკითხი, როგორც სახელმწიფოთა საინვესტიციო შეთანხმებების დადების დროს, ასევე სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ინდივიდუალური საინვესტიციო კონტრაქტების დადების დროს.

6.2. გამოსაყენებელი მატერიალური და საპროცესო სამართალი

ბუნებრივია, როდესაც არბიტრაჟის კომპეტენციის დამდგენ შესაბამის ხელშეკრულებებში ცხადადაა მითითებული გამოსაყენებელი სამართალი და მოქმედების კონკრეტული ფარგლები, არბიტრებს ძალიან უადვილდებათ გა-

<https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXII-2&chapter=22&clang=_en> [30.11.2023]

[529] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 64.

[530] ცერცვაძე გ, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, 2013, გვ. 276.

მოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა, ვიდრე ისეთ შემთხვევებში, როდესაც საინვესტიციო ხელშეკრულებები ასეთ დათქმებს საერთოდ არ შეიცავენ.[531] გარდა გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისა, არბიტრებს ასევე უწევთ იმის გადაწყვეტაც, ურთიერთწინააღმდეგობის შემთხვევაში, რომელ სამართლებრივ აქტს მიანიჭონ უპირატესობა.[532]

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავისას, განმხილველი არბიტრების მიერ შესაძლოა გამოყენებული იქნეს როგორც ორმხრივი და მრავალმხრივი საინვეცსტიციო შეთანხმებები, ასევე უშუალოდ სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის არსებული კონტრაქტი, ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა, სხვა მესამე სახელმწიფოს სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი და საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები.

6.2.1. გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი

6.2.1.1. ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმება

საინვესტიციო შეთანხმება არის ისეთი ხელშეკრულება, რომელშიც ორივე მხარეს არიან სახელმწიფოები და ერთმანეთს სთავაზობენ ინვესტორების და ინვესტიციების დაცვას, რომელიც არის ერთ-ერთი მხარის. გერმანიასა და პაკისტანს შორის 1959 წელს დადებული პირველი საინვესტიციო შეთანხმების შემდეგ, 3300-ზე მეტი ასეთი ხელშეკრულება იქნა დადებული. ამ შეთანხმებების 80 %-ზე მეტი არის 1987 წლის შემდეგ გაფორმებული,[533] რაც აჩვენებს ზრდის მნიშვნელოვან ტენდენციას.

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებულ დავებში, მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებებიდან ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადია ენერგეტიკის ქარტია. შესაბამისად, იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციო ურთიერთობებში და გამოიყენება კიდეც საქართველოს მიმართ არსებულ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავებში. ქარტია შეიქმნა 1994 წელს და რატიფიცირებულია 50-ზე მეტი ქვეყნის მიერ, მათ შორის ყოფილი საბჭოთა ქვეყნების, აზიის კონტინენტის ქვეყნების და ასევე ავსტრალიის ჩათვლით. ენერგეტიკის ქარტია (ECT) შეიქმნა, რათა ხელი შეეწყო ინვესტირების ზრდისთვის ენერგეტიკის სექტორში. ქარტია მიიჩნევა, როგორც ყველაზე დიდი და ფართოდ გავრცელებული უცხოური ინვესტიციების

[531] J. Christopher Thomas, QC; Harpreet Kaur Dhillon, Applicable law under International Investment Treaties, (2014) 26 SAcLJ, 977.

[532] იქვე, 975.

[533] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 211-212.

დაცვის საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმება. ეს ხელშეკრულება ადგენს უცხოურ ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებით საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში არსებულ სტანდარტებს. თუმცა, კონვენცია მოქმედებს მხოლოდ ენერგეტიკის სექტორთან დაკავშირებით.[534] ის ფაქტი, რომ ენერგეტიკის ქარტია, როგორც გამოსაყენებელი სამართალი ფართოდ გვხდება საინვესტიციო დავებში, მარტივად დასტურდება თუნდაც საქართველოს მონაწილეობით განხილული საინვესტიციო საარბიტრაჟო დავებით. მაგალითისთვის, Kardassopoulos v. Georgia-ს საქმეზე, ტრიბუნალის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა სწორედ ენერგეტიკის ქარტიას.[535] ენერგეტიკის ქარტია, როგორც გამოსაყენებელი სამართალი, მითითებული იყო ასევე KazTransGas v. Georgia-ს საქმეზეც, რომელიც დასრულდა მორიგებით და ინვესტორს მიეკუთვნა 40 მილიონი ამერიკული დოლარი.[536] გარდა ამისა, ქარტია გამოყენებული იქნა ავსტრალიელ ინვესტორ Range Resources-სა და საქართველოს შორის მიმდინარე დავაშიც, სადაც ინვესტორმა საარბიტრაჟო მოთხოვნა გაიხმო.[537]

მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებებიდან, საინვესტიციო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩრდილოეთამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ (NAFTA), რომლის წევრიც იყო მექსიკა, კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები. NAFTA-ც ადგენდა ინვესტორის ექსპროპრიაციისგან დაცვას, მინიმალური, თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის სტანდარტებს და სრული დაცვის და უსაფრთხოების სტანდარტებს. ამ ხელშეკრულებით დადგენილია მხარეთა ვალდებულება, უცხოელ ინვესტორს მოეპრყონ ისეთივე სტანდარტებით, როგორც საკუთარ პირებს.[538]

ინვესტორთან დაკავშირებულ პოტენციურ დავებში ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შესახებ შეთანხმება,[539] რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს. ის, რომ შეთან-

[534] იქვე, 216-217.

[535] Ioannis Kardassopoulos v. Georgia(ICSID Case No. ARB/05/18), <https://www.italaw.com/cases/599> [30.11.2023]

[536] KazTransGas JSC v. Georgia, PCA Case No. 2017-22, <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/821/kaztransgas-v-georgia> [30.11.2023]

[537] <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/974/range-resources-v-georgia> [30.11.2023]

[538] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 215.

[539] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014.

ხმება სხვა მრავალ საკითხთან ერთად არეგულირებს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებსაც, დასტურდება პრეამბულაში არსებული დათქმით, რომლის მიხედვითაც, მხარეები მიზნად ისახავენ ერთმანეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის ახალი გარემოს შექმნას. ასოცირების შესახებ შეთანხმებით რეგულირდება საინვესტიციო დაცვის ხელშეკრულებებისთვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: მხარის საწარმოს ცნება, ინვესტიციების დაშვება, ეროვნული და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, თავისუფალი ტრანსფერის უფლება, გამჭვირვალობის ანგარიშვალდებულება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ვალდებულება და დისკრიმინაციის აკრძალვა.[540]

ასოცირების შეთანხმების გარდა, უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებდა ევროკავშირს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის ჯერ კიდევ 1996 წლის 22 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ".[541] შეთანხმების მე-4 კარი მოიცავდა ბიზნესსა და ინვესტიციებთან დაკავშირებული დებულებებს. განსაკუთრებით საინტერესო იყო 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ მიღებულ იქნებოდა ახალი კანონმდებლობა ან კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც შეუქმნიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გაერთიანების კომპანიების ფილიალებსა და შვილობილ საწარმოებს იმაზე უფრო შემზღუდველ რეჟიმს, ვიდრე არსებობდა შეთანხმების ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, ეს კანონები, ძალაში შესვლის დღიდან სამი წლის განმავლობაში არ გავრცელდებოდა იმ ფილიალებსა და შვილეულ საწარმოებზე, რომლებიც შესაბამისი კანონის მიღებამდე უკვე არსებობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს შეთანხმება მოქმედებდა 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით და 2016 წლის 01 ივლისიდან, რა დროსაც სრულად ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, ჩანაცვლდა ასოცირების შესახებ შეთანხმებით.[542]

ბუნებრივია და სრულიად შესაძლებელია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ინვესტიციებთან დაკავშირებული დებუ-

[540] ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", N 4(60)18, 69.

[541] შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, 22.04.1996.

[542] Partnership and Cooperation Agreement between the European Communities and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (Document 21999A0804(01)); Date of end of validity: 30/06/2016; Repealed by 22014A0830(02), <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A21999A0804%2801%29> [30.11.2023]

ლებები წინააღმდეგობაში მოვიდეს იმ ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებთან, რომლის წევრებსაც საქართველო და ევროკავშირის წევრი ქვეყნები წარმოადგენენ. ასეთ დროს, სავარაუდოა, რომ უპირატესობა მიენიჭება იმ ნორმებს, რომლებიც უფრო უკეთესია ინვესტორისათვის. ამის თქმის საფუძველს იძლევა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმები, რომლებიც მოცემულია როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, ასევე საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებს შორის დადებულ საინვესტიციო შეთანხმებებში.[543]

რაც შეეხება ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებს, საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციო დავებში, სხვადასხვა დროს, აქტიურად გამოიყენებოდა არაერთი მათგანი. კერძოდ, განსაკუთრებული პოპულარული სარგებლობს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული 1994 წლის 7 მარტის საინვესტიციო შეთანხმება. ეს აქტი გამოიყენებოდა შემდეგ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავებში: iZee v. Georgia[544]; Telcell v. Georgia[545]; Iconia v. Georgia[546] და Itera v. Georgia.[547]

გარდა აშშ-სთან არსებულ BIT-ისა, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინვესტიციო დავებში ასევე ხშირად გვხდებოდა სხვა ქვეყნებთან არსებული შეთანხმებებიც. მაგალითისთვის, Hasanov v. Georgia-ს[548] საქმეზე ინვესტორი ეყრდნობა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ შეთანხმებას.[549] ასევე, Karmer Marble v. Georgia-ს საქმეზე[550] ინვესტორმა საარბიტრაჟო სარ-

[543] ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4(60)18, 71.

[544] IZee Enterprises LLC, Lazer-2 Tbilisi Ltd., and Cafe Rustaveli Ltd. v. Georgia, <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/291/izee-v-georgia> [30.11.2023]

[545] Telcell Wireless, LLC and International Telcell Cellular, LLC v. Georgia (ICSID Case No. ARB/20/5)

[546] Iconia Capital LLC v. Georgia, <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/984/iconia-v-georgia> [30.11.2023]

[547] Itera International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia (I) (ICSID Case No. ARB/08/7); Itera International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia (II) (ICSID Case No. ARB/09/22), https://www.italaw.com/cases/584 [30.11.2023]

[548] Nasib Hasanov v. Georgia (ICSID Case No. ARB/20/44), <https://www.italaw.com/cases/8643> [30.11.2023]

[549] საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმება, 08.03.1996.

[550] Karmer Marble Tourism Construction Industry and Commerce Limited Liability Company v. Georgia (ICSID Case No. ARB/08/19), <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/308/karmer-marble-v-georgia> [30.11.2023]

ჩელი დააფუძნა თურქეთსა და საქართველოს შორის 1992 წლის 30 ივლისის ორმხრივ შეთანხმებას,[551] რომელიც შემდგომში ჩანაცვლდა 2016 წლის 19 ივლისის შეთანხმებით.[552] გარდა ამისა, პრაქტიკული გამოყენება პოვა საქართველოსა და იტალიას შორის არსებულმა შეთანხმებამაც,[553] როდესაც იტალიურმა კომპანია Ares and MetalGeo-მ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავა დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ.[554] რაც შეეხება საქართველოსა და საფრანგეთს შორის არსებულ 1997 წლის 03 თებერვლის შეთანხმებაც. იგი გამოყენებული იქნა Bidzina Ivanishvili v. Georgia-ს საქმეზე, რომელიც საბოლოოდ შეწყდა ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ.[555]

მიზეზი, თუ რატომაც არის ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტისას უმთავრესი აქტი, წარმოადგენს თავად ამ აქტების საერთაშორისო ბუნება და რეგულირების შინაარსი. როგორც წესი, სწორედ საინვესტიციო შეთანხმებები განსაზღვრავენ მნიშვნელოვან სტანდარტებსა და პრინციპებს, რომელთა დარღვევა ხდება შემდგომში საინვესტიციო დავის წამოწყების საფუძველი.

6.2.1.2. საინვესტიციო კონტრაქტი

ინვესტიციების წახალისება და მოზიდვა არის როგორც ინვესტორის, ასევე ბენეფიციარი სახელმწიფოს ინტერესებში. შიდა კანონმდებლობა ყოველთვის არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ორივე მხარის ინტერესები იქნას საკმარისად დაცული. სახელმწიფოც და ინვესტორიც ცდილობენ ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხები დაარეგულირონ ურთიერთშეთანხმებით, საინვესტიციო კონტრაქტის დადების გზით.[556] საინვესტიციო კონტრაქტი არის უშუალოდ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული შეთანხმება, რაც თავის მხრივ,

[551] 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის „ინვესტიციების ურთერთწახალისებისა და დაცვის შესახებ“.

[552] 2016 წლის 19 ივლისის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ“.

[553] 1999 წლის 26 ივლისის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“.

[554] Ares International S.r.l. and MetalGeo S.r.l. v. Georgia (ICSID Case No. ARB/05/23), <https://www.italaw.com/cases/3472> [30.11.2023]

[555] Bidzina Ivanishvili v. Georgia (ICSID Case No. ARB/12/27), <https://www.italaw.com/cases/1511> [30.11.2023]

[556] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 72.

წარმოადგენს უფლებებისა და ვალდებულებების სპეციფიკურ წყაროს საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში. სპეციფიკურობას განაპირობებს ის, რომ ასეთ კონტრაქტებში სახელმწიფო ერთდროულად მონაწილეობს როგორც თანასწორი სუბიექტი და ამავე დროს, როგორც საერთაშორისო სამართლით აღიარებული სუვერენიტეტის მქონე სუბიექტი.[557]

როგორც წესი, საინვესტიციო კონტრაქტი იდება კონკრეტულ საინვესტიციო პროექტის განხორციელებისა და კონკრეტული ინვესტიციის სანაცვლოდ, განსაზღვრულია ინვესტორისთვის გათვალისწინებული შეღავათები და მხარეთა ვალდებულებები ამ საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებით.[558] სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტს, ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, ცალმხრივად შეცვალოს მარეგულირებელი კანონმდებლობა ისე, რომ აზრი დაუკარგოს საინვესტიციო პროექტს. ამის თავიდან ასარიდებლად, სწორედ საინვესტიციო კონტრაქტებში გვხდება ისეთი დამცავი დათქმები და მექანიზმები, როგორებიცაა სტაბილურობის კლაუზულა, შეთანხმება გამოყენებულ სამართალზე და შეთანხმება არბიტრაჟზე. ასეთი დათქმები ნაკლებად მოწყვლადს ხდის ინვესტორს პოტენციური რისკებისგან და გარკვეულწილად უზრუნველყოფს უფლებების ბალანსს.[559]

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც წესი,[560] ინვესტორი წარმოადგენს კერძო პირს, ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებები იდება ქვეყნებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, სადავოა საინვესტიციო კონტრაქტის საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათი.[561] რადგანაც, კლასიკური გაგებით, ინვესტორი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის არსებული ხელშეკრულებებზეც არ ვრცელდება საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმები და იგი ექვემდებარება ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა სამართალს, საერთაშორისო კერძო

[557] Dumberry P., International Investment Law, The Sources of Rights and Obligations, E-Book, Publisher: Brill | Nijhoff, 2012, 215.

[558] Schokkaert, J., Heckscher, Y., International Investment Protection, Comparative Law Analysis of Bilateral and Multilateral inerstate Conventions, Doctrinal Texts and Arbitral Jurispudence concerning Foreign Investments, Bruylant Bruxelles, 2009, 458.

[559] Dumberry P., International Investment Law, The Sources of Rights and Obligations, E-Book, Publisher: Brill | Nijhoff, 2012, 216.

[560] შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში ინვესტორი იყოს სახელმწიფოც. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ 2009 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმებაში.

[561] Schokkaert, J., Heckscher, Y., International Investment Protection, Comparative Law Analysis of Bilateral and Multilateral inerstate Conventions, Doctrinal Texts and Arbitral Jurispudence concerning Foreign Investments, Bruylant Bruxelle, 2009, 455.

სამართლის ნორმების გათვალისწინებით.[562] მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო კონტრაქტი საინვესტიციო შეთანხმებებთან და საერთაშორისო სამართალთან მიმართებით არის ერთობ უცნაური და სპეციფიკური წყარო, განმხილველ ტრიბუნალებს უწევთ იმის შეფასება და გადაწყვეტა, შეიძლება თუ არა ინვესტორის სარჩელი დაეფუძნოს სახელმწიფოს მხრიდან კონტრაქტის დარღვევას ან ამ კონტრაქტითვე შეიძლება თუ არა არბიტრაჟის იურისდიქციაზე შეთანხმება.[563]

ყველა ხელშეკრულება სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანოებსა და ინვესტორს შორის არ მიიჩნევა საინვესტიციო კონტრაქტად. ამისათვის, აუცილებელია, რომ ეს კონტრაქტი ეხებოდეს უცხოელი ინვესტორის მიერ ბენეფიციარ სახელმწიფოში კაპიტალდაბანდებას.[564] მაგალითისთვის, „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის" შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, მთავრობის განკარგულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ინვესტიციას თუ ინვესტიციის რაოდენობა აღემატება რვა მილიონ ლარს ან იგი ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭებისას საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ინვესტიციის პირობები.

გარდა ამისა, საინვესტიციო კონტრაქტის პირდაპირი შემთხვევაა „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებაც, რომლის შესაბამისადაც, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ხდება წერილობითი შეთანხმება ფართობზე და ინვესტორის მიერ ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების პირობების შესახებ.[565]

ქართულ სინამდვილეში საკმაოდ აქტუალურია ე.წ. Build-Operate-and-Transfer (BOT) ხელშეკრულებებიც, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო იღებს ინვესტიციის საპასუხო ვალდებულებას ან ინვესტორი სარგებლობს კონკრეტული შეღავათებით გარკვეული დროის განმავლობაში. ამის მაგალითად შეიძ-

[562] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, თბილისი, 2020, 318.

[563] Dumberry P., International Investment Law, The Sources of Rights and Obligations, E-Book, Publisher: Brill | Nijhoff, 2012, 216.

[564] იქვე,216.

[565] „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ჯ" ქვეპუნქტი.

ლება მოვიყვანოთ ნამახვან ჰესთან დაკავშირებული მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების 2019 წლის 25 აპრილის ხელშეკრულება, რომლითაც ინვესტორმა და სახელმწიფომ აიღეს ურთიერთშემხვედრი ვალდებულებები პროექტთან დაკავშირებით, როგორც მიმდინარეობისას, ასევე აშენების შემდეგ.[566] ასევე, მსგავსი ხელშეკრულების პირდაპირი მაგალითია ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ" საქართველოს მთავრობასა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს" შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებაც,[567] რომლის შეწყვეტაც გახდა ICSID ცენტრში მიმართვის საფუძველი და ამ ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად ინვესტორი აპელირებს საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის არსებული 1998 წლის 03 თებერვლის საინვესტიციო შეთანხმების პირობების დარღვევაზეც.[568]

6.2.1.3. ადგილობრივი კანონმდებლობა

საინვესტიციო დავის გადაწყვეტისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა დოზით გამოიყენებს არბიტრაჟი შიდა ნაციონალურ სამართალს. ბენეფიციარი სახელმწიფოს სამართლის მნიშვნელობას მოწმობს საინვესტიციო შეთანხმებებში ფართოდ გავრცელებული ჩანაწერიც, რომლის მიხედვითაც, კაპიტალდაბანდების უცხოურ ინვესტიციად კვალიფიცირებისათვის და შესაბამისად, დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე წვდომის უფლების წარმოშობისთვის, აუცილებელია, ინვესტირება მოხდეს ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.[569] გარდა ამისა, აღიარებულია, რომ უმთავრესად, შიდა სამართლის მიხედვით წყდება ინვესტორის ეროვნულობის საკითხის გადაწყვეტაც, იქნება ეს ფიზიკური პირები თუ იურიდიული პირები.[570]

---

566 <file:///C:/Users/User/Downloads/BOO_Notarized.pdf> [30.11.2023]

567 „ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ" საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს" შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის ვალდებულებების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 05 ოქტომბრის განკარგულება №2069.

568 Meijer v. Georgia Bob Meijer v. Georgia (ICSID Case No. ARB/20/28), <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/1096/meijer-v-georgia> [30.11.2023]

569 Schreuer C., Jurisdiction and Applicable Law in Investment Treaty Arbitration, McGill Journal of Dispute Resolution, (2014) Vol 1:1, 4.

570 იქვე, 6.

საინვესტიციო საქმიანობა არ არის მხოლოდ ინვესტირების პროცესი.[571] ინვესტიციები არის კომპლექსური ოპერაცია, რომელიც მოიცავს არაერთ ტრანზაქციას. ასეთი ტრანზაქციების უმეტესობა რეგულირდება ადგილობრივი სამართლით და აქვს მჭიდრო კავშირი ბენეფიციარი სახელმწიფოს სამართლის სისტემასთან. მათ შორისაა, საკორპორაციო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საგადასახადო სამართალი, შრომის სამართალი, უძრავი ქონების სამართალი და სხვა მსგავსი სპეციფიკური სფეროები.[572] აღნიშნულის გათვალისწინებით, მაშინაც კი, როდესაც საარბიტრაჟო სარჩელი ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების ან სხვა საერთაშორისო აქტის დარღვევაზეა დაფუძნებული, ბენეფიციარი სახელმწიფოს ადგილობრივი სამართლის გამოყენება მაინც რელევანტური იქნება და გვერდს ვერ ავუვლით.[573]

ის, თუ რომელი სამართლის ნორმები უნდა ყოფილიყო გამოყენებული დავის გადაწყვეტისას, წარმოადგენდა მნიშვნელოვანი დისკუსიის საგანს ICSID კონვენციის შექმნის დროსაც.[574] საბოლოოდ, ტექსტთან დაკავშირებით შედგა შეთანხმება, რომ მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, პირველ რიგში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ინვესტიციის ბენეფიციარი ქვეყნის სამართალი.[575] განვითარებადი ქვეყნები აპელირებდნენ, რომ უპირველესად ადგილობრივი ქვეყნის სამართალი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებოდნენ. მათი პოზიციით, უცხოელი ინვესტორები, რომლებიც გამოთქვამდნენ კაპიტალდაბანდების სურვილს, ავტომატურად ეთანხმებოდნენ ადგილობრივი ქვეყნის კანონმდებლობას.[576]

მიუხედავად, საარბიტრაჟო პრაქტიკის მიერ ICSID კონვენციის 42-ე მუხლში არსებული ჩანაწერის ფართო ინტერპრეტირებისა, რომლის მიხედვითაც,

[571] გაბისონია ზ., საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2002, 14.<https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Nov/dissertations/gabisonia_sainvesticio_disertacia.pdf > [30.11.2023]

[572] Foreign Investment Disputes, Cases, Materiald and Commentary, second edition, edited by R. Doak Bishop, James R. Crawford, W.Michael Reisman, Kluwer Law International BW, The Netherlands, 2014, 437.

[573] Schreuer C., Jurisdiction and Applicable Law in Investment Treaty Arbitration, McGill Journal of Dispute Resolution, (2014) Vol 1:1, 18.

[574] J. Christopher Thomas, QC; Harpreet Kaur Dhillon, Applicable law under International Investment Treaties, (2014) 26 SAcLJ, 982.

[575] Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 357.

[576] J. Christopher Thomas, QC; Harpreet Kaur Dhillon, Applicable law under International Investment Treaties, (2014) 26 SAcLJ, 981.

ადგილობრივი სამართლის მნიშვნელობა გარკვეულწილად შემცირდა,[577] შიდა ნაციონალური სამართალი მაინც რჩება, როგორც გამოსაყენებელი სამართალი, თუმცა, როგორც წესი, წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ტრიბუნალმა საქმეზე Azurix v Argentine,[578] განმარტა, რომ არგენტინის სამართალი დაეხმარებოდა ტრიბუნალს, დაედგინა კონცესიის ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებული გარემოებები, თუმცა ეს იყო მხოლოდ კვლევის ერთ-ერთი ელემენტი, რადგან სარჩელი გამომდინარეობდა საინვესტიციო შეთანხმებიდან, რომელიც არის საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტი. ტრიბუნალმა ასევე აღნიშნა, რომ არგენტინის კონსტიტუციის თანახმად, საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებას ჰქონდა უპირატესი ძალა შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით.[579]

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც გამოსაყენებელი სამართლის სახით ბენეფიციარი სახელმწიფოს კანონმდებლობის არჩევას უკავშირდება, არის ის, რომ სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს საკუთარი კანონმდებლობა და ამით გავლენა მოახდინოს ასევე ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაზე (კონტრაქტზე). სახელმწიფოს შეუძლია ამ გზით სახელშეკრულებო პირობები თავის სასარგებლოდ შეცვალოს. ასეთი რისკები არ არის თეორიული ხასიათის, რასაც საინვესტიციო სამართლის პრაქტიკაც ძალიან ცხადად აჩვენებს. საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაძლოა იმდენად შეცვალოს ეკონომიკური სიტუაცია, რომ არა თუ განხორციელებული ინვესტიციიდან მისაღები მოგების შემცირება მოხდეს, არამედ ეკონომიკური პროექტის სრული ფრუსტრაცია გამოიწვიოს.[580] შემდგომი ცვლილებების ნეგატიური შედეგებისგან თავის დაზღვევის მიზნით, ბენეფიციარი სახელმწიფოს სამართლის არჩევისას, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტულ დროს არსებული სამართლის ნორმების გამოყენებაზე, შემდგომი ცვლილებებისგან დამოუკიდებლად. საქმეზე MINE v Guinea, ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებობდა შეთანხმება, რომ დავის შემთხვევაში, გამოყენებული იქნებოდა გვინეის ის კანონმდებლობა, რომელიც მოქმედებდა შეთანხმებაზე ხელმოწერის დღეს.[581]

---

577 დეტ. იხ. თავი 6, ქვეთავი 6.1.2.1.

578 Azurix Corp. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/01/12, AWARD, July 14, 2006, p 20-21. <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0061.pdf> [30.11.2023]

579 Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 561.

580 Griebel J., Internationales Investitionsrecht, Verlag C.H.Beck oHG, 2008, 29.

581 Parra R. A., ICSID, an Introduction to the Convention an Centre, Oxford University Press, 2020, 75.

6.2.1.4. სხვა ქვეყნის კანონმდებლობა

საბოლოო ჯამში, დავის მხარეები არიან ინვესტორი და სახელმწიფო, რომლებიც შეიძლება შეთანხმდნენ გამოსაყენებელ სამართალზე. როგორც წესი, ეს სამართალი არის ბენეფიციარი სახელმწიფოს სამართალი, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, შეთანხმება მოხდეს სხვა ქვეყნის სამართალზეც.[582] საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ბენეფიციარი სახელმწიფოები და მისი სხვადასხვა ორგანოები, ყველა გზას იყენებენ იმისათვის, რომ თავი შეიკავონ მეორე სახელმწიფოს სამართლის ნორმების არჩევისგან. არაერთი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ მისი სუვერენიტეტიდან გამომდინარე, ვერ დაეთანხმება სხვა ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენებას.[583]

სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როდესაც ინვესტორს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს გამოსაყენებელი სამართალი, როგორც წესი, ისინი ირჩევენ მაღალგანვითარებული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების სამართალს, როგორიცაა ინგლისის სამართალი ან ნიუ-იორკის სამართალი.[584] თუმცა, არ არსებობს ისეთი სამართლის სისტემა, რომელიც სრულად მოერგება ცალკეულ ეკონომიკურ პროექტს და მხარეთა ინტერესებს. მხარეებმა გამოსაყენებელი სამართლის არჩევისას ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ფაქტს, თუ რამდენადაა შესაბამისობაში მათ მიზნებთან ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი. მაგალითისთვის, თუნდაც საფინანსო და საბანკო სფეროში ყველაზე განვითარებულ სამართლის სისტემებად მიჩნეულ ინგლისის და ნიუ-იორკის სამართლის სისტემებს, შესაძლოა ნაკლები გამოცდილება ჰქონდეს სხვა სპეციფიკურ ეკონომიკურ დარგებში.[585]

რაც შეეხება ICSID კონვენციას, 42-ე მუხლში მოცემულია, რომ შეთანხმების არარსებობისას, ტრიბუნალი იყენებს დავის მხარე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობას (რაც მოიცავს მის კოლიზიური სამართლის ნორმებსაც) და გამოსაყენებელ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ეს მუხლი გვთავაზობს, ტრიბუნალმა პირველად შეამოწმოს ბენეფიციარი სახელმწიფოს საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და თუ ეს ამ ნორმების შესაბამისად პირდაპირ არ დგინდება, რომ დავის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა ქვეყნის

[582] Foreign Investment Disputes, Cases, Materiald and Commentary, second edition, edited by R. Doak Bishop, James R. Crawford, W. Michael Reisman, Kluwer Law International BW, The Netherlands, 2014, 437.

[583] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 61.

[584] იქვე, 60-61.

[585] იქვე, 60-61.

სამართლის ნორმები, ტრიბუნალი გამოიყენებს ბენეფიციარი სახელმწიფოში არსებულ სამართლის ნორმებს, რადგანაც, როგორც წესი, სწორედ ეს ნორმებია ინვესტიციასთან ყველაზე მჭიდროს დაკავშირებული სამართლის ნორმები.[586] ICSID კონვენციის 42-ე მუხლის შესაბამისად, ფაქტობრივად, სრულად გამოიყენება ეროვნული სამართლის ნორმები, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების ჩათვლით. ამასთან, ინვესტიციასთან დაკავშირებული ცალკეული ტრანზაქციების გათვალისწინებით, შესაძლებელია, თავად ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები უთითებდეს სხვა ქვეყნის სამართალზე, როგორც ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალზე.[587]

იმ შემთხვევისათვის, როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული, ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტია ბენეფიციარი სახელმწიფოს სამართლისა და პარალელურად საერთაშორისო სამართლის ნორმების არჩევა.[588]

მართალია, აღიარებულია, რომ მხარეებს აქვთ უფლება, შეთანხმდნენ სხვა ქვეყნის სამართალზე, როგორც გამოსაყენებელ სამართალზე, თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს საკმაოდ იშვიათობას წარმოადგენს. ეს უმთავრესად განპირობებულია ბენეფიციარი სახელმწიფოების პოზიციებით, რომლებსაც ინვესტორთან დავის შემთხვევაში, გასაგები მიზეზების გამო, არ სურთ, დაემორჩილონ და იმოქმედონ სხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.[589]

6.2.1.5. საერთაშორისო საჯარო სამართალი და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები

საერთაშორისო (საჯარო) სამართალი თამაშობს მნიშვნელოვან როლს არბიტრაჟის მიერ საინვესტიციო დავების განხილვისას. როგორც აღინიშნა, საინვესტიციო შეთანხმებები, რომელთა მეშვეობითაც მხარეებმა (სახელმწიფოებმა) განსაზღვრეს ინვესტორთა უფლებების დაცვის სტანდარტები და ასევე იურისდიქცია მიანიჭეს კონკრეტულ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს საერთაშორისო საჯარო სამართლის შესაბა-

[586] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 290-291.

[587] Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 357.

[588] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 61.

[589] ცერცვაძე გ, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, 270.

მისად. ამასთან, დავის შემთხვევაში, პირველ რიგში, თავად ეს საინვესტიციო შეთანხმებები წარმოადგენენ გამოსაყენებელ სამართალს.[590] თუმცა, ტერმინი საერთაშორისო სამართალი ძალიან ფართო მნიშვნელობისაა და შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო საჯარო სამართლის ისეთ აქტებსაც, როგორებიცაა გარემოს დაცვასთან, ადამიანის უფლებებთან ან თუნდაც UNESCO-ს საქმიანობასთან დაკავშირებული კონვენციებიც კი. ვიწრო განმარტებით, საერთაშორისო სამართალი მოიცავს მხოლოდ ისეთ აქტებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული საინვესტიციო საქმიანობასთან.[591] შესაბამისად, საინვესტიციო სამართალთან კავშირში, ტერმინი საერთაშორისო სამართალი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები.

ICSID კონვენციის 42.1 მუხლი არ ისახავდა მიზნად საერთაშორისო სამართლის ნორმების დატვირთვის გაფართოებას სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დავაში. „გამოსაყენებელი საერთაშორისო სამართლის ნორმები" ნიშნავს არა სრულად საერთაშორისო სამართალს, არამედ განსახილველ დავასთან დაკავშირებულ და რელევანტურ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.[592] კონვენციის 42-ე მუხლთან დაკავშირებით, თავად აარონ ბროხესის მოსაზრება იყო, რომ ტრიბუნალს საერთაშორისო სამართლის ნორმებით უნდა ეხელმძღვანელა იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანი რეგულირებული იყო საერთაშორისო სამართლით, მაგალითად სახელმწიფოთა შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებებით, რომელი სახელმწიფოს ინვესტორიც დაიწყებდა დავას მეორე სახელმწიფოს მიმართ.[593]

საინვესტიციო დავისას, საერთაშორისო საჯარო სამართალი შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ დათქმითაც, რომ იგი გამოყენებული იქნება ბენეფიციარი სახელმწიფოს კანონმდებლობასთან ერთად და წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამ ფორმულირებით, ერთგვარად შემოსაზღვრულია ადგილობრივი სამართლის ნორმები და მათი გამოყენება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვა საერთაშორისო სამართალთან. ასეთ მიდგომას

590 Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 293.

591 Schreuer C., Jurisdiction and Applicable Law in Investment Treaty Arbitration, McGill Journal of Dispute Resolution, (2014) Vol 1:1, 16-17.

592 Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 358.

593 Spierman O., Investment Arbitration: Aplicable Law, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1381.

ირჩევენ ტრიბუნალები ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს პირდაპირ არ გამომდინარეობს შეთანხმებიდან. საქმეზე Kaiser v Jamaica, სადაც მითითებული იყო, რომ დავის გადაწყვეტისას გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს იამაიკის სამართალი და საერთაშორისო სამართლის ნორმები, ტრიბუნალმა განაცხადა, რომ იამაიკასა და ინვესტორს შორის არსებული კონტრაქტიდან გამომდინარე, უნდა იქნეს გამოყენებული იამაიკის სამართალი, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ წინააღმდეგობაში არ მოდის საერთაშორისო სამართლის ნორმებთან.[594]

საერთაშორისო სამართლის ნორმებზე საუბრისას, ყოველთვის გასათვალისწინებელია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31(3)(c) მუხლის რეგულირება, რომლის მიხედვითაც, კონტექსტთან ერთად, განმარტებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი შესაბამისი ნორმები, რომლებიც გამოიყენება მონაწილე მხარეთა შორის ურთიერთობებში.[595] ეს იძლევა იმის საშუალებასაც კი, რომ სხვა საერთაშორისო აქტებთან ერთად გამოყენებული იქნეს საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებიც კი.

კიდევ უფრო რთულია რაიმე კონკრეტულის განსაზღვრა, როდესაც საქმე არა საერთაშორისო სამართალს, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ეხება. არ არსებობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების ერთიანი უნიფიცირებული სისტემა. იმ შემთხვევაში, როდესაც ტრიბუნალები გადაწყვეტენ საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენებას, მათ შეუძლიათ მითითება გააკეთონ საერთაშორისო კომერციულ სამართალში მოქმედ პრინციპებზე. ასეთი პრინციპები დადგენილია UNIDROIT პრინციპებში და ასევე ვენის 1980 წლის კონვენციით საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ (CISG).[596] გამოსაყენებელი სამართლის სახით, საერთაშორისო სამართლის ნორმებთან ერთად შეიძლება შევხდეთ Lex mercatoria-საც.[597]

საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპების გამოყენების შესაძლებლობა არ არის თეორიული დისკურსი და ამის შესახებ დათქმები გვხდება საინვესტიციო შეთანხმებებშიც. მაგალითისთვის, ქუვეითთან არსებული შეთან-

[594] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 62-63.

[595] Schreuer C., Jurisdiction and Applicable Law in Investment Treaty Arbitration, McGill Journal of Dispute Resolution, (2014) Vol 1:1, 17.

[596] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 63.

[597] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, 2020, 332.

ხმების[598] მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თითოეული ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა ინვესტიციებს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ნებისმიერ დროს მიენიჭება სამართლიანი და მიუკერძოებელი რეჟიმი და უზრუნველყოფილი იქნება სრული დაცვით და უსაფრთხოებით საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისად. საერთაშორისო სამართლის პრინციპებზეა საუბარი საქართველოსა და იტალიას შორის არსებული შეთანხმების[599] დამატებითი ოქმის მე-5 (ბ) ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების გამოტანისას საარბიტრაჟო სასამართლო, ნებისმიერ შემთხვევაში, აგრეთვე ითვალისწინებს ამ შეთანხმების დებულებებს, ისევე როგორც ორივე მონაწილე მხარის მიერ აღიარებული საერთაშორისო კანონების პრინციპებს. ანალოგიური ჩანაწერი არსებობს ჩინეთთან არსებულ შეთანხმებაშიც.[600] კერძოდ, მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დავის განმხილველი არბიტრაჟი გადაწყვეტილებას მიიღებს დავაში მონაწილე ინვესტიციების მიმღები მონაწილე მხარის კანონმდებლობის, საკანონმდებლო კონფლიქტთან დაკავშირებული წესების, ამ შეთანხმების დებულებების და ორივე მონაწილე მხარის მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით.

პრაქტიკაში, საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია საქმე petroleum development ltd v sheikh of abu dhabi, სადაც განმხილველმა ტრიბუნალმა ზოგადი პრინციპების გამოყენების საჭიროება და მიზანშეწონილობა დაასაბუთა იმ მოცემულობით, რომ მხოლოდ ადგილობრივი ისლამური სამართლის გამოყენებას შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები მოჰყოლოდა და ხელშეკრულების დიდი ნაწილი გაბათილებულიყო.[601]

როგორც ვხედავთ, არამხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენება აპრობირებული პრაქტიკაა. შესაბამისად, საქართველოსთან მიერ დადებული საინვესტიციო

[598] საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის "ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ" შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[599] საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ" შეთანხმების დამატებითი ოქმის მე-5 (ბ) ქვეპუნქტი.

[600] საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ" შეთანხმების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

[601] Walter Von A., State Contracts and relevance of Investment Contract Arbitration, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 86.

შეთანხმებებიდან მომდინარე თითქმის ყველა დავაში, მოსარჩელე იქნება ქართველი თუ უცხოელი ინვესტორი, დავის შემთხვევაში, შევხდებით საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებსაც, რომელთა განსაზღვრა დამოკიდებული იქნება უშუალოდ დავის განმხილველ არბიტრებზე. ამის ალბათობა დიდია მით უფრო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საინვესტიციო შეთანხმებების უმეტესობა შეიცავს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის[602] გამოყენების შესახებ დათქმებს, რაც ინვესტორებს სხვა ქვეყნებთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებებით დადგენილი სიკეთეებით სარგებლობის უფლებასაც აძლევს.

6.3. გამოსაყენებელი საპროცესო სამართალი

გამოსაყენებელ საპროცესო სამართალში იგულისხმება იმ სამართლებრივი ნორმების ფართო წყება (Lex Arbitri), რომლებიც საარბიტრაჟო დავის განხილვის ქვეყანაში მოქმედებენ და უშუალოდ საპროცესო ნორმების გარდა, მოიცავენ ისეთ სამართლებრივ აქტებსაც, რომლებიც ადგილობრივ სასამართლოებს ანიჭებენ უფლებამოსილებას, მონაწილეობა მიიღონ არბიტრების დანიშვნასა და ტრიბუნალების ჩამოყალიბებაში, მტკიცებულებათა გამოთხოვაში მესამე პირებიდან, უზრუნველყონ მოწმეთა გამოცხადება განხილვაზე, შეამოწმონ საარბიტრაჟო განხილვის ფორმალური მხარე და შეამოწმონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისა და გაუქმების წინაპირობები.[603]

მატერიალური სამართლისგან განსხვავებით, როგორც წესი, მხარეები შეზღუდულნი არიან სხვა ქვეყნის საპროცესო სამართლის არჩევაში. აღიარებული წესია, რომ მოქმედებს დავის განმხილველი ადგილის ქვეყნის საპროცესო სამართალი.[604] იგივე მიდგომა აქვს საქართველოსაც. „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის[605] 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. მაშინ როდესაც, ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც დავის არსებით ნაწილზე ვრცელდება.

მართალია, საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული საპროცესო სამართლებრივი საკითხები Lex Arbitri-ს შესაბამისად დგინდება, თუმცა სამეცნიერო

[602] ცერცვაძე გ, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, 184.

[603] Henderson A., lex Arbitri, Procedural Law and the Seat of Arbitration, Singapure Academy Of Law Journal, (2014) 26 SAcLJ, 887-888.

[604] მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2020, 54.

[605] საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ", 19.06.2009.

ლიტერატურაში გამოთქმულია ის მოსაზრებაც, რომ არბიტრაჟის უფლებამოსილების საკითხის განსაზღვრისას გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ასევე მიენიჭოს მხარეთა არჩეულ სამართალს (lex causae), რომელიც ვრცელდება დავის მატერიალურ ნაწილზე.[606]

სპეციფიკური მიდგომა არსებობს ICSID კონვენციის შესაბამისად განხილულ საარბიტრაჟო საქმეებთან დაკავშირებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 42-ე მუხლით დადგენილი გამოსაყენებელი სამართლის არჩევის უფლება ეხება მხოლოდ გამოსაყენებელ მატერიალურ სამართალს. რაც შეეხება დავის განხილვის პროცედურებს, ეს დადგენილია 44-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი საარბიტრაჟო პროცესი ტარდება კონვენციის დებულებების შესაბამისად, და, თუ მხარეთა შეთანხმება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მხარეების მიერ არბიტრაჟზე შეთანხმების დღეს მოქმედი საარბიტრაჟო წესების მიხედვით. ცალკეული პროცედურული საკითხები, რომელიც არაა დადგენილი კონვენციით, დავის განხილვის წესებით[607] ან მხარეთა შეთანხმებით, დადგენილი იქნება თავად ტრიბუნალის მიერ.[608] ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 1978 წლის დამატებითი ცვლილებებით, ცალკეული ინვესტორებისათვის გამარტივდა ICSID ცენტრისთვის მიმართვა, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ე.წ. Additional Facility-ის წესებით ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ICSID კონვენციის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას.[609]

განსხვავება ICSID კონვენციის შესაბამისად განხილულ საქმეებსა და სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ განხილულ საქმეებს შორის ისაა, რომ დავის განხილვის პროცედურები, მათ შორის ფორმალური ნაწილიც, განიხილება თავად ICSID კონვენციისა და ICSID დავის განხილვის საარბიტრაჟო წესებით, მაშინ როდესაც სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალები ექვემდებარებიან უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის დებულებებს და საარბიტრაჟო დავის განხილვის ქვეყანაში მოქმედ საპროცესო ნორმებს.

---

606 მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2020, 55.

607 <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/Arbitration_Rules.pdf> [30.11.2023]

608 Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA, 2019, 350.

609 Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by Peter Muchlinski, Federico Ortino, Chrisoph Schreuer, Oxford University Press, 2008, 706.

7. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმისა და სტაბილურობის კლაუზულის დათქმების გავლენა დავის გადაწყვეტის საშუალებების და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაზე

7.1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმის გავლენა გამოსაყენებელი სამართლისა და დავის გადაწყვეტის მექანიზმების განსაზღვრაზე

7.1.1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და გამოსაყენებელი სამართალი

დისკრიმინაციის ამკრძალავი დათქმებიდან ორი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ეროვნული მოპყრობის რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. ამათგან, პირველი ავალდებულებს ბენეფიციარ სახელმწიფოს, რომ უცხოელ ინვესტორს მოეპყროს არანაკლებ კარგად, ვიდრე საკუთარს მოეპყრობოდა, ხოლო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმის არსებობა ავალდებულებს ბენეფიციარ სახელმწიფოს, უცხოელ ინვესტორზე გაავრცელოს სხვა ქვეყნებთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებებით გათვალისწინებული სიკეთეებიც კი, თუ ისინი უფრო უკეთესია ინვესტორისთვის.[610] უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმა ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს მითითება და ისარგებლოს ბენეფიციარი სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოს შორის არსებული თუ მომავალი ორმხრივი და მრავალმხრივი ინვესტიციების დაცვის შესახებ შეთანხმებებიდან მომდინარე სიკეთეებით.[611]

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმა გვხდება ასოცირების შესახებ შეთანხმების 79-ე მუხლშიც, რომლის მიხედვითაც, ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას, მხარეთა იურიდიულ პირებს და მათი წარმომადგენლობებისა და ფილიალების დაფუძნებისას და შემდეგ საქმიანობისას, მიანიჭოს ისეთივე სამართლებრივი რეჟიმი, რომელსაც ანიჭებს სხვა ქვეყნის რეზიდენტ იურიდიულ პირებს და რომელიც იქნება უფრო უკეთესი.[612]

საინვესტიციო შეთანხმებებში არსებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმა წარმოუდგენლად აფართოებს გამოსაყენებელი სამარ-

---

[610] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 376.

[611] Abulkassem S. M., The MFN clause under the OIC Agreement: Analysis of Itisaluna Iraq LLC and Others v Republic of Iraq, Queen Mary Law Journal, Vol.4, 2023, 53.

[612] ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4(60)18, 78.

თლის სფეროს. უპირველესად, პოტენციური საარბიტრაჟო დავებისას, ეს არის შესაძლებლობა ინვესტორისთვის, ჰქონდეს უკეთესი და უფრო ძლიერი პოზიცია სახელმწიფოსთან მოლაპარაკებების პროცესში.[613] უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპის მოქმედება ნაკლებად არის შეზღუდული დროში ან კონკრეტულ პირებთან მიმართებით. შესაბამისად, იგი ავტომატურად გახდება უკვე დადებული ან სამომავლო საინვესტიციო შეთანხმებების ნაწილი, რომლებიც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა სხვა ქვეყნებთან დადეს ან დადებენ მომავალში.[614] ეს ეხება როგორც ინვესტიციის განხორციელებამდე, ასევე ინვესტირების შემდეგ დადებულ საინვესტიციო შეთანხმებებსაც.[615] მეტიც, მაგალითისთვის, საქართველოსა და ქუვეითს შორის არსებული შეთანხმების 15.2 მუხლის მიხედვით, იმ ინვესტიციებთან მიმართებით, რომლებიც განხორციელდა წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ძალაში შესვლამდე, ამ შეთანხმების დებულებები ძალაში დარჩება შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თარიღიდან ოცი (20) წლის განმავლობაში. როგორც ვხედავთ, დასახელებულ შეთანხმებაში არსებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმის (მუხლი 3) სიკეთეებით ინვესტორები ისარგებლებენ შეთანხმების შეწყვეტიდან 20 წლის შემდეგაც კი.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმის ფარგლების გასაგებად და ინტერპრეტირების მიზნებისათვის, მიჩნეულია, რომ განმარტებები უნდა მოხდეს სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, მით უფრო, რომ 31.3(c) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ხელშეკრულებების განმარტებისას, კონტექსტთან ერთად გასათვალისწინებელია საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი შესაბამისი ნორმა, რომელიც გამოიყენება მხარეთა შორის ურთიერთობებში.[616] როგორც არაერთხელ აღინიშნა, ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა თავიდან აირიდონ გამოსაყენებელი სამართლის არასასურველი ინტერპრეტაციები და განმარტებები, მათ შორის ისეთიც, რაც არ ყოფილა მხარეთა მიზანი ან შეთანხმების საგანი, მათ უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე როგორც

[613] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 377.

[614] ცერცვაძე გ, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013, 187.

[615] H. Nikièma S., The Most-FavouredNation Clause in Investment Treaties, IISD Best Practices Series – February 2017, 6.

[616] Douglas Z., The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation of the Rails, Classics in Inernational Investment Law, Journal of International Dispute Settlement, Vol. 2, No. 1 (2011), 110.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შინაარსის ფორმულირებისას, ასევე ამ რეჟიმის გამოყენების შესახებ დათქმების საინვესტიციო შეთანხმებებში შეტანისას, რადგანაც ეს ინვესტორს აძლევს წვდომას ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებებით დადგენილ პირობებზე.[617]

გავრცელებული მიდგომაა, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მოქმედება არ გავრცელდეს იმ სიკეთეებზე, რომლებსაც კონკრეტული სახელმწიფო რომელიმე საბაჟო, ეკონომიკური ან მსგავსი კავშირიდან იღებს. მაგალითისთვის, საქართველოსა და ლიეტუვას შორის დადებული შეთანხმების 3.4 (ა) მუხლის შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმების დებულებები არ უნდა იქნას განმარტებული იმგვარად, რომ მოითხოვდეს ხელშემკვრელი მხარის მხრიდან გაავრცელოს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებზე, ნებისმიერი სახის რეჟიმის სარგებლობა, უპირატესობა ან პრივილეგია მინიჭებული ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორებისათვის გამომდინარე ნებისმიერი სახის არსებული ან მომავალში შექმნილი საბაჟო კავშირებიდან, საერთო ბაზრიდან, თავისუფალი სავაჭრო ზონიდან, რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმებიდან ან მსგავს საერთაშორისო შეთანხმებაში მონაწილეობიდან, რომლის წევრიც შესაძლოა გახდეს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე.[618] მსგავსი საგამონაკლისო დათქმაა მოცემული საქართველოსა და მოლდოვას შორის არსებული შეთანხმების მე-4 მუხლშიც.[619]

საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით გამომრიცხავ დათქმას შეიცავს ასოცირების შესახებ შეთანხმების 135-ე მუხლიც, რომლის მიხედვითაც, მინიჭებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ უნდა გამოიყენებოდეს საგადასახადო რეჟიმის მიმართ, რომელსაც მხარეები იყენებენ ან გამოიყენებენ მომავალში მხარეებს შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე.

შეზღუდვებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული შეთანხმების[620] 4.3(E) მუხლი, რომლის მიხედვითაც, ერთი მხარე არაა ვალდებული, მეორე ხელშემკვრელი მხარის ინ-

[617] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 377.

[618] საქართველოს მთავრობასა და ლიეტუვის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმება“, 09.11.2005.

[619] საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება“, 28.11.1197.

[620] საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ 2016 წლის 19 ივლისის შეთანხმება“, 19.07.2016.

ვესტორთა ინვესტიციებს მიანიჭოს ისეთივე რეჟიმი (უპირატესი ხელშეწყობის ან ეროვნული რეჟიმი), რომელსაც ის ანიჭებს საკუთარ ინვესტორთა ინვესტიციებს მიწისა და უძრავი ქონების, ასევე მასთან დაკავშირებული სანივთო უფლებების შეძენასთან მიმართებაში.

გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება საქართველოსა და შვედეთს შორის არსებული შეთანხმება[621]. კერძოდ, შეთანხმების 3.3 მუხლის თანახმად, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმისა და ეროვნული რეჟიმის დებულებები, რომელიც ამ შეთანხმებაშია მოცემული, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ავალდებულებდეს ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარეს მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორებს მიანიჭოს ნებისმიერი ისეთი რეჟიმი, შეღავათი ან პრივილეგია, რომელიც შეიძლება გამომდინარეობს რომელიმე შიდა კანონიდან, რომელიც მთლიანად ან ძირითადად შეეხება დაბეგვრას. აქ მთავარი განმასხვავებელი მიდგომა ისაა, რომ დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები ჩამოშორებულია არამხოლოდ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმას, არამედ ეროვნული რეჟიმის დათქმასაც, რაც ფორმალურად იმას ნიშნავს, რომ რომელიმე მხარე იტოვებს უფლებას, საკუთარ ინვესტორებს დაუწესონ გარკვეული საგადასახადო შეღავათები.

ჩეხეთთან არსებული საინვესტიციო შეთანხმების[622] მე-3 მუხლი, გარდა საგადასახადო სამართლებრივი საკითხებისა, შეიცავს საგამონაკლისო დათქმას სავალუტო კავშირებიდან მომდინარე უპირატესობების არგავრცელების შესახებ. ეს დათქმა საინტერესო იმითაცაა, რომ ჩეხეთი დღემდე არაა ევროზონის წევრი ქვეყანა და ინარჩუნებს საკუთარ ვალუტას – ჩეხურ კრონას.[623]

ხანდახან, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმები გვხდება ინვესტორის კონკრეტულ უფლებებთან დაკავშირებითაც. მაგალითისთვის, საქართველოსა და იტალიას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების[624] მე-4 მუხლის მიხედვით, რომელიმე მხარის ინვესტორებს, რომლის ინვესტიციებმაც განიცადეს დანაკარგი ან ზარალი მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ომის, შეიარაღებული კონფლიქტის სხვა ფორმების, საგანგებო მდგომარეობის, სამოქალაქო მღელვარების ან სხვა მსგავსი მოვლენების შედეგად, თუ ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ უფლება მიეცემათ მიიღონ ადეკვატური კომპენსა-

[621] საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ შეთანხმება“, 30.10.2008.

[622] საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ შეთანხმება“, 29.08.2009.

[623] <https://www.cnb.cz/en/banknotes-and-coins/banknotes/> [30.11.2023]

[624] საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების მე-4 მუხლი.

ცია ასეთი დანაკარგების ან ზარალის გამო, დაინტერესებული ინვესტორები მიიღებენ იგივე რეჟიმს, როგორც მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეები და ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებ ხელშემწყობს, ვიდრე იმას, რომელიც მინიჭებულია მესამე ქვეყნების ინვესტორებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმები წარმოადგენენ ყველაზე მეტად გავრცელებულ პირობას, თუმცა ამავე დროს ყველაზე კონტარვერსიალურ საკითხს, რაც კი შეიძლება შეგხვდეს საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების საფუძველზე წარმოშობილ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავებში.[625]

7.1.2. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი და დავის გადაწყვეტის მექანიზმები

საინვესტიციო სამართალში ცოტა კითხავს თუ შეიძლება გაეცეს პირდაპირი პასუხი „კი“ ან „არა“-ს სახით. ერთ-ერთი ასეთია, დავა იმასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, თუ არა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე მითითებით დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმის არჩევა და განმხილველი ცენტრების იურისდიქციის გაფართოება.[626] საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ფართო ინტერპრეტირება ისე, რომ იგი მოიცავდეს დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე წვდომასაც, ხშირად სცდება ბენეფიციარი სახელმწიფოს წინასწარ მოლოდინებს და წარმოადგენს კონტრავერსიალურ საკითხს.[627] კერძოდ, სადავოა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმის არსებობა აღჭურავს თუ არა ინვესტორს უფლებით, აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, მითითება გააკეთოს და აირჩიოს არამხოლოდ მისთვის საუკეთესო მოპყრობის და დაცვის სტანდარტები, არამედ მიუთითოს სხვა მესამე სახელმწიფოსთან არსებული საინვესტიციო შეთანხმების ისეთ ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ და ადგენენ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებს.

პირველი საქმე, სადაც ინვესტორს მიეცა შესაძლებლობა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე მითითებით, მიეღო წვდომა სხვა მესამე ქვეყანასთან არსებულ საინვესტიციო შეთანხმებით გათვალისწინებულ დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე, იყო Maffezini v Spain საქმე.[628] საარბიტრაჟო პრაქტიკაში არსებულმა

[625] H. Nikièma S., The Most-FavouredNation Clause in Investment Treaties, IISD Best Practices Series – February 2017, 1.

[626] Douglas Z., The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation of the Rails, Classics in Inernational Investment Law, edited by August Reinish, volume II, Edward Elgar Publishing Limited, 2014, 230-231.

[627] Schefer Nadakavukaren K., Standarts of host State Behavior, International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 378.

[628] Douglas Z., The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation of the Rails,

პრეცედენტებმა აიძულეს სახელმწიფოები, მიეღოთ გარკვეული პრევენციული ზომები. მაგალითისთვის, საქართველოსა და იაპონიას შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება[629] პირდაპირ შეიცავს გამომრიცხავ დათქმას. კერძოდ, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ მეტი სიცხადისთვის, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ მოიცავს ამ და სხვა ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრულ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო პროცედურებს ან მექანიზმებს.

Maffezini-ს საქმისგან განსხვავებით, Plama v Bulgaria-ს საქმეზე ტრიბუნალმა პირდაპირ მიუთითა, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმა არ მოიცავდა ინვესტორის უფლებას, სხვა მესამე ქვეყანასთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებებიდან აერჩია დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმები, თუ მშობლიური სახელმწიფოსა და ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმება თავად არ აწესებდა ასეთ დავის გადაწყვეტის მექანიზმებს.[630]

არბიტრების პოზიციების კონტრასტულობას ხაზს უსვამს Impregilo v Argentina-ს საქმეც, სადაც პროფესორ ბრიჯიტ შტერნის განსხვავებული მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმების შინაარსი არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ შეიცვალოს ratione personae-ს შინაარსი. ამასთან, MFN რეჟიმი არ შეიძლება მოიცავდეს დავის გადაწყვეტის მექანიზმებსაც და ინვესტორს არ შეიძლება მიეცეს წვდომა ამ მექანიზმებზე, თუ ეს არაა განსაზღვრული თავად ინვესტორის მშობლიურ და ინვესტიციის ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებით.[631]

საარბიტრაჟო პრაქტიკის არაერთგვაროვნებიდან მომდინარე რისკები გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებაშიც. მართალია, ასოცირების შესახებ შეთანხმებაში არ არის განსაზღვრული ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის მექანიზმი, თუმცა, შეთანხმების 79-ე მუხლის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ, მიანიჭონ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მხარეთა საწარმოებს მათი დაფუძნებისას და

Classics in Inernational Investment Law, Journal of International Dispute Settlement, Vol. 2, No. 1 (2011), 101.

629 საქართველოსა და იაპონიას შორის „ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

630 Douglas Z., The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation of the Rails, Classics in Inernational Investment Law, Journal of International Dispute Settlement, Vol. 2, No. 1 (2011), 102

631 Impregilo S.p.A. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/07/17; Concurring and Dissenting Opinion of Professor Brigitte Stern, 18, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0420.pdf> [30.11.2023]

შემდგომი საქმიანობისას.[632] ამასთან, შეთანხმების 79-ე მუხლზე გაკეთებული საგამონაკლისო დათქმების შესაბამისად, ეს ვალდებულება არ ვრცელდება ინვესტიციების დაცვის ღონისძიებებზე, მათ შორის, იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უკავშირდება ინვესტორისა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრულია სხვა ხელშეკრულებით. შესაბამისად, ასოცირების შესახებ შეთანხმება, მართალია, ავალდებულებს მხარეებს, მიანიჭონ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მხარეთა საწარმოებს, თუმცა ამ რეჟიმის მოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ ინვესტიციების დაცვის მატერიალურსამართლებრივი ღონისძიებებით და არ ვრცელდება საპროცესოსამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ პროცედურებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება გამორიცხავს საპროცესო მექანიზმებზე წვდომას, ეს ეხება მხოლოდ თავად ასოცირების შესახებ შეთანხმებაში არსებულ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმას. რაც შეეხება, თავად საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ცალკეულ ქვეყნებს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებს, სადაც მოცემულია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმები, არ არის გამორიცხული, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა ამ დათქმებზე მითითებით, ეს რეჟიმი გამოიყენონ საკუთარი იურისდიქციის დადგენისას ან სხვა პროცედურული საკითხების გადაწყვეტისას, იმისგან დამოუკიდებლად, რომ ინვესტორისა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების შესაბამისი პროცედურები მოცემული იყოს მესამე სხვა სახელმწიფოსთან არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაში.

დავის გადაწყვეტის მექანიზმების და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმების ურთიერთმიმართებისას განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი საინვესტიციო შეთანხმებები, რომლებიც შეიცავენ დათქმებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მოქმედების შესახებ და არ აწესებენ პირდაპირ შეზღუდვებს ამ რეჟიმის დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე გავრცელებაზე. მაგალითისთვის, საქართველოსთან კავშირში, ასეთი შეთანხმებაა ჩინეთთან[633] არსებული ხელშეკრულება. საგულისხმოა, რომ ეს შეთანხმება არ აწესებს ICSID ცენტრზე წვდომის უფლებამოსილებას. ამის მიუხედავად, არსებული საარბიტრაჟო პრაქტიკის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ დავის განმხილველმა ICSID საარ-

[632] ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4(60)18, 78.

[633] საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმება“, 03.06.1993.

ბიტრაჟო ტრიბუნალებმა მაინც დაიდგინონ იურისდიქცია ამ შეთანხმებაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმების არსებობიდან გამომდინარე, იმ დასაბუთებით, რომ ინვესტორებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვა ქვეყნებთან არსებული საინვესტიციო ხელშეკრულების სიკეთეებით, მათ შორის დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებით, მით უფრო, რომ ჩინეთიც და საქართველოც არიან კონვენციის წევრები.

საარბიტრაჟო ტრიბუნალების მცდელობები, მაქსიმალურად ფართოდ განმარტონ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი საკუთარი იურისდიქციის დასადგენად, არის მკაცრი კრიტიკის საგანი.[634] არსებული ბუნდოვანებისა და საარბიტრაჟო პრაქტიკის განჭვრეტადობის სირთულის გათვალისწინებით, სამომავლო რისკების დაზღვევის ოპტიმალურ მეთოდს წარმოადგენს საინვესტიციო შეთანხმებებში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მოქმედების ფარგლების იმგვარად ფორმულირება, რომ გამოირიცხება დავის გადაწყვეტის პროცედურებზე მისი გავრცელება, როგორც ეს საქართველოსა და იაპონიას შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაშია მოცემული.

7.2. სტაბილურობის კლაუზულის შესახებ დათქმა და გამოსაყენებელი სამართალი

გამოსაყენებელი სამართლის არჩევასთან მჭიდრო კავშირი აქვს ე.წ. სტაბილურობის კლაუზულას. უნდა ითქვას, რომ სტაბილურობის კლაუზულის სამართლებრივი ეფექტი და შინაარსი არასდროს იყო ბოლომდე ცხადი და სრულყოფილი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სტაბილურობის კლაუზულის არსებობისას, ნებისმიერი ცვლილება ბენეფიციარი ქვეყნის კანონმდებლობაში იქნება ამ პრინციპის დარღვევა. მაშინ, როდესაც, ალტერნატიული შეხედულების თანახმად, სტაბილურობის კლაუზულა ვერ შეზღუდავს სახელმწიფოს სუვერენიტეტს და მის უფლებას, მიიღოს და შეცვალოს საკუთარი კანონმდებლობა. ამ შემთხვევაში, სტაბილურობის კლაუზულის დარღვევა შესაძლოა გახდეს კომპენსაციის საფუძველი.[635]

განვითარებადი ქვეყნების მთავრობები სულ უფრო მეტად ცდილობენ, მოიზიდონ ინვესტორები, მაქსიმალურად შეამცირონ ნაციონალიზაციის და ექსპროპრიაციის შემთხვევები და შეიქმნან მიმზიდველი საინვესტიციო ქვეყნის

[634] Douglas Z., The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation of the Rails, Classics in Inernational Investment Law, Journal of International Dispute Settlement, Vol. 2, No. 1 (2011), 102.

[635] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 75.

იმიჯი. მიუხედავად ამისა, ინვესტორისთვის კვლავ მაღალი რჩება რისკი იმისა, რომ ინვესტირების შემდეგ ბენეფიციარი სახელმწიფო შეცვლის მარეგულირებელ კანონმდებლობას, რამაც შესაძლოა შეამციროს ინვესტორის მოგება ან სხვაგვარად ჰქონდეს უარყოფით ეფექტი მის საქმიანობაზე. აქედან გამომდინარე, რადგანაც ხელშეკრულების მხარე არის სახელმწიფო და გამოსაყენებელი სამართალი შეიძლება იქნეს არჩეულის ამ ქვეყნის სამართალი, მათ შორის საინვესტიციო კონტრაქტის განმარტებასთან დაკავშირებითაც, ინვესტორს ყოველთვის რჩება რისკები, რომ კანონმდებლობის ცვლილებას ექნება მასზე ნეგატიური შედეგები. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოები ხშირად სთავაზობენ ინვესტორებს, რომ ინვესტორი და განხორციელებული ინვესტიცია დაექვემდებარება ადგილობრივ სამართალს, თუმცა შემდგომ ცვლილებებს არ ექნება გავლენა კონკრეტულად ამ ინვესტორთან მიმართებით. ერთგვარად, ხდება სამართლის ნორმების გაყინვა და ცვლილებების მიუხედავად, ინვესტორის მიმართ იმოქმედებს იმ დღეს მოქმედი სამართლის ნორმები, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან.[636]

როგორც წესი, სტაბილურობის კლაუზულა გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხორციელდება მასშტაბური ეკონომიკური პროექტები, რა დროსაც გადასახადების ან სხვა სახელმწიფო მოსაკრებლების ოდენობის ცვლილებამ შესაძლოა სრულად შეცვალოს პროექტის ძველი ეკონომიკური ვარგისიანობა ინვესტორისა და მისი კრედიტორებისთვის. აპრობირებულია პრაქტიკაა ამ დათქმის გამოყენება ნავთობის და გაზის სფეროში სახელმწიფოს მიერ გაცემულ კონცესიებთან დაკავშირებით.[637] მიჩნეულია, რომ სტაბილურობის კლაუზულის გამოყენება მეტწილად ხდება გრძელვადიან ეკონომიკურ პროექტებში.[638]

არსებობს სტაბილურობის კლაუზულის სხვადასხვა ვარიაცია. მუდმივობის კლაუზულა (consistency clause) მოითხოვს, რომ ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს თავსებადი უკვე არსებულ შეთანხმების პირობებთან. კლაუზულის სხვა ვერსია ადგენს, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით. ეს დათქმა არ ზღუდავს სახელმწიფოს, შეცვალოს არსებული კანონმდებლობა, თუმცა ირიბად ადგენს, რომ არცერთ მხარეს აქვს აქვს პირობები ცალმხრივად შეცვლის ან შეწყვეტის უფლება. სტაბილურობის

[636] Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 64-65.

[637] იქვე, 66.

[638] Griebel J., Internationales Investitionsrecht, Verlag C.H.Beck oHG, 2008, 34.

კლაუზულა ხშირად მოცემულია ხელშეუხებლობის კლაუზულაში (intangibility clause), რა დროსაც, ბენეფიციარ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, მხარეთა თანხმობის გარეშე შეცვალოს კონცესიის პირობები.[639]

ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი მექანიზმი, დაიცვას ინვესტორი მარეგულირებლის მიერ მომდინარე რისკებისგან არის ბალანსის კლაუზულა (balancing clause). ეს დათქმა არ უზრუნველყოფს ცვლილებების პრევენციას სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა ითვალისწინებს შეცვლილი პირობებისადმი ავტომატური მისადაგების შესაძლებლობას ან მოლაპარაკების დაწყებას არსებული ხელშეკრულების პირობების მოსარგებად შეცვლილი გარემოებებისადმი. მართალია, ასეთი დათქმა შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, განავითაროს და შეცვალოს არსებული კანონმდებლობა, თუმცა ამავე დროს შენარჩუნებული იყოს ეკონომიკური თანასწორობა ინვესტორს და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.[640] მიჩნეულია, რომ ეს დათქმა არის ერთ-ერთი მთავარი ალტერნატივა არსებული სტაბილურობის კლაუზულების. ასეთი დათქმები მიმართულია არა იმდენად სამართლის ნორმების ცვლილებების თავიდან არიდებაზე, არამედ ეკონომიკური თანასწორობის შენარჩუნებაზე.[641]

სტაბილურობის კლაუზულის სხვადასხვა ვარიაციის წარმოშობა განაპირობა იმ ფაქტებმა, რომ სახელმწიფოები ცდილობდნენ, ერთი მხრივ, სრულად უარი არ ეთქვათ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების უფლებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ინვესტორებისთვის მიეცათ გარკვეული გარანტიები.[642] შეიძლება ითქვას, რომ სტაბილურობის კლაუზულის სხვადასხვა დათქმები არის მცდელობა ერთგვარი ბალანსის პოვნისა მხარეთა ინტერესებს შორის.

სტაბილურობის კლაუზულის შინაარსთან და დარღვევის შედეგებთან დაკავშირებით, ურთიერთგანსხვავებულია საარბიტრაჟო პრაქტიკაც. საქმეზე Aminoli v Kuwait, განმხილველმა ტრიბუნალმა განაცხადა, რომ სტაბილურობის კლაუზულის შესახებ დათქმა ვერ შეზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, მომდევნო 60 წლის განმავლობაში არ შეცვალოს კანონმდებლობა. ტრიბუნალი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სტაბილურობის კლაუზულის დარღვევას გავლენა

639 Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020, 65.

640 Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk, and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by Loukas Mistelis, Second edition, Oxford University Press 2020, 65-66.

641 Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 77.

642 Griebel J., Internationales Investitionsrecht, Verlag C.H.Beck oHG 2008, 30.

ექნებოდა მხოლოდ ინვესტორისთვის მისაკუთვნებელი კომპენსაციის ოდენობის გამოთვლაზე.[643]

საინტერესო გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ლიბიის წინააღმდეგ წარმოებულ დავებზე: BP v Libya[644];Texaco v Libya; Liamco v Libya. სამივე საქმეში, კონცესიის ხელშეკრულებებში არსებობდა დათქმა სტაბილურობის კლაუზულასთან დაკავშირებით. BP v Libya-ს საქმეზე დადგინდა, რომ ექსპროპრიაციის ღონისძიებები იყო დისკრიმინაციული ხასიათის და არ იყო ფოკუსირებული სტაბილურობის კლაუზულაზე. ამის საპირისპიროდ, Texaco v Libya საქმეზე ტრიბუნალმა ხაზის გაუსვა pacta sunt sevanda-ს პრინციპის შესრულების აუცილებლობას და განაცხადა, რომ სახელმწიფო შებოჭილი იყო საკუთარი ნებით და მან ამ ხელშეკრულებით თავადვე შეიზღუდა სუვერენიტეტი. ამის საფუძველზე, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ კონცესიის ხელშეკრულება იყო ძალაში. რაც შეეხება Liamco v Libya-ს საქმეს, ტრიბუნალის მიდგომა იყო აბსოლუტურად განსხვავებული Texaco v Libya-ს საქმისგან. Liamco v Libya ტრიბუნალი დაეყრდნო პოზიციას, რომ სტაბილურობის კლაუზულას ვერ ექნებოდა ეფექტი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებაზე, და კონტრაქტის შეწყვეტა არ წარმოადგენდა დარღვევას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ტრიბუნალის აზრით, კონცესიის ხელშეკრულების აღდგენა იქნებოდა სახელმწიფოს სუვერენიტეტში უხეში ჩარევა.[645]

მაშინ როდესაც, ჯერ კიდევ არ არსებობს სტაბილურობის კლაუზულის ერთიანი სტანდარტი და ურთიერთგანსხვავებულია საარბიტრაჟო პრაქტიკაც, უფრო მოსახერხებელი და პრაქტიკული შეიძლება იყოს ხელახლა მოლაპარაკებების გამართვისა და სახელშეკრულებო პირობების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შესახებ დათქმები იმ შემთხვევებისათვის როდესაც ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის შეცვლის შედეგად ინვესტორისთვის იცვლება ეკონომიკური გარემო. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დათქმა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ნეგატიური შედეგების ინვესტორზე გავრცელების თავიდან არიდებას, ეს დათქმა შესაძლოა წარმოადგენდეს ძალზედ მოსახერხებელ მექანიზმს გრძელვადიანი ეკონომიკური პროექტების შემთხვევაში.[646]

[643] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 76.

[644] BP Exploration Company (Libya) Limited v. Government of the Libyan Arab Republic, <https://jusmundi.com/en/document/decision/en-bp-exploration-company-libya-limited-v-government-of-the-libyan-arab-republic-award-wednesday-10th-october-1973> [30.11.2023]

[645] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 75-76.

[646] Dolzer R., Schreuer, C., Principles of International Investment Law, Oxford Uniceristy Press, 2012, 78.

სტაბილურობის კლაუზულამ და მისადაგების შესახებ სახელშეკრულებო დათქმები ცალკეულ შემთხვევებში ასრულებს განსხვავებული ფუნქციებს. მაშინ, როდესაც სახელმწიფო არ არის მზად, განაცხადოს თანხმობა სუვერენიტეტის ერთგვარ შემცირებაზე და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაზე უარი თქვას, მისადაგების შესახებ დათქმა არის ერთგვარი გამოსავალი ინვესტორის წინაშე არსებული რისკების დასაზღვევად. მისადაგების დათქმის ეფექტურობა ვლინდება იმ კუთხითაც, რომ მხარეებს შეუძლიათ შეცვალონ და მოარგონ ხელშეკრულების დებულებები ახალ პირობებს ურთიერთობის მთელი პერიოდის განმავლობაში.[647]

საქართველოსთან კავშირში, სტაბილურობის კლაუზულის მსგავსი შემთხვევა არსებობდა ევროკავშირს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის 1996 წლის 22 აპრილს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში,[648] რომლის მე-4 კარის, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ მიღებულ იქნებოდა ახალი კანონმდებლობა ან კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც შეუქმნიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გაერთიანების კომპანიების ფილიალებსა და შვილობილ საწარმოებს იმაზე უფრო შემზღუდველ რეჟიმს, ვიდრე არსებობდა შეთანხმების ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე, ეს კანონები, ძალაში შესვლის დღიდან სამი წლის განმავლობაში არ გავრცელდებოდა იმ ფილიალებსა და შვილეულ საწარმოებზე, რომლებიც შესაბამისი კანონის მიღებამდე უკვე არსებობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. თუ გავითვალისწინებთ 1996 წელს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, პარტნიორების მხრიდან საქართველოს მიმართ ასეთი დათქმების გაკეთება და თადარიგის წინასწარ დაჭერა სრულებითაც არ იყო მოულოდნელი. 1996 წლის 22 აპრილის შეთანხმება მოქმედებდა 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით და 2016 წლის 01 ივლისიდან, რა დროსაც სრულად ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, ჩანაცვლდა ასოცირების შესახებ შეთანხმებით.[649]

სტაბილურობის კლაუზულის პირდაპირი შემთხვევაა „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის[650] 27-ე მუხლის დანაწესი, რომლის შე-

[647] Griebel J., Internationales Investitionsrecht, Verlag C.H.Beck oHG, 2008, 33.

[648] პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მე-4 კარის, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[649] Partnership and Cooperation Agreement between the European Communities and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (Document 21999A0804(01)); Date of end of validity: 30/06/2016; Repealed by 22014A0830(02), <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A21999A0804%2801%29> [30.11.2023]

[650] „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი, 16.04.1999.

საბამისადაც, კანონის ამოქმედებიდან 25 წლის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, თუ ისინი გააუარესებს საინვესტიციო პირობებს, არ შეეხება ნავთობისა და გაზის ხელშეკრულებებს, ასევე არსებულ ხელშეკრულებებს. მეორე პუნქტი კი ადგენს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზეც, თუ ეს აქტები შეზღუდავს ინვესტორის მიერ ამ კანონის შესაბამისად შეძენილ და განხორციელებულ ქონებრივ უფლებებს. საგულისხმოა, რომ დასახელებული დათქმის ვადა იწურება 2024 წლის პირველ მაისს და მიზანშეწონილია, განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა თავიდან იქნეს არიდებული საინვესტიციო კლიმატის გაუარესება.[651]

[651] ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, თბილისი, 2020, 161-162.

8. საინვესტიციო დავასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების და მორიგებების ცნობა-აღსრულების, განმარტების, გადასინჯვის და გაუქმების პროცედურები

ის, თუ დავის გადაწყვეტის რომელ ცენტრში იქნება განხილული დავა ან რომელი სამართალი იქნება გამოყენებული, დიდწილად განსაზღვრავს მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესაძლებლობასაც. ეს ეხება როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსა და დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ასევე მედიაციისა და კონსილაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებებს.

8.1. ICSID არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება

ICSID არბიტრაჟის გადაწყვეტილების სავალდებულო აღსრულება არის კონვენციის ყველაზე მეტად ხელშესახები და სასარგებლო ნაწილი უცხოელი ინვესტორებისთვის.[652] კონვენციის 54-ე მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, კონვენციის შესაბამისად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ცნონ შესასრულებლად სავალდებულოდ და თავის ტერიტორიებზე აღასრულონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული ფინანსური ვალდებულებები, როგორც ამ სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაშია დადგენილი.[653] დასახელებული ნორმა ადგენს მხარეთა საერთაშორისო საჯარო სამართლებრივ ვალდებულებას, არ შექმნან რაიმე დაბრკოლებები აღსრულების პროცესში. კონვენციის 54-ე მუხლი ასევე აღჭურავს მოდავე ინვესტორის მშობლიურ სახელმწიფოს, გამოიყენოს დიპლომატიური გზები ან წამოიწყოს კონვენციის 64-ე მუხლით დადგენილი დავის პროცედურები მოპასუხე ბენეფიციარ სახელმწიფოსთან, თუ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი.[654] რაც შეეხება ფედერალური მოწყობის სახელმწიფოებს, 54.1 მუხლის შესაბამისად, ფედერალური მოწყობის ხელშემ-

[652] Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1496.

[653] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 842.

[654] Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1496.

კვრელი ქვეყანა უფლებამოსილია, ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღასრულოს შესაბამის ფედერალურ სასამართლოებში, ან მათი მეშვეობით, და დაადგინოს, რომ ამგვარი სასამართლოები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას უნდა მოეპყრონ ისე, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი შტატის (ფედერალური სუბიექტის) სასამართლოთა საბოლოო გადაწყვეტილებას.

აღსრულების პროცედურებში მონაწილეობს მოპასუხე სახელმწიფოს ადგილობრივი ორგანოებიც.[655] კონვენციის 54.2 მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის, ინვესტორმა უნდა მიმართოს ამ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ შესაბამის ორგანოს ან სასამართლოს. ინვესტორი ვალდებულია, დასახელებულ ორგანოს წარუდგინოს ICSID ცენტრის გენერალური მდივნის მიერ დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ასლი. ამასთან, თუ წევრი სახელმწიფო გადაწყვეტს, დანიშნოს ან განსაზღვროს მსგავსი ორგანო ცნობა-აღსრულების პროცესის მიზნებისათვის, იგი ვალდებულია, გენერალურ მდივანს შეატყობინოს ამის შესახებ და ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებული ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ.[656] რაც შეეხება უშუალოდ აღსრულების პროცესს, კონვენციის 54.3 მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება რეგულირდება იმ სახელმწიფოში მოქმედი სააღსრულებო კანონმდებლობით, სადაც მოთხოვნილია აღსრულება.

განსხვავებით ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციისგან, ICSID კონვენცია არ ტოვებს რაიმე შესაძლებლობას, რათა ცნობა-აღსრულებისას ადგილობრივმა სასამართლოებმა განახორციელონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების რევიზია. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ თავად ICSID კონვენციის 52-ე მუხლი ადგენს მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების საფუძვლებს და პროცედურასაც.[657]

ICSID კონვენციის 53.1 მუხლი ადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისთვის და არ ექვემდებარება ნებისმიერი სახის გასაჩივრებას ან სხვა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას, გარდა თავად კონვენციით დადგენილი შემთხვევებისა.[658] ამასთან, 53-ე

[655] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 839.

[656] Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1498.

[657] Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1496.

[658] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 838.

მუხლი საუბრობს უშუალოდ საარბიტრაჟო პროცესის მონაწილე მხარეებზე, მაშინ როდესაც 54-ე მუხლი იძლევა საშუალებას, ICSID გადაწყვეტილება აღსრულდეს კონვენციის წევრ სხვა სახელმწიფოებშიც. ეს იწვევს იმ შედეგს, რომ თუ ცალკეულ შემთხვევებში მოპასუხე სახელმწიფო არ აღასრულებს გადაწყვეტილებას, აღსრულება მოხდეს სხვა წევრი სახელმწიფოში.[659] აღსრულებასთან დაკავშირებული ერთადერთი გამონაკლისი, რაც დადგენილია კონვენციით არის 55-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც გადახვევა იმ კანონმდებლობიდან, რომელიც მოქმედებს ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამავე ან სხვა სახელმწიფოს აღსრულებასთან დაკავშირებულ იმუნიტეტთან მიმართებით.[660]

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ყოფილა ICSID საარბიტრაჟო საქმე, სხვა სახელმწიფოში აღსრულებასთან და იმუნიტეტის ფარგლებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრეცედენტი იყო Anatolie Stati et al v. Kazakhstan-ის საქმე, სადაც მოსარჩელე შეეცადა აღესრულებინა 500 მილიონ აშშ დოლარზე დიდი მოთხოვნა ბელგიაში. მოსარჩელის ეს სურვილი განპირობებული იყო იმით, რომ ყაზახეთის ეროვნული ბანკის აქტივები განთავსებული იყო ნიუ-იორკის ერთ-ერთი ბანკის ბელგიის ფილიალში. ყაზახეთი და ყაზახეთის ეროვნული ბანკი აპელირებდა, რომ დაუშვებელი იყო ამ ქონებაზე აღსრულება, რადგან იგი ბელგიის კანონმდებლობით სარგებლობდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის უფლებით. საბოლოოდ, ბელგიის სასამართლომ არ გაიზიარა ეს პოზიცია და მიუთითა, რომ გაყინული აქტივები წარმოადგენდა კომერციულ აქტივებს და გამოიყენებდა მოგების მიღების მიზნით. ამასთან, ბელგიის სასამართლომ 21.5 მილიარდ დოლარიანი აქტივიდან „გაყინა“ მხოლოდ 530 მილიონი აშშ დოლარი.[661]

დამატებით, როგორც აღსრულების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა, მიიჩნევა მსოფლიო ბანკის შესაძლო ჩართულობა. ბანკის ეკონომიკური წონა და პრესტიჟი არის ის არგუმენტი, რაც სახელმწიფოებს აიძულებს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები აღასრულონ ნებაყოფლობით. სხვა შემთხვევაში, თავი რომ დავანებოთ რეპუტაციულ რისკებს, მსოფლიო ბანკის საოპერაციო მანუალი ითვალისწინებს შესაძლებლობას, სახელმწიფოთა მიერ კრედიტებზე განაცხადების შევსებისას, მხედველობაში იქნეს მიღებული ICSID საარბიტრაჟო გადა-

[659] Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1497.

[660] იქვე, 1497.

[661] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 843.

წყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა.[662] მსოფლიო ბანკის მხრიდან ასეთი ჩართულობა არცაა უცნაური იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თავად კონვენცია შეიქმნა მსოფლიო ბანკის ეგიდით და კონვენციის მეორე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ცენტრი მდებარეობს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკი) სათავო ოფისში.

იმუნიტეტთან დაკავშირებული გაურკვევლობების თავიდან არიდების მიზნით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება გვხდება საინვესტიციო შეთანხმებებშიც.[663] საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს[664] შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების 11.4 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულო. ორივე ქვეყანა ვალდებულია, უზრუნველყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მისი მოქმედი კანონების, რეგულაციებისა და ნორმების და, ასევე, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად. მსგავსია შვედეთთან[665] არსებული საინვესტიციო შეთანხმების 8.7 მუხლიც, რომლის თანახმადაც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულო დავაში მონაწილე მხარეებისთვის. ამასთან, თითოეული ხელშემკვრელი მხარე გაჭიანურების გარეშე შეასრულებს ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილების დებულებებს და უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას თავის ტერიტორიაზე. შვედეთთან და არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან არსებული შეთანხმებები საინტერესოა სწორედ იმ კუთხით, რომ ორივე მათგანი ინვესტორს ანიჭებს ICSID ცენტრისთვის მიმართვის უფლებამოსილებასაც.

მზარდი ტენდენციაა, რომ სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან იმუნიტეტზე მითითებაზე და აღასრულონ გადაწყვეტილებები. ამის მაგალითია, სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ბაზელის 1972 წლის კონვენცია, რომლის პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ ევროპის საბჭოს ქვეყნები ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო სამართალში არის ტენდენცია შემცირდეს ის საქმეები, სადაც სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს იმუნიტეტი უცხოეთის სასამართლოს

662 Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1497.

663 Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 842.

664 საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება“, 17.07.2017.

665 საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა დ ორმხრივი დაცვის შესახებ“ შეთანხმების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი.

წინაშე. ხოლო პირველივე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც იწყებს ან ერთვება სხვა ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს საქმის წარმოებაში, ასეთი საქმის წარმოების მიზნისათვის, აღიარებს ამ სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქციის განხორციელებაზე. ასეთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს იმუნიტეტი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლოების იურისდიქციისაგან იმ ნებისმიერ შეგებებულ სარჩელთან მიმართებაში.[666]

მართალია, „ბაზელის კონვენციის" მსგავსი ჩანაწერი არ გვაქვს ICSID კონვენციაში, თუმცა იმუნიტეტზე მითითება და ამ გზით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა, მაინც არაეფექტურ და სარისკო მექანიზმად უნდა იქნეს მიჩნეული, მსოფლიო ბანკიდან მომდინარე ნეგატიური შედეგების, ინვესტორის მშობლიური სახელმწიფოსგან მოსალოდნელი დიპლომატიური და ეკონომიკური ბერკეტების (შესაძლო სანქციები), სხვა სახელმწიფოში აღსრულების შესაძლებობის და სხვა არსებულ და პოტენციურ ინვესტორებთან მიმართებით შეუქცევადი რეპუტაციული ზიანის გათვალისწინებით.

8.2. სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება

ICSID ცენტრის გარეთ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, თუ ისინი მიღებულია სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში ან ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ, მათ შორის ICSID-ის დამატებითი წესების (Additional Facility) და UNCITRAL წესების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები აღსრულდება ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციით დადგენილი პროცედურებით.[667]

ხშირია შემთხვევები, როდესაც ICSID ცენტრის და სხვა საარბიტრაჟო ცენტრების, მათ შორის ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალების, იურისდიქციაზე მითითება მოცემულია ერთი და იმავე საინვესტიციო შეთანხმებებში ალტერნატივის სახით. ასე მაგალითად, საქართველოსა და შვედეთს შორის არსებული შეთანხმების მე-8 მუხლი ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიოს ან მხარის ადგილობრივი სასამართლო, ან ICSID ცენტრი და ან დროებითი ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალი. ამასთან, ამავე შეთანხმების მე-7 მუხლი ადგენს, რომ გამო-

[666] ევროპული კონვენცია „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ", 16.05.1972. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008db73> [30.11.2023]

[667] Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1487.

ტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულო დავაში მონაწილე მხარეებისთვის და ორივე ქვეყანა ვალდებულებას იღებს, რომ გაჭიანურების გარეშე შეასრულებს ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილების დებულებებს და უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას თავის ტერიტორიაზე.[668] მსგავსი შინაარსის ჩანაწერი არსებობს საქართველოსა და იაპონიას შორის არსებული შეთანხმების 23.18 მუხლშიც, სადაც მოცემულია, რომ ძალაში შესული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა. ეს გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს სახელმწიფოში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე, შესაბამისი საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ICSID-ის კონვენციისა და ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად. იაპონიასთან არსებული შეთანხმებაც აძლევს ინვესტორს უფლებას, აირჩიოს ან ICSID ცენტრი და ან დროებითი ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალი.[669]

განსხვავებით შვედეთისა და იაპონიისგან, საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებული შეთანხმება არ აძლევს ინვესტორებს ICSID ცენტრზე წვდომის უფლებას, თუმცა ინვესტორს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელით მიმართოს დროებითი ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალს.[670] ჩინეთი, ისევე როგორც საქართველო, არიან ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის წევრი ქვეყნები,[671] რაც იმას ნიშნავს, რომ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები აღსრულდება ამ კონვენციის შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, ხშირად, საინვესტიციო შეთანხმებები ინვესტორს სთავაზობენ რამდენიმე ალტერნატივას. იმისგან დამოუკიდებლად, ადგენს თუ არა საინვესტიციო შეთანხმება ICSID არბიტრაჟზე წვდომის უფლებას ან, თუ ასეთი დათქმა არსებობს ალტერნატივის სახით, ნებისმიერ შემთხვევაში, ინვესტორებს, რომლებიც დავას აწარმოებენ ICSID-ს გარეთ, სხვა დავის განმხილველ ცენტრებში, მათაც ჩვეულებრივ აქვთ უფლება, დაეყრდნონ შესაბამის ორმხრივ და მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებს და საარბიტრაჟო სარჩელები დააფუძნონ ამ შეთანხმებების დარღვევაზე.[672]

---

668 საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის "ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ" შეთანხმების მე-7 მუხლი.

669 საქართველოსა და იაპონიას შორის "ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ" შეთანხმების მე-9 მუხლი.

670 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის "ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ" შეთანხმების მე-9 მუხლი.

671 <https://www.newyorkconvention.org/countries> [30.11.2023]

672 Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1488.

თავის მხრივ, ნიუ-იორკის კონვენციაც ადგენს ცნობა-აღსრულების წინაპირობებს. მართალია, კონვენციის მე-3 მუხლი აწესებს ზოგად ვალდებულებას ყველა ქვეყნისათვის, აღასრულონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, თუმცა კონვენცია ვრცელდება მხოლოდ უცხოეთში მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე. კონვენციის მოქმედებისათვის, აუცილებელია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებული იქნეს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და არ მიიჩნეოდეს იმ ქვეყნის შიდა გადაწყვეტილებად, სადაც უნდა მოხდეს ცნობა-აღსრულება.[673]

რაც შეეხება ICSID კონვენციის გარეთ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოში ცნობა-აღსრულებას, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლი ადგენს უცხოეთში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების წესს, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს უზენაესი სასამართლო. მხარე, რომელსაც სურს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე (დამოწმებული თარგმანი). ხოლო, უშუალოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.[674] მიუხედავად აღსრულების პროცედურების დეტალური გაწერისა, სახელმწიფოს ყოველთვის აქვს საშუალება, მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება აღასრულოს საკუთარი ნებითაც.

ICSID-ის კონვენციის გარეთ მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო, არაერთხელ აღსრულება საქართველოში. ამის მაგალითია, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2014 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მხარესა და კომპანია „Polestar Compania Maritima S.A."-ს შორის გაფორმებული მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნებისათვის, მთავრობის განკარგულებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის 3,411,765.0 (სამი მილიონ ოთხას თერთმეტი ათას შვიდას სამოცდახუთი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გამოყოფის შემთხვევა.[675]

[673] იქვე, 1489.

[674] „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლი.

[675] წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტი-

საქართველოს შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკით, თუ არ არსებობს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული უცხოეთის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველო აღასრულებს ასეთ გადაწყვეტილებებს.[676]

ძალიან იშვიათ შემთხვევებში, თუ მოხდა ისე, რომ მოპასუხე სახელმწიფო არ არის არც ICSID კონვენციის და არც ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის წევრი, მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულდება საინვესტიციო შეთანხმებით (არსებობის შემთხვევაში) ან უშუალოდ ad hoc არბიტრაჟისთვის მხარეთა მიერ შეთანხმებული წესების შესაბამისად.[677] ამის კარგი მაგალითია საფრანგეთი, რომელიც შესაძლებლობას უშვებს, მოხდეს ისეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებაც, რომლებიც მიღებულია ნიუ-იორკის კონვენციის მოქმედების გარეთ.[678]

8.3. ICSID ცენტრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტების, გადასინჯვისა და გაუქმების შესაძლებლობა

ICSID კონვენციის 50-52 მუხლები არეგულირებენ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტების, გადასინჯვის და გაუქმების წინაპირობებს. თავად კონვენცია ადგენს შესაბამის პროცედურებსაც და მიმართვის ვადებსაც.

8.3.1. განმარტება

კონვენცია ითვალისწინებს ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მნიშვნელობასა ან მის ფარგლებზე,[679] ორივე მხარე

ლებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის განკარგულება №2102.

676 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 2 აპრილის განჩინება საქმეზე N ა-204-შ-43-03.

677 Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1488.

678 იქვე, 1488.

679 Welsh A., The Application, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA USA 2019, 1276.

უფლებამოსილია, მოითხოვოს გადაწყვეტილების განმარტება. მოთხოვნა შეიძლება მოხდეს როგორც ინდივიდუალური განცხადებებით, ასევე ერთობლივად. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ მოთხოვნა წარედგინება გენერალურ მდივანს. განმარტების მოთხოვნა უნდა იყოს ჩამოყალიბებული წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რატომ არის აუცილებელი მიღებული გადაწყვეტილების განმარტება.[680]

გადაწყვეტილების განმარტების შესახებ მოთხოვნა არ არის ლიმიტირებული დროში. მხარეებმა შესაძლოა მოითხოვონ განმარტება ნებისმიერ დროს. განმარტების მოთხოვნა უნდა ეხებოდეს სარეზოლუციო ნაწილს, სადაც საქმის შედეგი არის მოცემული. სხვა ნაწილების, მაგალითად აღწერილობითი ნაწილის განმარტების მოთხოვნა დაუშვებელია. საქმეზე Wena v Egypt, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს ცხადი და კონკრეტული, რათა მოხდეს დაუბრკოლებლად მისი პრაქტიკული აღსრულება.[681]

გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნისას, თუ შესაძლებელია, მოთხოვნა წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ტრიბუნალს. გადაწყვეტილების მიმღები ტრიბუნალის არარსებობის შემთხვევაში, კონვენციით დადგენილი წესების შესაბამისად, იქმნება ახალი ტრიბუნალი. განცხადების შეტანის შემდეგ, წინასწარ, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, ტრიბუნალი უფლებამოსილია, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება განმარტებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.[682] ტრიბუნალის ეს უფლებამოსილება წარმოადგენს მნიშვნელოვან ბერკეტს, რათა თავიდან იქნეს არიდებული ახალი დავის წარმოშობა ან/და გადაწყვეტილების არასწორად აღსრულების გამო მხარეთათვის მიყენებული შესაძლო ზიანი.

განმარტების მიზანი უნდა იყოს გადაწყვეტილების განმარტება და არა დავის საგნის ხელახლა გადაწყვეტა.[683] გადაწყვეტილების რევიზიისგან ეს პროცედურა განსხვავდება იმით, რომ არ ხდება მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. ტრიბუნალი განმარტავს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რათა ხელი შეეწყოს ამ გადაწყვეტილების სწრაფად და სწორად აღსრულებას.[684]

---

680 Happ R., ICSID Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München 2013, 992-993.

681 იქვე, 992-993.

682 იქვე, 992-993.

683 Welsh A., The Application, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by Julien Fouret, Remy Gebray, Cloris M. Alvarez, Edward Elgar Publishing, Cheltenham, uk; Northsmton, MA, USA, 2019, 1275.

684 იქვე, 1276.

8.3.2. გადასინჯვა

მართალია, ICSID არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა კონვენციის 51.1 მუხლი ორივე მხარეს აძლევს უფლებას, მოითხოვოს გადაწყვეტილების გადასინჯვა იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა ისეთი გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების შედეგზე და ეს ფაქტი ტრიბუნალისთვის უცნობი იყო. ამასთან, აუცილებელია, განმცხადებლის მიერ ასეთი გარემოების შესახებ ინფორმაციის არწარდგენა არ იყოს გამოწვეული დაუდევრობით.[685]

განსხვავებით ICSID გადაწყვეტილების გაუქმების პროცედურებისგან, სადაც განხილვა ხდება სპეციალურად შექმნილ ad hoc კომიტეტში, გადასინჯვის პროცედურები წარიმართება იმავე ტრიბუნალში, რომელმაც განიხილა საქმე და მიიღო გადაწყვეტილება. ამავე ტრიბუნალის შესაფასებელია, თუ რამდენად არსებობს ახალი გარემოების საფუძველზე გადასინჯვის საჭიროება და რამდენად ახდენს ეს შედეგზე გავლენას.[686]

გადასინჯვის განცხადებით მხარეს შეუძლია მიმართოს ICSID ცენტრს გადასინჯვის საფუძვლების შეტყობიდან 90 დღის განმავლობაში. ამავე დროს, დაუშვებელია გადასინჯვის მოთხოვნა თუ გადაწყვეტილების მიღებიდან გასულია სამი წელი. თუ ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ აუცილებელია გადაწყვეტილების აღსრულება, იგი უფლებამოსილია, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება გადასინჯვასთან დაკავშირებით ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.[687]

8.3.3. გაუქმება

ICSID კონვენციის 52-ე მუხლი ჩამოთვლის ხუთ შემთხვევას, როდესაც როგორც ინვესტორის, ასევე სახელმწიფოს მოთხოვნით შესაძლებელია მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. გაუქმების საფუძვლებია:[688]

(ა) შემთხვევა, როდესაც ტრიბუნალი არ იყო შესაბამისი წესით ჩამოყალიბებული;

(ბ) შემთხვევა, როდესაც აშკარაა, რომ ტრიბუნალმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას;

---

685 Schreuer C. H, Malintoppi L, Reinisch A, Sinclair A, The ICSID Convention A Commentary, Cambridge University Press, 2009, 888 – 889.

686 იქვე, 888 – 889.

687 <https://icsid.worldbank.org/node/12236> [30.11.2023]

688 Honlet J-C., Legum B., Crevon A., ICSID Annulment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1432.

(გ) შემთხვევა, როდესაც ტრიბუნალის წევრი მონაწილეობდა კორუფციაში.
(დ) შემთხვევა, როდესაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი გადახვევა პროცედურის ფუნდამენტური წესიდან; ან
(ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ უთითებს იმ საფუძვლებს, რომლებსაც იგი ეყრდნობა.

ტრიბუნალის არასწორად ჩამოყალიბების შემთხვევა საკმაოდ იშვიათია, რადგან მხარეები წინასწარვე თანხმდებიან არბიტრების კანდიდატურებზე და არჩევის წესზე.[689] მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში მაინც შეიძლება წარმოიშვას შემთხვევები, რაც დაუშვებელს გახდიდა კონკრეტული არბიტრის მონაწილეობას განხილვაში. არბიტრების დამოუკიდებლობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მისი არჩევის შემდეგაც, თუ იგი ერთ-ერთ მხარესთან შევიდა ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ან დამოკიდებულებაში, რამაც ინტერესთა კონფლიქტს წარმოქმნა. ასეთ დროს, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, თავიდანვე განაცხადოს პრეტენზია, რადგან ამის შესახებ არ იქნებოდა ინფორმირებული.[690] 2019 წლის მაისისთვის, ტრიბუნალის არასწორად ჩამოყალიბების საფუძვლით მოთხოვნილი იყო გაუქმების სულ ხუთი შემთხვევა, საიდანაც ოთხ შემთხვევაში მოთხოვნა უარყოფილი იქნა, ხოლო ერთ შემთხვევაში დაკმაყოფილდა სხვა საფუძვლით.[691] აღიარებულია, რომ ტრიბუნალის არასწორად ჩამოყალიბების საფუძვლით გაუქმება მხარემ შეიძლება მოითხოვოს განხილვის შემდეგაც. ამის მაგალითია EDF v Argentina-ს საქმე, სადაც გაუქმებისთვის შექმნილმა ad hoc კომიტეტმა განაცხადა, რომ არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე პრეტენზიები დასაშვებია საარბიტრაჟო განხილვის პროცედურების დასრულების შემდეგაც.[692]

რაც შეეხება ტრიბუნალის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბებას, ეს შეიძლება იყოს ერთი-ერთი საფუძველი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. 2014 წლის მარტისათვის, 33 გამოქვეყნებული გაუქმების შემთხვევიდან 27 მოდიოდა ამ საფუძველზე.[693] გაუქმები-

[689] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 782.

[690] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 568.

[691] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 782.

[692] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 572.

[693] Honlet J-C., Legum B., Crevon A., ICSID Annulment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1448.

სათვის აუცილებელია, რომ უფლებამოსილების გადაჭარბება იყო აშკარა. ასეთ შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც ტრიბუნალმა არასწორად დაიდგინა კომპეტენცია ან გასცდა მინიჭებული იურისდიქციის ფარგლებს ცალკეული საკითხების განხილვისას, როდესაც მხარეთა თანხმობა არბიტრაჟზე მხოლოდ ნაწილობრივ ფარავდა განსახილველ საკითხებს.[694]

საარბიტრაჟო განხილვის ფუნდამენტური წესიდან მნიშვნელოვანი გადახვევა შეიძლება გახდეს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგი საფუძველი. მნიშვნელოვანი დარღვევა არის აუცილებელი ელემენტი, რათა განხილვის საგანი გახდეს გაუქმების შესაძლებლობა.[695] ამასთან, ეს შეცდომა შედეგობრივად უნდა ახდენდეს გავლენას პროცესზე და მხარეს უნდა ართმევდეს რაიმე პროცესუალურ უფლებას, ლახავდეს მხარეთა თანასწორუფლებიანობას და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს.[696]

განმხილველი ტრიბუნალი ვალდებულია, გადაწყვეტილებაში ასახოს ის საფუძვლები, რომლებსაც ეყრდნობა მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს გასაჩივრება და გაუქმება.[697] მართალია, ICSID კონვენცია მხარეებს აძლევს უფლებას, მოითხოვონ გაუქმება დასაბუთების სიმცირის შემთხვევაში, მაგრამ გაუქმებისთვის შექმნილი Ad hoc ტრიბუნალი არ შედის შინაარსობრივ განხილვაში და მისი მიზანია მხოლოდ გაუქმების საფუძვლების გამოკვლევა. იგი იძიებს მხოლოდ გაუქმების შესაძლო საფუძვლებს. ამგვარად, 52 (ე) მუხლი უნდა განიმარტოს, როგორც გადაწყვეტილების გაუქმების ლიმიტირებული შესაძლებლობა.[698] საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი საფუძველი, რამაც ტრიბუნალი გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.[699] საქმეში Postava Bank v Greece, ტრიბუნალმა მიუთითა, რომ მიუხედავად ასეთი შეცდომის არსებობისა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესაბამის საფუძ-

[694] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 577-578.

[695] Honlet J-C., Legum B., Crevon A., ICSID Annulment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1448-1449.

[696] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 580.

[697] Honlet J-C., Legum B., Crevon A., ICSID Annulment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1452.

[698] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 579-581.

[699] Honlet J-C., Legum B., Crevon A., ICSID Annulment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1452.

ვლებზე არმითითება მხოლოდ მაშინ უნდა გახდეს გაუქმების საფუძველი თუ ამან შედეგებზე იქონია გავლენა.[700]

კორუფციის ფაქტის საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა არაა დაკავშირებული გადაწყვეტილების შინაარსობრივ მხარესთან. კორუფციასთან დაკავშირებული შემთხვევა სხვა საფუძვლებისგან განსხვავდება იმითაც, რომ 52.2 მუხლის შესაბამისად, მხარე ვალდებულია, კორუფციის ფაქტის აღმოჩენიდან 120 დღის ვადაში მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმება, მაგრამ არაუგვიანეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც ყველა სხვა საფუძვლის შემთხვევაში დადგენილია მხოლოდ 120 დღიანი ვადა. მხარე, რომელიც აპელირებს კორუფციის ფაქტის არსებობის შესახებ, ვალდებულია, წარადგინოს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები.[701]

გამოსაყენებელი სამართლის არასწორად განსაზღვრის გამო, გადაწყვეტილების გაუქმება მიეკუთვნება ტრიბუნალის უფლებამოსილების გადაჭარბების საფუძველს. განსხვავებული მიდგომები ICSID კონვენციის 42.1 მუხლთან დაკავშირებით, ასახულია საარბიტრაჟო პრაქტიკაშიც. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტი იყო საქმე Klöckner v Cameroon. 1985 წელს ეს გადაწყვეტილება გაუქმდა კონვენციის 52-ე მუხლის შესაბამისად, იმ დასაბუთებით, რომ ტრიბუნალმა გადააჭარბა საკუთარ უფლებამოსილებას და არ გამოიყენა კონვენციის 42(1)-ე მუხლით დადგენილი წესები. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით შექმნილმა ad hoc არბიტრაჟმა დაადგინა, რომ დავის განმხილველი ტრიბუნალს არ უნდა ეხელმძღვანელა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმებით და პრინციპებით და მას უნდა გამოეყენებინა ასევე კამერუნში, როგორც საფრანგეთის ყოფილ კოლონიაში, არსებული ფრანგული სამართლის ნორმები.[702] ანალოგიური შედეგი დადგა Amco v Indonesia-ს საქმეზე, გაუქმდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და ad hoc არბიტრაჟმა განაცხადა, რომ მსგავსად, Klöckner v Cameroon საქმისა, ტრიბუნალი გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს, როდესაც მან გამოიყენა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმები.[703] ტრიბუნალების მიერ ამ საქმეებში ძირითადი აქცენტი გაკეთდა

[700] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 579-582.

[701] Honlet J-C., Legum B., Crevon A., ICSID Annulment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1448.

[702] Spierman O., Investment Arbitration: Aplicable Law, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1378-1379.

[703] იქვე, 1379.

ბენეფიციარი სახელმწიფოს კანონმდებლობის გამოყენების აუცილებლობაზე. Klöckner v Cameroon საქმეზე, გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით შექმნილი ad hoc კომიტეტის მიერ, უარყოფილი იქნა შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ICSID კონვენციის შესაბამისად განხილულ დავებში საერთაშორისო სამართალს უნდა ჰქონოდა ზემდგომი და მაკორექტირებელი ფუნქცია. ad hoc კომიტეტმა მიუთითა, რომ მხარეთა შორის გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმების არარსებობისას, დაუშვებელია, დავის მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმებით გადაწყვეტა.[704]

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ ad hoc კომიტეტის გადაწყვეტილება არ არის ზემდგომი გადაწყვეტილება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს შედეგს. გაუქმების შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, საქმის განხილვა მოხდება ხელახლა, კონვენციით დადგენილი წესებით.[705]

რაც შეეხება საქართველოს, საქართველოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა წარედგინა ICSID ცენტრს Ioannis Kardassopoulos v. The Republic of Georgia-ს საქმეზე. ქართული მხარე ითხოვდა, გაუქმებულიყო მიღებული გადაწყვეტილება, რადგან საქართველოს განმარტებით, ტრიბუნალის გადაწყვეტილება ეყრდნობოდა ენერგეტიკის ქარტიის, საქართველოსა და ისრაელის, ასევე საქართველოსა და საბერძნეთის საინვესტიციო შეთანხმებების არასწორად განმარტებას. საქართველო აპელირებდა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებები ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული, თუმცა ტრიბუნალმა არასწორად განსაზღვრა იურისდიქცია და „ძალაში შესვლა" დაუკავშირა ხელმოწერის თარიღს, მიუხედავად იმისა, რომ ხელმოწერისა და ძალაში შესვლის თარიღები განსხვავდებოდა. გაუქმების მოთხოვნას საქართველო აფუძნებდა კონვენციის 52.1(b) და 52.1 (e) მუხლებზე და აცხადებდა, რომ ტრიბუნალმა აშკარად გადააჭარბა თავის უფლებამოსილებებს და, რომ გადაწყვეტილებაში არ იყო დასახელებული საფუძვლები, რომლებსაც გადაწყვეტილება ეყრდნობა. მთლიანობაში, ბათილობის შესახებ განცხადება ემყარებოდა კეთილსინდისიერებისა და თანაზომიერი მოპყრობის სტანდარტებში არბიტრების უხეში ჩარევის საკითხს. ტრიბუნალის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით, აღსრულება შეჩერდა გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ICSID კონვენციის 52.5 მუხლის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს დაევალა შესაბამისი საბანკო გარანტიების წარმოდგენა.[706] აღსრულების შეჩერება მოქმედებდა 2011 წლის

[704] Parra R. A., ICSID, an Introduction to the Convention an Centre, Oxford University Press, 2020, 76

[705] Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020, 582.

[706] DECISION OF THE AD HOC COMMITTEE ON THE STAY OF ENFORCEMENT OF THE

19 ნოემბრამდე, რის შემდეგაც შეჩერების პროცესი აღარ გაგრძელდა, რადგან საქართველომ არ წარმოადგინა განსაზღვრული საბანკო გარანტია.[707] გაუქმებისთვის შექმნილი ad hoc ტრიბუნალის 2011 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დასახელებულ საქმეზე შეჩერდა 2010 წლის 3 მარტის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განცხადების განხილვაც.[708] საბოლოოდ, 2011 წლის 10 ნოემბერს, ინვესტორმა მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.[709] ამ საქმესთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი ინვესტორი რონი ფუქსი დაკავებული იქნა საქართველოში, 2010 წლის მარტში და სასჯელს იხდიდა კორუფციის ბრალდებით 2011 წლის 2 დეკემბრამდე, ვიდრე არ გათავისუფლდა მაშინდელი პრეზიდენტის შეწყალების აქტით, რასაც წინ უძღოდა რონი ფუქსისა და იოანის კარდასოპულოსის კომპანია Tramex International Inc-ს და საქართველოს შორის მორიგება.[710] რონი ფუქსის დაპატიმრებას და საქართველოს სახელმწიფოსთან საბოლოო მორიგებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ[711] და უცხოურ მედიაში.[712]

8.4. სხვა საარბიტრაჟო ცენტრების გადაწყვეტილების განმარტების, გადასინჯვისა და გაუქმების შესაძლებლობა

ICSID კონვენციისგან განსხვავებით, რომელიც თავად ადგენს განმარტების, გადასინჯვის და გაუქმების პროცედურებს,[713] სხვა საარბიტრაჟო ცენ-

AWARD; ICSID Case No s. ARB/05/18 and ARB/07/15 (Annulment Proceeding), <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0446.pdf >[30.11.2023]

707 January 19, 2011; Decision of the ad hoc Committee to terminate the Stay of Enforcement of the Award; ICSID Case No s. ARB/05/18 and ARB/07/15 (Annulment Proceeding), <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw3029.pdf> [30.11.2023]

708 12 November, 2010; Decision of the ad hoc Committee to terminate the Stay of Enforcement of the Award; ICSID Case No s. ARB/05/18 and ARB/07/15, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw3029.pdf> [30.11.2023]

709 Claimants' Request for the Recognition and Enforcement of Arbitral Award, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9199.pdf> [30.11.2023]

710 <https://dfwatch.net/georgia-pardons-israeli-businessmen-following-deal-over-pipelines-34384-2196> [30.11.2023]

711 <https://www.amerikiskhma.com/a/israeli-businessmen-georgia-135093908/537393.html?fbclid=IwAR3TiAX87vJHBLkthNMxwNncr_eJ9k6i9sEqg7etN19EenTNAsF-MX5nhpc> [30.11.2023]

712 <https://eurasianet.org/georgia-saakashvili-pardon-of-two-israeli-entrepreneurs-raises-questions> [30.11.2023]

713 Honlet J-C., Legum B., Crevon A., ICSID Annulment, International Investment Law, edited by Marc Bungenberg, Jorn Griebel, Stephan Hobe, August Reinisch, Yun-I Kim, Baden-Baden, Hart Publishing, 2015, 1432.

ტრებში თუ ad hoc არბიტრაჟებში მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში, თავად ეს ტრიბუნალები და ცენტრები იქნებიან უფლებამოსილნი ანალოგიურ პროცედურებზე, ტრიბუნალის საარბიტრაჟო წესებისა და განხილვის ადგილზე მოქმედი შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით. მაგალითისთვის, ინგლისის 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის 57-ე სექციის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ ტრიბუნალს მიანიჭონ უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით შეასწოროს მექანიკური შეცდომები, მიიღოს დამატებითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების ნებისმიერი შესწორება გახდება ამავე გადაწყვეტილების ნაწილი.[714]

UNCITRAL-ის 1994 წლის მოდელური კანონის 33-ე მუხლი იძლევა შესაძლებლობას, საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მოხდეს მიღებული გადაწყვეტილებების განმარტება, შესწორება და დამატებითი გადაწყვეტილებების მიღება.[715] მსგავსი დანაწესებია მოცემული UNCITRAL-ს მოდელური კანონის 2006 წლის ცვლილებების 33-ე მუხლშიაც.[716] საგულისხმოა, რომ სწორედ UNCITRAL-ის მოდელური კანონი გახდა არაერთი ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობის საფუძველი, მათ შორისა საქართველოც.[717] მაგალითისთვის, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მიხედვით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, დადგენილი პროცედურის მიხედვით, თითოეულ მხარეს შეუძლია, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში არსებული ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება.[718] ასევე, მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანს წარმოადგენდა, მაგრამ არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში არაა ასახული.[719]

მსგავსად მოდელური კანონისა, UNCITRAL-ის 2021 წლის საარბიტრაჟო წესების მე-4 სექციის 37-39 მუხლებიც ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტების, შესწორების და დამატებითი გადაწყვეტილების

[714] <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/section/57> [30.11.2023]

[715] UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, United Nations 1994, Art. 33. <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/06-54671_ebook.pdf> [30.11.2023]

[716] UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985 With amendments as adopted in 2006, UNITED NATIONS Vienna, 2008, Art. 33. <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf> [30.11.2023]

[717] მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2020, 34.

[718] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[719] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მეორე პუნქტი.

მიღების შესაძლებლობას.[720] UNCITRAL-ის წესები წარმოადგენს საინვესტიციო შეთანხმებებში ძალიან ხშირად გავრცელებულ პროცედურებს. ამის მაგალითია, საქართველოსა და იტალიას შორის არსებული შეთანხმების 9.3(ა) პუნქტი, რომლის თანახმადაც, „ad hoc"-ის საარბიტრაჟო სასამართლოსთვის დავის გადაცემის შემთხვევაში განხილვა მოხდება საერთაშორისო სავაჭრო კანონის შესახებ გაერთიანებული ერების კომისიის (UNCITRAL) საარბიტრაჟო წესის შესაბამისად. მასპინძელი მხარე იღებს ვალდებულებას მიიღოს ნახსენები საარბიტრაჟო სასამართლო.[721]

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტებისა და ცვლილებებისგან განსხვავებით, როგორც წესი, ICSID კონვენციის გარეთ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების უფლება აქვთ საარბიტრაჟო განხილვის ქვეყანაში არსებულ სასამართლოებს[722] და არა საარბიტრაჟო ტრიბუნალებს. მაგალითისთვის, ერთ-ერთი საქმეზე,[723] 2015 წელს, სააპელაციო სასამართლომ (Svea Court of Appeal) გააუქმა სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის (SCC) 2013 წლის 9 დეკემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რადგან საარბიტრაჟო ტრიბუნალი გასცდა მხარეთა მინიჭებულ მანდატს.[724] განხილვის ადგილის ქვეყნის კანონმდებლობაზე უთითებს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციაც, რომლის მე-5 და მე-6 მუხლებში მოცემულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების და აღსრულების შეჩერების შესაძლებლობა განხილვის ადგილზე არსებული კომპეტენტური ორგანოების მიერ.[725]

საქართველოს შემთხვევაში, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 42.1 მუხლის თანახმად, საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ერთადერთი საპროცესო საშუალებაა სასამართლოს

[720] UNCITRAL Arbitration Rules, UNITED NATIONS Vienna, 2021, Art. 37-39; <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/21-07996_expedited-arbitration-e-ebook.pdf> [30.11.2023]

[721] საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ" შეთანხმების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტი.

[722] არ არის გამორიცხული, ცალკეულ შემთხვევებში, გაუქმების შესაძლებლობას ითვალისწინებდეს კონკრეტული საარბიტრაჟო ცენტრის წესები ან მხარეთა შეთანხმება.

[723] First National Petroleum Corporation v. OAO Tyumenneftegaz (II), SCC Case No. 196/2011, <https://jusmundi.com/en/document/decision/en-first-national-petroleum-corporation-v-oao-tyumenneftegaz-i-judgement-of-the-court-of-appeal-thursday-25th-june-2015> [30.11.2023]

[724] <https://jusmundi.com/en/document/decision/en-first-national-petroleum-corporation-v-oao-tyumenneftegaz-i-judgement-of-the-court-of-appeal-thursday-25th-june-2015> [30.11.2023]

[725] „უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლები.

მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება შესაძლებელია თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, მხარე არ იყო უფლებამოსილი, ხელი მოეწერა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, მხარეს სათანადოდ არ ეცნობა არბიტრის დანიშვნის და განხილვის პროცედურები, არბიტრაჟის შემადგენლობის დაკომპლექტება მოხდა არასწორად, მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა პოზიციის წარდგენის, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.[726] მიჩნეულია, რომ საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა წარმოადგენს ბათილობის საფუძველს უმეტეს მართლწესრიგში.[727] როგორც ვხედავთ, გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს სავალდებულო პროცედურების ან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა. ამასთან, გაუქმება არ ნიშნავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსობრივი საკითხების გადასინჯვას ან გადაწყვეტილების აპელაციას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე უფლებამოსილ სასამართლოებს წარმოადგენენ ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოები, ტერიტორიულობის მიხედვით.[728]

8.5. არბიტრაჟის დროებითი ღონისძიებების ცნობა-აღსრულება

მნიშვნელოვანი საკითხია ტრიბუნალის მიერ სპეციალური ღონისძიებების გამოყენება გადაწყვეტილების მიღებამდე. ეს ეხება როგორც ICSID ტრიბუნალებს, ასევე სხვა მუდმივმოქმედ და დროებით (ad hoc) საარბიტრაჟო ტრიბუნალებს.

საერთაშორისო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, სახელმწიფოები ნებაყოფლობით ასრულებენ არბიტრაჟის დროებით განკარგულებებს, რათა თავიდან აირიდონ უარყოფითი დამოკიდებულება და სხვა შესაძლო ნეგატიური შედეგები. ამასთან, აღიარებულია, რომ თავად არბიტრაჟს არ შეუძლია ასეთი დროებითი განკარგულებების იძულებითი აღსრულება.[729]

---

[726] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

[727] Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2019, 820.

[728] „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[729] მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2020, 172-173.

ICSID კონვენციის შექმნის ისტორია გვაჩვენებს, რომ ავტორებს და ხელმომწერ სახელმწიფოებს არ სურდათ, ICSID ტრიბუნალი ყოფილიყო აღჭურვილი უფლებით, გამოეყენებინა სავალდებულოდ შესასრულებელი დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებები. ტრიბუნალის ასეთ გადაწყვეტილებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. შესაბამისად, ტრიბუნალი უფლებამოსილია, თუ მიიჩნევს, რომ გარემოებები ასე მოითხოვს, გასცეს რეკომენდაცია ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებაზე მხარეთა შესაბამისი უფლებების დასაცავად.[730]

ICSID-ის ახალი 2022 წლის საარბიტრაჟო წესების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია ტრიბუნალს სთხოვოს, რომ მან გამოიყენოს დროებითი ღონისძიება, რათა თავიდან იქნეს არიდებული ისეთი ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მხარეს ან დააზიანოს საარბიტრაჟო პროცესი, დავის დასრულებამდე შენარჩუნდეს ან არსებული სტატუს კვო. მხარეს ასევე უფლება აქვს, ტრიბუნალს სთხოვოს, უზრუნველყოს იმ მტკიცებულებების შენახვა, რომლებიც შესაძლოა იყოს რელევანტური და მნიშვნელოვანი დავის გადაწყვეტისათვის. ტრიბუნალის დროებით ღონისძიებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ რეკომენდაცია ტრიბუნალმა შესაძლოა მიიღოს საკუთარი ინიციატივითაც, მხარეთაგან დამოუკიდებლად.

მიუხედავად საარბიტრაჟო სარჩელთან დაკავშირებული დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ ICSID ტრიბუნალის გადაწყვეტილების სარეკომენდაციო ხასიათისა, ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გარკვეულწილად, ასეთ რეკომენდაციებს მაინც აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა კონვენციის წევრი ქვეყნებისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფოს მხრიდან ტრიბუნალის რეკომენდაციების შეუსრულებლობამ შეიძლება გავლენა იქონიოს არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილებაზე და სახელმწიფოს დამოკიდებულება იქნეს ტრიბუნალების მიერ მხედველობაში მიღებული.[731]უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია აძლევს მხარეებს უფლებას, შეთანხმდნენ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სავალდებულო ხასიათზე. რეალურად, მხარეებს უფლება აქვთ, თავიანთი შეთანხმებით მიანიჭონ ტრიბუნალს უფლებამოსილება, მიიღოს შესასრულებლად სავალდებულო დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებები.[732]

---

[730] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 140.

[731] იქვე, 140.

[732] იქვე, 140.

მსგავსად ICSID კონვენციისა, არც ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია პირდაპირ არ ადგენს, რომ დროებითი ღონისძიებების აღსრულება სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის. სავალდებულოობა ეხება მხოლოდ გადაწყვეტილებას (Award), რის გამოც სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს დროებითი ღონისძიებების აღსრულების ვალდებულებასთან დაკავშირებით.[733]

ტრიბუნალების მიერ გამოყენებული დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. მაგალითისთვის, საქმეზე (Vacuum Salt v Ghana), მოსარჩელე ინვესტორი ითხოვდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დროებითი ღონისძიების გამოყენებას, რათა მას ჰქონოდა კორპორაციულ ჩანაწერებზე წვდომა. ეს ჩანაწერები იყო იმ საწარმოში, რომლის ექსპროპრიაციაც უკვე მოხდა. ამ საქმეში, მოპასუხე სახელმწიფო საკუთარი ნებით დაეთანხმა ინვესტორს, ჰქონოდა შეუფერხებელი წვდომა კორპორაციულ ჩანაწერებზე.[734]

დროებითი უზრუნველყოფის სფეროს ხასიათთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი საქმე იყო Quiborax v. Bolivia, სადაც ბოლივიამ, ინვესტორის მიმართვიდან 6 თვის შემდეგ, რომლითაც მოთხოვნილი იყო მეგობრული კონსულტაციების გამართვა, დაიწყო ინვესტორი კომპანიის შემოწმება. აუდიტის დაწყების საფუძველი გახდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნა, რათა აუდიტს დაედგინა, ინვესტორი კომპანიის მეწილეები იყვნენ თუ არა ჩილელი ინვესტორები. დოკუმენტების მოკვლევის შემდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ინვესტორთა მიმართვის საფუძველზე, ტრიბუნალმა დაავალა ბოლივიას, შეეჩერებინა სისხლისსამართლებრივი პროცედურები ICSID ცენტრში საარბიტრაჟო დავის დასრულებამდე და ასევე არ წამოეწყო ახალი სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა განსახილველ დავასთან.[735] საქართველოს შემთხვევაში, თუნდაც ასეთი ღონისძიება სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდეს, ნაკლებად სავარაუდოა, მსგავსი შინაარსის დროებითი უზრუნველყოფის აღსრულებისათვის მითითებული იქნეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმები.

დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრეცენდენტი იყო სტოკჰოლმის კომერციულ არბიტრაჟის

[733] მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2020, 185-186.

[734] Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by Cristopher F Dugan, Borzu Sabahi, Noah Rubins, Don Wallace, jr, Oxford University Press, 2008, 141-142.

[735] 26 February 2010, Decisions on Provisional Measures, Quiborax S.A., Non Metallic Minerals S.A. and Allan Fosk Kaplún CLAIMANTS v. Plurinational State of Bolivia RESPONDENT ICSID Case No. ARB/06/2, <https://www.italaw.com/cases/885> [30.11.2023]

გადაწყვეტილება საქართველოსთან დაკავშირებულ საქმეზე. კერძოდ, ზაზა ოქუაშვილმა მიმართა სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს შუამდგომლობით, რათა შეჩერებულიყო ქართული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება. მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. საგანგებო არბიტრის 2019 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით, საქართველოს ხელისუფლებას აეკრძალა საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება.[736] ამ საქმეში განსაკუთრებით საინტერესოა შემდგომი, 2019 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, სადაც დროებითმა არბიტრმა დაუშვებლად მიიჩნია დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს სუვერენიტეტთან წინააღმდეგობის გამო.[737]

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების დარღვევაზე მითითებით, საქმეზე Nasib Hasanov v. Georgia, საარბიტრაჟო მოსარჩელემ მოითხოვა ICSID ტრიბუნალის მიერ დროებითი უზრუნველყოფის მიღება. ტრიბუნალის 2022 წლის 14 ივნისის დროებითი განკარგულებით, საარბიტრაჟო დავის დასრულებამდე, საქართველოს აეკრძალა გარდა „კავკასუს ონლაინის" საქმიანობის შეჩერება. გარდა ამისა, საქართველოს აე-

[736] Zaza Okuashvili v. Georgia SCC Case No. V 2019/058, <https://www.italaw.com/cases/9965> [30.11.2023]

[737] ამ საქმესთან დაკავშირებით, 2023 წლის 30 ნოემბრისთვის, დროებითი არბიტრის 2019 წლის 2 აპრილის და 19 ივლისის გადაწყვეტილებები არ არის საჯარო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მედიაში გაცხადებული ინფორმაციის თანახმად, საგანგებო არბიტრმა, ახალი, 2019 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, უარი უთხრა ოქუაშვილს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სამინისტროს განმარტებით, არბიტრმა თავისი გადაწყვეტილება, ასევე, დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ თავისი სუვერენული უფლების განხორციელებას – გადასახადების მოკრებას, რა დროსაც საგანგებო არბიტრის უფლებამოსილება შეზღუდულია, ვინაიდან არ უნდა მოხდეს სახელმწიფო სუვერენიტეტში არასათანადო ჩარევა. არბიტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საგადასახადო დავალიანებასთან, რომლის არსებობას თავად განმცხადებელიც აღიარებს. ამასთან, საგანგებო არბიტრის განმარტებით, საგანგებო არბიტრაჟის არსი ისაა, რომ შესაბამის მხარეს მიანიჭოს მოკლევადიანი დაცვა საარბიტრაჟო პროცესის დაწყებამდე. როგორც არბიტრმა აღნიშნა, ოქუაშვილის მოთხოვნა – მეორედ იქნეს დადგენილი დროებითი ღონისძიება, წარმოშობს პროცედურის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან რეალურად ის ითხოვს ვადაგასული დროებითი ღონისძიების განახლებას. საგანგებო არბიტრის განცხადებით, ოქუაშვილმა ერთხელ უკვე მიიღო ეს ღონისძიება 2 აპრილის გადაწყვეტილებით, რომელსაც მოქმედების 90-დღიანი ვადა ჰქონდა; განმცხადებელს უნდა გაეთვალისწინებინა გადაწყვეტილების ვადის გასვლის შესაძლებლობა და წინასწარ მიეღო სათანადო ზომები, რათა თავიდან აეცილებინა იმ გარემოების დადგომა, რამაც ვადის გასვლა გამოიწვია. <https://1tv.ge/news/zaza-oquashvilis-motkhovna-stokholmis-saarbitradjo-sasamartlom-ar-daakmayofila/> [30.11.2023]

კრძალა „კავკასუს ონლაინის“ წილების ცვლილება.[738] ამ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პოზიციით, ნასიბ ჰასანოვმა უკანონოდ შეიძინა დასახელებული კომპანიის წილები.[739] როგორც ვხედავთ, რეკომენდაცია საკმაოდ ფართოა და ინვესტორი კომპანიის საქმიანობის შეჩერების აკრძალვის გარდა, სახელმწიფოს უკრძალავს წილების ცვლილების რეგისტრაციას და ახალი გარიგებების დადებას.

დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულების ვალდებულებაზე, ერთგვარად, ირიბი მინიშნება გვხდება საქართველოსა და რუმინეთს შორის არსებული შეთანხმების[740] 9.4 მუხლში, რომლის მიხედვითაც, ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არის დავის მონაწილე მხარე, საინვესტიციო დავის მოგვარების პროცედურების განმავლობაში ნებისმიერ დროს, თავის დაცვის მიზნით არ გამოიყენებს მის იმუნიტეტს. რადგან საუბარია ზოგადად პროცედურებზე, შეიძლება იმგვარი განმარტებაც, რომ ამაში უნდა შევიდეს დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებებიც და არამხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილება.

საინტერესო მიდგომაა ქუვეითთან არსებულ საინვესტიციო შეთანხმებაში. კერძოდ, 8.4.4 მუხლის თანახმად, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ინვესტორს შეუძლია მე-2 პუნქტის შესაბამისად დავა გადასცეს სავალდებულო არბიტრაჟს, მას შეუძლია საარბიტრაჟო სამართალწარმოების აღძვრამდე ან მის პროცესში მოითხოვოს მოდავე ხელშემკვრელი მხარის სასამართლო ან ადმინისტრაციული ტრიბუნალისგან რისამე გაკეთების ან რისამე გაკეთებისაგან თავის შეკავების შესახებ დროებითი ბრძანების (injunctive relief) გამოცემა თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, იმ პირობით, რომ იგი არ შეიცავს რაიმე ზარალის ანაზღაურების მოთხოვნას.[741] ქუვეითთან არსებული შეთანხმების ეს დათქმა, მართალია, ინვესტორს აღჭურავს უფლებით, საერთაშორისო საარბიტრაჟო დავის პარალელურად, მიმართოს ადგილობრივ სასამართლოებს დროებითი ღონისძიებების (უზრუნველყოფის ღონისძიებები) გამოყენების მოთხოვნით, თუმცა იმავე დროს, აუფერულებს ინვესტორის არ-

[738] Decision on Claimant's Application for Provisional Measures, June 14, 2022; Nasib Hasanov v. Georgia, ICSID Case No. ARB/20/44, <https://www.italaw.com/cases/8643> [30.11.2023]

[739] <https://www.comcom.ge/ge/yvela-siaxle/kavkasus-onlainis-ukanono-mflobeli-nasib-hasanovi-ukve-daufaravad-ambobs-rom-saqartvelos-kanoni-ganzrax-daargvia.page> [30.11.2023]

[740] საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

[741] საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების 8.4.4 მუხლი.

გუმენტებს, იმავეს გაკეთება მოითხოვოს განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალისგან, რადგან უკვე განსაზღვრულია უფლებამოსილ ორგანოდ ადგილობრივი სასამართლოები.

დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებით, ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება რთულია იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ ხშირად, საინვესტიციო შეთანხმებები ალტერნატივის სახით შეიცავენ სხვადასხვა საარბიტრაჟო ცენტრისთვის მიმართვის უფლებას, რასაც განსხვავებული შედეგები აქვს აღსრულების კუთხითაც. ამ მხრივ, საინტერესოა საქართველოსა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმება, რომლის 10.3 მუხლი ინვესტორს აძლევს უფლებას, აირჩიოს ICSID ცენტრი, პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო ან სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი.

მიუხედავად იმისა, რომ არც ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია და არც ICSID კონვენცია ამას არ მოითხოვს, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი სავალდებულოდ აღსასრულებლად მიიჩნევს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებსაც. კერძოდ, 21.1 მუხლის მიხედვით, არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვს სავალდებულო ძალა და ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის აღნიშნული ღონისძიება. შესაბამისად, თეორიულად შესაძლებელია ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციისა და ICSID კონვენციის ფარგლებს გარეთ მიღებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების საქართველოში ცნობა-აღსრულებაც.

„არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამასთან, 21-ე მუხლი ადგენს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ცნობა-აღსრულება უნდა მოხდეს ამავე კანონის 22-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლო მხედველობაში მიიღებს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს.[742]

[742] უცხოეთში მიღებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა-აღსრულებაზე უფლებამოსილ ორგანოსთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი პოზიცია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2.1 „ა“ მუხლი ამავე კანონის 22-ე მუხლთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოდ სააპელაციო სასამართლოებს მიიჩნევს, გამოთქმულია მოსაზრებები, რომ უცხოეთში მიღებულ საარბიტრაჟო სა-

თუ საქმის განხილვა მიმდინარეობს არბიტრაჟში, არბიტრაჟის გარდა, ქართული კანონმდებლობა უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ მხარემ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. ამასთან, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, საარბიტრაჟო განხილვის ადგილისგან დამოუკიდებლად, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებები, რაც განსაზღვრულია სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით.[743] ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან მიმართებით.[744]

არბიტრაჟის დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან უნდა განვასხვაოთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომელიც მიიღება გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებისათვის. ამასთან დაკავშირებით, უზენაეს სასამართლოში არსებობს შესაბამისი პრეცედენტიც. საქმე ეხებოდა პოლონეთის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების საქართველოში ცნობა-აღსრულებას. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მსგავსად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. საკასაციო პალატის განმარტებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობა შეიძლება, იმ შემთხვევაში წარმოიშვას, თუ საარბიტრაჟო მოსარჩელეს დავის დასრულებამდე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა არ გაუკეთებია და, თუ საარბიტრაჟო გადა-

---

რჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა აღსრულებაზეც სააპელაციო სასამართლოები უნდა იყვნენ კომპეტენტურები. ეს პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან 21-ე მუხლი ადგენს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ცნობა-აღსრულება უნდა მოხდეს ამავე კანონის 22-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, რაც ისე უნდა განიმარტოს, რომ ცნობა-აღსრულების შემთხვევაში, უზენაესი სასამართლო იყენებს იმ წესებს, რაც სააპელაციო სასამართლოებისთვისაა დადგენილი. დამატებით, იხ., მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2020, 182-183; ჩომახიძე ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიდწლეული, 2013, 106.

743 „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

744 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ა-2498-შ-72-2022.

წყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტამდე (სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე) ამ გადაწყვეტილების აღსრულების საჭიროება წარმოიშვა. საბოლოოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რადგან საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა.[745] სხვა საქმეზე, სადაც განიხილებოდა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხი, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების“ 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღასრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია საარბიტრაჟო პროცესში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. სასამართლო დამატებით მიუთითა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.[746]

8.6. მედიაციისა და კონსილაციის გზით მიღწეული მორიგებების აღსრულება

მართალია, არსებობის დღიდან, საარბიტრაჟო განხილვის წესების პარალელურად, ICSID კონვენცია შეიცავს კონსილაციის პროცედურებსაც, თუმცა აღსრულების ვალდებულება გაწერილია მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემთხვევაში. შესაბამისად, ICSID ცენტრში კონსილაციისა[747] თუ მედიაციის წესების[748] მიხედვით მიღწეული შეთანხმებები არ აღსრულდება ICSID

[745] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ა-2498-შ-72-2022.

[746] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ა-3421-შ-93-2019.

[747] ICSID Conciliation Rules, <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/Conciliation_Rules.pdf> [30.11.2023]

[748] ICSID Mediation Rules, <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/ICSID_Mediation_Rules.pdf> [30.11.2023]

კონვენციით დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო უარს განაცხადებს ასეთი შეთანხმებების აღსრულებაზე, შესაძლოა, საუკეთესო შემაკავებელი ბერკეტი იყოს ისევ მშობლიური სახელმწიფოსგან დიპლომატიური დაცვა, მსოფლიო ბანკის რეპუტაცია და მისგან მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები და სხვა ინვესტორებთან მიმართებით რეპუტაციული რისკების თავიდან არიდება.

აღსრულების მიზნებისათვის, შეთანხმებული წესებისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია, რომ სამედიაციო მორიგება გარდაიქმნას საარბიტრაჟო შეთანხმებად.[749] ასეთ დროს, მხარეები თანხმდებიან მედიაციის პროცესის ad hoc არბიტრაჟად გარდაქმნაზე და მიღწეულ შეთანხმებას აძლევენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმას.[750] მიჩნეულია, რომ მედიაციის ან კონსილაციის პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმება მაშინაც შეიძლება კი არ იქნეს მიჩნეული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად და მოექცეს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მოქმედების სფეროში, თუ კონკრეტული მედიაციის ან კონსილაციის წესები ითვალისწინებენ სამედიაციო მორიგების საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად გარდაქმნის შესაძლებლობას.[751] მაგალითისთვის, სტოკჰოლმის კომერციული საარბიტრაჟო პალატის (SCC) განხილვის წესები იძლევა შესაძლებლობას, მხარეებმა მედიატორი დანიშნონ არბიტრად და სამედიაციო შეთანხმება დააკვალიფიცირონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი შემთხვევებიც კი აღიარებულ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად.[752]

იმის გათვალისწინებით, რომ არც ICSID კონვენცია და არც ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია არ ადგენენ მედიაციისა და კონსილაციის გზით მიღწეული შეთანხმებების აღსრულების წესებს, გამოსავალს შეიძლება წარმოადგენდეს მედიაციის შესახებ სინგაპურის კონვენციის გზით აღსრულება.[753] 2018 წლის 20 დეკემბერს, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების კონვენცია, რომელიც შეიმუშავა საერთაშორისო სავაჭრო სა-

[749] Koo, K.C. A., Enforcing International Mediated Settlement Agreements, Muruga Perumal RAMASWAMY and João RIBEIRO, eds., Harmonising Trade Law to Enable Private Sector Regional Development (UNCITRAL Regional Centre for Asia and the Pacific) 2017, 85. <https://ssrn.com/abstract=3102147> [30.11.2023]

[750] იქვე, 85.

[751] Kryvoi Y., Davydenko D., Consent Awards in International Arbitration: From Settlement to Enforcement, Brooklyn Journal of International Law, Volume 40, Issue 3, Article 3, 862-863.

[752] იქვე, 862-863

[753] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“, 07.08.2019.

მართლის კომისიამ (UNCITRAL).[754] ამით დასრულდა 2014 წელს დაწყებული რთული მოლაპარაკებების პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მსგავსი საერთაშორისო აქტის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო კომერციულ დავებში მიღწეული სამედიაციო მორიგებების ცნობა-აღსრულების საერთაშორისო მექანიზმების დანერგვას.[755] სინგაპურის კონვენცია ძალაში შევიდა 2020 წლის 12 სექტემბრიდან.[756] კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს მიერაც.[757]

უნდა ითქვას, რომ სინგაპურის კონვენცია მოიცავს კონსილაციის შემთხვევასაც. ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, „მედიაცია" ნიშნავს პროცესს, იმის მიუხედავად, თუ როგორ მოიხსენიება იგი, ან იმ საფუძვლის მიუხედავად, რომელზე დაყრდნობითაც მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი, რომლის დროსაც მხარეები ცდილობენ მათი დავის მშვიდობიანად მოგვარებას იმ მესამე პირის ან პირების („მედიატორი") დახმარებით, რომელთაც არ გააჩნიათ უფლებამოსილება, დავის მონაწილე მხარეებს დაუწესონ დავის მოგვარების საკუთარი გზა.[758] როგორც ვხედავთ, მიუხედავად ცალკეული სახესხვაობებისა, ამ განმარტებაში თავისუფლად ექცევა კონსილაციის პროცესიც.

მიუხედავად „სინგაპურის კონვენციის" მზარდი პოპულარობისა და აშკარა დადებითი შედეგისა, ინვესტორებისთვის ეს ბოლომდე მაინც არ წყვეტს მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმებების აღსრულების პრობლემას, რადგან თავად კონვენციის 8.1(a) პუნქტის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია გააკეთოს დათქმა, რომ იგი ამ კონვენციას არ გამოიყენებს მორიგების იმ შეთანხმებების მიმართ, რომელთა ერთ-ერთი მხარეც არის ის ან რომელთა ერთ-ერთი მხარეც არის ნებისმიერი სამთავრობო დაწესებულება ან რომელიმე სამთავრობო დაწესებულების სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი, აღნიშნულ განცხადებაში მითითებულ ფარგლებში. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სინგაპურის კონვენციის გზით მიღწეული

[754] Silvestri E., the Singapore Convention on Mediated Settlement Agrements: A New String to the Bow of Iinternational Mediation?, (2019) No 3 (4) Access to Justice in Eastern Europe, 5.

[755] Chua E., The Singapore Convention on Mediation—A Brighter Future for Asian Dispute Resolution, Asian Journal of International Law, 9(2019), 195.

[756] Morris-Sharma., N, The Singapore Convention: A Milestone for Mediation, BCDR International Arbitration Review Volume 6, Issue 2 (2019) 261.

[757] "მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 22 ივნისის დადგენილება N 666-IVმს-Xმპ.

[758] "მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

სამედიაციო მორიგების შეთანხმებები ექვემდებარებიან ცნობა-აღსრულების პროცედურებს.[759]

თეორიულად, შესაძლებელია, რომ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება აღსრულდეს სხვა სახელმწიფოს მიერაც, სინგაპურის კონვენციის შესაბამისად. ამის განხილვის შესაძლებლობას იძლევა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ მორიგების აქტი წარედგინება კონვენციის მხარეს (წევრ სახელმწიფოს) და აღსრულდება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ თუ არ იარსებებს აღსრულებაზე უარის თქმის კონვენციის მიერ დადგენილი საფუძვლები.[760]

რაც შეეხება ევროკავშირს, ევროკავშირის მასშტაბით, ჯერ კიდევ 2008 წელს იქნა მიღებული ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა, რომლის მე-6 მუხლის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოში შესაძლებელია სამედიაციო მორიგებების აღსრულება შესაბამისი ადგილობრივი სასამართლოების ან სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ, თუ სამედიაციო მორიგებები არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.[761] დირექტივა ეხება კომერციული და სამოქალაქო მედიაციის შემთხვევებს, თუმცა არ გამორიცხავს დირექტივის რეგულაციების გავრცელებას საერთაშორისო მედიაციაზეც.[762] ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებები ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გააუქმეს 2020 წლის 29 მაისის შეთანხმებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაუქმება შეეხო ამ შეთანხმებებში არსებულ მედიაციასთან დაკავშირებულ დათქმებსაც.

იმ შემთხვევაში, თუ თუ მედიაციის ან კონსილაციის მონაწილე სახელმწიფო არაა არც სინგაპურის კონვენციის წევრი, მეტწილად, ინვესტორი დამოკიდებული იქნება სახელმწიფოს კეთილ ნებაზე და მშობლიური სახელმწიფოს დიპლომატიური არხების დაცვის მოლოდინზე.

---

759 მაგალითისთვის, საქართველოს შემთხვევაში, სინგაპურის კონვენციის ფარგლებში მიღწეული სამედიაციო მორიგებები უნდა აღსრულდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 36343 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

760 "მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-5 მუხლი.

761 Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on certain aspects of mediation in civil and commercial matters, Art. 6, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1539262656162&uri=CELEX:32008L0052> [30.112023]

762 ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2023,.44.

დასკვნა

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი. იმისათვის, რომ ინვესტორს ჰქონდეს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე წვდომის უფლებამოსილება, აუცილებელი წინაპირობაა უცხოური ინვესტიციის არსებობა. საინვესტიციო სამართალში არ არსებობს ინვესტიციის ერთიანი დეფინიცია. მეტწილად, უცხოური ინვესტიციის განსაზღვრება დამოკიდებულია მხარეებზე და მათ შეუძლიათ შესაბამისი კრიტერიუმების დადგენა საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებაში ან ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დადებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში (კონტრაქტში). შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალები მხოლოდ ისეთ დავებზე დაიდგენენ იურისდიქციას, თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავა ეხება უცხოურ ინვესტიციებს. ამასთან, უცხოელი ინვესტორი ყოველთვის იქნება უფლებამოსილი, მიმართოს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებს იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმით განახორციელა მან ინვესტიცია მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მთავარია, კონკრეტული ეკონომიკური აქტივობა აღიარებული იყოს უცხოურ ინვესტიციად.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საქართველოს მონაწილეობით, რომელიმე სახელმწიფოსთან დადებული საინვესტიციო შეთანხმებაში განსაზღვრული ინვესტიციის ცნება არსებითად განსხვავდება არათუ შიდა კანონმდებლობაში მოცემული ინვესტიციის ცნებისგან, არამედ საქართველოსა და სხვა მეორე სახელმწიფოს შორის დადებული სხვა საინვესტიციო შეთანხმებების მოწესრიგებისგანაც. რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნების ეკონომიკური წონისა და პოლიტიკური გავლენების გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს მოუწევს შემოთავაზებული პირობებით შეთანხმებების დადება, თუმცა მიზანშეწონილი იქნება, თუ მოხდება გარკვეული საერთო ხაზისა და მიდგომების ჩამოყალიბება უცხოური ინვესტიციის განსაზღვრების ქართულ მოდელთან მიმართებით.

იმისათვის, რომ ინვესტორმა მიიღოს წვდომა დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე და მოექცეს ICSID კონვენციით ან სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებებით დადგენილ რეგულირებაში, აუცილებელია, რომ ეს ინვესტორი აკმაყოფილებდეს უცხოელი ინვესტორად ყოფნის წინაპირობებს. სხვა შემთხვევაში, ბენეფიციარ სახელმწიფოსთან დავის არსებობისას, ინვესტორს მოუწევს მხოლოდ დავის გადაწყვეტის შიდა მექანიზმებით და ეროვნული სასამართლოებით დაკმაყოფილება. „ნაციონალობის“

განსასაზღვრად, როგორც წესი, ფიზიკური პირების შემთხვევაში მთავარი განმსაზღვრელია ამ პირის მოქალაქეობა. იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, საერთაშორისო საინვესტიციო პრაქტიკაში გავრცელებულია საქმიანობის ადგილის, რეგისტრაციის ადგილის, სათავო ოფისის ადგილსამყოფლის, ასევე მაკონტროლებელი პირების ადგილსამყოფლის კრიტერიუმები. შეიძლება ეს კრიტერიუმები არსებობდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთდროულად რამდენიმე მათგანი.

პრობლემური და ურთიერთშეუსაბამოა საქართველოს მიდგომა ინვესტორი ფიზიკური და იურიდიული პირი ეროვნულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, უცხოელი ინვესტორი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქეც კი, თუ იგი მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ. ამის საპირისპიროდ, განსხვავებული მიდგომა აქვს ICSID კონვენციას და საქართველოს მიერ დადებული საინვესტიციო შეთანხმებების უმეტესობას. მაგალითისთვის, ჩინეთთან არსებული საინვესტიციო შეთანხმების პირველი კარში მითითებულია, რომ ფიზიკური პირების მიმართ კუთვნილების განმსაზღვრელია მხოლოდ მოქალაქეობა და არა მისი საცხოვრებელი ადგილი. ურთიერთშეუსაბამო დათქმების გათვალისწინებით, საქართველოს მოქალაქეს მხოლოდ მაშინ შეეძლება საქართველოს მიმართ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება, თუ შეთანხმება გაკეთებულია ისეთ დავის გადაწყვეტის ცენტრზე ან ad hoc არბიტრაჟზე, რომელთა დავის განხილვის წესები უშვებენ ამის შესაძლებლობას.

იურიდიული პირების შემთხვევაში, ურთიერთშეუსაბამოა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონების რეგულირება. კერძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც. ამ რეგულირების შესაბამისად, საქართველო აღიარებს „ადგილსამყოფლის თეორიას“. ამის საპირისპიროდ, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი იურიდიული პირის ეროვნულობის დასადგენად საკმარის კრიტერიუმად მიიჩნევს მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტს. ამგვარად, ეს რეგულაციები არ არიან შესაბამისობაში ერთმანეთთან. სავარაუდოა, რომ Tokios Tokeles v Ukraine-ს საქმის გათვალისწინებით, დავის განმხილველი ტრიბუნა-

ლები საკმარის კრიტერიუმად მიიჩნევენ მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტსაც და დაეყრდნობიან „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის ჩანაწერს. საგულისხმოა, რომ გარდა შიდა კანონმდებლობისა, მნიშვნელოვანი ურთიერთგანსხვავებებია საქართველოს მიერ დადებული საინვესტიციო შეთანხმებების ტექსტებშიც. პოტენციური დავის შემთხვევაში, განმხილველ არბიტრებს მოუწევთ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება, კონკრეტული ინვესტორის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის არსებული შეთანხმების რეგულირებიდან გამომდინარე.

დამატებითი მსჯელობის საგანია ასოცირების შესახებ შეთანხმებაც. ის ფაქტი, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება შეიცავს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ დებულებებს და იურიდიული პირის რომელიმე სახელმწიფოს კუთვნილებისთვის არაა საკმარისი ამ სახელმწიფოში მხოლოდ რეგისტრაცია ან სათავო ოფისის არსებობა, წარმოშობს მნიშვნელოვან პრაქტიკულ პრობლემებს. საქმე იმაშია, რომ საქართველოს საინვესტიციო შეთანხმებები აქვს ევროკავშირის წევრ უმეტეს ქვეყნებთან და ამ შეთანხმებებში ურთიერთგანსხვავებულადაა მოცემული მხარის კუთვნილი იურიდიული პირების კუთვნილების კრიტერიუმები. რეალურად, ასოცირების შეთანხმებაში არსებული ეს განმარტება ეწინააღმდეგება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და საქართველოს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებს, სადაც კუთვნილებისთვის მხოლოდ რეგისტრაცია ან სათავო ოფისის არსებობაა საკმარისი.

საარბიტრაჟო პრაქტიკისა და საინვესტიციო შეთანხმებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად, დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ ფიზიკურ პირებს, კერძო და საჯარო ინვესტორებს, შერეულ საწარმოებს, მინორიტარ აქციონერებს და მეწილეებს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ შეიძლება საარბიტრაჟო სარჩელები აღიძრას წინა საინვესტიციო პროცედურებთან დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებითაც. გარდა ამისა, ცალკეული BIT-ები იძლევა იმის საშუალებას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მოექცნენ ინვესტორის განმარტებაში. ამის მაგალითია, 1998 წლის 27 აგვისტოს ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, რომლის პირველი მუხლის თანახმად, ინვესტორი არის ისეთი პირიც, რომლის საქმიანობა მიმართული არაა მოგების მიღებისაკენ. არ არის გამორიცხული, რომ დასახელებული ჩანაწერით ისარგებლონ სხვა ქვეყნის ინვესტორებმაც, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმებიდან გამომდინარე.

უცხოური ინვესტიციისა და უცხოელი ინვესტორის არსებობა არ არის საკმარისი საფუძველი დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე წვდომის

უფლების მოპოვებისათვის. გარდა დასახელებულისა, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დავაში აუცილებელი ელემენტია ბენეფიციარი სახელმწიფოს თანხმობა საერთაშორისო არბიტრაჟის იურისდიქციასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება უცხოელ ინვესტორს და უცხოურ ინვესტიციას, მაგრამ მხარეები არ შეთანხმებულან დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებზე, ინვესტორს რჩება რამდენიმე არჩევანი უთანხმოების წარმოშობისას. კერძოდ, მას შეუძლია პირდაპირი მოლაპარაკებები გამართოს მთავრობასთან, მიმართოს ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა სასამართლოებს ან მშობლიური სახელმწიფოსგან მოითხოვოს დიპლომატიური დაცვის მექანიზმების ამოქმედება.

როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ თანხმობის გაცხადების ფორმები მსგავსია არბიტრაჟისა და მედიაცია/კონსილაციის პროცესებისათვის. სახელმწიფოს გაცხადებული თანხმობა შედგება ორი ელემენტისგან. პირველი, თუ რა კატეგორიის დავები უნდა გადაწყდეს შეთანხმებული ფორმით, და მეორე, დავის გადაწყვეტის რომელ ფორმაზე ხდება შეთანხმება. შესაბამისად, ტრიბუნალები ვალდებულები არიან, გამოიკვლიონ ორივე კრიტერიუმის არსებობა და ისე დაიდგინონ კომპეტენცია. კონვენციის რეგულირებისა და საარბიტრაჟო პრაქტიკის საფუძველზე, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ICSID ცენტრზე გაცემული თანხმობა არის გამოუხმობადი და ICSID ცენტრს აქვს ექსკლუზიური კომპეტენცია. საინვესტიციო შეთანხმებებში გავრცელებული დათქმების თანახმად, შესაძლოა ამ შეთანხმებების შეწყვეტაც კი არ გახდეს დავის გადაწყვეტის ცენტრებზე გაცემული თანხმობის გაუქმების საფუძველი. მაგალითისთვის, საქართველოსა და ქუვეითს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმების მე-17 მუხლი ადგენს, რომ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე განხორციელებული ინვესტიციებისათვის, საინვესტიციო შეთანხმების დებულებები ძალაში დარჩება მისი მოქმედების შეწყვეტის დღიდან მომდევნო ოცი წლის განმავლობაში.

ბუნებრივია, გარდა ICSID ცენტრის, სტოკჰოლმის, ლონდონის, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს (PCA) საარბიტრაჟო ინსტიტუტებისა, არსებობს სხვა არაერთი საარბიტრაჟო ცენტრი, სადაც განიხილება ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავები. თითოეულ ამ ცენტრში დავის განხილვისთვის სახელმწიფო თანხმობას გასცემს საინვესტიციო შეთანხმების, საინვესტიციო კონტრაქტისა და იშვიათ შემთხვევებში შიდა კანონმდებლობის საფუძველზე. შესაძლებელია, სახელმწიფომ თანხმობა განაცხადოს დავის დაწყების შემდეგაც. ზოგიერთი საინვესტიციო შეთანხმება, გარდა კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების გასამართად განსაზღვრული დროის პერიოდისა, პირდაპირ ითვალისწინებს დათქმას, რომ არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის

დაწყებამდე ინვესტორმა უნდა მიმართოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმას. ეს არის ფორმალური წინაპირობა დავის დასაწყებად. უმეტესი ხელშეკრულებებისა ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას, თავად აირჩიოს, თუ დავის გადაწყვეტის რა ფორმას მიმართავს, იქნება ეს არბიტრაჟი თუ სხვა ალტერნატიული ფორმები. ცალკეულ შემთხვევებში, მხარეებმა შეიძლება აირჩიონ დავის გადაწყვეტის ისეთი ფორმა და წესები, რომლებიც არ მიეკუთვნება არცერთ არსებულ დავის გადაწყვეტის ცენტრს (ad hoc არბიტრაჟი). მხარეებმა შესაძლოა თავად შექმნან დავის გადაწყვეტის პროცედურები ან პროცედურების გარკვეული ნაწილი, მაგალითად, როგორიცაა არბიტრის დანიშვნის წესები, „ისესხონ“ არსებული საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესებიდან.

სახელმწიფოს შეგებებულ სარჩელებთან მიმართებით, ურთიერთგანსხვავებული და გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი საარბიტრაჟო პრაქტიკის გათვალისწინებით, იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს არიდებული სამომავლო დავა შეგებებული სარჩელების იურისდიქციასთან დაკავშირებით, გამოსავალს წარმოადგენს საინვესტიციო შეთანხმებების ან დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალების იურისდიქციების დამდგენ სხვა შეთანხმებებში შესაბამისი დათქმების იმგვარი ფორმულირება, რომელიც ფართო ინტერპრეტაციების საშუალებას არ მისცემს ტრიბუნალებს. რადგანაც ხელშეკრულებების ტექსტს ადგენენ მხარეები, მათ თავადვე შეუძლიათ დაადგინონ გამომრიცხავი დათქმები ან პირდაპირი თანხმობები.

როგორც წესი, საარბიტრაჟო განხილვები და მედიაცია/კონსილაციის პროცედურები არის კონფიდენციალური. ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ დავებში გამჭვირვალობის ნაკლებობის აღმოფხვრის მნიშვნელოვან მცდელობად უნდა შეფასდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2014 წლის კონვენცია ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ საინვესტიციო დავებში გამჭვირვალეობის შესახებ. ეს კონვენცია ძალაში შევიდა 2017 წლის 18 ოქტომბერს. 2023 წლის 19 ნოემბრისთვის, კონვენცია რატიფიცირებულია მხოლოდ ცხრა ქვეყნის მიერ. სასურველია, თუ საქართველოც შეუერთდება ამ კონვენციას და მეტი გამჭვირვალეობა იარსებებს საინვესტიციო დავებთან მიმართებით.

საქართველოსთან კავშირში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული საინვესტიციო სამართლის კვლევა და ლისაბონის 2009 წლის შეთანხმების შემდეგ ევროკავშირში არსებული რეგულირება დავის გადაწყვეტის საშუალებების და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ის ფაქტი, რომ მიუხედავად ლისაბონის 2009 წლის შეთანხმებისა, ძალაში რჩება მესამე ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან არსებული საინვესტიციო შე-

თანხმებები, ნიშნავს იმას, რომ არ შეცვლილა უკვე განსაზღვრული დავის გადაწყვეტის და გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის მექანიზმები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართველი, ისე ევროპელი ინვესტორებისთვის. უკვე არსებული დავის გადაწყვეტის მექანიზმების გაუქმების რისკის რეალურობა მარტივად დასტურდება იმითაც, რომ 2020 წლის 29 მაისის შეთანხმებით გაუქმდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული საინვესტიციო შეთანხმებები, შესაბამისად, მასში არსებული დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებიც. ასევე, საინვესტიციო დავებში ევროკავშირის სამართალსუბიექტობის წარმოშობის შემდეგ, აუცილებელია, ევროკავშირის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრაც. ისეთ შემთხვევაში, როდესაც წევრი სახელმწიფო ახდენს ევროკავშირის კანონმდებლობის არასწორ იმპლემენტაციას, პასუხისმგებლობა ეკისრება წევრ სახელმწიფოს, რადგან შეცდომა ან ხელყოფა არ არის მომდინარე ევროკავშირის ორგანოსგან. მსგავსად დასახელებული შემთხვევისა, ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი ინვესტორის უფლებების ხელყოფაზე, თუ ასეთი ხელყოფა გამოწვეულია წევრი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტირებით და მას იმპლემენტირებისას ჰქონდა დისკრეციის საშუალება, მიეღო ან არ მიეღო ეს რეგულაცია. ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ თავად წევრი სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას (ვალდებულების გარეშე) და იგი არის თავად პასუხისმგებელი მისივე ორგანოების ქმედებაზე. გარდა ამისა, მხოლოდ და მხოლოდ წევრი სახელმწიფო არის პასუხისმგებელი იმ მოცემულობაში, როდესაც წევრი ქვეყნის მიერ მიღებული კანონმდებლობა არაა შესაბამისი ევროკავშირის სამართალთან და მიღებული კანონმდებლობით ზიანი ადგება ინვესტორს. ასეთ დროს, პასუხისმგებლობა არის მხოლოდ შესაბამის წევრ სახელმწიფოზე.

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავისას, განმხილველი არბიტრების მიერ განისაზღვრება გამოსაყენებელი სამართალი. ეს შეიძლება იყოს როგორც ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო შეთანხმებები, ასევე უშუალოდ სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის არსებული კონტრაქტი, ბენეფიციარი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა, სხვა მესამე სახელმწიფოს სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი და საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები. უშუალოდ, კონკრეტული სამართლის განსაზღვრა დამოკიდებულია მხარეთა წინასწარ შეთანხმებასა და არსებული საინვესტიცო შეთანხმებებში მოცემულ რეგულირებაზე. ICSID კონვენციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ტრიბუნალი დავას წყვეტს იმ სამართლის ნორმების მიხედვით, რომლებზეც მხარეები თანხმდებიან. ასეთი შეთანხმების არარსებობისას, ტრიბუნალი იყენებს დავის მხარე ხელშემკვრელი

სახელმწიფოს კანონმდებლობას (რაც მოიცავს მის კოლიზიური სამართლის ნორმებსაც) და გამოსაყენებელ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში და ad hoc არბიტრაჟებში გამოსაყენებელი სამართლის არჩევა, უკვე არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებისა და საინვესტიციო კონტრაქტის შინაარსთან ერთად, დამოკიდებული იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალების დავის განხილვის წესებზე დ განხილვის ადგილის ქვეყნის საპროცესო ნორმებზე. საპროცესო ნორმებში იგულისხმება იმ სამართლებრივი ნორმების ფართო წყება (Lex Arbitri), რომლებიც საარბიტრაჟო დავის განხილვის ქვეყანაში მოქმედენ და უშუალოდ საპროცესო ნორმების გარდა, მოიცავენ ისეთ სამართლებრივ აქტებსაც, რომლებიც ადგილობრივ სასამართლოებს ანიჭებენ უფლებამოსილებას, მონაწილეობა მიიღონ არბიტრების დანიშვნასა და ტრიბუნალების ჩამოყალიბებაში, მტკიცებულებათა გამოთხოვაში მესამე პირებიდან, უზრუნველყონ მოწმეთა გამოცხადება განხილვაზე, შეამოწმონ საარბიტრაჟო განხილვის ფორმალური მხარე და შეამოწმონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისა და გაუქმების წინაპირობები.

აუცილებელია, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმების გავლენის შეფასება გამოსაყენებელი სამართლისა და დავის გადაწყვეტის საშუალებების განსაზღვრაზე. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმის არსებობა ავალდებულებს ბენეფიციარ სახელმწიფოს, უცხოელ ინვესტორზე გაავრცელოს სხვა ქვეყნებთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებით გათვალისწინებული სიკეთეებიც კი, თუ ისინი უფრო უკეთესია ინვესტორისთვის. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმა ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს მითითება და ისარგებლოს ბენეფიციარი სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოს შორის არსებული თუ მომავალი ორმხრივი და მრავალმხრივი ინვესტიციების დაცვის შესახებ ხელშეკრულებებიდან მომდინარე სიკეთეებით. ასეთი შესაძლებლობა წარმოუდგენლად აფართოებს გამოსაყენებელი სამართლის მასშტაბს და უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ბენეფიციარ სახელმწიფოსა და სხვა მესამე ქვეყნებთან არსებული საინვესტიციო შეთანხმების ნორმების იქნეს გამოყენებული, რომელიც უფრო უკეთესია ინვესტორისთვის.

სადავოა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ დათქმის არსებობა აღჭურავს თუ არა ინვესტორს უფლებით, აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, მითითება გააკეთოს და აირჩიოს არამხოლოდ მისთვის საუკეთესო მოპყრობის და დაცვის სტანდარტები, არამედ მიუთითოს სხვა მესამე სახელმწიფოსთან არსებული საინვესტიციო შეთანხმების ისეთ ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ და ადგენენ დავის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასოცირების შესახებ შეთანხმების რეგულირება.

მიუხედავად იმისა, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმებით ასოცირების შესახებ შეთანხმება გამორიცხავს საპროცესო მექანიზმებზე წვდომას, ეს ეხება მხოლოდ თავად ასოცირების შესახებ შეთანხმებაში არსებულ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმას. რაც შეეხება, თავად საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ცალკეულ ქვეყნებს შორის არსებულ საინვესტიციო შეთანხმებებს, სადაც მოცემულია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დათქმები, არ არის გამორიცხული, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა ამ დათქმებზე მითითებით, ეს რეჟიმი გამოიყენონ საკუთარი იურისდიქციის დადგენისას ან სხვა პროცედურული საკითხების გადაწყვეტისას, იმისგან დამოუკიდებლად, რომ ინვესტორისა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების შესაბამისი პროცედურები მოცემული იყოს მესამე სხვა სახელმწიფოსთან. იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა თავიდან აირიდონ გამოსაყენებელი სამართლის არასასურველი ინტერპრეტაციები და განმარტებები, მათ შორის ისეთიც, რაც არ ყოფილა მხარეთა მიზანი ან შეთანხმების საგანი, მათ უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე როგორც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შინაარსის ფორმულირებისას, ასევე ამ რეჟიმის გამოყენების შესახებ დათქმების საინვესტიციო შეთანხმებებში შეტანისას, რადგანაც ეს ინვესტორს აძლევს წვდომას ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან არსებული საინვესტიციო შეთანხმებებით დადგენილ პირობებზე.

ის, თუ დავის გადაწყვეტის რომელ ცენტრში იქნება განხილული დავა ან რომელი სამართალი იქნება გამოყენებული დავის განხილვისას, დიდწილად განსაზღვრავს მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესაძლებლობასაც. ეს ეხება როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსა და დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ასევე მედიაციისა და კონსილაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებებს.

ICSID არბიტრაჟის გადაწყვეტილების სავალდებულო აღსრულება არის კონვენციის ყველაზე მეტად ხელშესახები და სასარგებლო ნაწილი უცხოელი ინვესტორებისთვის. წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ კონვენციის შესაბამისად გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ცნონ და აღასრულონ როგორც ამ სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაშია დადგენილი.

ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისგან განსხვავებულად აღსრულდება ICSID დამატებითი წესებით (Additional Facility) ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რადგან იგი არ წარმოადგენს ICSID კონვენციის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას. განსხვავება ICSID კონვენციის შესაბამისად განხილულ საქმეებსა და სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ განხილულ საქმეებს შორის ისაა, რომ დავის განხილვის პროცედურები, მათ

შორის ფორმალური ნაწილიც, განიხილება თავად ICSID კონვენციისა და ICSID დავის განხილვის საარბიტრაჟო წესებით, მაშინ როდესაც სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალები ექვემდებარებიან უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის დებულებებს და საარბიტრაჟო დავის განხილვის ქვეყანაში მოქმედ საპროცესო ნორმებს. ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციით დადგენილი წესით აღსრულდება ad hoc საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებიც.

ICSID არბიტრაჟის გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, სარეკომენდაციო ხასიათი აქვს ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალის დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებებს. შესაბამისად, ICSID ტრიბუნალი უფლებამოსილია, თუ მიიჩნევს, რომ გარემოებები ასე მოითხოვს, გასცეს რეკომენდაცია ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. მსგავსად ICSID კონვენციისა, არც ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია პირდაპირ არ ადგენს, რომ დროებითი ღონისძიებების აღსრულება სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის. სავალდებულოობა ეხება მხოლოდ გადაწყვეტილებას (Award), რის გამოც სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს დროებითი ღონისძიებების აღსრულების ვალდებულებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არც ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია და არც ICSID კონვენცია ამას არ მოითხოვს, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი სავალდებულოდ აღსასრულებლად მიიჩნევს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებსაც. თუ საქმის განხილვა მიმდინარეობს არბიტრაჟში, არბიტრაჟის გარდა, ქართული კანონმდებლობა უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ მხარემ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. ამასთან, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, საარბიტრაჟო განხილვის ადგილისგან დამოუკიდებლად, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებები, რაც განსაზღვრულია სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით. არბიტრაჟის დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან უნდა განვასხვაოთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომელიც მიიღება გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებისათვის.

ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მიღებული გადაწყვეტილების განმარტება, გადასინჯვა ან გაუქმება. თავად კონვენცია განსაზღვრავს ამის წინაპირობებს და პროცედურებს. განმარტების მიზანი უნდა იყოს გადაწყვეტილების განმარტება და არა დავის საგნის ხელახლა გადაწყვეტა. გადაწყვეტილების გადასინჯვისგან ეს პროცედურა განსხვავდება იმით, რომ არ ხდება მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა.

ICSID გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს, როგორც კორუფციის შემთხვევა, ასევე ტრიბუნალის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბება და ტრიბუნალის დაკომპლექტების წესის დარღვევა. ICSID კონვენციისგან განსხვავებით, რომელიც თავად ადგენს განმარტების, გადასინჯვის და გაუქმების პროცედურებს, სხვა საარბიტრაჟო ცენტრებში თუ ad hoc არბიტრაჟებში მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში, თავად ეს ტრიბუნალები და ცენტრები იქნებიან უფლებამოსილნი ანალოგიურ პროცედურებზე, ტრიბუნალის საარბიტრაჟო წესებისა და განხილვის ადგილზე მოქმედი შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა მედიაციისა და კონსილაციის შედეგად მიღწეული მორიგებების აღსრულების ანალიზი. იმის გათვალისწინებით, რომ არც ICSID კონვენცია და არც ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია არ ადგენს მედიაციისა და კონსილაციის გზით მიღწეული შეთანხმებების აღსრულების წესებს, გამოსავალს შეიძლება წარმოადგენდეს მედიაციის შესახებ სინგაპურის კონვენციის გზით აღსრულება. მიუხედავად „სინგაპურის კონვენციის“ მზარდი პოპულარობისა და აშკარა დადებითი შედეგისა, ინვესტორებისთვის ბოლომდე ეს მაინც არ წყვეტს მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმებების აღსრულების პრობლემას, რადგან თავად კონვენციის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია, გააკეთოს დათქმა, რომ იგი ამ კონვენციას არ გამოიყენებს ისეთი სამედიაციო მორიგებების მიმართ, სადაც მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანოები. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სინგაპურის კონვენციის გზით მიღწეული სამედიაციო მორიგების შეთანხმებები ექვემდებარებიან აღსასრულებელ ქვეყანაში მოქმედ ცნობა-აღსრულების სავალდებულო პროცედურებს.

ბიბლიოგრაფია

- გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, თბილისი, 2016
- გაბისონია ზ., საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2002, იხ., <https://digitallibrary.tsu.ge/book/2022/Nov/dissertations/gabisonia_sainvesticio_disertacia.pdf> [30.11.2023]
- მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2020
- ტაკაშვილი ს., დავის საერთაშორისო საარბიტრაჟო წესით განხილვისას გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის განსაზღვრა მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, თედო ნინიძე 65, თბილისი, 2016
- ტაკაშვილი, ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, თბილისი, 2020
- ჩომახიძე ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიდწლეული, 2013
- ცერცვაძე გ, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბილისი, 2013
- ხვედელიძე მ., ასოცირების შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ საინვესტიციოსამართლებრივ ურთიერთობებზე, მართლმსაჯულება და კანონი, N 4(60)18
- ხვედელიძე მ., უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის განხილვა და გადაწყვეტა ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციის (ICSID) შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწდეული 2022 (ორენოვანი გამოცემა), 2022
- Abulkassem S. M., The MFN clause under the OIC Agreement: Analysis of Itisaluna Iraq LLC and Others v Republic of Iraq, Queen Mary Law Journal, Vol.4
- Aschauer C., Reiner A., ICC Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, Verlag C.H.BECK oHG, München, 2013
- Basener N., Investment Protection in the European Union, herausgegeben von Marc Bungeberg, Stephan Hobe, August Reinish, Andreas .R. Ziegler,Nomos Verlagsgeselschaft, Baden-Baden, 2017
- Berger A., Der blick nach draußen: Verbesserte Durchsetzungsfähigkeit von Marktzugangsrechten in China nach lissabon?, Internationales Investitionsschutz und Europarecht, Nomos Verlagsgesellschaft, herausgegeben von Marc Bungenberg, Jörn Griebel, Seffen Hindelang, Baden-Baden, 2010
- Bischoff A.J., Happ R., The Notion of Investment, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015.

- Bottini G., Indirect Claims under the ICSID Convention, University of Pennsylvania Journal of International Law, Vol. 29, No. 3, 2008
- Brown C., Naglis I., Dispute Settlement in Future EU Investment Agreements, EU and Investment Agreements, Edited by M. Bungenberg, A. Reinisch, C. Tietje, N. Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2013
- Chua E., The Singapore Convention on Mediation — A Brighter Future for Asian Dispute Resolution, Asian Journal of International Law, Vol. 9, Iss. 2, 2019
- Crevon A., Legum B., Consilation, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by J. Fouret, R. Gebray, C. M. Alvarez, Edward Elgar Publishing, 2019
- Delaney J., Magray Barstow D., Procedural Transparency, Inernational Investmemt Law, edited by P. Muchlinski, F. Ortino, C. Schreuer, Oxford University Press, 2008
- Dolzer R., Schreuer C., Principles of International Investment Law, Oxford Univeristy Press, 2012
- Douglas Z., The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation of the Rails, Classics in Inernational Investment Law, Journal of International Dispute Settlement, Vol. 2, No. 1, 2011
- Douglas Z., The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation of the Rails, Classics in Inernational Investment Law, edited by August Reinish, volume II, Edward Elgar Publishing Limited, 2014
- Dugan F. C., Wallace D jr., Rubins N., Sabahi B., Investor-State-Arbitration, firts Edition, edited by C.F Dugan, B. Sabahi, N. Rubins, D. Wallace, jr, Oxford University Press, 2008,
- Dumberry P., International Investment Law, The Sources of Rights and Obligations, E-Book, Publisher: Brill | Nijhoff, 2012
- Edson E., Banifatemi Y., Jurisdiction of the Centre, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by J. Fouret, R. Gebray, C. M. Alvarez, Edward Elgar Publishing, 2019
- Foreign Investment Disputes, Cases, Material and Commentary, second edition, edited by R.D. Bishop, J.R. Crawford, W.M. Reisman, Kluwer Law International BW, 2014
- Gaffney J.P., Akçay Z, European Bilateral Approaches, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. obe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Godbole A., Kalnina E.,, arbitration, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by J. Fouret, R. Gebray, C. M. Alvarez, Edward Elgar Publishing, 2019
- Görs B., Internationales Investitionsrecht, Verlag Recht und Wirtschaft GmbH, 2003
- Greenberg S., Kee C., Weeramantry J. R., International Comercial Arbitration, an Asia –Pacific Perspective, Cambridge University Press, 2011
- Griebel J., Internationales Investitionsrecht, Verlag C.H.Beck oHG 2008
- Griebel J., The New Investment Policy Approach, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015

- H. Nikièma S., The Most-FavouredNation Clause in Investment Treaties, IISD Best Practices Series, February 2017
- Hahm M., Die zuständigkeitsverteilung zwischen EU und Mitgliedstaaten beim Abschluss von Freihandeldabkommen nach Gutachten 2/15; Investitionsschutz, Schiedsgerichtsbarkeit und Rechtsstaat in der EU, Herausgegeben von Eva-maria Kieninger; Eckhard Pache; Ulrich Sieber; Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2018
- Hanessian G., Default, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by J. Fouret, R. Gebray, C. M. Alvarez, Edward Elgar Publishing, 2019
- Happ R., ICSID Rules, Institutional Arbitration Article by Article Comentary, edited by Rolf A. Schütze, München, 2013
- Henderson A., Lex Arbitri, Procedural Law and the Seat of Arbitration, Singapure Academy Of Law Journal, 2014, 26 SAcLJ
- Hofmann R., The Protection of Individuals under Public Inernational Lw, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Honlet J-C., Legum B., Crevon A., ICSID Annulment, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- International Investment Arbitration in a nutschel, edited by Ferrari Franco, Brian King, West Academic Publishing, 2020
- J. Christopher Thomas, QC; Harpreet Kaur Dhillon, Applicable law under International Investment Treaties, 2014, 26 SAcLJ
- Konrad S., Protection of Investments by States, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Koo K.C. A., Enforcing International Mediated Settlement Agreements, Muruga Perumal RAMASWAMY and João RIBEIRO, eds., Harmonising Trade Law to Enable Private Sector Regional Development (UNCITRAL Regional Centre for Asia and the Pacific) 2017, იხ., <https://ssrn.com/abstract=3102147> [30.11.2023]
- Kröll S., Enforcement of Awards, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Kryvoi Y., Davydenko D., Consent Awards in International Arbitration: From Settlement to Enforcement, Brooklyn Journal of International Law, Vol. 40, Iss. 3, 2015
- Kryvoi Y., Counterclaims in Investor-State Arbitration, Minnesota Journal of International Law, 2012
- Marcert L., Streitschlichtungsklauseln in Investionsschutzabkommen, herausgegen von Marc Bungeberg, Stephan Hobe, August Reinish, Andreas Ziegler, Baden-Baden, 2010
- Metje T.M., Der Investitionsschutz im internationalen Anlagebau, Mohr Siebeck Tübingen, 2008
- Morris-Sharma N, The Singapore Convention: A Milestone for Mediation, BCDR International Arbitration Review, Vol. 6, No. 2, 2019
- Musayev K., Counterclaims in treaty-based investment arbitration. An analysis of two main requirements for their admission, Master thesis, Candidate number: 9006, University of Oslo, 2017

- Naeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by J. Fouret, R. Gebray, C.M. Alvarez, Edward Elgar Publishing, 2019,
- Orejudo Prieto de los Mozos, Patricia, The Law Applicable to International Mediation Contracts, InDret, Vol. 1, 2011, იხ., https://indret.com/wp-content/uploads/2011/02/800_en.pdf [30.11.2023]
- Parra R. A., ICSID, an Introduction to the Convention an Centre, Oxford University Press, 2020
- Perkams M., Protection for Legal Persons, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Ratz p., International and European Law Problems of Investment Arbitration involving the EU, edited by R. Hofmann, S. Kadelbach, R. Klump, Baden-Baden 2017
- Reed L,f., Davis J,E., Who is a Protected Investor, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Reinish A., Malintoppi L., Methods of Dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by P. Muchlinski, F. Ortino, C. Schreuer, Oxford University Press, 2008
- Reinish A., Malintoppi L., Methods of dispute Resolution, Inernational Investmemt Law, edited by P. Muchlinski, F. Ortino, C. Schreuer, Oxford University Press, 2008
- Reisman M., Graig L., Park W., Paulsson J., International Comercial Arbitration, Cases, Materials, and notes on the Resolution of Iinternation Business Disputes, directing Editor R. C. Clark, second edition, Foundation Press, USA, 2015
- Rubins QC N., Papanastaisou T-N, Kinsella N.S., International Invsetment, Political Risk , and Dispute Resolution, A Practitioners's Guide, edited by L. Mistelis, Second edition, Oxford University Press, 2020
- Saason M., Investment Arbitration: Procedure, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Sabahi B., Rubins N., Wallace D, jr; Investor-State-Arbitration, Second Edition, edited by B. Sabahi, N. Rubins, D. Wallace, jr, Oxford University Press, 2019
- Salacuse, W. J., The Law of Investment Treaties, second edition, Oxford University Press 2015
- Schefer Nadakavukaren K., International Investment Law, Text, Cases and Materials, third edition, Edward Elgar Publishing, USA, 2020
- Scherer M., Morris D., The Award, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by J. Fouret, R. Gebray, C. M. Alvarez, Edward Elgar Publishing, 2019
- Schlemmer, E, C., Investment, Investor, Shareholders, Inernational Investmemt Law, edited by Muchlinski, 2008
- Schokkaert, J., Heckscher, Y., International Investment Protection, Comparative Law Analysis of Bilateral and Multilateral inerstate Conventions, Doctrinal Texts and Arbitral Jurispudence concerning Foreign Investments, Bruylant Bruxelles, 2009

- Schreuer C. H, Malintoppi L, Reinisch A, Sinclair A, The ICSID Convention A Commentary, Cambridge University Press, 2009
- Schreuer C., Jurisdiction and Applicable Law in Investment Treaty Arbitration, McGill Journal of Dispute Resolution, Vol 1, No. 1, 2014
- Shan W., Property Rights, Expropriation and Compensation, The Legal Protection of Foreign Investment A comparative Study, edited by Wenhua Shan, Oxford and Portland, Oregon, 2012
- Silvestri E., the Singapore Convention on Mediated Settlement Agrements: A New String to the Bow of Iinternational Mediation?, Access to Justice in Eastern Europe (2019) No 3 (4)
- Spangenberg J.E., Der Investitionsbegriff und die Zuständikeit ratione personae, Peter Lang GmbH, 2014
- Spierman O., Investment Arbitration: Aplicable Law, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Titje C., International Investment Protection and Arbitration, Berliner Wissenschafts-Verlag GMBH, 2008
- Vandelvelde J. K., Bilateral Investment Treaties, History, Policy, and Interpretation, Oxford University Press 2010
- Vannonaeker L., Bjorklund A. K., The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited by J. Fouret, R. Gebray, C. M. Alvarez, Edward Elgar Publishing, 2019
- Vohryzek-Griest A., State Counterclaims in Investor-State Disputes: A History of 30 Years of Failure International Law: Revista Colombiana de Derecho Internacional, núm. 15, julio-diciembre, 2009
- Vohryzek-Griest A., State Counterclaims in Investor-State Disputes: A History of 30 Years of Failure International Law: Revista Colombiana de Derecho Internacional, núm. 15, julio-diciembre, 2009
- Waibel M., Investment Arbitration: Jurisdiction and Admissibility, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Walter Von A., State Contracts and relevance of Investment Contract Arbitration, International Investment Law, edited by M. Bungenberg, J. Griebel, S. Hobe, A. Reinisch, Y. Kim, Baden-Baden, 2015
- Welsh A., The Application, The ICSID Convention, Regulations and Rules A Practical Commentary, edited J. Fouret, R. Gebray, C. M. Alvarez, Edward Elgar Publishing, 2019
- Wiedmann T., INvestitionsschutzabkommen zwischen EU-Staaten als unionsrechtswidriges Relikt? Die anotworten des EuGH in den Urteilen vom 6 2018, Achmea und Segro, Investitionsschutz, Schiedsgerichtsbarkeit und Rechtsstaat in der EU, Herausgegeben von Eva-maria Kieninger; Eckhard Pache; Ulrich Sieber; Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2018

სამართლებრივი აქტები

- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ შეთანხმება. მიღების თარიღი: 03/06/1993, სარეგისტრაციო კოდი: 000000430.00(0).003.000107.
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 23/06/1993, სარეგისტრაციო კოდი: 000000430.00.003.000282.
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 09/11/1994, სარეგისტრაციო კოდი: 000000000.00.000.000034.
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 08/03/1996, სარეგისტრაციო კოდი: 480210000.02.002.000479.
- შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 22/04/1996, სარეგისტრაციო კოდი: 000000430.00.003.000333.
- საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 11/12/1996, სარეგისტრაციო კოდი: 240.080.000.05.001.000.178.
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 15/05/1997, სარეგისტრაციო კოდი: 430003000.00.000.000285.
- საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი:11/12/1997, სარეგისტრაციო კოდი: 000000430.00.003.000187.
- საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 29/04/1998, სარეგისტრაციო კოდი:490.000.000.05.001.000.349.
- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 27/08/1998, სარეგისტრაციო კოდი: 000000430.00(3).000.000175.
- ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 16/04/1999, სარეგისტრაციო კოდი: 300.380.000.05.001.000.515.
- საქართველოს მთავრობასა და ლიეტუვის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმება, საქართველოს

საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 09/11/2005, სარეგისტრაციო კოდი: 480400000.03.030.000619.

- ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს საკონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 30/06/2006, სარეგისტრაციო კოდი 240.090.000.05.001.002.345.
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 24/11/2006, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.000677.
- საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ შეთანხმება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 30/10/2008, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.000721.
- საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 19/06/2009, სარეგისტრაციო კოდი: 180.000.000.05.001.000.521.
- საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ შეთანხმება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 29/08/2009, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016027.
- საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 13/10/2009, სარეგისტრაციო კოდი : 480610000.03.030.016200.
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 27/06/2014; სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016275.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს განკარგულება №1387, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 07/08/2014, სარეგისტრაციო კოდი: 000000000.00.003.017498.
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის განკარგულება №2102, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სარეგისტრაციო კოდი: 000000000.00.003.018049.
- საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ შეთანხმება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 19/07/2016; სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016642.
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 17/07/2017; სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016528.

- „ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის ვალდებულებების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 05 ოქტომბრის განკარგულება №2069.
- საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 04/05/2018, სარეგისტრაციო კოდი 240080010.05.001.018845.
- მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 22 ივნისის დადგენილება N 666-IVმს-Xმპ.
- საქართველოსა და იაპონიას შორის ინვესტიციების ლიბერალიზაციის, ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ 2021 წლის 29 იანვრის შეთანხმება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 23/07/2021, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016658.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მიღების თარიღი: 22/06/2021, სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016695.
- The Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, New York, 10 June, 1958, <https://www.newyorkconvention.org/english> [30.11.2023]
- Treaty for the Promotion and Protection of Investments (with Protocol and exchange of notes), Bonn, 25/11/1959, იხ., <https://treaties.un.org/Pages/showDetails.aspx?objid=0800000280132bef> [30.11.2023]
- European Convention on International Commercial Arbitration, Geneva, 21 April, 1961, იხ., <https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXII-2&chapter=22&clang=_en> [30.11.2023]
- Convention on the Settlement of Investment Disputes Between States and Nationals of Other States, Washington, 18 March, 1965, იხ., <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/ICSID_Convention_EN.pdf> [30.11.2023]
- European Convention on State Immunity, Basle, 16.V.1972, იხ., <https://wipolex-res.wipo.int/edocs/lexdocs/treaties/en/ce-74si/trt_ce_74si_001en.pdf > [30.11.2023]
- UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985 With amendments as adopted in 2006, UNITED NATIONS Vienna, 2008, Art. 33; იხ., <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf> [30.11.2023]
- The Basel Convention on the Control of Transboundary Movements of Hazardous Wastes and Their Disposal, United Nations treaty, Basel, 22 March 1989. იხ., <https://www.basel.int/TheConvention/Overview/tabid/1271/Default.aspx> [30.11.2023]

- UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, United Nations 1994, Art. 33. იხ., <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/06-54671_ebook.pdf> [30.11.2023]
- North American Free Trade Agreement (NAFTA), January 1, 1994, იხ., <https://www.federalregister.gov/north-american-free-trade-agreement-nafta-> [30.11.2023]
- Energy Charter Treaty, Lisbon, 1994, იხ., <https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ECTC-en.pdf> [30.11.2023]
- Partnership and Cooperation Agreement between the European Communities and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (Document 21999A0804(01)); Date of end of validity: 30/06/2016; Repealed by 22014A0830(02), იხ., <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A21999A0804%2801%29> [30.11.2023]
- English Arbitration Act, 1996, იხ., <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/contents> [30.11.2023]
- Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on certain aspects of mediation in civil and commercial matters, Art. 6, იხ., <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1539262656162&uri=CELEX:32008L0052> [30.112023]
- The Treaty of Lisbon, Document 12007L/TXT, იხ., <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A12007L%2FTXT>[30.11.2023]
- REGULATION (EU) No 1219/2012 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 12 December 2012 establishing transitional arrangements for bilateral investment agreements between Member States and third countries, იხ., <https://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:351:0040:0046:En:PDF> [30.11.2023]
- IBA 2012 Rules for Investor-State Mediation, იხ., <https://www.ibanet.org/MediaHandler?id=C74CE2C9-7E9E-4BCA-8988-2A4DF573192C> [30.11.2023]
- REGULATION (EU) No 912/2014 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 July 2014 establishing a framework for managing financial responsibility linked to investor-to-state dispute settlement tribunals established by international agreements to which the European Union is party, იხ., <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014R0912&from=de> [30.11.2023]
- United Nations Convention on Transparency in Treaty-based Investor-State Arbitration (New York, 2014), იხ., <https://uncitral.un.org/en/texts/arbitration/conventions/transparency/status> [30.11.2023]
- Übereinkommen zur Beendigung bilateraler Investitionsschutzverträge zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Union SN/4656/2019/INIT, იხ., <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=CELEX:22020A0529(01)&from=DE> [30.11.2023]
- REGULATION (EU) 2019/452 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 19 March 2019 establishing a framework for the screening of foreign di-

rect investments into the Union, იხ., <https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX%3A32019R0452&from=EN&fbclid=IwAR1GpilZXdm-ktNg8vx-cAaD4n5m81DuehGXSNmPfdy1fLcyMUHvH8I0KKu4> [30.11.2023]

- Agreement between the United States of America, the United Mexican States, and Canada 7/1/20, იხ., <https://ustr.gov/trade-agreements/free-trade-agreements/united-states-mexico-canada-agreement/agreement-between> [30.11.2023]
- LCIA Arbitration Rules 2020, იხ., <https://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/lcia-arbitration-rules-2020.aspx> [30.11.2023]
- UNCITRAL Arbitration Rules, UNITED NATIONS Vienna, 2021, იხ., <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/21-07996_expedited-arbitration-e-ebook.pdf> [30.11.2023]
- ICSID 2022 Mediation Rules, იხ., <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/ICSID_Mediation_Rules.pdf> [30.11.2023]
- ICSID 2022 Conciliation Rules, იხ., <https://icsid.worldbank.org/sites/default/files/Conciliation_Rules.pdf> [30.11.2023]
- ICSID 2022 Arbitration Rules, იხ., <https://icsid.worldbank.org/procedures/arbitration/convention/overview/2022> [30.11.2023]
- SCC Mediation Rules 2023, იხ., <https://sccarbitrationinstitute.se/sites/default/files/2022-12/scc_mediation_rules_2023_english.pdf> [30.11.2023]
- SCC 2023 Arbitration Rules, <https://sccarbitrationinstitute.se/en/resource-library/rules-and-policies/scc-rules> [30.11.2023]
- The Treaty of Lisbon, Document 12007L/TXT, იხ., <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A12007L%2FTXT>[30.11.2023]
- Hartley Shawcross-ის კონვენციის პროექტი, იხ., <https://www.international-arbitration-/ttorney.com/wp-content/uploads/137-volume-5.pdf> [30.11.2023]
- ჰავანის 1949 წლის პროექტი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის (ITO) შექმნის შესახებ, იხ., <https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/havana_e.pdf> [30.11.2023].

საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/136.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ა-2498-შ-72-2022.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ა-3421-შ-93-2019.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 2 აპრილის განჩინება საქმეზე N ა-204-შ-43-03.

უცხოური არბიტრაჟისა და სასამართლოს გადაწყვეტილებები

- Ahmadou Sadio Diallo (Republic of Guinea v. Democratic Republic of the Congo), იხ., <https://www.icj-cij.org/case/103>[30.11.2023]
- Ares International S.r.l. and MetalGeo S.r.l. v. Georgia (ICSID Case No. ARB/05/23), იხ., <https://www.italaw.com/cases/3472> [30.11.2023]
- Azurix Corp. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/01/12, AWARD, July 14, 2006, იხ., <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0061.pdf> [30.11.2023]
- Bidzina Ivanishvili v. Georgia, ICSID Case No. ARB/12/27, იხ., <https://www.italaw.com/cases/1511> [30.11.2023]
- BP Exploration Company (Libya) Limited v. Government of the Libyan Arab Republic, იხ., <https://jusmundi.com/en/document/decision/en-bp-exploration-company-libya-limited-v-government-of-the-libyan-arab-republic-award-wednesday-10th-october-1973> [30.11.2023]
- Burlington v. EcuadorBurlington Resources, Inc. v. Republic of Ecuador, ICSID Case No. ARB/08/5, იხ., <https://www.italaw.com/cases/181> [30.11.2023]
- Claimants' Request for the Recognition and Enforcement of Arbitral Award, Ioannis kardassopoulos and Ron Fuchs against The Republic of Georgia, ICSID Case Nos. ARB/05/18 and ARB/07/15, იხ., <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9199.pdf> [30.11.2023]
- CME Czech Republic B.V. v. The Czech Republic, UNCITRAL, იხ., <https://www.italaw.com/cases/281>[30.11.2023]
- DECISION OF THE AD HOC COMMITTEE ON THE STAY OF ENFORCEMENT OF THE AWARD; ICSID Case No s. ARB/05/18 and ARB/07/15 (Annulment Proceeding), იხ., <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0446.pdf> [30.11.2023]
- DECISION OF THE AD HOC COMMITTEE TO TERMINATE THE STAY OF ENFORCEMENT OF THE AWARD, 12 November, 2010, ICSID Case No s. ARB/05/18 and ARB/07/15, იხ., <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw3029.pdf> [30.11.2023]
- DECISION ON CLAIMANT'S APPLICATION FOR PROVISIONAL MEASURES, June 14, 2022; Nasib Hasanov v. Georgia, ICSID Case No. ARB/20/44, იხ., <https://www.italaw.com/cases/8643> [30.11.2023]
- DECISION ON PROVISIONAL MEASURES, 26 February 2010, Quiborax S.A., Non Metallic Minerals S.A. and Allan Fosk Kaplún CLAIMANTS v. Plurinational State of Bolivia RESPONDENT ICSID Case No. ARB/06/2, იხ., <https://www.italaw.com/cases/885> [30.11.2023]
- El Paso Energy International Company v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/15, იხ., <https://www.italaw.com/cases/382> [30.11.2023]

- Eudoro Armando Olguín v. Republic of Paraguay, ICSID Case No. ARB/98/5, იხ., <https://jusmundi.com/fr/document/decision/en-eudoro-armando-olguin-v-republic-of-paraguay-award-thursday-26th-july-2001> [30.11.2023]
- First National Petroleum Corporation v. OAO Tyumenneftegaz (II), SCC Case No. 196/2011, იხ., <https://jusmundi.com/en/document/decision/en-first-national-petroleum-corporation-v-oao-tyumenneftegaz-i-judgement-of-the-court-of-appeal-thursday-25th-june-2015> [30.11.2023]
- First National Petroleum v. Tyumenneftegaz (II) First National Petroleum Corporation v. OAO Tyumenneftegaz (II), SCC Case No, იხ., <https://jusmundi.com/en/document/decision/en-first-national-petroleum-corporation-v-oao-tyumenneftegaz-i-judgement-of-the-court-of-appeal-thursday-25th-june-2015> [30.11.2023]
- Hess Equatorial Guinea, Inc. and Tullow Equatorial Guinea Limited v. Republic of Equatorial Guinea (ICSID Case No. CONC(AF)/12/1), იხ., <https://icsid.worldbank.org/cases/pending> [30.11.2023]
- Iconia Capital LLC v. Georgia, იხ., <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/984/iconia-v-georgia> [30.11.2023]
- Impregilo S.p.A. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/07/17, იხ., <https://www.italaw.com/cases/554> [30.11.2023]
- Impregilo S.p.A. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/07/17; Concurring and Dissenting Opinion of Professor Brigitte Stern, 18; იხ., <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0420.pdf> [30.11.2023]
- Ioannis kardassopoulos and Ron Fuchs against The Republic of Georgia, ICSID Case Nos. ARB/05/18 and ARB/07/15, იხ., <https://www.italaw.com/cases/464> [30.11.2023]
- Itera International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia (I) (ICSID Case No. ARB/08/7); Itera International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia (II) (ICSID Case No. ARB/09/22), იხ., <https://www.italaw.com/cases/584> [30.11.2023]
- iZee Enterprises LLC, Lazer-2 Tbilisi Ltd., and Cafe Rustaveli Ltd. v. Georgia, იხ., <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/291/izee-v-georgia> [30.11.2023]
- Jan Oostergetel and Theodora Laurentius v. The Slovak Republic, UNCITRAL, იხ., <https://www.italaw.com/cases/1222> [30.11.2023]
- January 19, 2011; DECISION OF THE AD HOC COMMITTEE TO TERMINATE THE STAY OF ENFORCEMENT OF THE AWARD; ICSID Case No s. ARB/05/18 and ARB/07/15 (Annulment Proceeding), იხ., <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw3029.pd> f [30.11.2023]
- JSC Georgian Oil and Gas Corporation (2) LEPL State Agency of Oil and Gas v. (1) Frontera Resources Georgia Corporation (2) Frontera Resources US LLC, PCA Case No. 2018-02, იხ., <https://jusmundi.com/en/document/decision/en-georgian-oil-and-gas-corporation-and-the-state-agency-of-oil-and-gas-of-georgia-v-frontera-resources-georgia-corporation-and-frontera-resources-us-llc-final-award-friday-17th-april-2020> [30.11.2023]

- Karmer Marble Tourism Construction Industry and Commerce Limited Liability Company v. Georgia (ICSID Case No. ARB/08/19), იხ., <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/308/karmer-marble-v-georgia> [30.11.2023]
- KazTransGas JSC v. Georgia, PCA Case No. 2017-22, იხ., <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/821/kaztransgas-v-georgia> [30.11.2023]
- Meijer v. Georgia Bob Meijer v. Georgia (ICSID Case No. ARB/20/28), იხ., <https://investmentpolicy.unctad.org/investment-dispute-settlement/cases/1096/meijer-v-georgia> [30.11.2023]
- Mihaly International Corporation v. Democratic Socialist Republic of Sri Lanka (ICSID Case No. ARB/00/2), იხ., <https://www.italaw.com/cases/702> [30.11.2023]
- Nasib Hasanov v. Georgia (ICSID Case No. ARB/20/44), იხ., <https://www.italaw.com/cases/8643> [30.11.2023]
- OPINION 2/15 OF THE COURT (Full Court) 16 May 2017, იხ., <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?docid=190727&doclang=en> [30.11.2023]
- PSEG Global, Inc., The North American Coal Corporation, and Konya Ingin Electrik Üretim ve Ticaret Limited Sirketi v. Republic of Turkey, ICSID Case No. ARB/02/5, იხ., <https://www.italaw.com/cases/880> [30.11.2023]
- Saba Fakes v. Republic of Turkey, ICSID Case No. ARB/07/20, იხ., <https://www.italaw.com/cases/429> [30.11.2023]
- Saluka Investments BV v. The Czech Republic, PCA Case No. 2001-04, იხ., <https://www.italaw.com/cases/961> [30.11.2023]
- SEDITEX Engineering Beratungsgesellschaft für die Textilindustrie m.b.H. v. Democratic Republic of Madagascar, ICSID Case No. Conco/82/1, იხ., <https://www.italaw.com/cases/3324> [30.11.2023]
- Siemens A.G. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/02/8, იხ., <https://www.italaw.com/cases/1026> [30.11.2023]
- Telcell Wireless, LLC and International Telcell Cellular, LLC v. Georgia (ICSID Case No. ARB/20/5), იხ., <https://www.italaw.com/cases/10456> [30.11.2023]
- The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia v. Altcom Road Construction, LLC, ICC Case No. 24638/MHM/HBH, იხ., <https://jusmundi.com/en/document/decision/en-the-roads-department-of-the-ministry-of-regional-development-and-infrastructure-of-georgia-v-altcom-road-construction-llc-award-sunday-1st-may-2022> [30.11.2023]
- The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia v. Todini Construzioni Generali SpA, ICC Case No. 24851/MHM/HBH, იხ., <https://jusmundi.com/en/document/other/en-the-roads-department-of-the-ministry-of-regional-development-and-infrastructure-of-georgia-v-todini-construzioni-generali-spa-press-release-from-the-roads-department-of-the-ministry-of-regional-development-and-infrastructure-of-georgia-wednesday-19th-february-2020> [30.11.2023]

- Xenofon Karagiannis v. Republic of Albania (ICSID Case No. CONC/16/1), იხ., <https://icsid.worldbank.org/cases/pending> [30.11.2023]
- Zaza Okuashvili v. Georgia, SCC Case No. EA 2019/038, იხ., <https://www.italaw.com/cases/9965> [30.11.2023]

ელექტრონული წყაროები

- ნორვეგიული სუვერენული სიმდიდრის ფონდის შესახებ ინფორმაცია, იხ., <https://www.nbim.no/en/the-fund/about-the-fund/> [30.11.2023]
- EBRD-ის მიერ მაღაზიათა ქსელ Defacto-ში განხორციელებული ინვესტიის შესახებ, იხ., <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/53938.html> [30.11.2023]
- ირანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წარმოშობილი დავების შესახებ დამატებითი ინფორმაცია, იხ., <https://iusct.com/about/> [30.11.2023]
- საერთაშორისო საჯარო სამართალში „genuine link" ნიშნავს კავშირს სახელმწიფოსთან, კულტურული, ენობრივი, სოციალური და სხვა მსგავსი ნიშნების შესაბამისად, იხ., <https://www.cambridge.org/core/journals/american-journal-of-international-law/article/abs/genuine-link-doctrine-and-flags-of-convenience/CB0A537F85CBC8716A03BD55F3998FBC> [30.11.2023].
- „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ" ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის წევრი ქვეყნები, იხ., <https://www.newyorkconvention.org/countries> [30.11.2023]
- ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) ვებ-გვერდი,
- იხ., <https://www.lcia.org/LCIA/organisation.aspx> [30.11.203]
- მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს (PCA)ვებ-გვერდი, იხ., <https://pca-cpa.org/en/services/> [30.11.2023]
- Asean Institute of Insurance and Risk Management (AIIRM), იხ., <https://aiirm.org/dispute-resolution/> [30.11.2023]
- https://jusmundi.com/en/document/treaty/ka-georgia-kazakhstan-bit-1996-georgia-kazakhstan-bit-1996-tuesday-17th-september-1996 [30.11.2023]
- ICSID მედიაციისა და კონსილაციის პროცესების განსხვავებების შესახებ,
- იხ., <https://icsid.worldbank.org/rules-regulations/mediation/key-differences-between-mediation-and-conciliation [30.11.2023]
- International Bar Association არის ადვოკატთა მსოფლიო ასოციაცია, დაფუძნებული 1947 წელს. დღეის მდგომარეობით ასოციაციაში გაწევრებულია 80 000-მდე ადვოკატი მსოფლიოს მასშტაბით, 170 ქვეყნიდან, იხ., <https://www.ibanet.org/> [30.11.2023]
- REPORT FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL on the application of Regulation (EU) No 1219/2012 establishing transitional arrangements for bilateral investment agreements between Member States and third countries, იხ., <https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2020/april/tradoc_158703.pdf> [30.11.2023]

- შპს „ენკა რინიუებლზთან“ დადებული “ნამახვანჰესთან დაკავშირებული ხელშეკრულების პროექტი, იხ., <file:///C:/Users/User/Downloads/BOO_Notarized.pdf> [30.11.2023]
- ჩეხური ეროვნული ვალუტის შესახებ, იხ., <https://www.cnb.cz/en/banknotes-and-coins/banknotes/> [30.11.2023]
- ICSID საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვასთან დაკავშირებით ICSID-ის ვებ-გვერდზე მოცემული განმარტებები, იხ., <https://icsid.worldbank.org/node/12236> [30.11.2023]
- რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის საქმესთან დაკავშირებით უცხოურ მედიაში გამოხმაურება, იხ., <https://dfwatch.net/georgia-pardons-israeli-businessmen-following-deal-over-pipelines-34384-2196> [30.11.2023]
- რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის საქმესთან დაკავშირებით ქართულ მედიაში გამოხმაურება, იხ., <https://www.amerikiskhma.com/a/israeli-businessmen-georgia-135093908/537393.html?fbclid=IwAR3TiAX87vJHBLkthNMxwNncr_eJ9k6i9sEqg7etN19EenTNAsF-MX5nhpc>[30.11.2023]
- რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის საქმესთან დაკავშირებით უცხოურ მედიაში გამოხმაურება, იხ., <https://eurasianet.org/georgia-saakashvili-pardon-of-two-israeli-entrepreneurs-raises-questions> [30.11.2023]
- ნასიბ ჰასანოვის საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაციების ეროვნული კომისისს განმარტება, იხ., <https://www.comcom.ge/ge/yvela-siaxle/kavkasus-onlainis-ukanono-mflobeli-nasib-hasanovi-ukve-daufaravad-ambobs-rom-saqartvelos-kanoni-ganzrax-daargvia.page> [30.11.2023]